

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ეკატერინე ბარამიძე

**ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა
(ზემო აჭარის მაგალითზე)**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა - ლინგვისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი თემურ ავალიანი

ბათუმი

2021

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე ბარამიძე

„-----“-----2021 წ.

შინაარსი

შესავალი -----7

თავი I. ანთროპონიმია როგორც სოციოლინგვისტური კვლევის ობიექტი ----- --18

1.1. ანთროპონიმის კვლევის ასპექტები თანამედროვე ლინგვისტიკაში -----18

1.2. ანთროპონიმის კვლევის პრობლემატიკა ქართულ ლინგვისტიკაში ---- -----24

1.3. ანთროპონიმის დინამიკა და კოლექტიური მეხსიერება -----33

თავი II. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკა მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან 1878 წლამდე პერიოდში (პირველი ეტაპი) -----37

2.1. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი მე-16 საუკუნის მიწურულს „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების მიხედვით“ ----- 37

2.2. ოსმალობამდელი ზემო აჭარის პიროვნულ სახელთა კორპუსი მე-16 საუკუნის მიწურულს „დავთრების“ მიხედვით -- -----45

2.3. გვარსახელები თუ მამის სახელები? ანუ „დავთრების“ ანთროპონიმული მოდელის შესახებ -----46

2.4. „ტბეთის სულთა მატიანის“ და ზოგიერთი სხვა ქართული წყაროს ანთროპონიმია და პარალელი დავთრების დროინდელ ზემო აჭარის ანთროპონიმისთან- -----48

2.4.1. გვარსახელები და ქართული ანთროპონიმული მოდელები „ტბეთის სულთა მატიანეში“ -----49

2.4.2. პიროვნულ სახელთა კორპუსი „ტბეთის სულთა მატიანეში“ -----54

2.5. ოსმალური პერიოდის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი ოსმალეთის სულთან-მაჰმუდ II--ის დროს 1835 წელს ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით--- ----- 55

2.5.1. სოფელ **დანდალოს** ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ოსმალური აღწერის მიხედვით -----57

2.5.2. სოფელ **ბზუბზუს** ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ოსმალური აღწერის მონაცემების მიხედვით -----59

2.5.3. სოფელ ვაიოს ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ოსმალური აღწერის მონაცემების მიხედვით -----	62
2.5.4. სოფელ მარადიდის ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ოსმალური აღწერის მონაცემების მიხედვით (პარალელების გავლებისთვის)-----	64
თავი III. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი 1878 - 1921 წლებში (მეორე ეტაპი) --	68
3.1. თედო სახოკიას მიერ 1897 წელს აჭარაში აღნუსხული გვარსახელები -----	69
3.2. ზემო აჭარის ანთროპონიმული პორტრეტი ზ. ჭიჭინაძის მონაცემების მიხედვით-----	72
3.3. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდი (1918-1921) -----	73
თავი IV. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მასალების მიხედვით (ცალკეული სოფლების მონაცემები)-----	76
4.1. ქედა. დღევანდელ დანდალოს თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -----	77
4.2. ქედა. დღევანდელ ცხმორისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -----	79
4.3. ქედა. დღევანდელ წონიარისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მასალების მიხედვით -----	82
4.4. ქედა. დღევანდელ მერისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მასალების მიხედვით -----	83
4.5. ქედა. დღევანდელ მახუნცეთის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -----	85
4.6. ქედა, დღევანდელ დოლოგნის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -----	86
4.7. ქედა, სოფელ აქუცის ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -----	88
4.8. ქედა, სოფელ ზენდიდის ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -----	89

4.9.ხულო (დღევანდელი შუახევიც). დიდაჭარის თემში 1922 წელს შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -90	
4.10. ხულო (დღევანდელი შუახევიც). სხალთის თემში 1922 წელს შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -92	
4.11. შუახევი (ადრინდელი ხულო). ჭვანის თემში 1922 წელს შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით --95	
4.12. შუახევი (ადრინდელი ხულო) უჩამფის თემის ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -----97	
4.13. ქედა. დღევანდელ პირველი მაისის თემში შემავალი სოფლები ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით -----99	
4.14. ქართულ და თურქულ გვარსახელთა კორპუსი ერთიანობაში და მათი გეოგრაფია ზემო აჭარის მასშტაბით 1922 წლის აღწერის მასალების მიხედვით -----100	
თავი V. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკა საბჭოთა პერიოდში (1922-1991 წლები, მესამე ეტაპი) -----106	
5.1.მასწავლებელთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი 1920-იან წლებში -----106	
5.2.მასწავლებელთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი 1940-50-იან და შემდგომ წლებში ----- 110	
5.3.ორსახელიანობა და ორგვარსახელიანობა ზემო აჭარაში -----115	
5.3.1 პიროვნულ სახელთა კორპუსის ტრანსფორმაცია და ორსახელიანობა ----- 115	
5.3.2 ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობა -----119	
5.3.3 ოსმალური პერიოდის „-ოლი“-ფორმანტიანი გვარსახელების შტოგვარის ფუნქცია -----142	
თავი VI. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი დღეს (მეოთხე ეტაპი)----- --- 155	
6.1. გვარსახელების კორპუსი ზემო აჭარაში მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მასალების მიხედვით ----- 155	

6.2. პიროვნულ სახელთა კორპუსი ზემო აჭარაში მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მასალების მიხედვით -----	156
6.3. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პიროვნული სახელების კორპუსი ზემო აჭარაში (2016-2017 წ.წ.) -----	159
დასკვნები -----	163
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი -----	174
დანართები -----	186

შესავალი

კვლევის ობიექტი, აქტუალობა და სიახლე. ანთროპონიმია, ისევე როგორც საერთოდ ონომასტიკა, ენის ლექსიკის ის პლასტია, რომლის ფორმირება და დინამიკა მიმდინარეობს სოციუმის (ერის, ეთნოსის, სუბეთნოსის, ეთნოლოგიური ჯგუფის) მთელი ისტორიის მანძილზე. შესაბამისად, ის ნათლად და მკაფიოდ ასახავს დროისა და ეპოქების კვალს, რითაც უაღრესად საინტერესო სურათს ქმნის მოცემული სოციუმის ეთნოკულტურული იდენტობის ჩამოყალიბება–შენარჩუნების ან პირიქით, დაკარგვის თვალსაზრისით. სწორედ ეს განაპირობებს ამ მიმართულების კვლევების აქტუალობას ანთროპოცენტრული ლინგვისტიკის პარადიგმაში, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს სოციალური, პოლიტიკური, თუ სხვა სახის კატაკლიზმების და სოციუმის ბედის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე. სავსებით მართებულად მიუთითებენ ამის შესახებ როგორც უცხოელი, ისე ქართველი ლინგვისტებიც, ასე მაგალითად, ვ. კასევჩის კვალდაკვალ მარინა აროშიძე აღნიშნავს, რომ „

(, , , - , .)

- “ (აროშიძე, 2016: 142). რატომ? იმიტომ რომ ისინი რადიკალურად ცვლიან ენობრივი სოციუმის (ენობრივი და ეთნოკულტურული ერთობის) ცხოვრების ჩვეულ გარემოს, ტრადიციულად დამკვიდრებულ წესს და ღრმა კვალს ტოვებენ მის კოლექტიურ მეხსიერებაში. ყოველივე ეს უშუალოდ აისახება ენაში: იწყება სამყაროს ენობრივი, მათ შორის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაცია (მგ. ლათ. *transformatio* — „გარდაქმნა“) რასაც თან ახლავს ეთნიკური (ეროვნული) იდენტობის წაშლის ან პირიქით, აღორძინება-გამდიერების ტენდენციები. ქართულ საბჭოთა ლინგვისტიკაში ამ მიმართულების კვლევები დიდად არ იყო წახალისებული, რის გამოც აღნიშნული სფერო სათანადოდ დღემდე არ არის შესწავლილი. XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ალ. ღლონტი სავსებით სამართლიანად წერს, რომ „ქართული ანთროპონიმის ცოტად თუ ბევრად გამოვლენა და შესწავლა შეუძლებელია მისი სისტემური აღწერისა და შეკრების გარეშე. ეს კი მაშინ გახდება შესაძლებელი,

როდესაც ხელთ გვექნება საჭირო ფაქტობრივი მასალა, სანდოდ დალაგებული და თავდაპირველ წყაროებთან შეჯერებული ცნობარები... საკუთარ სახელთა საძიებლების დართვა დიდად საჭირო და აუცილებელი საქმეა, მაგრამ არ არის საკმარისი ქართული ანთროპონიმიის ევოლუციის ძირითადი ტენდენციების გამოსარკვევად და გასათვალისწინებლად“ (ლლონტი, 1988: 164). აღნიშნული პრობლემატიკა წინა პლანზე წამოვიდა გასული საუკუნის 90-იან წლებიდან, რის შესახებაც რ. თოფჩიშვილი წერს: „ქართული გვარ-სახელების წარმოქმნისა და განვითარების რთული და ხანგრძლივი გზის მონოგრაფიული შესწავლა მომავლის საქმეა, როდესაც სრულად იქნება გამოცემული ქართული საისტორიო საბუთების სრული კორპუსი და მხარეების მიხედვით იქნება გამოკვლეული გვარსახელთა ეთნოისტორიული და ეთნოსოციალური საკითხები“ (თოფჩიშვილი, 1997: 109). ეს მოსაზრება გამოითქვა ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული და თითქმის ყველა დანარჩენი სფეროს დეგრადაციის და ნგრევის წლებში, რის გამოც მათში დასმული პრობლემები მომდევნო წლების მანძილზე ისევ და ისევ ყურადღების მიღმა რჩებოდა. ამის დასტურია მისსავე მიერ უკვე 2010 წელს გამოთქმული მოსაზრება: „ერთ-ერთი საკვლევი სფერო, მიმართულება, რომელიც სხვადასხვა მეცნიერების - ისტორიის, ეთნოლოგიის, ენათმეცნიერების ცოდნას საჭიროებს, არის ანთროპონიმია, ანუ პირთა საკუთარი სახელები. მართალია, ლინგვისტიკას, ეთნოლოგიას და ისტორიას ანთროპონიმიის მიმართ კვლევის საკუთარი ინტერესი და არეალი აქვს, მაგრამ შედეგი მაშინაა სრულყოფილი, როდესაც მკვლევარი სამივე დასახელებული მეცნიერების კვლევის მეთოდებს ფლობს. ისტორიკოსი იყენებს ამ სფეროში მოპოვებულ ლინგვისტთა და ეთნოლოგთა კვლევის შედეგებს“. ამით იმის ხაზგასმა კი არ გვსურს, რომ ანთროპონიმების კვლევაში დღემდე არაფერი გაკეთებულა, - პირიქით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თავის საქმეს ლინგვისტიც აკეთებდა, ეთნოლოგიც და ისტორიკოსიც, მაგრამ ამ დარგების ცოდნის გაუთვალისწინებლობის გამო ზოგიერთმა მეცნიერმა დასანანი შეცდომები დაუშვა“ (თოფჩიშვილი, 2010: 5-6). აღსანიშნავია ამ თვალსაზრისით პრობლემის შესახებ პოსტსაბჭოური პერიოდის რუსი ლინგვისტის ი. გოლკონსკაიას მოსაზრება:

„განსაკუთრებით აქტუალური და ამავე დროს ყველაზე ნაკლებად შესწავლილია საერთო ტერიტორიასა და ერთიანი ანთროპონიმული სივრცის ფარგლებში სხვადასხვა ანთროპონიმული სისტემის ფუნქციონირების და ურთიერთზემოქმედების პრობლემები“ - აქ და შემდგომში უცხოურენოვანი (ციტატების თარგმანი ჩვენია. ე. ბ.). (გოლკონსკაია, 2012: 170). შესაბამისად, ის დღესაც არ კარგავს აქტუალობას, როგორც ზოგადად, ისე კონკრეტული მიმართულებებით.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე **დავისახეთ კვლევის მიზნად კონკრეტული არეალის - ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დიაქრონული ანალიზი მისი ტრანსფორმაციის იმ ძირითადი ტენდენციების გამოვლენის მიზნით, რასაც ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენით ჰქონდა ადგილი დროის კონკრეტულ მონაკვეთში - XVI საუკუნიდან დღემდე.** ამ თვალსაზრისით ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მკვლევართა მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ „საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ენობრივი და სოციოკულტურული პროცესების მჭიდრო ურთიერთკავშირი განაპირობებს მათი კომპლექსური კვლევის აუცილებლობას და აქტუალობას, რაც შეუძლებელია ენობრივი მოვლენების საზოგადოებაში ფუნქციონირების პირობებისა და მისი კულტურისგან მოწყვეტით შესწავლისას“ (აროშიძე, 2016: 142). ავტორი აჭარის მასშტაბით სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმის ცვლის ენობრივ მარკერებად მიიჩნევს:

1) ტოპონიმთა ცვლას (ქალაქის პალიმფსესტები, რომელშიც გოდონიმები - ანუ ქუჩების დასახელებები - ასახავენ „კულტურულ-სოციალურ ფენებს“);

2) ეთნონიმთა ტრანსფორმაციას (საქართველო - გურჯისტანი; ქართველი - გურჯი; აჭარელი - მუსლიმანი ქართველი და სხვ.). ჩვენი კვლევა ნათელი დასტურია იმისა, რომ არსებობს სხვა მარკერებიც, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესია ანთროპონიმთა ტრანსფორმაცია.

შესაბამისად, ჩვენი ნაშრომი არის დარგთაშორისი და არა წმინდალინგვისტური, მასში მთელი ყურადღება გადატანილია ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის სოციოკულტურულ ასპექტებსა და შედეგებზე პოლიტიკური, ენობრივი და რელიგიურ-

კულტურული პარადიგმების არაერთგზის ცვლის პირობებში. საჭიროების შემთხვევაში, ცხადია, ანთროპონიმის ფონეტიკურ, სტრუქტურულ, მორფოლოგიურ თუ სხვა წმინდალინგვისტურ თავისებურებებსაც მივმართავთ (მაგალითად, ანთროპონიმული მოდელის სტრუქტურა და მისი გადატანა ერთი ენიდან მეორეში და სხვა).

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით აჭარის ანთროპონიმის კვლევის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები არის გადადგმული (ქამადაძე, 1992; ქამადაძე, 2007 და სხვ.), რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამავე დროს, არა მხოლოდ კონკრეტულად ზემო აჭარის, არამედ საერთოდ მთლიანად აჭარის რეგიონის ანთროპონიმული სურათის სოციოკულტურულ კონტექსტში დინამიკის მონოგრაფიული კვლევა დღემდე არ ჩატარებულა. წარმოდგენილი ნაშრომი არის პრობლემის სწორედ ამ მიმართულებით მონოგრაფიული კვლევა, რაც ჩვენი აზრით, განსაზღვრავს მის თეორიულ ღირებულებასა და სიახლეს. კვლევის შედეგად ხელთ გვექნება სწორედ იმ ფაქტობრივი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი სოციოლინგვისტური ანალიზი, რაზეც წერს ზემოთ მოშველიებულ ციტატაში ალ. ლლონტი. ცხადია, ამის გაკეთება ერთი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებს მნიშვნელოვნად სცდება, ამიტომ ჩვენ შემოვიფარგლებით ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციების და შედეგების გამოვლენით, სრული ანთროპონიმული სურათის წარმოჩენას და სრულფასოვან ანალიზი კი კვლევის შემდგომი ეტაპების ამოცანაა.

კვლევის ობიექტად ზემო აჭარა შევარჩიეთ იმ მოტივით, რომ ის (და არა მხოლოდ ის) მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საუკუნეების განმავლობაში დედა-სამშობლოსგან მოწყვეტილი, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, ისლამურ ანუ უცხო გარემოში იყო მოქცეული. საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ენობრივი და კულტურულ-რელიგიური პარადიგმების მკვეთრი ცვლის გამო, რაც ჩვენი საკვლევი პერიოდის განმავლობაში არაერთგზის მოხდა, ზემო აჭარის ანთროპონიმამ ასევე მრავალგზის განიცადა ტრანსფორმაცია. განხორციელდა ქართული (უფრო სწორად კალენდარული) სახელების და ქართული გვარების ჩანაცვლება ისლამური სახელებით და თურქული გვარსახელებით (ძირითადად „-

ოღლებით“). რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ კი აჭარის მკვიდრთა ეთნომენტალობის უმთავრესი (თუმცა არა ერთადერთი) მასაზრდოებელი წყარო ისევ მშობლიური ფესვებია. იწყება შემობრუნების ეპოქა, რომელიც სხვათა შორის, არც მთლად უპრობლემოდ, უმტკივნეულოდ და წარმატებით წარიმართა. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან, როცა თურქეთი იქცა სსრკ-ს მტრულ სახელმწიფოდ, ორ ქვეყანას შორის საზღვრები ისე ჩაიკეტა, რომ მასზე ჩიტიც კი ვერ გადაფრინდებოდა. საზღვრისპირა ზონაში გაღმა-გამოღმა მცხოვრები ქართული მოსახლეობა ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა. რასაც ეთნოკულტურული და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით სხვადასხვა სახის შედეგები მოჰყვა: საზღვრის გადაღმა მცხოვრები ჩვენებურებისთვის მთლიანად გადაიჭრა მშობლიურ ენობრივ-კულტურულ სივრცესთან დამაკავშირებელი ყველა ძარღვი. საზღვრის გამომღმელთათვის კი ეს იყო მუსლიმური ეთნოკულტურული და რელიგიური სამყაროსგან სრული იზოლირება, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა მშობლიურ გარემოსა და სოციუმში (ეთნოსში) ინტეგრაცია. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1940-1950-იან წლებში ზემო აჭარაში და საერთოდ სსრკ-თურქეთის საზღვრისპირა ზოლში ისლამური პიროვნული სახელებისა და თურქული გვარსახელების შეცვლის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანამაც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინში „ზემო აჭარა“ ჩვენ მოვიაზრებთ დღევანდელი ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტებს. ამ განმარტებას იმიტომ ვაკეთებთ, რომ, ჩვენ მიერ გამოყენებულ ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტში, მაგალითად, „ზემო აჭარის ლივის დიდ და მცირე დავთრებში“, ქედა ქვემო აჭარაშია მოქცეული.

თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ანთროპონიმული სურათის, კერძოდ **პიროვნულ სახელთა სისტემის ტრანსფორმაციაში** არ ვგულისხმობთ მაინცდამაინც წმინდა ქართული წარმოშობის სახელების არსებობას და მათ ჩანაცვლებას ზოგადად **აღმოსავლური სახელებით**, რადგან მრავალი საუკუნის მანძილზე ქართული წარმოშობის სახელები ხმარებიდან თითქმის მთლიანად განდევნა სულ სხვა ექსტრალინგვისტურმა ფაქტორმა: ქრისტიანულმა რელიგიამ. კალენდარული

სახელები ისევე არ არის ქართული წარმოშობის, როგორც მუსლიმანური და ზოგადად აღმოსავლური, თუნდაც ძალიან პოპულარული სახელები (ვახტანგი, ქეთევანი, ნესტანი, ავთანდილი და ა.შ.), ასე რომ, ტერმინი „ქართული პიროვნული სახელი“ ჩვენთვის პირობითია (განსხვავებით ტერმინისა „ქართული გვარი“), რის გამოც ტერმინში „ტრანსფორმაცია“ ამ შემთხვევაში მოვიაზრებთ ჯერ ოსმალთაგან არსებული მრავალფეროვანი (ძირითადად კალენდარული) ანთროპონიმული სისტემის ჩანაცვლებას მკვეთრად გამორჩეული დოგმატური ისლამური შეფერილობის მქონე სახელებისგან შედგენილი ერთფეროვანი სისტემით, შემდგომ ეტაპებზე კი პირიქით, ქართული და კალენდარული პიროვნული სახელების დაბრუნებას, აგრეთვე სახელების შერჩევისას რელიგიური და ეროვნული ფაქტორების საერთოდ იგნორირებას (ავალიანი, ბარამიძე, 2018: 30).

კვლევის ამოცანები მოიცავს შემდეგ კონკრეტულ მიმართულებებს:

1. XVI საუკუნის მიწურულის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის შეძლებისდაგვარად აღდგენა და ანალიზი (ცხადია, მიახლოებით), რის საშუალებასაც მეტნაკლებად იძლევა ზაზა შაშიკაძის და მირიან მახარაძის მიერ ქართულად თარგმნილი „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ (შაშიკაძე, მახარაძე, 2011). პარალელების გასავლელად ვიშველიებთ ს. ჯიქიას მიერ ქართულად თარგმნილ „გურჯისტანის ვიალეთის დიდ დავთარს“ (ჯიქია, 1958), აგრეთვე ქართულ ისტორიულ წყაროებსა და საბუთებს („ტბეთის სულთა მატიანე“ და სხვა).

2. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან 1878 წლამდე (პირველი ეტაპი) და 1878 წლიდან 1921 წლამდე (მეორე ეტაპი) პერიოდის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი, რისთვისაც ვიყენებთ მოსახლეობის 1835 წლის ოსმალური აღწერის და 1922 წლის საბჭოთა აღწერის საარქივო მასალებს, დიმიტრი ბაქრაძის, თედო სახოკიას, ზაქარია ჭიჭინაძის, გიორგი ყაზბეგის და სხვა საზოგადო მოღვაწეთა თუ მოგაზურთა დღიურები და ნაშრომებს, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სტატიებს და ნაწარმოებებს, „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ხუთტომეულს და ა.შ.

პარალელურად ვაგლებთ აგრეთვე ე.წ. ოსმალის ისტორიულ საქართველოს დღევანდელ ანთროპონიმულ სურათთან, რისთვისაც ვიშველიებთ მამია ფალავას, შუმანა ფუტკარაძის, მიხეილ ქამადაძის, მალხაზ ჩოხარაძის, ეთერ ბერიძის, ნუგზარ ცეცხლაძის, თინა შიომვილის, ზაზა შაშიკაძის, მირიან მახარაძის, თამაზ ფუტკარაძის, ნუგზარ მგელაძის, ელგუჯა მაკარაძის, თემურ ავალიანის და სხვათა ნაშრომებს, ისტორიულ საქართველოში ჩატარებული უამრავი სამეცნიერო ექსპედიციის მასალებს და ა.შ.

3. 1921-1991-იან წლების (მესამე ეტაპი) ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი. აღნიშნული პერიოდის პირველი ნახევარი ქემალისტური თურქეთის და საბჭოთა იმპერიის მეგობრობის პერიოდია, როცა მათ შორის საზღვრები ჯერ კიდევ არ იყო ჩაკეტილი (1921-1940). შესაბამისად საქართველოში ანტითურქული და ანტიისლამისტური პოლიტიკა მთელი სიმკაცრით ჯერ კიდევ არ ტარდებოდა. 1940-1991 წლები კი არის თურქეთისადმი სსრკ-ს მტრული პოლიტიკის ეტაპი, რომლის განმავლობაშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე ტარდება უმკაცრესი ანტიისლამისტური და ანტითურქული ზომები და ღონისძიებები. კერძოდ, ჩაიკეტა სსრკ-თურქეთის საზღვარი, ზემო აჭარა გამოცხადდა სასაზღვრო ზონად და მოწყდა დანარჩენ სამყაროს, მოსახლეობის დიდი ნაწილი გაასახლეს საზღვრისპირა ზოლიდან და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი ისლამური სახელებისა და თურქული გვარების შეცვლის პროცესის მაქსიმალურად დაჩქარება. საკვლევ მასალის წყაროა 1922 და მომდევნო წლების მოსახლეობის კამერალური აღწერების და სხვა სახის მონაცემთა ამსახველი საარქივო მასალები, საარჩევნო სიები, ჩვენ მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის მონაცემები და სხვა.

4. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკის ტენდენციები 1991 წლიდან დღემდე (მეოთხე ეტაპი) ანუ დამოუკიდებელი საქართველოს, დემოკრატიზაციის, თურქეთ-საქართველოს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების

პერიოდში. ეს არის აჭარაში ისლამის მეტ-ნაკლებად აღორძინების, რელიგიური აღმსარებლობის და ბავშვისთვის პიროვნული სახელის შერჩევის თავისუფალი არჩევანის პერიოდი. მოსახლეობის ნაწილი რჩება მუსლიმანურ რწმენის ერთგული, თუმცა შენარჩუნებული აქვს ქართული მენტალობა, ქართული სახელმწიფოსადმი ერთგულების გრძნობა და პასუხისმგებლობა.

5. კოლექტიური მეხსიერების როლი ზემო აჭარის დღევანდელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საგვარეულო იდენტობის დაზუსტებაში. ორსახელიანობისა და ორგვარსახელიანობის ფენომენი, როგორც ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი.

კვლევის მეთოდიკა. საკვლევი მასალა მოვიძიეთ არა მხოლოდ უკვე არსებული ლიტერატურის, პრესის, საარქივო და სხვა მასალების, არამედ მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების მონაცემთა ბაზაზე. ის დაკავშირებულია სავსე გამოკითხვებთანაც. შესაბამისად, ვიყენებთ კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორცაა ანკეტირება, გამოკითხვა, მასალის რაოდენობრივი დამუშავება, კლასიფიცირება, სისტემაში მოყვანა და ა.შ. ასე მაგალითად, ჩვენ შევადგინეთ შემდეგი სახის სპეციალური კითხვარი, რომლითაც ვაწარმოეთ მოსახლეობის გამოკითხვა:

კითხვარი

1. საიდან და როდის მოვიდნენ თქვენი წინაპრები აჭარაში და სად დასახლდნენ ისინი თავდაპირველად (ოსმალბამდე, ოსმალბის დროს თუ შემდეგ)?
2. რა გვარისანი იყვნენ თქვენი წინაპრები თურქული გვარის („-ოღლის“) შერქმევამდე?
3. რა გვარ(ებ)ი/„ოღლები“ შეარქვეს თქვენს წინაპრებს ოსმალბამა;
4. როდის და როგორ დაიბრუნეს თქვენმა წინაპრებმა ქართული გვარები, ეს იყო ადრინდელი გვარის დაბრუნება თუ უბრალოდ, ახალი გვარის მექანიკურად შერქმევა?

5. რომელ ადრინდელ გვარებს/„ოღლებს“ მოიცავს თქვენი დღევანდელი ქართული გვარი (ჩამოთვალეთ)?
6. თქვენი გვარის გარდა რომელ ქართულ გვარებს მოიცავს დღეს თქვენი ადრინდელი თურქული გვარი/ოღლი?
7. არის თუ არა დაკავშირებული თქვენს საგვარეულოში ძველი (მუსლიმანური) პიროვნული სახელების ახლით შეცვლა ორსახელიანობასთან?
8. რა პრინციპით ხდება თქვენს ოჯახში ბავშვებზე სახელების შერჩევა დღეს, ხდება თუ არა რელიგიური ან სხვა ფაქტორების გათვალისწინება?

მთელი ზემო აჭარის მასშტაბით, ანუ ესოდენ დიდ არეალში ამ კითხვარის მიხედვით სრულყოფილი, ყოვლისმომცველი მასალის და ინფორმაციის მოძიება ერთი პიროვნების შესაძლებლობებს და თუნდაც ერთი სადოქტორო ნაშრომის ფარგლებს, ცხადია, აღემატება. არც ჩვენ დაგვისახავს მიზნად ესოდენ მასშტაბური ხასიათის სავსე სამუშაოების წარმოება და, შესაბამისად, სრული, ყოვლისმომცველი სურათის შექმნა. ჩვენ გამოვიყენეთ შერჩევითი გამოკითხვის მეთოდი. გამოკითხვა ვაწარმოეთ არა მხოლოდ სოფლებში (ცხადია, არა ყველაში) უშუალოდ გასვლით, არამედ მობილური ტელეფონის, სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის, სკაიპის და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით სხვადასხვა არეალში მცხოვრებ ერთი და იმავე გვარის (უპირველეს ყოვლისა, ყველაზე გავრცელებული გვარების) რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლის გამოკითხვას და ა.შ.

მოძიებული მასალა დავამუშავეთ და სისტემაში მოვიყვანეთ **აღწერითი** (დაკვირვება, განზოგადება, კლასიფიკაცია) შედარებითი, და დიაქრონული კვლევის მეთოდების გამოყენებით, რამაც მოგვცა საშუალება აღნიშნული რეგიონის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციები და

განმაპირობებელი ფაქტორები წარმოგვეჩინა დინამიკაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ენობრივ-კულტურული პარადიგმების ცვლილებათა კვალდაკვალ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის - 1922 წლის ანთროპონიმული სურათის ამსახველი აღწერის საარქივო მასალების ანალიზს ვაწარმოებთ შემდეგი ხერხების და მეთოდების გამოყენებით: ექსელის ერთიან ფაილში ვაფიქსირებთ მთლიანად ზემო აჭარის (ქედა და შუახევ-ხულო) გვარსახელებსა და პიროვნულ სახელებს, რომლის შემდეგაც ფილტრაციის გზით ვაჯგუფებთ მონაცემებს და ვახდენთ ანთროპონიმთა კლასიფიკაციას იმის მიხედვით,

1. რამდენი გვარსახელი და რამდენი პიროვნული სახელია დაფიქსირებული და რამდენი მცხოვრებია მათი მატარებელი;
2. როგორია თანაფარდობა ქართულ და თურქულ ანთროპონიმებს შორის;
3. ფიქსირებულ გვარსახელებს შორის (განსაკუთრებით თურქულ), რომელია მხოლოდ ადგილობრივი ლოკაციის;
4. როგორია თანაფარდობა ქართულ (ან კალენდარულ) და მუსლიმანურ პიროვნულ სახელებს შორის;
5. როგორია პიროვნულ სახელთა პირველი ათეულის (ოცეულის) რეიტინგული ჩამონათვალი და რა ადგილი უჭირავს მასში ქართულ (და კალენდარულ) სახელებს მუსლიმანურ პიროვნულ სახელებთან მიმართებაში).

ამ გზით ვაანალიზებთ როგორც ცალკეული სოფლების, ისე გაერთიანებულ მონაცემებს მთლიანი ზემო აჭარის მასშტაბით.

ნაშრომს **პრაქტიკული ღირებულება აქვს სხვადასხვა მიმართულებით**, უპირველეს ყოვლისა, ეს არის **ენის მონაცემთა დოკუმენტირება**, რაც ნიშნავს „ენობრივ მონაცემთა თანამიმდევრულ და მრავალმიზნობრივ (ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის გათვლილ) შეგროვება-დაფიქსირებას, მოპოვებული რესურსების ტექნოლოგიურ დამუშავებასა და მათ არქივირებას“ (თანდაშვილი მ., ფურცხვანიძე ზ. 2014: 18). ზოგადად, ამ მიმართულებით ქართულ ლინგვისტიკაში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული: უკვე შექმნილია „აჭარის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“

(მგელაძე, ნ., ტუნაძე, თ. ბათუმი. 2018) იქმნება საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი, ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკონები, დიდი ქართული დიალექტური ბაზა და რაც ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, **„აჭარული დიალექტის კორპუსი“**, რომელშიც კონკრეტულად აქაური ანთროპონიმული სურათი ჯერ კიდევ არ არის ჩართული. შესაბამისად, ჩვენ მიერ გაანალიზებული ისტორიული (ოფიციალური ხმარებიდან გასული) გვარსახელები და პიროვნული სახელები (მათში მოცემული უაღრესად საინტერესო ლინგვოკულტუროლოგიური, დიალექტოლოგიური, ეთნო- და სოციოლინგვისტური ხასიათის ინფორმაციით) მნიშვნელოვანი და პრაქტიკული ღირებულების მქონეა **აჭარული დიალექტის კვლევის მიმართულებითაც**: მათი წარმოჩენის, დაფიქსირების და დოკუმენტირების თვალსაზრისით, ეს არის „აჭარულ დიალექტურ კორპუსში“ „ანთროპონიმის დიაქრონიული სუბლექსიკონის“ ფორმით ინტეგრირებისათვის გამზადებული მასალა, რაც ჩვენი კვლევის სიახლის მაჩვენებელიცაა და მისი პრაქტიკული ღირებულებისაც.

კვლევა საინტერესო და პრაქტიკული ღირებულების მქონეა სოციოლინგვისტიკისთვისაც, რადგან ანთროპონიმული სურათის მრავალგზისი ტრანსფორმაცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აღნიშნული ენობრივი მასალის სუბსტრატიზაცია-სუპერსტრუქტურის განუწყვეტელი პროცესი.

ნაშრომში მოძიებული ემპირიული მასალა და მისი ანალიზის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთ სასწავლო კურსებში, როგორცაა „ონომასიოლოგია“, „ქართველური ონომასტიკა“, „ქართული დიალექტოლოგია“, „სოციოლინგვისტიკა“ და სხვ. ეს მასალა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საგვარეულო ისტორიების მკვლევრებს და სხვა დაინტერესებულ პიროვნებებს.

თავი I

ანთროპონიმია, როგორც სოციოლინგვისტური კვლევის ობიექტი

1.1. ანთროპონიმის კვლევის ასპექტები თანამედროვე ლინგვისტიკაში

როგორც ცნობილია, საკუთარმა სახელმა ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში. როგორც სახელთა განსაკუთრებული კლასი, ის ცალკე გამოყვეს სტოელმა (სტოიკოსმა) ფილოსოფოსებმა. მას შემდეგ ამ საკითხის ირგვლივ საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ცხარე დისკუსიები, რომლებიც მოიცავდა როგორც ერთმნიშვნელოვან, ისე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს. ერთ-ერთი ყველაზე რთული ამ პრობლემათა შორის იყო და დღესაც ასეთად რჩება **საკუთარი სახელის მნიშვნელობის თავისებურების განსაზღვრა**, რითაც დაინტერესებულნი იყვნენ არა მხოლოდ ლინგვისტები, არამედ ლოგიკოსები, ფილოსოფოსები და სხვა დარგების სპეციალისტები. XIX საუკუნის ინგლისელი ლოგიკოსის ჯონ სტიუარტ მილის აზრით, საკუთარ სახელებს არ აქვთ მნიშვნელობა, რაც გაიზიარეს ცნობილმა ლინგვისტებმა ვ. ბრიონდალმა, ლ. ემსლევმა და სხვებმა. მეორე ინგლისელი ლოგიკოსი ჰ. ჯოზეფი კი იზიარებს საპირისპირო მოსაზრებას, გამოთქმულს ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში სტოელი ფილოსოფოსების მიერ, რომლის მიხედვითაც საკუთარ სახელს იმაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საზოგადოს. ამ მოსაზრებას XX საუკუნეში მხარს უჭერდნენ ო. ესპერსენი, მ. ბრეალი და სხვები (ბონდოლეტოვი, 1983: 14).

XX საუკუნეში ინგლისელი ლოგიკოსი და ფილოსოფოსი ბერტრან რასელი ავითარებს **საკუთარი სახელის ლოგიკურ კონცეფციას**. დანიელი ლინგვისტი პაულ ქრისტოფერსენი, ინგლისელი ლინგვისტი ალან გარდინერი და სხვები კი - **წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისს** (ბონდოლეტოვი, 1983: 11-13; სუპერანსკაია, 1973: 45-91). XIX - XX საუკუნეებში საკუთარი სახელისადმი მზარდი ინტერესის ერთგვარი

შეჯამება იყო 1978 წელს კრაკოვში გამართული XIII საერთაშორისო ონომასტიკური კონგრესი „საკუთარი სახელი და საზოგადო სახელი“ (კონგრესი, 1978).

საკუთარ სახელთა, კერძოდ, ანთროპონიმის კვლევის თეორიული ასპექტების და პრაქტიკული ღირებულების წარმოჩენის მიმართულებით მნიშვნელოვანია საბჭოთა პერიოდში და XX-XXI საუკუნეებში მოღვაწე ლინგვისტთა წვლილი. რომელთა ნაშრომებშიც ნათლად გამოიკვეთა ონომასტიკური კვლევის სამი სფერო: **გლობალური, არეალური, და რეგიონული** (სუპერანსკაია, 1973: 11; ვაშაკიძე, 2005: 18).

გლობალური ონომასტიკა იკვლევს საკუთარ სახელთა ტიპოლოგიურ მსგავსებებს, მიუხედავად მათი ენობრივი განსხვავებისა, ადგენს მათ საერთო კანონზომიერებებს და გამოჰყავს უნივერსალიები. ამ მიმართულებით ღირსსაცნობია ა. სუპერანსკაიას ნაშრომები, რომელთა ავტორიც იკვლევს საკუთარი სახელის თეორიას, ისტორიას, ცალკეულ კონცეფციებს, საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის მსგავსება განსხვავებებს და სხვა პრობლემატიკას. კერძოდ, ის წერს, რომ ა) საკუთარი სახელი ეძლევა ერთეულ საგანს და არა საგანთა კლასს; ბ) მის მიერ სახელდებული ობიექტი ყოველთვის მკაფიოდ გამორჩეული, გამოკვეთილი და განსაზღვრულია; გ) ის არ არის კავშირში უშუალოდ ცნებასთან (სუპერანსკაია, 1973: 324). საინტერესოა აგრეთვე ა. რეფორმაციის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკუთარი სახელი ასრულებს ნომინაციურ ფუნქციას, ანუ ასახელებს, სახელდება კონკრეტულ საგანს, ხოლო საზოგადო სახელი - სემასიოლოგიურ ფუნქციას, ანუ არა მხოლოდ ასახელებს საგანს, არამედ გამოხატავს საგანთა ცნებას (რეფორმაცი, 1969: 29-300).

სამივე დონის, განსაკუთრებით გლობალური ონომასტიკის პრობლემათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის საკუთარი სახელის, უმთავრესად გვარ-სახელების წარმოშობის პრობლემას. ვინაიდან ადამიანი არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური არსებაცაა, მას კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე საკუთარი (პირადი) სახელის გარეშე თითქმის არასოდეს უცხოვრია. დადგენილია, რომ განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ეთნოსებისთვისაც კი

საკუთარი სახელი აუცილებელი ატრიბუტი იყო. ადამიანები პირად ურთიერთობებში ერთმანეთს ინდივიდუალური სახელებით განასხვავებდნენ და მიმართავდნენ. ამავე დროს ცნობილი არ არის, როდის, როგორ, საზოგადოების განვითარების რომელ საფეხურზე წარმოიქმნა პირადი (ინდივიდუალური) სახელი. როგორც ვარაუდობენ, ეს მოვლენა ისტორიის სიღრმეში გარკვეული ფორმით, ალბათ, იმ დროიდან იღებს სათავეს, როდესაც „ჰომო საპიენსი“ (მოაზროვნე ადამიანი) ჩამოყალიბდა, რადგან ადამიანებს სხვები თუ არა, შვილები მაინც უნდა განესხვავებინათ ერთმანეთისგან. როგორც ზ. ჭუმბურიძე წერს, „ვიდრე ადამიანები მცირერიცხოვან ტომებად იყვნენ დაფანტული და ტომებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობდა, მანამ შეიძლებოდა ტომის ყველა წევრს სხვადასხვა სახელი რქმეოდა და მარტო სახელითაც მიხვდებოდნენ, ვის ეხებოდა საუბარი“ (ჭუმბურიძე 1987: გვ. 293-294).

დროთა განმავლობაში საკუთარი სახელები გართულდა. ადამიანებს გაუჩნდათ მოთხოვნილება, ესა თუ ის ინდივიდი სხვა სახელებითაც, მაგალითად, **მამის სახელითაც** მოეხსენიებინათ. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, მამის სახელი თითქმის ყველა ხალხში ფიქსირდება. მოგვიანებით მამის სახელთან ერთად დაიწყეს პაპის, პაპის მამის, პაპის პაპის და უფრო შორეულ წინაპართა სახელების გამოყენებაც. არისტოკრატიაში წინაპართა სახელების ჩამოთვლა ერთგვარი მედიდურობის გამომხატველი იყო, მაგრამ, სახელთა გრძელი ჯაჭვის გამოყენება ყოველდღიურად შეუძლებელი იყო. ამას სახელის შექმნის უფრო „ეკონომიური“ ხერხი დაემატათ- ერთი საშუალება ასეთი საშუალება იყო „ტოპონიმური სახელის“ წარმოქმნა: დიონისე **თრაკიელი**, არისტოტელე **სტაგირელი**, ალექსანდრე **მაკედონელი**, თალეს **მილეტელი** და სხვა.

შემდგომში საჭიროებამ მოიტანა, რომ პირი, გარდა პიროვნული (ინდივიდუალური) სახელისა და მამის სახელისა, სანათესაო წრის, სოციუმის, **მემკვიდრეობის გამომხატველი სახელითაც** ყოფილიყო მოხსენიებული. რის აუცილებლობასაც ევროპული ტიპის ფეოდალიზმიც განაპირობებდა. ინგლისელთა,

ფრანგთა, იტალიეთა და სხვა ხალხთა ანთროპონიმიაში მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) XIX საუკუნეში უკვე მყარად არსებობდა. ქართველთა შორის ის უფრო ადრე, დოკუმენტურად უკვე XVII საუკუნეშია დადასტურებული, ეთნოგრაფიული მონაცემებით კი ის მუდმივად არსებობდა - აქ მოხდა გვაროვნული გვარის გვარსახელში უშუალოდ გადაზარდა). იმ დროს კი კაპიტალიზმის მსგავსი სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები არსად არ არსებობდა. (რ. თოფჩიშვილი, 2010: გვ.8-48).

არეალური ონომასტიკა ადგენს ონომასტიკურ არეალებს, რომლებშიც ვლინდება ონომასტიკის ცვლის ტენდენციები. არეალის ონომასტიკური სურათი ხშირად „გარდასულ კულტურათა და ხალხთა მიგრაციის კვალის აღდგენის ფრიად დამაჯერებელ სურათს იძლევა“ (ვაშაკიძე, 2005: 19). გამოიკვეთა აგრეთვე ამა თუ იმ არეალის, რეგიონის, ქვეყნის ანთროპონიმული სურათის კვლევის მიმართულება როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონიულ ასპექტში, როგორცაა, მაგალითად ვ. ბონდოლეტოვის ნაშრომები. ის რუსული ანთროპონიმის ისტორიას ოთხ პერიოდად ყოფს:

1. ქრისტიანობამდელი;
2. XI-XVII საუკუნეები;
3. პერიოდი - XVIII საუკუნის დასაწყისიდან 1917 წლამდე;
4. საბჭოთა პერიოდი (ბონდოლეტოვი, 1983: 83-163).

ამ თვალსაზრისით გვერდს ვერ ავუვლით ცნობილი ქართველი თურქოლოგის მ. ჯიქიას მოსაზრებებს, რომელიც იკვლევს მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ანთროპონიმის სტრუქტურულ თავისებურებებს, როგორცაა მაგალითად, ტიტულების და წოდებების საკუთარი სახელის კომპონენტებად გამოყენება, რომლის კვალი დაფიქსირებულია ჩრდილო კავკასიურ და ქართველურ ანთროპონიმიაშიც. ასეთია:

1. ბეგი/ბეი/ბი (ბატონი) - ზაურბეგი, ოსმანბეგი, მდივანბეგი, საფარბეგი, ბეგაშვილი, ალიბეგაშვილი, ათაბეგი, ქელეშბი (სვან.), ბათალბი (სვან.).

2. ხან-ი: ზელიძხანი, დურმიძხანი, ხათუნა, თარხანი და სხვა (ჯიქია, 1973: 212).

ძველ რუსულ ონომასტიკას იკვლევს ს. ვესელოვსკი, რომლის მიერ 1974 წელს გამოქვეყნებული ძველი რუსული ონომასტიკონის შესავალშიც ვკითხულობთ, რომ ეს ნაშრომი ეხება არსებითად ნახევრად მივიწყებულ მეცნიერებას - ონომასტიკას (ვესელოვსკი, 1974: 2). ავტორი იკვლევს ძირითადად XV-XVII საუკუნის ჩრდილო-აღმოსავლეთის რუსეთის რუსულ ისტორიულ ანთროპონიმას. მასში ვხვდებით წარმართულ, კიევის რუსეთის და მომდევნო პერიოდების ქრისტიანულ სახელებს, მეტსახელებს, გვარებს, შტოგვარებს, ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გვარების ეტიმოლოგიას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პუშკინების, კორსაკოვების, მუსორგსკების და სხვა ცნობილი გვარების განშტოებების (შტოგვარების) ისტორიის ახსნას, როგორცაა მუსინ-პუშკინი, კურჩევ-პუშკინი, ბობრიშჩევ-პუშკინი, გოჟნოვ-პუშკინი და სხვები.

რეგიონული ონომასტიკა აღწერს ონომასტიკურ სისტემებს, რომელშიც გაერთიანებულია კონკრეტული რეგიონების საკუთარი სახელები (ვაშაკიძე, 2005: 19). მისი კვლევის სფეროში ექცევა ონომასტიკურ ერთეულთა რეგიონალური სპეციფიკა, განპირობებული კონკრეტული ექსტრალინგვისტური ფაქტორებით. აქ წინა პლანზე წამოვიდა ანთროპონიმის კვლევა დისციპლინათაშორის ჭრილში. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ეთნოლინგვისტური, თარგმანმცოდნეობითი, შედარებით-ტიპოლოგიური, კულტურათაშორისი და სხვა დისციპლინათაშორისი ასპექტები. ასე მაგალითად, იკვლევს რა მულტიეთნიკური, შესაბამისად, მულტიკულტურული და პოლილინგვური ლიტვა-ლატვიის საზღვრისპირა ბელორუსული ქალაქ ბრასლავას ანთროპონიმას (კერძოდ, ქალთა სახელებს), ი. გოლკოვსკაია წერს, რომ საზღვრისპირა ქალაქების ანთროპონიმკონის კვლევა იძლევა სხვადასხვა ანთროპონიმული სისტემის ურთიერთზემოქმედების საინტერესო ტენდენციებს. ავტორის დაკვირვებით, ამ უძველესი სლავური ქალაქის მცხოვრებთა იშვიათი სახელების 30%-ზე მეტი სლავური ანთროპონიმული სისტემისთვის საერთოდ უცხოა, რაც ქალაქის პოლიეთნიკურობით არის განპირობებული. აღნიშნული

ქალაქის მცხოვრებ ქალთა ანთროპონიმული სისტემის რეგიონალური სპეციფიკა ვლინდება ამ სისტემის პერიფერიულ და არა ბირთვულ ნაწილში (გოლკოვსკაია, 2012: 175).

იაკუტიის ანთროპონიმის კვლევის საფუძველზე ე. ნიკოლაევი ასკვნის, რომ იაკუტების კულტურულ ღირებულებათა უმრავლესობა, რასაც ავლენს სამყაროს იაკუტურენობრივი ხედვა, ასახულია უმთავრესად ანთროპონიმიაში. მასში მრავლადაა იაკუტური კულტურის საზრისების შემცველი ანთროპონიმები, რომელთა მეშვეობითაც თავისუფლადაა შესაძლებელი იაკუტური კულტურის კოდების რეპრეზენტაცია (ნიკოლაევი, 2018: 22).

XV—XVII საუკუნეების კარელიის ანთროპონიმკონში სხვადასხვა ეთნოკულტურების ურთიერთქმედებების პროცესების კვლევის საფუძველზე ი. კიურშუნოვა აღნიშნავს, რომ კარელიის ანთროპონიმიაში ვლინდება მჭიდრო სლავურ-ბალტიკურ-ფინური კონტაქტები, რომლებიც ნათლად არის ასახული ენის ყველა დონეზე, მათ შორის ენობრივი ხედვის ასპექტშიც. ავტორი განაზოგადებს კვლევის შედეგებს და წერს, რომ ნებისმიერი პოლიეთნიკური არეალის ანთროპონიმიაში ნათლად ჩანს სამყაროს არა მხოლოდ ერთიანი ან მსგავსი, არამედ ერთმანეთის განსხვავებული (ზოგჯერ რადიკალურადაც კი) ენობრივი ხედვები (კიურშუნოვა 2017: 351).

ჩინელი მკვლევარი ლი ჩენჩენი იკვლევს რუსული ანთროპონიმის ფუნქციონირებას ჩინეთში, და პირიქით, ჩინური ანთროპონიმისას - რუსეთში. ის ცდილობს განსაზღვროს რუსული და ჩინური ანთროპონიმების ფუნქციონირების ძირითადი ონომასტიკური სივრცეები, გამოავლინოს ორენოვანი პიროვნების მიერ მისთვის უცხო, არამშობლიურ ენობრივ-კულტურულ სივრცეში მეორე პიროვნული სახელის შერქმევის ფენომენი და უამრავი სხვა აქტუალური საკითხი (ჩენჩენი, 2012).

ამავე ასპექტში იკვლევს თათრული პიროვნული სახელების ისტორიულ-გენეტიკურ, სტრუქტურულ-სემანტიკურ და ფუნქციურ თავისებურებებს სხვა თურქულენოვანი ხალხების ანთროპონიმიასთან ერთიან ეთნოკულტურულ

სივრცეში გ. ხაზიევა-დემირბაში. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვინაიდან პიროვნული სახელები ფუნქციონირებენ გარკვეულ სივრცით-დროით კონტინუუმში, ანთროპონიმია ასახავს კონკრეტული საზოგადოების განვითარების სტადიებს და დონეებს და მის შესახებ ინფორმაციას არა მხოლოდ აფიქსირებს, არამედ გადასცემს თაობიდან თაობას (ხაზიევა-დემირბაში, 2017: 92). ენათმეცნიერის ეკვივალენტობის, კერძოდ, ინგლისური ანთროპონიმების ქართულად სწორად გადმოტანის ასპექტში განიხილავს ინგლისური ანთროპონიმის ვ. ვაშაკიძე, ნაშრომში „ინგლისური საკუთარი სახელები“, რომელიც შედგება ინგლისურ ანთროპონიმთა, ტოპონიმთა, სახელთმაწარმოებელ კომპონენტთა ლექსიკონის და სამეცნიერო აპარატისგან. სალექსიკონო სტატიებს თან ახლავთ ფონეტიკური ტრანსკრიპცია, ქართული შესატყვისები, ვარიანტები და ეტიმოლოგიური ცნობები (ვაშაკიძე, 2005)

1.2. ანთროპონიმის კვლევის პრობლემატიკა ქართულ ლინგვისტიკაში

ქართული ანთროპონიმის საკვლევ პრობლემატიკის თვალსაზრისით აღსანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, ქართველური ანთროპონიმის ევოლუციის ძირითადი ტენდენციების გამოვლენისა და გათვალისწინების საკითხი. რის შესახებაც, მაგალითად, ცნობილი ქართველი ლექსიკოლოგი ალ. ლლონტი წერს: „ქართველური ანთროპონიმია იმდენად სუსტადაა შესწავლილი, რომ ნაადრევია მის გენეზისსა და სპეციფიკური, თვითმყოფადი ნიშნების ზუსტად გამოყოფაზე მსჯელობა“ (ალ. ლლონტი 1988: გვ. 163). ის გამოყოფს ევოლუციის ეტაპებს და წერს, რომ ქართველურ ტომებს თავიდანვე კარგად ჩამოყალიბებული თვითმყოფი ანთროპონიმია ჰქონიათ, რასაც მოწმობს წარმართულ ღვთაებათა საკუთარი სახელები (დალი, ადილა, აშექალი და სხვ.) შემდგომი ეტაპია ქრისტიანობის შემოღება, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ მან ადგილობრივი ანთროპონიმის განვითარებას დიდი დალი დაასვა. „ქრისტიანული დამწერლობის შემოღებამდის ქართველ ტომებში გავრცელებული წარმართული ანთროპონიმის თანდათანობით შეავიწროვა და დავიწყებას მისცა ოფიციალურმა მწიგნობრობამ“ ფაქტის

კონსტატაციასთან ერთად მკვლევარი არაერთმნიშვნელოვნად აძლევს მას შეფასებასაც, როცა წერს, რომ თავისთავადი ანთროპონიმის საეკლესიო ცენტრების მახლობლად მთლიანად წარიხოცა პირისაგან მიწისა. შუა საუკუნეებში უკვე თითქმის საყოველთაოდ გავრცელდა ქრისტიანული კალენდრის სახელები, რასაც ხალხი ადვილად ვერ შეეგუა. ტრადიციული სახელების ნაცვლად ახლის, უცხოურის დამკვიდრება, ჩანს, უმტკივნეულოდ ვერ მიმდინარეობდა და წინააღმდეგობას აწყდებოდა (ღლონტი, 1988: გვ. 171).

ავტორი საუბრობს აგრეთვე კიდევ ერთ მნიშვნელოვან უნივერსალურ ტენდენციაზე - ეს არის ქართული ანთროპონიმის სხვა უცხოენოვანი სახელებით გაჯერების მუდმივი პროცესი, რის შედეგადაც მასში მრავლადაა ჰურიტული, სპარსული, ბერძნული, ძველებრაული, არაბული, თურქული, რუსული და სხვა ენების ანთროპონიმები. სხვათა შორის, უაღრესად საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, გ. ჟორდანიას ვარაუდი (რომელიც თავის მხრივ, გ. მელიქიშვილის, აგრეთვე არაერთი უცხოელი მკვლევრის მოსაზრებებს ეყრდნობა), იმის შესახებ, რომ ჰურიტულიდან უნდა მომდინარეობდეს ქართველურ ენებში დამკვიდრებული ისეთი ანთროპონიმები, როგორცაა: ბათუ, ბუდუ, კაკი, გიგა, გიგი, კაკო, თედო, დათა, შუქრია, შაქრია, ხუტა, უტა, ნანა, ნანი, ნინო, ნინია, თამარ, თაკო და სხვა (ჟორდანია, 1956: 125 – 174; ღლონტი, 1988: გვ. 173).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დგას ქართული ანთროპონიმის წინაშე, ეს არის ქართული გვარსახელების წარმოშობის საკითხი, რომლის შესახებ უამრავი თვალსაზრისია გამოთქმული. ასე მაგალითად, რ. თოფჩიშვილის აზრით, „წერილობითი წყაროები გვიდასტურებენ, რომ ქართული გვარსახელები VIII-XI საუკუნეებში ჩნდება, მაგრამ მათი წარმომავლობა უფრო ადრეულ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს“ (რ. თოფჩიშვილი 1997: 100). ი. ახუაშვილის აზრით, „იმის მიუხედავად, რომ ოდესღაც ადამიანები გვარის გარეშე ცხოვრობდნენ, გვარი მაინც უძველეს დროში გაჩნდა... საქართველოში გვარების საყოველთაო ხმარებაში შემოსვლის დადგენის საკითხი მეტად რთულია“ (ახუაშვილი: 2005: 27). მეორენი კი

თვლიან, რომ „ქართული გვარების წარმოქმნის ერთეული შემთხვევები მხოლოდ XVI საუკუნიდან გვხვდება, მოსახლეობის ფართო ფენებმა კი გვარების მიღება XIX საუკუნიდან დაიწყეს და ეს პროცესი ბევრგან, მაგალითად აღმოსავლეთ საქართველოს მთაში XX საუკუნის 30-იან წლებამდეც კი გრძელდებოდა (გ. ხორნაული. 1979: 82-89). მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ეს თვალსაზრისი გაზიარებული არაა და სამართლიანადაა გაკრიტიკებული (ე. ბერიძე. 2006. გვ. 11).

ერთი სიტყვით, ქართული გვარსახელების წარმოშობის შესახებ დღესაც მიმდინარეობს დავა-კამათი, რაზედაც მეცნიერთა ერთი ნაწილი ასკვნის, რომ „ქართული გვარსახელები დოკუმენტირებულად დასტურდება VIII-IX საუკუნეებიდან, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ამ დროს არ წარმოშობილა. ქართული გვარსახელი უფრო ადრეა წარმოშობილი“ (რ. თოფჩიშვილი 1997: 100).

ქართული ანთროპონიმის კვლევაში წვლილი აქვს შეტანილი საბჭოთა პერიოდის ცნობილ რუს ლინგვისტს ვ. ნიკონოვს, რომელმაც ამ საკითხს სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა. (ნიკონოვი, 1983). მკვლევრის მოსაზრებით, პირველი ქართული გვარსახელები მიეკუთვნება დაახლოებით XIII საუკუნეს, სავარაუდოა ადრინდელი პერიოდიც, თუმცა მათი უმრავლესობა გაცილებით გვიან არის წარმოქმნილი (ნიკონოვი, 1983: 23). საინტერესოა ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული გვარსახელების უმრავლესობა მთავრდება ფორმანტით „ძე“ - დასავლეთ საქართველოში და „შვილი“ - აღმოსავლეთში, რაც ტიპოლოგიურად შესატყვისია მრავალი ხალხის გვარსახელთა შემდეგი ფორმანტებისა: „სენ: (სუნ, სონ, ზონ) - გერმანიკულ ენებში, თურქულ ენებში: „-ოღლი“ - „ვაჟიშვილი“, „კიზ“ - „ქალიშვილი“; ირანულ ენებში - „ზადე“ - „ბავშვი“; არაბულ ენებში - „იბნ“ - „ვაჟიშვილი“ და სხვა (ნიკონოვი, 1983: 24).

აღსანიშნავია ქართველი მკვლევრის დ. კირთაძის მოსაზრებები, რომელიც იკვლევს V-X საუკუნეების ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში დაფიქსირებული ანთროპონიმების სტრუქტურას, სემანტიკას და ბრუნების თავისებურებებს. მისი კვლევის შედეგებიდან საინტერესოა, მაგალითად ის, რომ ძველ საქართველოში გავრცელებულ სახელთაგან დღევანდელ

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული სახელებია გიორგი – 147454, ნინო – 92937, დავითი – 76051, მარიამი – 43698, ანა – 37180, იოსები – 14807, დიმიტრი – 12833, გრიგოლი – 11554, კახა – 10540 და ნაკლებად გავრცელებული - იოანე – 51, ელისე – 55, თეოდორა – 57, ტიმოთე – 62, ელია - 76 შემთხვევა. (კირთაძე, 2009: 19).

3000-მდე ქართულ გვარია თავმოყრილი ი. მაისურაძის ქართულ გვარსახელთა ბიბლიოგრაფიულ მასალებში, რომელთა უმრავლესობას ბიბლიოგრაფიულ ცნობებს გარდა განმარტებითი ხასიათის სხვა ცნობებიც ახლავს. კერძოდ, ცნობები გვარსახელთა ლოკალიზაციის (გავრცელების არეალის) შესახებ, რაზეც ავტორი წერს, რომ „ამა თუ იმ გვარეულობის საცხოვრებელ პუნქტზე მითითებისას მხედველობაში გვაქვს ადრინდელი ვითარება, როდესაც საგვაროვნო კოლექტივები მკვიდრად ცხოვრობენ განსაზღვრულ ადგილებში, თორემ დღევანდელ პირობებში გვართა ლოკალიზაცია ძნელდება, რამდენადაც ეს კოლექტივები თავისუფლად არიან განფენილნი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, თუმცა ამის მიუხედავად მაინც ხერხდება გვართა ძირითადი ბუდე ადგილების მონახვა“ (მაისურაძე, 1990: 6). მდიდარი ანთროპონიმული მასალაა თავმოყრილი „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ხუთტომეულში, რომლის საშუალებითაც ვეცნობით შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებულ გვარსახელებს და ცალკეულ პიროვნებებს, რომელთა შესახებ არსებული ინფორმაცია ამოკრებილია XI-XVII საუკუნეების ისტორიული საბუთებიდან.

პოსტსაბჭოურ პერიოდში, მას შემდეგ, რაც გაიხსნა თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ამ ორ ქვეყანას შორის დამყარდა კეთილმეზობლური ურთიერთობები, მნიშვნელოვნად გააქტიურდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენებურების ანთროპონიმული სისტემების კვლევები, რაშიც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი მკვლევრებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სადაც ტაოს ქვეყნის კვლევას ორ ათეულზე მეტი ხნის ისტორია აქვს. პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო 1995 წელს. მას შემდეგ ამ რეგიონის ქართული მატერიალური და არამატერიალური კულტურის კვლევას უამრავი

ნაშრომი მიემდვნა, რომელთა ანალიზის ერთ-ერთი ობიექტია „გვართა წარმოება ტაოში და გვარების განსახლება ტაოურ სოფელში“ (ფალავა, 2018). მ. ფალავა ეხება აგრეთვე ტაოსა და კლარჯეთის სოფლებში შემორჩენილ **ქართულ მეტსახელებს**, რომლებიც გვარის ფუნქციას ასრულებენ. „...სოფლებში ჩაგვაწერინეს ძეგლები//მეტსახელები, რომლებიც გვარის, უფრო ზუსტად, მეტგვარის ფუნქციასაც ასრულებენ: ქვაბი იბრაიმი, კაკაბერაი ომერაი, ლენგერაი ჰასანაი და სხვა. ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი მეტგვარი ტერმინ შტოგვარის სინონიმად ვერ განიხილება, რადგან ეს მეტგვარები ზედწოდებებია, რომლებიც გამოყენებულია პიროვნების ორწევრა აღნიშვნისთვის (სახელი + ზედწოდება)“ (ფალავა, 2017: 205). მკვლევარი ეხება ჩვენებურების შტოგვარების პრობლემასაც, რომელიც „თავს იჩენს მაშინ, როცა აუცილებელი ხდება გვარის ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა განშტოების ერთმანეთისგან გარჩევა: „მოლოლოლი, ჩილოლი (შლაპოღღებ ეტყვიან) ყარაბდოღლი, ჭუხა (ქვაბითაველებს ეძახიან)“ (ფალავა, 2017: 205). ეს ფუნქცია კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მკვლევრის მიერ ქვემო აჭარაში დაფიქსირებულ შტოგვარებში: ჯასიმბეგაშვილები, ომერადიშვილები, ხუსეინბეგიშვილები, შევქეთბეგიშვილები, მიქთათბეგიშვილები და სხვა (ფალავა, 2018: 17).

ყურადღებას იპყრობს ე. ბერიძის ნაშრომები. მონოგრაფიაში „ნიგალი“ ის იკვლევს ნიგალის ხეობის ტოპონიმას, თუმცა იძლევა საინტერესო ცნობებს ანთროპონიმის შესახებაც. ასე მაგალითად, ამ ხეობაში ერთ-ერთ ტყეს ჰქვია *გურჯიოღლი*, აქ მცხოვრებთა მეტყველებაში დაფიქსირებულია ქართული გვარები: *ბეჩიროღლი/ბეჩირიშვილი, ფთხოღლი/ფთხიძე, სერთოღლი/ცეცხლაძე* და სხვა (ბერიძე, 2009: 156). უშუალოდ ანთროპონიმის კვლევას ეხება ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში“, რომელშიც მკვლევარი აანალიზებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია) და უცხოელ (ა. ფრენკელი, ვ. ლისოვსკი, ჟან მურიე) მკვლევართა მიერ სამხრეთ- დასავლეთ

საქართველოში შეკრებილ ონომასტიკურ (მათ შორის ანთროპონიმულ) მასალას (ბერიძე, 2006).

ზემო აჭარის ანთროპონიმის კვლევასთან პარალელების გასავლელად მრავალფეროვან მასალას იძლევა შუმანა ფუტკარაძე, რომელმაც თურქეთის რესუბლიკაში მცხოვრები ჩვენებურების მეტყველების ნიმუშების შგროვებას წლები შეაღია (ფუტკარაძე, 1996).

აჭარის რეგიონის ანთროპონიმული სურათის ევოლუციის კვლევის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს მ. ქამადაძის სტატია „თურქული ელემენტი აჭარის ანთროპონიმიაში“, რომელშიც ავტორი წერს, რომ ამჟამად აჭარაში გავრცელებულ გვარებს ხშირად ადგილობრივები მოიხსენიებენ წინაპრის, თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის და ა.შ. სახელზე თურქული -ოღლი-ს (შვილი) დართვით. მაგ., ესერიძეებს (ცხოვრობენ შუახევის რაიონში) ესერჯოღლებს ეძახიან (ქამადაძე, 2007: 78). ავტორი საუბრობს რამდენიმე ქართული გვარის წარმომადგენელთა ოსმალოსდროინდელი თურქული შესატყვისების შესახებ, რომლებიც კოლექტიურმა მეხსიერებამ შემოინახა: **ახვლედიანი**. – „ექვს არ იწვევს, რომ ეს გვარი -იან სუფიქსითაა გაფორმებული. აჭარაში ახვლედიანები ხელვაჩაურის რაიონში, კერძოდ, ძირითადად დაბა მახინჯაურში ცხოვრობენ. მათ **კირისილოღლებს** ეძახიან“. **შაქარაძე** - „გვარის ამოსავალია საკუთარი სახელი შაქარა. შაქარაძეების ერთი ნაწილი შუახევის რაიონში ცხოვრობს. მათ **არტანელოღლებს** ეძახიან. აქაც აშკარად ჩანს, რომ შაქარაძეების ეს შტო ისტორიულ სამხრეთ საქართველოდან, კერძოდ, არტანიდან არიან მოსული. (ქამადაძე, 2007: იქვე). აღსანიშნავია აგრეთვე ნ. ნოლაიდელის ნაშრომი ანთროპონიმთა საკითხისათვის აჭარულში (ანთროპონიმები და ტოპონიმია)“ (ნოლაიდელი, 2016) და სხვა.

საინტერესოა ი. ბეჭირიშვილის „აჭარის ისტორია გვარ-სახელებში“, (ბეჭირიშვილი, 2006), რომელშიც ავტორი სამეცნიერო-პოპულარულ სტილში განიხილავს აჭარაში გავრცელებული 140 გვარის მოკლე ისტორიულ ცნობებს. ცალკე უნდა აღინიშნოს საგვარეულოთა ისტორიის ამსახველი მონოგრაფიები, რომლებშიც

მოცემულია აღნიშნული რეგიონის ანთროპონიმული სურათის ევოლუციის ამსახველი მნიშვნელოვანი.

გვერდს ვერ ავუვლით ლაზური გვარსახელების მკვლევრის ბაკურ გოგობიას სადისერტაციო ნაშრომს „აღმოსავლეთ ლაზეთის ისტორია და გვარსახელები“ (გოგობია, 2019), რომლის ხუთი თავიდანაც ოთხი თურქეთის საზღვრებში მოქცეული ლაზეთის ლაზური გვარსახელების სტრუქტურულ, ეტიმოლოგიურ და თურქულ გვარსახელებთან მიმართებების კვლევას ეძღვნება. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ისტორიული ლაზეთის გვარსახელების კვლევის მიმართულებით პირველი ნაბიჯი აქვს გადადგმული ბსუ-ს მეცნიერ-თანამშრომელს ციალა ნარაკიმეს, რომელიც აღნიშნულ პრობლემას იკვლევს ნაშრომებში „ზოგი კოლხური გვარსახელის შესახებ“ (ნარაკიმე, 1997), „ლაზური საგვარეულო სახელების გენეზისის პრობლემისთვის“ (ნარაკიმე, 2000) და სხვა.

ბსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთაგან ქართული და თურქული ანთროპონიმული სისტემების ურთიერთმიმართებების პრობლემის შესახებ საუბრობს ნუგზარ ცეცხლაძე ნაშრომში „ლაზეთის (ხოფის რაიონი) გეოგრაფიული სახელწოდებანი და გვარსახელები“ (ცეცხლაძე, 2009), რომელშიც მოცემულია ლაზეთის სამეცნიერო ექსპედიციის პროცესში მოპოვებული მასალები. ნაშრომში თურქული აგებულების გვარსახელებთან ერთად გაანალიზებულია -(ი)ში და -(ე)ფე სუფიქსებით ნაწარმოები ლაზური მასალა (ცეცხლაძე 2009: 59–64).

ქართული ანთროპონიმის თურქულ გარემოში ტრანსფორმაციის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო და ჩვენთვის ყურადსაღებია ფევი ჩელების სადოქტორო ნაშრომი, რომელშიც ის იკვლევს თურქეთის რესპუბლიკის დუზჯეს მხარეში მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებებს. დისერტაციის გარკვეულ ნაწილს ავტორი უთმობს ანთროპონიმს - სახელებს და გვარებს. მკვლევარი წერს, რომ „ოსმალეთში გვარსახელი არ არსებობდა. მემკვიდრეობითი სახელები გენეალოგიას არ წარმოქმნიდა და მამის სახელი შვილიშვილის თაობაში მემკვიდრეობით სახელწოდებას კარგავდა“ (რ. თოფჩიშვილი). არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც

თურქულ ყაიდაზე გაფორმებული გვარსახელი თაობიდან თაობას გადაეცემა და ნათესავთა ფართო წრის საერთო სახელწოდებად ყალიბდება. თურქული გაფორმება კი ასეთია - სახელს ერთვის თურქული სიტყვა იგს „შვილი“. (ჩელები, 2018: 96). ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მართალია, დუზჯეს რეგიონში მუჰაჯირთა შთამომავლები ქართულ გვარებს ოფიციალურად არ ატარებენ, მაგრამ მათმა უმრავლესობამ იცის ქართული გვარი. ბევრ ოჯახში არის გვარის „გენეალოგიური ხე“, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ზოგმა დედის გვარი იცის, მამის - არა. დუზჯეს ქართველები დღემდე არიან თავიანთი ფესვების ძიების პროცესში. ეძებენ ახლობლებს, ნათესავებს, რომლებიც ისტორიულმა ბედისწერამ მიმოფანტა თურქეთის სხვადასხვა სოფლებში „გემს მუყყვანიათ და დუუფანტავთ, მერე ვერ მოჭუჭულან ... დევიფანტეთ, დევიკარგეთ“ - ასე გადმოსცემს იმ ბედკრულ წარსულს ერთ-ერთი ინფორმატორი“ (ჩელები, 2018: 96). მკვლევარი იძლევა აღნიშნულ რეგიონში მცხოვრებ ჩვენებურთა კოლექტიურ მეხსიერებაში შემორჩენილი ქართული გვარების ტრანსფორმაციის ეტაპებს, რაც მნიშვნელოვანია ჩვენ საკვლევ მასალასთან პარალელების გასავლებადაც. კერძოდ, ავტორი აანალიზებს დუზჯეს პროვინციის გოლიაქას რაიონის სოფელ ეფთენის მცხოვრები ქართველების „ქართულ ანუ ძველ, ადრინდელ და თურქულ ანუ ახალ გვარებს. ავტორი მუჰაჯირთა გვარსახელების ტრანსფორმაციის პროცესს სამ ეტაპად ყოფს:

1. გვარები, რა ფორმითაც მათ მუჰაჯირობამდე, საქართველოში ატარებდნენ;
2. ქართულ-თურქულად გაფორმებული გვარები;
3. მთლიანად თურქულით ჩანაცვლებული გვარები;

ვინაიდან აღნიშნული მონაცემები ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, ისინი უცვლელად გადმოგვაქვს შემდგომი შედარებისა და პარალელების გავლების მიზნით¹,

	ძვ. გვ.-1	ძვ. გვ.-2	თურქ. გვარსახ.	მუჰაჯ. ადგილი და წელი
--	-----------	-----------	----------------	-----------------------

¹ სქემაში მოცემული გვარსახელების ჩაწერის ავტორისეულია სტილი და ფორმა დაცული.

1.	კვირხილაშვილი- გულაშვილი	კვირხილოლი- გულაშვილი	აბაქურალ	წონიარისი, 1881
2.	გოგითიძე	გოგითიძე-მეზერჯოლი	მეზარჯი-თემიზ	წონიარისი, 1894
3.	?	თურანოლი	აქაი-აბან-თურან	წონიარისი, 1881
4.	?	ისმაილოლი	საქალ-იავუზ	წონიარისი, 1881
5.	ყოითაძე	ყოითოლი	არსლან-ბაშარ	წონიარისი, 1881
6.	?	ყორჯოლი	აქთაშ	წონიარისი, 1881
7.	?	მოლახმედოლი	ქილიჩ	წონიარისი, 1881
8.	?	მუხაჯიროლი- შენლიოქლი	შენლიქოლი	წონიარისი, 1881
9.	ომარაძე	ომეროლი	ჩელებიოზოლან- ოზდემირ	წონიარისი, 1881
10.	ქინზაშვილი	ქინზა-იაჰიოლი	ჩაქარ	წონიარისი, 1881
11.	ყანთარაძე	ყანთაროლი- შაჰანალიოლი- ყანთარაძე	შაჰინ	წონიარისი, 1881
12.	ჩელებაძე	ჩელებაძე-ჩელებოლი- ჩელება	ჩელები- ჩელებიოლი	წონიარისი, 1881
13.	წარბაძე	წარბოლი-წარბაძე	აიდინოლი	წონიარისი, 1881
14.	ჭახილაძე	ჭახილოლი ჭახილაძე	იასლი	წონიარისი, 1881
15.	?	ბირახტაროლი - ბირადთარაძე	ბაირაქ	ბათუმი ?
16.	?	ზეცაოლი-ზეცაძე	ჯენგიზ	ბათუმი, 1878
17.	?	ბერბეროლი- ბერბერიშვილი	უიგუნ	ბათუმი, 1878
18.	?	ჰელიმოლი	ჰალიმ	ბათუმი, ?

(ჩელები, 2018: 91, 99)

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, ავტორის დაკვირვებით, დუზჯეში ქართველური სახელები არ გვხვდება, თუმცა შეინიშნება ქართული გაფორმების მქონე თურქული სახელები: აჰმედ -> აჰმედაი; მაჰმედ -> მაჰმედაი; ალი -> ალია // ალიაი // ალიე; სეიჰან -> სეიჰანაი; სულთან -> სულთანაი; ზეინაზ -> ზეინაზა // ზეინაზაი; აბდულლაჰ -> აბდულაი და სხვა. (ჩელები, 2018: 88).

სულ უფრო აქტუალური ხდება ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მყოფი ქართული რეგიონების (აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი) თურქული ანთროპონიმული ნაკვალევს (სუბსტრატის) კვლევა, რაც საზღვრისგაღმელ ჩვენებურთა ანთროპონიმის საკვლევ პრობლემატიკასთან ერთად ქმნის ერთიან საკვლევ სფეროს - „ქართული ანთროპონიმის ანალიზი ქართულ-თურქული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ენობრივ-კულტურული ურთიერთმიმართებების ასპექტში. ქართულ წერილობით ძეგლებში დაფიქსირებულ თურქულის ნაკვალევს იკვლევს ცნობილი ქართველი თურქოლოგი მ. ჯიქია, რომელიც წერს, რომ საქართველოში წერილობითი ძეგლების მიხედვით **თურქული ანთროპონიმია ფიქსირდება XVI საუკუნიდან**. მათი დიდი ნაწილი დღეს აღარ იხმარება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი საინტერესო მასალას იძლევა ქართულ-თურქული ენობრივი და ისტორიული ურთიერთობის შესწავლისთვის (ჯიქია, 1973: 212). აღნიშნული ნაშრომი 2010 წელს თურქულად თარგმნა და ანკარის უნივერსიტეტის ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა თურქეთის რესპუბლიკის დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების კურატორმა ალი ერთულრულმა. (გაფრინდაშვილი, 2017).

1.3 ანთროპონიმის დინამიკა და კოლექტიური მემსიერება

ვიკვლევთ რა კონკრეტული რეგიონის ანთროპონიმული სურათის დინამიკას, ცხადია გვერდს ვერ ავუვლით კულტურული და კოლექტიური მეხსიერების პრობლემატიკას, მითუმეტეს, რომ წერილობითი წყაროებთან ერთად ვეყრდნობით ზემო აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გამოკითხვას **წინაპრების ანთროპონიმის, უპირველეს ყოვლისა, გვარების შესახებ მათ კოლექტიურ მეხსიერებაში შემორჩენილი მონაცემების გამოვლენის მიზნით.**

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ მეხსიერების კლასიფიკაციის ორ კრიტერიუმს: 1) მეხსიერების ტიპის მიხედვით - ბიოლოგიური, სოციალური, ხელოვნური და 2) მეხსიერების დონის მიხედვით - ინდივიდუალური და სოციალური (კვაჭანტირაძე, 2008: 90). ლინგვისტიკის, განსაკუთრებით სოციოლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა სოციალური მეხსიერება, რომლის სიღრმისეული ანალიზიც ქართულ ენათმეცნიერებაში ჩატარებული აქვს არაერთ ენათმეცნიერს, კერძოდ, მარინე აროშიძეს, ხათუნა ბოლქვაძეს, თამაზ ფუტკარაძეს, ნინო აროშიძეს, ეკა კვაჭანტირაძეს, ნანა ტოხვაძეს, მარიამ დალაქიშვილს და სხვებს (აროშიძე, 2015; ბოლქვაძე, 2017; ტოხვაძე, 2018; დალაქიშვილი, 2018; კვაჭანტირაძე, 2008 და სხვ.), შესაბამისად, ჩვენ აღარ შევუდგებით მეხსიერების კონცეფციების დეტალურად განხილვას. ამავე დროს, გვერდს ვერ ავუვლით კოლექტიური მეხსიერების კვლევების ფუძემდებელს, ფრანგ სოციოლოგს, ფილოსოფოსს და სოციოფსიქოლოგს, მორის ჰაბლვაქსს, რომელმაც თავისი ფუძემდებლური ნაშრომებით („მეხსიერების სოციალური ჩარჩოები“ (1925) და სხვ.), სამეცნიერო ლიტერატურაში **დაამკვიდრა საკუთრივ „კოლექტიური მეხსიერების“ ცნება.** როგორც მკვლევარი წერს, ინდივიდისთვის ხელმისაწვდომია ორი ტიპის მეხსიერება: ერთი მხრივ, მისი მოგონებები მთლიანადაა შემოფარგლული პიროვნული ფაქტორისა და პირადი ცხოვრების ჩარჩოებით, მეორე მხრივ კი მისი, როგორც ამა თუ იმ ჯგუფის წევრის მეხსიერებაში ამოტივდივდება ის მოგონებები, რომლებიც ეხება მის ჯგუფს (ჰაბლვაქსი, 2005: 8). პირველს მ. ჰაბლვაქსი უწოდებს ინდივიდუალურ, ხოლო მეორეს - კოლექტიურ მეხსიერებას, რომლის შესახებაც

ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არის, მაგალითად, ჩემი წარმოდგენები წარსულის შესახებ, რომლებიც საერთოა ჩემი კოლექტივისთვის, სოციალური ჯგუფისთვის. ოღონდ ეს არის მოგონებები იმ მოვლენების, პროცესების ფაქტების და ა.შ., რომლის მონაწილე ან მომსწრე მე არ ვყოფილვარ. მათ შესახებ მე ვიცი გაზეთებიდან, წიგნებიდან, სხვების ზეპირი გადმოცემიდან და ა.შ. ეს არის ფაქტობრივად **„ნასესხები მებსიერება, ის პირადად მე არ მეკუთვნის“** (ჰალბვაქსი, 2005: 8). ამავე დროს, ჰალბვაქსის აზრით, „არ აქვს აზრი იმის გარკვევის მცდელობას, თუ სად არის შემონახული მებსიერება ჩემს ტვინში ... **ჯგუფი, რომლის ნაწილიც ვარ მე, ნებისმიერ მოცემულ დროში მაძლევს საშუალებას მოვახდინო მისი რეკონსტრუირება**“ (იხ. ტობვაძე, 2018: 74). ერთი სიტყვით, „ჩვენ აღვიქვამთ, ვიაზრებთ და, შესაბამისად, ვიმახსოვრებთ მოვლენებს იმ **სოციალური ჯგუფის მიერ განსაზღვრული საშუალებებით, რომელსაც ვეკუთვნით**“ (იხ. ბოლქვაძე, 2017: 11). მაშასადამე, ინდივიდუალური მებსიერების გაგება შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის კონტექსტში, ეს ჯგუფები შეიძლება იყვნენ **ოჯახები, ორგანიზაციები, ერები, სახელმწიფოები.** (იხ. დალაქიშვილი, 2018: 11-13).

მ. ჰალბვაქსის იდეებს ავითარებს, აზუსტებს და აკონკრეტებს რუსი-ებრაელი ენათმეცნიერი ელენა ნოსენკო-შტეინი, რომელიც ჰალბვაქსის კვალდაკვალ ნათლად და მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან კოლექტიურ და ისტორიულ მებსიერებას: „მ. ჰალბვაქსი აღნიშნავდა, რომ კოლექტიური მებსიერება არ ემთხვევა ისტორიულს. მისი აზრით, ისტორიული მებსიერება იქმნება პროფესიონალების მიერ კონკრეტულ დროს, კონკრეტული წრეებისა და კონკრეტული მიზნებისთვის. **კოლექტიური მებსიერება კი წარსულიდან ინახავს მხოლოდ იმას, რაც ჯერ კიდევ ცოცხლობს მოცემული ჯგუფის წევრთა ცნობიერებაში**“ (ნოსენკო-შტეინი, 2009: 20-21). ეყრდნობა რა მ. ჰალბვაქსის ამ მოსაზრებას, ე. ნოსენკო-შტეინი კიდევ უფრო აკონკრეტებს მას: „ამ ციტატის მოშველიებით მსურდა მეჩვენებინა, რომ ადამიანის მებსიერების ტიპების შესწავლის ადრეული ეტაპებიდანვე მკვლევრები ერთმანეთისგან მკაფიოდ განასხვავებდნენ მებსიერებას ისტორიულს, და კოლექტიურს. პირველი

კონსტრუირდება ისტორიკოსების, პოლიტიკოსების, ბოლო დროს აგრეთვე პროფესიონალი პოლიტექნოლოგების და სხვათა მიერ. კოლექტიური მეხსიერება კი ინახება ჯგუფის კოლექტიურ ცნობიერებაში, ოღონდ მანამ, სანამ ცოცხალი არიან კონკრეტული მოვლენებისა და პროცესების მომსწრენი“ (ნოსენკო-შტეინი, 2009: 21). ღირსსაცნობია მკვლევრის შემდეგი მოსაზრებაც: **„კოლექტიური მეხსიერება არის კულტურული ინფორმაციის და კულტურული გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემის მექანიზმი. ეს ტრანსმისია წარმოებს სხვადასხვა დონეზე: ოჯახში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მხატვრული და ისტორიული ნაწარმოებების, მასობრივი ინფორმაციის და სხვა საშუალებების მეშვეობით**

საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ფრანგი ისტორიკოსი პიერ ნორაც, რომელიც წერს: „ისტორიის ოფიციალური ვერსიების კრიტიკა, ისტორიული პროცესის ადრე მივიწყებული ან მიჩქმალული მხარეების გახსენება, **„წართმეული წარსულის“ დაბრუნება, „ფესვების კულტი“**, მემორიალური ღონისძიებებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, **წარსულთან „ანგარიშსწორება“**... მსოფლიოს თავს დაატყდა მოგონებათა ნიაღვარი, რომელმაც რეალური თუ მოგონილი **წარსულისადმი ერთგულება მჭიდროდ დაუკავშირა კოლექტიურ ცნობიერებას, მეხსიერებასა და იდენტობას**“ (ბოლქვაძე, 2017: 11). ამ თვალსაზრისით ღირსსაცნობია მ. აროშიძის მოსაზრებები ეთნონიმების და ზემო აჭარის მოსახლეობის იდენტობის პრობლემათა ურთიერთკავშირის შესახებ.

სწორედ პიროვნებათა საგვარეულო იდენტობის დაზუსტების, კერძოდ, წინაპრების გვარისადმი მათი რეალური კუთვნილების გასარკვევად ჩავატარეთ ზემო აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გამოკითხვა. ამით შეძლებისდაგვარად გამოვავლინეთ მათი კოლექტიური მეხსიერების მონაცემები, რომლის შედეგებზეც გვექნება საუბარი ნაშრომში.

თავი II

ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკა მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან 1878 წლამდე პერიოდში (ტრანსფორმაციის პირველი ეტაპი)

ანთროპონიმის ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზისთვის საჭიროა საწყისი ეტაპის, ანუ ოსმალობამდელი პერიოდის ანთროპონიმული სურათის აღდგენა. ეს არის მე-16 საუკუნის მეორე ნახევარი, როცა აჭარა (და არა მხოლოდ აჭარა) ოსმალეთის იმპერიის მიერ იქნა დაპყრობილი. ამ პერიოდის ანთროპონიმული სურათის მეტ-ნეკლებად აღდგენისთვის ვეყრდნობით ზაზა შაშიკაძის და მირიან მახარაძის მიერ თურქეთის არქივებში მოძიებულ და ქართულად თარგმნილ მასალებს „აჭარის ლივის დიდი და მოკლე დავთრები“ (შემდგომში შემოკლებით - „დავთრები“).

2.1. ოსმალობამდელი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი მე-16 საუკუნის მიწურულს „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების“ მიხედვით

როგორც ავტორები აღნიშნავენ, ეს არის დოკუმენტი, „რომლის მსგავსიც მანამდე არ გამოქვეყნებულა, ... ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ შემოსულა მსგავსი ღირებულების წყარო მე-16 საუკუნის აჭარის ისტორიისათვის“ (შაშიკაძე, მახარაძე, 2011: 3; 10). მასში მოცემულია ოსმალთა მოხელეების (დევეთერდარების) მიერ აჭარის დაპყრობისთანავე ჩატარებული აღწერის მასალები, რომელიც მიზნად ისახავდა გადასახადების დაკისრების მიზნით მეტ-ნაკლებად ზუსტი სურათის შექმნას. ნაპიეების (რაიონების) მიხედვით მოცემული სოფლების სიას თანდართული აქვს სოფელში დასახლებული კომლთა უფროსების სიები, სულ 540-მდე კომლი, მათ შორის, 311 კომლი ზემო აჭარაში, 221 კომლი კი ქვემო აჭარაში. მთლიანობაში როგორც მოცემულ, ისე სხვა მსგავს ოსმალურ დოკუმენტებში, ესენი არიან ე.წ. „ისფენჯი კაცები“, ანუ ქრისტიანები (და საერთოდ არამუსლიმანები), რომლებიც იყვნენ ისფენჯი გადასახადის გადამხდელები (მამისთვალიშვილი, 2013: 32) იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს

„დავთრებში“ ოსმალები ქალებს და საერთოდ, კომლის უფროსების გარდა არავის აფიქსირებდნენ, სავარაუდოა, რომ აჭარის იმჟამინდელი მოსახლეობა დაახლოებით 3000-ს აღწევდა. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის დიდ ნაწილს საცხოვრებელი ადგილები მიტოვებული ჰქონდა (შაშიკაძე, მახარაძე, 2011).

მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნისათვის უცვლელად გადმოგვაქვს „დავთრებში“ მოცემულ 750 პიროვნული სახელის სია²:

1. **სოფელი შუბანი** - მახარებელ, ძე გაბრიელისა; გოგიჩა, ძე აბარნუდისა; ელისე, ძმა მისი, ფირანი, ძე ლევანისა, გაბრიელ, ძე მისი; ოსეფა, ძე შაქარასი; იოანე, ძე მისი; ნონია, ძე ამროსისა, მახარებელ, ძე მისი, სურა სახელია, დანიელ, ძმა მისი, მახარებელ, ძე სევერასი, ზალირა, ძე ალისუნისა; ვარძელი, ძე გუგულისა.
2. **სოფელი ჭა** (ახლოსაა მელიქქმინდასთან) - ნოვრუზი, ძე დანიელისა; იოსებ, ძე მისი, ზანეთი, ძე ბასილასი; ბასილი, ძმა მისი; მახარებელ, ძე საბანასი; იოსებ, ძმა მისი; მახარებელ ძე დანიელასი; იოსებ. ძე მისი.
3. **სოფელი მელიქქმინდა**, ახლოსაა ჭასთან - შაქარა, ძე იოსებისა, გოგიჩა, ძმა მისი; ადარუსი, ძე მისი; გოგიჩა, ძმა მისი; ზაქარა, ძე დავითასი. მახარებელ, ძე მისი; ელისა, ძე ბასილასი; ხახუტა, ძმა მისი; ნონია, ძე ადუმისა; შაქარა, ძე მისი; გოგიჩა ფერუნი; ადარნას ფერუნი; ბუბა, ძმა მისი; გოგიჩა, ძე ბასილასი.
4. **სოფელი სხალთა** - ვასილ მღვდელი, ძე ზანქურისა; აბრამ, ძმა მისი; ლევანა, ძე რაფიელისა, ზაქარა, ძმა მისი; ნიკოლოზ, ძე იოანესი; ელისა, ძმა მისი; ნოვრუზა, ძე გიორგისა; გიორგი, ძე დარსიასი; მეჰმედ ფირული; გოგიჩა, ძე ჯილიასი; ადამირ, ძე მასხუმისა; რამაზ, ძმა მისი; მამუკა, ძმა მისი; სურზილი, ძე ჯანიბეგისა; მანა სახელი; მუსტაფა ბეგი („სხალთის ჭალა ამჟამად მუსტაფა ბეგის მფლობელობაშია“); სულეიმან ბეგი (მიწა აბრაამ მღვდლისა, ამჟამად სულეიმან ბეგის მფლობელობაშია“).

² ამ ჩამონათვალში პიროვნულ სახელთა რიცხვს მივაკუთვნეთ მამის სახელებიც, რომლებთან ერთობლიობაში მათი (პიროვნულ სახელთა) რაოდენობა აღწევს 750-ს.

5. **სოფელი წაბლვანა** - იოსებ, ძე დანიელისა; ლევანა, ძე ბეჟანისა, ჯაჯანა, ძე ბასილასი; ზაქარა, ძე გიორგისა; არნა, ძე მისი; ზაქარა, ძე გიორგისა, გიორგი, ძე იოანესი; ქერამი, ძე მისი; დანიელ ძე კარაპეტასი; გოგიჩა ფირული.
6. **სოფელი ჭერი**, ახლოსაა ძმაგულასთან - გიორგი ფირუნი; გაბრიელ, ძე მისი; იოანე, ძე როსტევეანისა; მახარებელ, ძე მისი; ელიაზარ მღვდელი; იორდანე, ძე კარამიასი; მახარებელ, ძე მისი; შარვანიზ, ძე ფირანისა;
7. **სოფელი ზემო კურმა** (დღევანდელი გურძაული) - გიორგი, ძე მახარობლისა; ლომია, ძე მისი, გელმაზა, ძე კარაპეტასი; იოსებ, ძე მისი; საგინა ფერული.
8. **სოფელი თავო** - ნაქითა, ძე გაბრიელისა; ლულუჯა ბერუკი; ალია, ძე მისი; იოანე, ძე მახარობლისა; გოგიჩა ფირუნი.
9. **სოფელი ჩაო** - დავით, ძე გუგულასი; გოგიჩა, ძე მისი; ვარძელა, ძე მასირასი; გოგიჩა, ძე მისი; ურქმეზ, ძე იმრესი; მეჰმედ ბერული; ბაკურ, ძმა მისი;
10. **სოფელი ფურტო** - მახარებელ, ძე თავილისა; აზარია, ძე მღვდელი იასესი; იასონ, ძე მისი; გაგუნა, ძე მახარებლისა;
11. **სოფელი ნენია** - ოქროპირ, ძე გაბრიელისა; გაბრიელ, ძმა მისი; გოგიჩა, ძე იოსებისა; ბასილი, ძმა მისი.
12. **სოფელი დაბაძველი** - ვარძელა, ძე ამირინდოსი; ქარანია, ძმა მისი;
13. **სოფელი ლაჰორი** - დანიელ, ძე გუდანასი; გაბრიელ, ძე ლონიასი; ლონია, ძე მისი; გაბრიელ, ძე გოგიასი; ქემრუზი, ძე მისი; მახარობელ, ძე ბამანასი; ბადადა, ძე მისი.
14. **სოფელი დანისპარაული** - ბასილი, ძე დანიელისა; მახარებელ, ძე მისი; იასე, ძე როსტევეანისა; დარისპან, ძე მისი; იოანე მღვდელი.
15. **სოფელი კვატია** - სიმონ, ძე მამაგელის; სელმან, ძე მისი; არაქელ ძე თოროზისა; გოგიჩა, ძე მისი.
16. **სოფელი ოქანა** - რამაზი, ძე ნიკოლოზისა, გვადი, ძმა მისი; ლევანი, ძე ვარძელასი; ადონა, ძე მისი; გოგია, ძე ალი სელამისა; ნონია, ძე მისი.
17. **სოფელი თხილვანა** - კარანია, ძე ჯარმუქისა; ბადადა, ძე მისი.

18. **სოფელი ბულაური** - დავბანაზა ბერუკი; მახარებელ, ძმა მისი; სიმონა, ძე იასონისა; სიმონა, ძე ზაბალასი; ბონიჩე, ძმა ასარაულისა; ბაბუნა სახელია; მახარებელ სახელია; დავნია, სახელია.
19. **სოფელი ხულა** - გოგიჩა, ძე გიორგისა; აღდგომელა, ძე მისი; გივი, ძე აქუმისა; ოქროპირი, ძმა მისი; ოქროპირი, ძე კარაბირისა; გარსევან ძე გორდულასი; შალოქ, ძე მისი; ანუქა, ძე ლალიასი; ყანდურალი, ძე მისი; იოანე, ძე გიორგისა; სადაქა, ძე მისი; ანანია, ძე მექისა; გიორგი, ძმა მისი; თავნიდი, ძე მისი; ბასილ, ძე ანბალისა; ჯანერ, ძმა მისი; ერლომ, ძმა აბრამისა; გიორგი ძმა მისი; ბაქილ, ძე მისი; ბაქილ, ძე ხარანასი; ბასილ, ძმა მისი; გიორგი, ძე მისი; ომანურ, ძე ლევანასი; მახარებელ, ძმა მისი; მელიქ, ძე იოსებასი; დარისპანი, ძმა მისი; ლევანი, ძე ვანაქითისა; იოსებ, ძმა მისი; გაბრიელ, ძე მისი; როსტომ, ძე ნაქითასი; ენუქი, ძმა მისი; ბასილი, ძე მისი; მანველ, ძე იოსებისა; გაბრიელ, ძმა მისი; გიორგი, ძე დარისპანისა; გუმჰას, ძე გურდაჯასი; ბასილი, ძე ონანოსი; ჰარანუნი; ჰუსეინ ზაიმი („მიწა ჰარანუნისა ჰუსეინ ზაიმის მელობელობაში“).-37 კაცი.
20. **სოფელი ღორჯომი** - იოანე, ძე გიორგისა; გოჩა, ძე მისი; ქადადა, ძმა მისი; ვარძელა ფირუზი; გაბრიელ, ძმა მისი; მახარებელ, ძმა მისი; გაბრიელ, ძმა მისი; მურად, ძე გიორგისა; აბუსიმი, ძმა მისი; ბარიმა, ძე მისი; მახარებელ, ძე ოქროპირისა; გიორგი, ძე მისი; გირქული, ძმა მისი; ბაბუსა ფერული; აბრამ, ძე გულიასი; გრიგოლ, ძე მისი; აბრაქულა, ძმა მისი; ბასილი ფირული; არაქელა, ძე ზაქასი; გიორგი, ძმა მისი; მახარებელ, ძმა მისი; გიორგი, ძე არაქელასი; მახარებელ, ძე მისი, ალია, ძმა მისი; იოსებ, ძე გიორგისა; იასე, ძმა მისი; მახარებელ, ძე მისი; გოგიჩა, ძმა მისი; საბინა, ძე მამაქულისა; იოანე, ძმა მისი; იოანე, ძე როსტევანისა. – 32 კაცი.
21. **სოფელი დიდი აჭარა** - იასე, ძე არაქელისა; დავით, ძმა მისი; გოგია, ძმა მისი; მამაცა, ძე ქარიასასი; პაპუნა, ძმა მისი; ენუქი, ძმა მისი -6 კაცი.

22. **სოფელი ზელეთი**, ახლოსაა ფოცხოსთან - ვარქილ, ძე სარასი; თათანა, ძმა მისი; გაბრიელ, ძე აქთანასი; ლუნია, ძე მისი; მახარობელ, ძე გიორგისა; ვარზელა, ძმა მისი; ლევანა, ძე მინდიასი; დაქუდარა ძე ?????; ბასილი, ძე ანტონისა; სიმონ, ძე ბასილისა; მანუელ, ძე მისი; როსტომ, ძე გიორგისა; რამაზ, ძე გილანასი - 14 კაცი.
23. **სოფელი ფოცხო** - ქესა ბილინა, ძე ასროსი; სიმონ, ძე მისი; გიორგი ბერული; გრიგოლ, ძმა მისი; გუგალი, ძმა ბასილასი; გუმბაზა, ძე მისი; სულალა, ძე მისი; ქამანური, ძე მისი - 8. კაცი.
24. **სოფელი ქვედა კურმა** - გაბრიელ, ძე სათილმაზისა; ლუნია, ძე მისი; მამისა ბერული; თავბერი, ძე მისი; ავრალეთი, ძე ბარსაქულის; გოგიჩა ძე მისი; ლუნია ფერული; გოგიჩა, ძმა მისი; ილღა, ძე ჯაქალარისა; გაბრიელ, ძე ქაღარასი; ნუდი სერული; ოქროპირი სახელია - 12 კაცი („ვენახი ნოდარ და გაბრიელ აზნაურებისა ამჟამად მუსტაფა ზაიმის მფლობელობაში“).
25. **სოფელი ალმე** - დიმიტრი ძე გიორგისა; სიმონ, ძე მისი; ანდრია, ძე კარაბისა; კარაბია, ძე მისი; მახარებელ, ძე მისი; მელიქ, ძე მისი; მახარებელ, ძე ხართიასი; გოგია, ძე მისი; გრიგოლ, ძე ქირბანელისა; ლევანა, ძე მისი; ენუქი, ძმა მისი; ფირალი, ძე გიორგისა; ურქერ, ძე ოსირისა; აკოფ, ძმა მისი; გუგუჩა, ძე მისი - 15 კაცი.
26. **სოფელი ნიგაზეული** - გაბრიელ, ძე მელიქისა; გიორგი, ძმა მისი; ბართია, ძმა მისი; ენუქი სახელია; შაქარა ბერული; იოანე, ძმა თემურხანისა; ფარსადან, ძე მისი; ბადრი ძე ქიმრუზისა; ბადაქა, ძმა მისი; სიმონ, ძე თემურხანისა; ქუანა, ძე მახარობლისა; ჯაჯანა, ძე მისი; იასე, ძმა მისი - 13 კაცი.
27. **სოფელი ჩანჩხალო** - ამარინდო, ძე ლევანისა; მელიქ, ძე მისი; იოსებ, ძე მისი; ბალასული, ძე ბასილისა; ბაქული, ძმა მისი; ბადადა, ძე მისი.
28. **სოფელი ბარათაული** - გოგიჩა, ძე მურზასი; როსტომ, ძე ჰუსეინისა, გიორგი ფირუნი; თევდორე, ძე მისი. ქემრუზ, ძე მისი.

29. **სოფელი ტბეთის ციხის რაზათი** - არბადი, ძე ღარიბასი; ბასილი, ძე მისი; ბესიკი გიორგი; ლევანი, ძე მისი; ბურჯი, ძე ჯამასარასი; მახარებელ, ძე მისი; გიორგი, ძე საბითასი; მასარა, ძე დანიელისა; როსტევან, ძე ოქროპირისა; იასონ, ძე აბულისა; **მეჰმედ**, ძე ამროსისა; ოქმაზ, ძე როსტევანისა.
30. **სოფელი ახალდაბა** - იორამ, ძე ვარძელასი; იოსებ, ძე აქზარისა.
31. **სოფელი დიოკნისი** - სულალა სახელია; მარკარზია სახელია; ამილია სახელია; აბუქა სახელია.
32. **სოფელი მერისი** - კარა, ძე ასბიჯასი; დარსია, ძე საგინასი; კვირიკე, ძე საგინასი; ხახუტა, ძე მისი; ზაქარია, ძე სისინასი; მახარა, ძე გოგიჩასი; გოგიჩა, ძე გერდასიესი; ენუქი, ძე მისი; ამარინდო, ძე მირასასი; ქუსითა, ძე მისი; ლუბიექუნდი, ძე მისი; ბასა, ძე სესითასი; სელისე, ძე მისი; სუბარ, ძე მამარბისა; ამარინდო, ძე მისი; ტარიელ, ძე სამსონისა; გოგიჩა, ძე მისი; მარკოზ, ძე როსტომისა; გიორგი, ძე მისი; ხოსტია, ძე გიორგისა; ჯაბლიდარი, ძე ბაბასისა; ტარიელ, ძე ნოშრევანისა; გოგიჩა, ძე მისი; გაბრიელ, ძე ისმაილის.
33. **სოფელი დანდალო** - გაბრიელ, ძე იოსებისა; ჯაბანუსა, ძე მისი; მახარა ფირული; ენუქი, ძე როსტომისა; იორამ, ძე აბრამისა; გოგიჩა, ძე მისი; იოსებ, ძე მახარასი; გოგია, ძე მისი; რენდუქალ, ძე სენედირისა; ელიაზ, ძე მამიასი; გოგია, ძე მისი; თამაზ, ძე სათილმაქისა; ათუნა, ძე მამიასი - 13 კაცი („ბალი და ვენახი იოანე ზეგისა, საბლურის სახელწოდებით,... ამჟამად სულეიმან ზეგისა და ზეჰლულ ზეგისა“).
34. **სოფელი ახო** - ამირანი, ძე ვარძელასი; აღდგომელა, ძე მისი; გოგიჩა, ძე ზაქარიასი; იოსებ, ძე მისი; ჩურზალეთ, ძე ქარანასი; ავანა სახელია; გუგაჯირი, ძე ქეფერესი; შაბუა, ძე მისი;
35. **სოფელი რადამუდი** - ბასილი, ძე კაკალიკასი; გიორგი, ძე მისი; რევანდ, ძე იოსებისა; მახარებელ, ძე მისი.
36. **სოფელი ცხმორისი** - გოგიჩა, ძე ალი სელამისა; ენუქი, ძე მისი; იასე, ძე აბითასი; ანანია, ძე მისი.

37. **სოფელი კანტაური** - გურულა, ძე ქანდარისა; ქუჯაჯა, ძე ფარადასი; ოქროპირ, ძმა მისი; კვირიკე, ძე ფარადასი.
38. **სოფელი კვაშტა** - გოგია, ძე მახარებლისა; ვარზელ, ძმა მისი; ვარზელ, ძე გიმაზურისა; გარანია, ძე არარბელისა; ლევანი, ძე ლანასი; ჰამილია, ძე მამარბილისა; ზაქარია, ძმა მისი; გოგია, ძე ქირბასიასი.
39. **სოფელი ვაიო** - შუბალ, ძე სეზინასი; გოგია, ძმა მისი; ლევანი, ძე ბასასი; რევანდ, ძე იოსებისა; აღდგომელ, ძე ბაკასი; გოგია, ძე რამაზისა.
40. **სოფელი აქუცა** - რამაზ, ძე ფირულისა; გიორგი, ძე სესიასი; გონარ, ძმა მისი; გოგოჩა, ძე გაბრიელისა; სუვარ, ძმა მისი.
41. **სოფელი წონიარისი** - გიორგი ძე ანდურასი; მახარებელ, ძე მისი; სიჰაილი, ძე გიორგისა; იოსებ, ძე მისი; იოსებ, ძე ფარემუზისა; გაბრიელ, ძე ლევანისა.
42. **სოფელი ვარჯანისი** - იორდანე, ძე იოსებისა; გიორგი, ძე მისი; გირგოლა, ძე შარუმასი; ოლაგილა, ძე მისი.
43. **სოფელი ზვარე** - ბასილი, ძე მახარებლისა; იოანე, ძე მისი; ბასა, ძე მისი; თემრეჟ, ძე ზურაბისა; იოსებ, ძე მისი ელისა, ძე დადანასი; მუბათა, ძე მისი; ზაქარია, ძე აბრამისა; ასამ, ძე მისი; მიჰაქა, ძე; ბაულიასი; ჯაჯანა, ძე მისი.
44. **სოფელი ზედსოფელი** - ზაქარია, ძე ქარანასი; ზაქარია, ძე მამიასი; ბაბუნა, ძე მისი; მახარობელ, ძე სარქისისა თედორე, ძმა მისი.
45. **სოფელი ზენდიდი** - აბრამ, ძე ბარამისა; ლევან, ძე მისი; გიორგი, ძე დავშიასი; ბაბუნა, ძე მისი; შალვა, ძე ამარინდოსი.
46. **სოფელი მახუნცეთი** - გოგია, ძე მახარობლისა; იოსებ, ძე მისი; ვარძელა, ძე ლამანდრეასი; აბრამი, ძე სომასი; მახარა, ძე გოგიაჩასი; იოსებ, ძმა მისი; გოგია, ძე მისი; გურზაქე, ძე გონასი; ბასილი, ძე იოსებისა; მუბანა, ძე ზარიბასი.
47. **სოფელი გალიეთი** - ქაღირა, ძე გიორგისა; ლევანი, ძე მისი; გიორგი, ძე შალვასი; ბასინა, ძე მისი; იოსებ, ძე შალვასი; ხოხოზა, ძე გიორგისა; მელქისე, ძე შალვასი; გაბრიელ, ძე ამარინდოსი; ბაბუნა, ძე მისი; შალვა, ძე ამარინდოსი; შალვა, ძე სალიჰისა.

48. **სოფელი ორცვა** - გარსევან, ძმა რომასი; აბრამ, ძე მისი; ზალირა, ძე იოსებისა; გოგიჩა, ძე მისი; სუსა, ძე აბრამისა; გოგიჩა, ძე ლომინასი; აბრანდ, ძე მისი; გოგოჩა, ძე გიორგისა; დარისპან, ძე იოვანესი; შურა, ძმა მისი; ქამანდ, ძე იორდანესი; ალბაქირ, ძე იოანესი; მოსე, ძე მისი; როსილ, ძე ანზადქულასი; ანდრია, ძე მისი; ბასილი, ძე იოსებისა; ზურაბ, ძე ანდრიასი; გიორგი, ძე მამასი, სამსონ, ძე ალიასი, გაბრიელ მღვდელი, ალია, ძე მისი, აბრამ, ძე გიორგისა, ანდრია, ძე გიორგისა, ბასილ, ძე მისი, გოგიჩა, ძე ჯავარლისა, ქემაბერ, ძე სიმონასი - 26 კაცი.
49. **სოფელი ხოხონა** - ჯადანა, ძე ლევანისა; რევაბერ, ძე მისი, ამირინდო, ძე იოანესი; ლევან, ძე მისი; გიორგი, ძე ზაქარიასი; გიორგი, ძე აფრიდონისა; შაბუა, ძე ოლაგილისა.
50. **სოფელი ბზუბზუ** - ლევანი, ძე გიორგისა; სუსულილი, ძე მისი; გოგიჩა, ძე მისი; იორდანე, ძე ჯვარისასი; იოანე, ძე მისი; ამირინდო, ძე სერმიესი; გოგიჩა, ძე იორდანესი; გუბაზ, ძე მისი.
51. **სოფელი ზუნდაგა** - გიორგი, ძე საბულისა; გოგიჩა სახელია, ათანასე, ძე გიორგისა.
52. **სოფელი დოლოგანი** - დუმრულეთი, ძე ჯავარისა; ჯადია, ძე ბასილისა; ჯეირანი, ძე იოსებისა; იოსებ, ძე მანიასი; დავით, ძე გირსასი.
53. **სოფელი საწნახენა** (ახლოსაა სალორეთის ციხესთან) - ანანია, ძე ქასარასი; გოგიჩა, ძე მისი; ანდრია, ძე ბისარასი; იოანე, ძე ამარინდოსი.
54. **სოფელ** სალორეთის ციხის რაბათი - თედორე, ძე ბასილისა; აღრია, ძე მისი; იოსებ, ძე გორგილისა; გაბრიელ, ძე მისი; გვარამ, ძე ზაქარიასი; მელიქი, ძმა მისი; გაბრიელ, ძე იოანესი; გოგინა, ძე მისი; ლომისა, ძე კვირიკესი; იოსებ, ძე მისი; იოსებ, ძე როსტევანისა; ალია, ძე მისი; ბაბუნა, ძმა მისი; ფირინა, ძე მისი; საბურ, ძე ბარამისი; ავრიქა, ძე სადიასი; ანდრია, ძმა მისი; დავითი, ძე აბადანისა; ზაქარა, ძე სადანისა; ხახუტა, ძმა მისი; შამხილი, ძე ზაქარასი; ქიმრუზ, ძე მელიქისა; გოგიჩა, ძე გრიგოლისა; იოსებ, ძმა მისი.

55. სოფელი მეძიბნა - გოგიჩა, ძე ალუმისა; გოგია სახელია; ბასარი სახელია; ფარემუზ სახელია; დამუნა ფირული; ენუქი ფირული; მეორე ბასარი სახელია; იორდანე სახელია; აზილ ქისია.

რა შეიძლება ითქვას ზემოთ მოცემული პერიოდის ანთროპონიმული სურათის შესახებ? ამ საკითხს ვაანალიზებთ ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში.

2.2. ოსმალთაგანდელი ზემო აჭარის პიროვნულ სახელთა კორპუსი მე-16 საუკუნის მიწურულს „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების“ მიხედვით

ჩვენ დავინტერესდით „დავთრებში“ აღნუსხულ პიროვნულ სახელთა გამოყენების სიხშირის (რეიტინგის) მონაცემით. შესაბამისად, გამოვყოფთ ათ ჯგუფს (პირველ ათეულს), რომელშიც ისინი დალაგებულია რეიტინგის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ ამის სახელებსაც პიროვნულ სახელთა რიგს მივაკუთვნებთ, მოცემულ შემთხვევაში ყველაზე რეიტინგულ სახელთა პირველი ათეული ასეთი იქნება:

№	სახელი	რაოდ.	№	სახელი	რაოდ.
1	გიორგი	43	6	ბასილი	22
2	გოგიჩა	40	7	იოანე	17
3	იოსებ	35	8	ლევან(ი)	17
4	მახარებელ	29	9	აბრამ	11
5	გაბრიელ	27	10	ზაქარა	10

დანარჩენ პიროვნულ სახელთა რეიტინგულობის (გამოყენების სიხშირის) მაჩვენებელი ასეთია:

11. ამარინდო - 9;

12. გოგია, ენუქი, სიმონ - 8;

13. ვარძელა, იორდანე - 7;

³ სახელის შემდეგ რიცხვი აღნიშნავს ამ სახელის მატარებელთა რაოდენობას.

14. ანდრია, დანიელ, იასე, მახარა, მელიქ, ოქროპირ, რამაზ, შალვა - 6;
15. ალია, აღდგომელა, ბაბუნა, დავით, ბაბუნა, როსტომ, შაქარა - 5;
16. ბადადა, გრიგოლ, დარისპან, როსტევან - 4;
17. არაქელ, ელისე, ზაქარია, თევდორე, კარაბია, კვირიკე, მამაცა, ნონია, საგინა, ქარანია, ლუნია, ხახუტა, ჯაჯანა - 3;
18. ანანია, ბარამ, ბაქილ, გარსევან, გუგული, ელიაზარ, ზადირა, ზურაბ კარაპეტა, მეჰმედ, ნაქითა, ნიკოლოზ, ნოვრუზა, ოლაგილი, რევანდ, სადია, სამსონი, ტარიელი, ფარემუზი, ქემრუზი, ქიმრუზი, ღონია, შადანა - 2;
19. საინტერესო სურათს ქმნის ერთეულ ანთროპონიმთა ჩამონათვალი, რომელთა საერთო რაოდენობა 230-ია. მათი ნაწილი დღეს მთლიანად არიან გამოსული მიმოქცევიდან, ისინი დიდი ალბათობით არც ქართულია, არც კალენდარული და საერთოდ აღარც კი ფიქსირდება თანამედროვე ანთროპონიმიკონებში. ესენია: აბადანი, აბრაქულა, აბუსიმი, აბუქა, ადამირ, ადონა, ადუმი, ავრიქი, ანბალი, ანდურა, აქუნი, აღრია, ბაულია, ბონიჩე, გიმაზური, სილაბირი, ქუქაჩა, ღანია და სხვა. მეორე ნაწილი კი დღემდე აქტიურ ხმარებაშია, როგორცაა: ათანასე, ანტონ, აფრიდონი, თამაზ, ივანე, მინდია, ნოშრევან, რაფიელ და სხვა.

როგორც ვხედავთ, პიროვნულ სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა კალენდარული ან ქართულია. მუსლიმანური სახელები „დავთრებში“ თითქმის არ ფიქსირდება.

2.3. გვარსახელები თუ მამის სახელები, ანუ „დავთრების“ ანთროპონიმული მოდელის შესახებ

არის თუ არა დაფიქსირებული „დავთრებში“ გვარსახელები?

ამ კითხვას იმიტომ ვსვამთ, რომ „დავთრებში“ მოცემული მასალის მიხედვით ძალიან რთულია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, თუ როგორი იყო ქართული ანთროპონიმული მოდელი იმდროინდელ ზემო აჭარაში. საქმე ისაა, რომ „აჭარის ლივის

დავთრებში“, ისევე როგორც ოსმალების მიერ შედგენილ და შემდგომში ქართულად თარგმნილ ყველა ამ სხვა სახის „დავთრებში“, არ ჩანს, თუ როგორი ანთროპონიმული მოდელი დახვდათ ოსმალებს აღწერის დაწყებამდე ადგილზე. ამიტომაც მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათში მოცემულია სახელები და მამის სახელები, ე.ი. აქ გვარსახელები არ არის დაფიქსირებული.

„აჭარის ლივის დიდი დავთრის“ ქართულ თარგმანში გვხვდება შემდეგი სახის ორწევრიანი ანთროპონიმული მოდელი:

ა) *ბასილი, ძე მახარებლისა; იოანე, ძე გიორგისა* (და არა - *ბასილი მახარებლისძე, იოანე გიორგისძე*, ან - *მახარებლისძე ბასილი, გიორგისძე იოანე* და ა.შ).

ბ) უფრო მეტიც, გვხვდება ასეთი მოდელებიც: *ბასილი, ძმა გიორგისა; იოანე, შვილი მისი*“ და ა.შ.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქართულ წყაროებში, ისტორიულ, სამართლებრივ და სხვა სახის დოკუმენტებში კი სულ სხვა სახის, თანაც მრავალგვარი ანთროპონიმული მოდელები გვხვდება. რატომაა, რომ „*იოანე, ძე გიორგისა*“ ტიპის მოდელები აბსოლუტურად იდენტურად და ერთნაირადაა წარმოდგენილი „1575 წლის ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარშიც“, ამავე პერიოდის „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარშიც“ „1728 წლის თბილისის ვილაეთის დიდ დავთარშიც“ და სხვა მსგავს თარგმნილ „დავთრებშიც?“.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების ს. ჯიქიას და მ. ჯიქიას მოსაზრებებს, გამოთქმულს „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ ანთროპონიმის შესახებ. როგორც მ. ჯიქია წერს, თურქეთში გვარები ოფიციალურად დაკანონდა მხოლოდ 1934 წელს. ოსმალებს მთელი თავიანთი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ სახელები ჰქონდათ, რომლებსაც ზოგჯერ მას წარმომავლობის აღმნიშვნელ ტოპონიმსაც უმატებდნენ. ოსმალო აღმწერები (დევეთერდარები) აღწერის დროს ქართული გვარების მნიშვნელობებს ვერ ხვდებოდნენ, „ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ არც აღნიშნავდნენ. ისინი ზოგჯერ გვარს მამის სახელად აფიქსირებდნენ. ამიტომ აღმოჩნდა დავთარში ოსმალო დევთერდარის მიერ

პირის სახელად აღქმული გვარები: ბერიძე, დემატრაძე, ვარდიძე, კავკასიძე, პაპაძე, ცირევიძე, ჭუნბაძე, ჯაველიძე, ჯუჯულაძე“ (ჯიქია, 2013: 66).

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს „1728 წლის თბილისის ვილაეთის დიდ დავთარში“ მოცემული ანთროპონიმის შესახებ ე. მამისთვალიშვილი: „საყურადღებოა, რომ ამ ოსმალურ წყაროში, განსხვავებით იმავე პერიოდის ქართული წერილობითი ძეგლებისაგან, **აღმოსავლეთის ხალხების ჩვეულების მიხედვით, სიებში მამაკაცები დასახელებულნი არიან მხოლოდ საკუთარი სახელებითა და მამის სახელებით.** ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ შესაბამისი პერიოდის ქართული დოკუმენტებითა და აღწერის დავთრების მონაცემებთან შედარების შედეგად შესაძლებელი იქნებოდა მრავალი მათგანის იდენტიფიცირება“ (მამისთვალიშვილი, 2013: 32-36).

საინტერესო მოსაზრებებია აქვს გამოთქმული ამ თვალსაზრისით მესხეთის ანთროპონიმული სურათის მკვლევარს კლარა ბარათაშვილს, რომელიც წერს: „რამდენადაც თურქებს არ გააჩნდათ გვარის ინსტიტუტი, ისინი ვინაობას აფიქსირებდნენ საკუთარი ან მამის სახელის მიხედვით: მემედ ჰასანოღლი, ოსმან რაჯაბოღლი და სხვა. აღწერებში კი მესხები იწერებოდნენ არა მამის სახელის, არამედ თავისი მოდგმის მიხედვით, რომელიც უწინ მის გვარს წარმოადგენდა. ჩამოაცლიდნენ „შვილს“, „ძეს“ და მიუწერდნენ იგივე შინაარსის მატარებელ თურქულ „-ოღლის“ (ბარათაშვილი, 1997: 11).

2.4. „ტბეთის სულთა მატიანის“ და ზოგიერთი სხვა ქართული წყაროს ანთროპონიმია. პარალელი „დავთრების“ დროინდელი ზემო აჭარის ანთროპონიმასთან

განსხვავებული ვითარებაა სხვა სახის ისტორიულ დოკუმენტებში, რომლებშიც ნათლად და მკაფიოდ ჩანს, რომ **ოსმალთმდე ზემო აჭარაში ქართული გვარსახელების არსებობა ექვს არ უნდა იწვევდეს.** ამ თვალსაზრისით, საინტერესოა უპირველეს ყოვლისა, „ტბეთის სულთა მატიანე“, რომელიც XII - XVII საუკუნეების მანძილზე

დაწერილი 588 მოსახსენებლის თავმოყრილი ნუსხაა. მათში თავმოყრილია **348 გვარსახელი**.

2.4.1. გვარსახელები და ქართული ანთროპონიმული მოდელები „ტბეთის სულთა მატთანეში“

ტბეთის საყდარი, სადაც სულთა მატთანის ეს ძეგლი შეიქმნა, შავშეთში მდებარეობს, მაგრამ საყდრის შემომწირველები აჭარაშიც იყვნენ. ასე რომ, ამ ძეგლში აჭარიდან მაჭახლის ხეობის ხუთი სოფლის: **ჩხუტუნეთის, ჩიქუნეთის, ზედგაკის, ევფრატის და ხერთვისის** შემომწირველებიც არიან ჩამოთვლილი. „მასში დაცულია მდიდარი ონომასტიკონი, რომელიც მრავალმხრივაა საყურადღებო, როგორც საისტორიო მასალა“ (ენუქიძე, 1977: 33; შანიძე 1981: 50-56). როგორც ნოდარ კახიძე წერს, „ტბეთის ეკლესია, რომელშიც მატთანე შეიქმნა, დაარსების დღიდან ვიდრე **ოსმალთა ბატონობამდე** (მე-16 საუკუნის 60-70-იანი წლები) მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებაში ... ის მნიშვნელოვანი წყაროა **იმდროინდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ გვართა წარმომავლობის გასარკვევად**“. (კახიძე, 2013: 21). ნ. კახიძე ნაშრომის მე-2 თავში: „ტბეთის სულთა მატთანე - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვარსახელთა შესწავლის წყარო“, აკეთებს მათ სტრუქტურულ ანალიზს: „მატთანეში ყველაზე ჭარბად გვხვდება **-ძე-ზე** დაბოლოებული გვარები, შემდეგ მოდის **-ეთ-ზე** და **-შვილ-ზე** დაბოლოებული. იშვიათობას შეადგენს **-ურ, -ელ, -ულ, -ფხე, -ნა, -ია, -ტი, -ში, -აყი, -ისა, -ტყი** სუფიქსებით დაბოლოებული გვარები. სულ 20-მდე სუფიქსით ნაწარმოები გვარები გვხვდება“ (კახიძე, 2013: 22). საინტერესოა, რომ ქალისა და მამაკაცის გვარსახელები ერთმანთისგან განსხვავდება: **-ძე, -შვილ** და **ნაწილობრივ -ეთ** სუფიქსებიანი გვარსახელები მამაკაცისაა, **-ურ, -ულ** და **-ფხე** სუფიქსებიანი - ქალებისა. საინტერესოა ისიც, რომ „მატთანეში ჭარბად არის წარმოდგენილი **-ძე** სუფიქსიანი გვარები (სულ 200-ზე მეტი, ამასთან, ამ გვარებს მცირე გამონაკლისის გარდა, **-ძე**

სუფიქსის წინ თანდართული აქვთ -ს ფორმანტი), შემდეგ მოდის -ეთ სუფიქსიანი, ხოლო მესამეზეა -შილ სუფიქსიანი გვარსახელები (33) (კახიძე, 2013: 23). ესენია:

- **-ეთ სუფიქსიანი აბესლამეთ, ბერსელეთ, გიორგაეთ, გორგაძიეთ გუნდარეთ, დავლაეთ, დოლიეთ, ეგნატეთ, როსტომეთ, კეჟერაეთ, ტომარაეთ, ქუაბულეთ, ცხადაეთ, წითელაეთ, ჯეჯელაეთ** და სხვა, სულ 100 გვარსახელი, რომელთაგან 97 მამაკაცისაა, 8 შერეული, ხოლო 4 - ქალის (კახიძე, 2013: 23). როგორც მკვლევრები აღნიშნავენ -ეთ სუფიქსიანი გვარები შემდგომში განვითარდა -ძე და -შილსუფიქსიან გვარებად. შესაბამისად ჩვენ მითითებული 100-ზე მეტი გვარიდან შევარჩიეთ მხოლოდ ისეთები, რომლებშიც ადვილად ამოსაცნობია მათი შესაბამისი, ოღონდ -ძე სუფიქსიანი დღევანდელი აჭარული გვარები.
- **-ძე, -შილ და სხვა სუფიქსებით ნაწარმოები გვარსახელები: აბესალამისძე, ახალასძე, ბალასძე, ბასილისძე, ბედინასძე, ბერასძე, ბერერისძე, გათენასძე, გამეშისძე, გოგასძე, გორასძე, გორგოშასძე, გუანისძე, გუანიძე დავითაძე, დავითისძე, ვაშანისძე, ვაშანიძე, ვერძასძე, დოლისძე, იაკობისძე, კახაბერისძე, კირკიტისძე, კვირიკასძე, მახარისძე, მახაჭასძე, მგელასძე, მელასძე, მიქელასძე, მორთულასძე, როსტომასძე, ფოთელისძე, ქოქოლისძე, შამანასძე, შუშანასძე, ჩიტისძე, ცივნარისძე, ძნელასძე, წინწკელასძე, ჭანისძე, ხიკილასძე; არსლანისძე, ბაზანდრისშილი, კოკოპინაშილი, მალეყმასშილი, ჩიტისშილი** და სხვა (კახიძე, 2013: 31-32).

განსაკუთრებით ხაზგასასმელია „მატიანეში“ მოცემული **ანთროპონიმული მოდელები**, რომლებსაც აანალიზებს კიდევ ერთი ქართველი მკვლევარი ინდირა შალიკაძე. ის სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ამ უმნიშვნელოვანესი წყაროს მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელია არა მხოლოდ მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, არამედ კონკრეტულად მაჭახლის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიის, ანთროპონომასტიკონის შესწავლის თვალსაზრისით“. (შალიკაძე, 2015: 55). „მატიანის“ ტექსტებში გვხვდება ორწევრა, ოღონდ **გვარი + სახელი ტიპის მოდელები, როგორცაა: -ახალასძე ნანა, ვაშანისძე წიქარი, ვერძასძე მახარებელ, ზარქიეთ გელა, მახაჭასძე მჭედელი, მეძვაფხე ხათუთა, მურვანიშილი მომესწარა,**

მიქლაური გვანცა, მჭედლისძე მიქაელი, სანადირასძე მახარა, ქოქალაური მარიამი, ქუაბელური ნათელი, ნიკოლაფხეშვილი გოგა, შავჩიტყი გიორგი, ჩიგონისძე კუერნა, ჩიხუასძე იოვანე, ჯოთური ნათელი და სხვა. „სულსა ვაშანისძისა წიქარისასა და მისისა მეუღლესა თინასა, შეუნდვნენ ღმერთმან; „სულსა ახალასძისა ნანასა შეუნდვნენ ღმერთმან.... (ენუქიძე, 1977: 66; შალიკაძე, 2015: 56-58)“.

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საკითხს ზოგადად ქართული ანთროპონიმული მოდელების შესახებ, რომლის შესახებაც ქართულ ლინგვისტიკაში განსხვავებული მოსაზრებებია. გ. ხორნაული წერს: „ქართულ ისტორიულ წყაროებში არის შემთხვევები, როცა სახელს მამის სახელი, წოდება ან მეტსახელი ერთვის. ისინი ჩვენს მკვლევარებს **შეცდომით გვარებად მიაჩნდათ და მიაჩნიათ დღესაც**“ (ხორნაული, 1979: 83). მას არ ეთანხმება რ. თოფჩიშვილი: „ასეთი შემთხვევები მართლაც არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებს გვარსახელები არ გვექონდა. **მეცნიერის მოვალეობაა ერთმანეთისგან გამიჯნოს გვარსახელი და მამის სახელი ...** მამის სახელით, პროფესიით ან ზედმეტი სახელით პიროვნების მოხსენიება განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით... ქართულ სოფელში არ იყო ამის პრაქტიკული მოთხოვნილება... გვარსახელით პიროვნებას იშვიათად მოიხსენიებდნენ. გვარსახელი მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში ფიგურირებდა“ (თოფჩიშვილი, 1997: 18,19). თავის მოსაზრებას მკვლევარი ასე ხსნის: „საბუთში დასახელებული პიროვნება, მაგალითად, გიორგი კარიჭას შვილი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი არის კარიჭას ძე ან კარიჭას შვილი“ (თოფჩიშვილი, 1997: იქვე). მას არგუმენტად მოჰყავს გარეკახეთის აღწერის ერთ-ერთ დავთარში ჩამოთვლილი გოგილასშვილების 23 კომლი: გოგილას შვილი ხუცია, გოგილას შვილი ოქრუა და ა.შ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გოგილას 23 შვილი ჰყავდაო, ასკვნის მეცნიერი. „ეს უბრალოდ გვარსახელის დაწერის მაშინდელი ფორმა იყო“ - წერს ის და არგუმენტად იშველიებს „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლების (1-ლი ნაწილი)“ გამომცემელთა ბოლოსიტყვაობას: „გვარების მართლწერისას ნათესაობითი ბრუნვის „სან“-იანი გვარები ორად გავყავით: იმედას შვილი, ოდანას შვილი, ბეროს შვილი და ა.შ. შეკვეცილი „სან“-იანი გვარები კი

ერთად დავწერთ: ირემაშვილი, ჟამუტაშვილი, საგინაშვილი“ - (თოფჩიშვილი, 1997: 20). მკვლევარი წერს: „რაც შეეხება ქართულ ანთროპონიმულ მოდელს, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში და იურიდიულ დოკუმენტებში გვარსახელი თითქმის ყოველთვის ფიქსირდებოდა ზოგჯერ სახელთან და ზოგჯერ სახელთან და მამის სახელთან ერთად. ამ მხრივ საქართველოში არავითარი დადგენილი წესი არ ყოფილა. პიროვნებათა მოხსენიება არავითარ იურიდიულ აქტს არ ეყრდნობოდა“ ... ქართულ საისტორიო საბუთებში პიროვნების სამწევრიანი (და ორწევრიანი) მოდელის ჩაწერა არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. ვისაც როგორ მოესურვებოდა, ისე წერდა. ხან მამის სახელი იყო პირველ ადგილზე, ხან გვარსახელი, ხანაც სახელი (თოფჩიშვილი, 2000: 178). დასტურად მკვლევარი აანალიზებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ქართული დოკუმენტებში დაფიქსირებულ ანთროპონიმულ მოდელებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სამწევრიანია. მათგან ჩვენ აქ გამიზნულად შევარჩიეთ მხოლოდ იმ ეპოქების რამდენიმე მოდელი, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ „აჭარის ლივის დიდი დავთრების“ შედგენის პერიოდს ან თითქმის ემთხვევა მას:

- მე-12 საუკუნე - „*მახითარაისძენი დავითის შვილნი: ოქროი და მახარა, ბრაჭი და იოანე*“ (გვარი+მამის სახელი+სახელი);
- 1104 – 1118 წლების სიგელი - „...*ნიანია ნიანასძე, გრიგოლ მაოხრებლისა შვილი...*“ – (სახელი+გვარი+მამის სახელი+მამის მეტსახელი) - ანუ როგორც მკვლევარი წერს, ნიანია გვარად არის ნიანასძე, რომლის მამასაც ერქვა გრიგოლ, და ჰქონდა მეტსახელი „მაოხრებელი“;
- 1259 წლის დოკუმენტიდან - „...*აბულეთისძემან, ძაგანმან, ძემან ერისთავთ-ერისთავისა იოანესმან*“ - გვარი+სახელი+მამის სახელი“;
- 1297-1298 წლების სიგელი - „*მოვიდა ჩუენ წინაშე ჭარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ ... მოხსენებაი ჭაჭნიაშვილისა გრიგოლ ჭარმაულისა*“ - პირველ შემთხვევაში არის მოდელი: „გვარი + მამის სახელი + სახელი“, მეორე შემთხვევაში - „მამის სახელი + სახელი + გვარსახელი“;

- 1348 წლის წყალობის სიგელი - „ქუენიფნეველი, ლარგველისა შვილი წილოსან“-სახელი + მამის სახელი + გვარი“;
- 1510 წლის ალექსანდრე მეფის ყმა-მამულების შეწირულების წიგნი - „ბერ ასათიანი, დულუნას შვილი“;
- 1619 – „ჩხვიძის ბეჟიას შვილი ოტია“ - გვარი+მამის სახელი+სახელი“ (თოფჩიშვილი, 2000: 178) და სხვ.

მკვლევარი აანალიზებს ორწევრიან მოდელებსაც:

- მე-13 საუკუნის „მატიანე სუანეთისა კრებასა“ - გვინდა აფაქიანი, გიორგი ჩიქოვანი, ბოცო ქურდიანი და სხვა (სახელი+გვარი),
- მე-12 - მე-17 საუკუნეები - „ტბეთის სულთა მატიანე“.

როგორც რ. თოფჩიშვილის ანალიზიდან ჩანს, ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში დაფიქსირებულ ქართულ სამწევრიან თუ ორწევრიან ანთროპონიმულ მოდელებში გვარსახელი ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობის პერიოდშიც და დაპყრობამდე რამდენიმე საუკუნის წინ გვარსახელები უდავოდ ფიგურირებს.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე პარალელის გავლება ისეთ მნიშვნელოვან წყაროსთან, როგორცაა „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ხუთტომეული. მასში მოცემულია შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული სახელ-გვარები, ამოკრებილი XI-XVII საუკუნეების ისტორიული საბუთებიდან, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ შუა საუკუნეების ქართული ანთროპონიმული მოდელი უმთავრესად ერთ- ან ორწევრიანია და ის შედგება:

1. ან მარტო სახელისგან - ჯოჯიკ (1170 წ.), მალაქია (ქართლის ეპისკოპოსი, 1532 წ.) და სხვა;
2. ან მარტო გვარსახელისგან - მათიასშვილი (1460 წ.); მაკარიშვილი (ნოჯიკეთში მცხოვრები, 1465 წ.);
3. ან გვარსახელისა და სახელისაგან - მათეშვილი ბოლღია (1467 წ.); ჯუმუანი ბემქენ (მე-15 ს. დასაწყ.), ყარასშვილი ომარ (1505); ჯომარდიძე შალვა (1539).

მანაველისშვილი ადამა (ათნოკში მცხოვრები, 1574 წ.); ჯიხვაძე მამისთვალა (1578), ყანჩელი ოთარ (1619), და სხვა.

სავარაუდოდ, ამგვარი უნდა ყოფილიყო „აჭარის ლივის დავთრებში“ მოცემული ზემო აჭარის მცხოვრებთა ქართული ანთროპონიმული მოდელებიც (ანუ: მახარებლისძე ბასილი და არა - ბასილი, ძე მახარებლისა; გიორგისძე იოანე, და არა - იოანე, ძე გიორგისა ა.შ). შესაბამისად, პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გვხვდება ბასილი, ძე მახარებლისა, იოანე, ძე გიორგისა - ტიპის მოდელები თითქმის ყველა „დავთარში“ ერთნაირად, ვფიქრობთ, ასეთი უნდა იყოს: ეს არის თავის დროზე ოსმალთა აღმწერების მიერ ქართულიდან ოსმალურში გადატანილი მოდელების ისევ ქართულად გადმოტანის შედეგი, რადგან ოსმალთა აღმწერები (დევეთერდარები), გამომდინარე მათი ისტორიიდან და ტრადიციიდან, აღწერის დროს ქართული გვარების მნიშვნელობებს ვერ ხვდებოდნენ, არც არის გასაკვირი, რომ ხშირად არც კი აღნიშნავდნენ“ (ჯიქია, 2013: 66). ამიტომაც „დავთრებზე“ დაყრდნობით დღეს საკმაოდ რთულია იმის დაზუსტებით თქმა, თუ რა სახის ქართული ანთროპონიმული მოდელები გადაათურქულეს ოსმალთა. თუმცა, როგორც უკვე დავრწმუნდით, სხვა ქართულ წყაროებთან პარალელის გავლებით ეს სირთულე იხსნება.

2.4.2. პიროვნულ სახელთა კორპუსი „ტბეთის სულთა მატიაწეში“

ჩვენი საკვლევო პრობლემიდან გამომდინარე გვერდს ვერ ავუვლით „მატიაწეში“ დაფიქსირებულ პიროვნული სახელებსაც ესენია, ქალის - 80-მდე სახელი:

№	სახელი	რაოდ.	№	სახელი	რაოდ.
1	მარიაძე	95	6	ბორენა	13
2	ნათელი	58	7	თამსი	9
3	ცხორება	38	8	შორენა	8
4	რუსუდანი	24	9	თამარი	7
5	თინა	14	10	ნათია	6

და მამაკაცის - 160-ზე მეტი სახელი:

№	სახელი	რაოდ.	№	სახელი	რაოდ.
1	გიორგი	76	6	დემეტრე	27
2	იოვანე	56	7	მახარებელი	21
3	მიქაელი	50	8	დავითი	20
4	ივანე	48	9	ბასილი	13
5	ნიკოლოზი	39	10	ზაქარია	12

როგორც მოსალოდნელი იყო, „მატიანეში“ დაფიქსირებული პიროვნული სახელები მთლიანად კალენდარულია. სხვაგვარი მოლოდინი არც შეიძლება გვექონოდა, რადგან ეკლესია სხვა სახის სახელებს არც დააფიქსირებდა

2.5. ოსმალური პერიოდის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი ოსმალეთის სულთან-მაჰმუდ II--ის დროს 1835 წელს ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით

ოსმალეთის პერიოდის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის საწყისი ეტაპის ტენდენციების შესახებ ნათელ სურათს იძლევა ოსმალთა დევთერდერების მიერ 1835 წელს ჩატარებულ აჭარის მოსახლეობის აღწერის მასალები, რომლებიც ოსმალეთის არქივებში მოიპოა და ჩამოიტანა ზ. შაშიკაძემ. ჩვენი საკვლევი არეალის (ზემო აჭარის) ანთროპონიმული სურათის ამსახველი მასალები მას ჯერ არ უთარგმნია და გამოუქვეყნებია. ამავე დროს მან გადმოგვცა უკვე თარგმნილი ხელნაწერი მასალის ნაწილი და ნება დაგვრთო გამოგვეყენებინა ისინი (შაშიკაძე, 2020), რათა მათ საფუძველზე იმჟამინდელი ზემო აჭარის თითოეული სოფლის ანთროპონიმული სურათის სიღრმისეული ანალიზი თუ არა, მისი ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა მაინც მოგვეხერხებინა. ამასთან, მას უკვე გამოქვეყნებული აქვს აღნიშნული მასალის ნაწილი, კერძოდ, სოფელ მარადიდის

მონაცემები (შაშიკაძე, 2018), პარალელის გასავლებად მივმართავთ ამ მონაცემებსაც, მითუმეტეს, რომ როგორც ბატონმა ზაზამ აგვიხსნა, იმდროინდელი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათიც აბსოლუტურად იდენტურია. აღნიშნული მასალებიდან ჩვენ გამოყენებული გვაქვს სოფლების დანდალოს, ვაიოს, ბზუბზუს და მარადიდის მონაცემები.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი დაკვირვებით, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის დავთრების და აღწერების მასალებისგან განსხვავებით, **1835 წლის აღწერის მასალები დიდი სიზუსტით და სანდოობით მაინცა და მაინც აღარ გამოირჩევა.** ამკარაა, რომ ამ პერიოდის დევთერდერების ნაწილი მოსახლეობის აღწერის პროცესისადმი დიდ ყურადღებას და პასუხისმგებლობას, როგორც ჩანს, აღარ იჩენდა, რის საფუძველსაც გვაძლევს უამრავი ამკარად არაზუსტი მონაცემი და ფაქტი. მათზე ჩვენ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, ვინაიდან ამ საკითხის სიღრმისეულ ანალიზს ზ. შაშიკაძე თვითონ გეგმავს შესაბამის პუბლიკაციებში. ანთროპონიმული სურათის ანალიზის მიმართულებით კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეს აღწერა ერთიანი მეთოდის და სისტემის საფუძველზე ამკარად არ არის ჩატარებული. ასე მაგალითად, **სოფ. დანდალოში მცხოვრები 183 კომლის 503 წევრი მამაკაციდან არცერთი მათგანს არ აქვს მიწერილი გვარი,** მაშინ როცა სოფლების: მარადიდის, ვაიოს და ბზუბზუს აღწერის მასალებში გვარები ფიგურირებს. დანდალოს მოსახლეობა დაფიქსირებულია ან სახელითა და მამის სახელით, ან მხოლოდ სახელით, ან სახელით და მინაწერით: მისი შვილი, შემდეგი შვილი, ძმა, შვილიშვილი და სხვა. მეორე მხრივ, გვარები, არც თურქული და მითუმეტეს არც ქართული, მათ არ აქვთ, ამავე დროს, სიზუსტე გამოჩენილია სხვა მიმართულებით: ბევრ მათგანს მიწერილი აქვს გარეგნობის ამსახველი ან სხვა სახის მაიდენტიფიცირებელი ისეთი ნიშან-თვისება, როგორიცაა: ასაკი, „მაღალი, მეჩხერი ულვაშით“; „საშუალო სიმაღლის, შედინდლული ულვაშით“; „ფეხის თითები მოჭრილი აქვს“ და ა.შ. იმის დასტურად, თუ როგორ აღწერდნენ აჭარის მოსახლეობას თურქი დევთერდერები 1830-იან წლებში, მოვიშველიებთ ერთ ფრაგმენტს:

„იმამოლლი ალი ჰალილის ძე - ხსენებული დასახლების იმამი, ასაკი - 40. მისი შვილი ოსმანი, ასაკი 10. მეორე შვილი ჰალილი, ასაკი - 7. შემდეგი შვილი ისმაილი, ასაკი - 3. ძმა აჰმედი, მაღალი, ყვითელი წვერით. ხსენებული დასახლების მუხტარი. ასაკი - 35. გარდაიცვალა 1251 წლის 5 რამაზანს (25/12-1835)“ (შაშიკაძე, 2018: 77).

2.5.1. სოფელ დანდალოს ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ოსმალური აღწერის მიხედვით

სოფელი დანდალო, რომელიც დღეს ზემო აჭარაში შედის, აღწერის მასალების მიხედვით ექვემდებარებოდა ქვემო აჭარას და შედის ჩილდირის ვილაეთში (შაშიკაძე, 2020). დღევანდელი დაყოფით დანდალოს თემში შემავალი სოფლებიდან 1922 წლის აღწერის მასალებში აღწერილია დანდალოს, ჯალაბაშვილების და ხარაულის მოსახლეობა, სადაც მთლიანობაში დაფიქსირებულია 183 კომლში მცხოვრები 504 მამაკაცით, რომლებიც ატარებენ **70 პიროვნულ სახელს**. ეს სახელები მთლიანად არაქართული და არაქრისტიანულ-არაკალენდარულია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თურქული, არაბული ან სპარსული წარმოშობისაა. გამოყენების სიხშირის მიხედვით მათი ჩამონათვალი ასეთია:

პირველი ათეულში შემავალ სახელთა რაოდენობრივი და პროცენტული მონაცემები ასეთია:

№	სახელი	რა ოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მეჰმედ	80	6	ჰასან	36
2	ალი	59	7	ჰუსეინ	31
3	აჰმედ	38	8	ისმაილ	17
4	სულეიმან	37	9	ჯომხუნ, ჯივან, ჰუსეინ, ჰალიმ	7
5	ოსმან	37	10	შირინ, არიფ, ყარამან,	6

				მემიშ	
--	--	--	--	-------	--

დანარჩენი რეიტინგული ჯგუფების მონაცემების ასეთია: *იუსუფ; შერიფ - 5; მემი; ნუმან; სელიმ; ყასიმი - 4; დურსუნ; იბრაჰიმ; გულაჰმედ ირფან; მუთი; მურად; ქემალი; სადიყი - 3; ალიშან; ბურჰან; ედჰემ; იდრის; მაჰირ; სალიჰ; საფი; სეფერ; ყოჩალი - 2; აბდულ; აზიზ; აკი; გულო; დედე; ეიუბ; ემინ; ემრულა; ესად; თაირი; არსლანი; თევრათი; თუფან; იეთიმ სელიმ; ილიას; მაჰმუდ; მელიქ; რეზაყ; ყურბანი; ყურშიდი; შაბან; შაქირი; შაჰინ; ფეიზულა; შირინ-მეჰმედი; ჰაჯი; ჰელიმი - 1.*

სახელთა ერთიან ჩამონათვალში ვხვდებით ორმაგ სახელებსაც, რომელთაგანაც ნაწილი არის ორი სახელისგან შედგენილი (გულ-აჰმედი, შირინ-მეჰმედი), ნაწილი კი სახელზე პროფესიის, საზოგადოებრივი სტატუსის, მდგომარეობის და ა.შ აღმნიშვნელი სახელის დამატებით მიღებული (ოსმან ეფენდი, იეთიმ სელიმი).

აქ საინტერესოა აგრეთვე **ახალგაზრდული ასაკობრივი ჯგუფის პიროვნულ სახელთა ჯგუფი**. მათში ვაერთიანებთ 30 წლამდე ახალგაზრდების პიროვნულ სახელებს, რომლებიც ამავე დროს არ ფიქსირდება მამის სახელების ჯგუფში, რეიტინგული სახელების ათეულში ასეთია ჯომშუნი, რომელიც ჰქვია 1-დან 8 წლამდე ასაკის 7 ბავშვს. ამ ჩამონათვალში შეიძლება ვაერთიანებთ აგრეთვე შემდეგ სახელებს: *არიფ, არსლან, ალიშან, ბურხან, გულო, დედე, დურსუნ, ედჰემ, ეიუბ, თაირ, თევრათ, თუფან, ირფან, ილიას, მემი, ნუმან, რეზაყ, საფი, სეფერ, ჯომშუნ, შაბან, შაჰინ, შირინ, შერიფ, ყურბან, ყურშიდი, ჰაჯი, ჰელიმი.*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1835 წლის სოფელ დანდალოს ანთროპონიმული სურათი 1574 წლის ანთროპონიმულ სურათთან შედარებით მკვეთრად არის შეცვლილი მუსლიმანური პიროვნული სახელების დამკვიდრების მიმართულებით. სახელების და მითუმეტეს, მამის სახელების აბსოლუტური უმრავლესობა (შეიძლება ითქვას, - 100%) არაქართული ან არაკალენდარულია. გვარებს აქ საერთო ვეღარ ვხვდებით, რაც გაუგებარია, რადგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვა სოფლებში გვარები დაფიქსირებულია.

2.5.2. სოფელ ბზუბზუს ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ოსმალური

აღწერის მონაცემების მიხედვით

ა) გვარსახელები

სოფელ დანდალოს მსგავსად, მე-19 საუკუნის 30-იანი წლების სოფელი ბზუბზუ (ქედა), რომელიც დღეს ზემო აჭარას მიეკუთვნება, ზემო ჩილდირის ვილაეტში შედიოდა და ქვემო აჭარას მიეკუთვნებოდა. მისი ანთროპონიმული სურათის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ დანდალოსგან განსხვავებით აქ ჩნდება სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელები: სახელი + გვარი + მამის სახელი, მაშასადამე, ჩნდება გვარსახელები, კერძოდ სოფელ ბზუბზუმში 170 გვარსახელის დაფიქსირებულია 27 გვარსახელი, რომელთა შორისაც ოთხი (ანუ 14,8%) ქართულია: ახისხელი, ბაზანდარიძე ბაზანზირიძე (ალბათ, ბაზანდრიძე), ბაჟანდიდიძე (ალბათ, ბეჟანიძე). ამავე დროს, საინტერესოა ისიც, რომ ამ გვარის წარმომადგენლებს ეს ქართული გვარი შენარჩუნებული კი აქვთ, მაგრამ სახელიც და მამის სახელიც მუსლიმანური აქვთ. ესენი არიან:

1. ახისხალი (ალბათ - ახისხელი, ახალციხელი) - აზიზ ოსმანის ძე, ალი ისმაილის ძე, ალი აჰმედის ძე, მეჰმედ აჰმედის ძე, იუსუფ აჰმედის ძე, ალი აჰმედის ძე, აბდულ აჰმედის ძე. არც ერთი და არც მეორე გვარი დღეს აჭარაში არ ფიქსირდება. არ არის ეს გვარი თედო სახოკიასთანაც, თუმცა მას დაფიქსირებული აქვს ანალოგიური სტრუქტურის გვარი ახველი.
2. ბაზანდარიძე - სალიჰ აჰმედის ძე, ჰასან ჰასანის ძე, მეჰმედ ჰასანის ძე, ქუჩუქ ჰასანის ძე. როგორც საარჩევნო სიებიდან ჩანს, დღეს ეს გვარსახელი დღეს არა მხოლოდ ამ სოფელში, არამედ საერთოდ ზემო აჭარაში აღარ ფიქსირდება. ამავე დროს, თედო სახოკიას მიერ 1897 წელს აღწუსებული აჭარული გვარების სიაში გვარსახელი ბაზანდარიძე ფიქსირდება (სახოკია, 1985: 244-245).

3. ბაზანზირიძე - მელიქ-ოსმან მეჰმედის ძე, მეჰმედ მელიქ-ოსმანის ძე; ჰაირულა მელიქ-ოსმანის ძე, ჰუსეინ მეჰმედის ძე, ალი მეჰმედის ძე, ნუმან მეჰმედის ძე. ეს გვარსახელი დღეს აღარ ფიქსირდება არა მხოლოდ ამ სოფელში, არამედ საერთოდ არც საერთოდ აჭარაში და არც კი იგუგლება. არ ჩანს ის თედო სახოკიას მიერ აღნუსხულ გვარსახელებს შორისაც ამიტომ სავარაუდოა, რომ დევთერდერებს დაშვებული აქვთ შეცდომა და აქ უნდა იყოს იყოს არა ბაზანზირიძე, არამედ ბაზანდარიძე.
4. ბაჟანდიდიძე - (გვიქრობთ, უნდა იგულისხმებოდეს დღევანდელი გვარსახელი ბეჟანძე). ოსმან მეჰმედის ძე, აჰმედ მეჰმედის ძე, მოლლა აჰმედ აბდულის ძე, ალი მოლლა აჰმედის ძე, ალი სულეიმანის ძე, აჰმედ სულეიმანის ძე, იუსუფ სულეიმანის ძე. ზემო აჭარაში ამ გვარს აფიქსირებს თ. სახოკიაც.

გვხვდება სრულფასოვან ქართულ გვარზე ელემენტის „-ოლი“ დამატებით ჩაწერილი გვარი როდუნძე ოლი. ამ გვარსახელის მატარებლები არიან: 1. „როდუნძე ოლი მოლა აჰმედ ალის ძე“; 2. შემდეგი როდუნძე ოლი - დურსუნ მეჰმედისძე“ და სხვა.

არის გვარები, რომლებშიც ფორმანტი „-ოლი“ დამატებულია ქართულ პიროვნულ სახელზე - პაპუნოლი/პაპუნიოლი, და ბერძნულ პიროვნულ სახელზე - ბასილოლი.

დაბოლოს, გვარსახელთა უმეტეს ნაწილში ელემენტი „-ოლი“ ერთვის მუსლიმანურ (თურქულ, არაბულ, სპარსულ და სხვა) სახელებს *ალიბაშოლი, ბეჟირბაშოლი, ბიზიოლი (თუ ფეიზიოლი?), დაუდოლი, ზამოლიოლი, ისლამოლი, ისმაილოლი, მუსიოლი (თუ მოსიოლი?), ნადიკიოლი, ნამუქოლი, რამუქოლი (თუ ზამუქოლი?), სუფიოლი (თუ სომხიოლი?), ფენჯიკიოლი (თუ ფანჯიკიოლი?), ვიფინოლი, ქარსიკოლი, ქვასინოლი (?), ჩილალოლი, ჩელებოლი, ჩოლოლი, ხაბაზოლი, ჯებიზოლი, ჰალილოლი.*

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება სოფელ ბზუბზუში მცხოვრებ მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, ის წარმოდგენილია 68 კომლში მცხოვრები 170 მამაკაცის **57 სახელით**. ისინი მთლიანად

არაქართული და არაქრისტიანულია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აქაც თურქული, არაბული ან სპარსული წარმოშობისაა:

ყველაზე რეიტინგულ სახელთა პირველი ათეულის რაოდენობრივი, პროცენტული და ასაკობრივი მონაცემები ასეთია:

№	სახელი	რაოდ.	№	სახელი	რაოდ.
1	მეჰმედ	37	6	სულეიმან	18
2	აჰმედ	30	7	ჰუსეინ	16
3	ჰასან	23	8	იუსუფი	14
4	ალი	20	9	ისმაილ	12
5	ოსმან	19	10	ნუმანი	10

მომდევნო რეიტინგული ჯგუფები ასე ლაგდება:

ესად/ესედ - 5⁴; დურსუნ-4; არიფ-3, აგრეთვე ემინ; იდრის; შერიფ; შირინალი; აბდულა-2, აგრეთვე აზიზ; ქაჰრამან; ქუჩუქ; ხურშიდი; ჰასან; ბექირ-1, აგრეთვე: გენჯალ; დედე; დურსუნალი; დურსუნ-მეჰმედი; ეიუბი; ემინ-მუჰამედი; თაიარი; თაჰირი; იაყუბი; მაზლუმ; მაჰირ; მემიშ; მუთი; მუმი; მურად; მუსა; მუჰამედი; ნუმანი; ოსმან; ჯევერ; სადიკ; სალიკ; სელიმ; სეფერალი; ტათლი; ქაბრი; ქასუმ; ქემალ; შაბან; შაქირ; შირინ; ხიდირ; ჰაირულა; ჰარუნ..

როგორც მონაცემებიდან ჩანს, რეიტინგულ პიროვნულ სახელთა შორის ყველა ასაკობრივ ჯგუფში ერთნაირად პოპულარულია: მეჰმედი, აჰმედი, ალი, ოსმან, სულეიმანი, ისმაილი.

სახელთა ერთიან ჩამონათვალში, თუმცა არა რეიტინგულში, ვხვდებით ორმაგ სახელებსაც: დურსუნ-ალი, დურსუნ-მეჰმედი, ემინ-მუჰამედი, შირინ-ალი.⁵

ამრიგად, სოფელ დანდალოს მსგავსად, სოფელ ბზუბზუს 1835 წლის ანთროპონიმული სურათი 1574 წლის ანთროპონიმულ სურათთან შედარებით

⁴ სახელის გვერდით მიწერილი რიცხვი მიუთითებს, თუ მოცემული სოფლის რამდენ მცხოვრებს ერქვა ეს სახელი

⁵ ორმაგი სახელების დეფისით ჩაწერა ჩვენია - ე.ბ.

მკვეთრად არის შეცვლილი იდეოლოგიური თვალსაზრისით: ქრისტიანული და ქართული პიროვნული სახელები მთლიანად არის ჩანაცვლებული ძირითადად თურქული, სპარსული და არაბული წარმოშობის მუსლიმანური სახელებით. დანდალოსგან განსხვავებით ამას ემატება გვარსახელები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თურქულია.

2.5.3. სოფელ ვაიოს ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ოსმალური აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

მე-19 საუკუნის 30-იანი წლების სოფელი ვაიოც (ქედა), რომელიც დღეს ზემო აჭარას მიეკუთვნება, ჩილდირის ვილაეთში შედიოდა და ქვემო აჭარას მიეკუთვნებოდა მისი ანთროპონიმული სურათის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ დანდალოსგან განსხვავებით და ბზუბზუს მსგავსად, აქაც ჩნდება **სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელები: სახელი + გვარი + მამის სახელი**. კერძოდ ამ აღწერის მიხედვით სოფელ ვაიოში დაფიქსირებულია 65 კომლში მცხოვრები 163 მამაკაცის **26 გვარსახელი**, რომელთა შორისაც 6 (ანუ 23%) ქართულია:

1. მახაჩქაძე/მახარჩქაძე (სავარაუდოდ, დღევანდელი მახაჩქაძე) *მეჰმედ ისმაილის ძე; აღჯა-ალი სელიმის ძე; იეთიმ-ჰუსეინ საიდის ძე; სულეიმან მეჰმედ ეფენდის ძე*
2. *სონოგაძე (?) - მეჰმედ აჰმედის ძე;*
3. ტეტემაძე - *მეჰმედ აჰმედის ძე; მისი შვილები: გულაჰმედ მეჰმედის ძე; ოსმან მეჰმედის ძე; სულეიმან ოსმანის ძე (მეჰმედის შვილიშვილი); ალი აჰმედის ძე (მეჰმედის ძმა); მეჰმედ ალის ძე; მეჰმედის ძმიშვილი. სულეიმან მეჰმედ ეფენდის ძე; მოლა ალი მეჰმედ ეფენდის ძე, (სწავლობს სტამბოლში); ოსმან ჰუსეინის ძე; ჰუსეინ ოსმანის ძე; აჰმედ ჰუსეინის ძე; შირინ ჰუსეინის ძე; ქამილ ჰუსეინის ძე; მეჰმედ ჰუსეინის ძე; იუსუფ შირინის ძე;*
4. ჩივაძე/ჩივიძე (?) (სავარაუდოდ დღევანდელი ჩიკვაიძე? - *სულეიმან მეჰმედის ძე;*

5. განათამე (სავარაუდოდ დღევანდელი გათენამე) - აჰმედ მეჰმედის ძე; მისი შვილი - ადემ,

6. ჭურკვეიძე (სავარაუდოდ დღევანდელი ჩიკვაიძე?);

გარდა ჩამოთვლილი გვარებისა, იმჟამინდელ სოფელ ვაიოში სახლობენ „-ოლლი“ ფორმატიანი 20 გვარსახელის მატარებელი, რომელთა შორისაც ორი ქართული ძირისაა: დიგერხანოლი, იეთიმოლი, კლაიჯოლი, მეგილოლი, მერებლიოლი (მერისლიოლი), ორთუოლი, სუბაშიოლი, სუფიოლი, ფარღანოლი (ყარღანოლი), ქოროლი, ღუთიოლი, ყუიმჯიოლი, ჩოკადაროლი (ჩოხადაროლი), შავიოლი, შაქაროლი, ჩახალოლი, ხოჯიოლი, ჯუჯულოლი (ჭუჭულოლი).

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით სოფელ ვაიოში მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 163 მამაკაცის 45 პიროვნულ სახელს., რომლებიც მთლიანად არაქართული და არაქრისტიანულია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თურქული, არაბული ან სპარსული წარმოშობისაა.

ყველაზე რეიტინგული სახელების პირველი ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
7	მეჰმედ	21	6	იუსუფ	7
5	ოსმან	21	7	ქამილ	5
4	სულეიმან	15	8	ჰუსეინ	4
3	აჰმედ	13	9	სელიმ	3
3	ალი	9	10	იბრაჰიმ	3

როგორც ვხედავთ, წინა ორი სოფლის მსგავსად, რეიტინგულ სახელთა ჩამონათვალში აქაც ლიდერობს მეჰმედი, რომელიც აქაც ყველა ასაკისთვის

ერთნაირადაა რეიტინგული. ახალგაზრდულ სახელებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელები: იუსუფი, ქამილი და ჰუსეინი.

მომდევნო რეიტინგულ ჯგუფს შეადგენს 7 სახელი, რომლებიც ერქვა სოფლის 2-2 მცხოვრებს: *სალიჰ; სადიყ; ნუმან; გულაჰმედი; ქერიმ; ყარამან.*

და ბოლოს ცალკე ვაჯგუფებთ 28 სახელს, რომლებიც თითო მცხოვრებს ერქვა: *აღამ; არიგ; აღჯა-ალი; ბეშირალი; ბურხან; გენჯ-ოსმან; გულო; ესედ; თაიარ; იეთიმ; მეჰმედ-ალი; მოლა-ალი; მურად; მუსტაფა; მუხთი; ომერ; სერინ; სეფერ; ქემალ; ქიბარ; ყასიმი; ყედიმ-ალი; შერიგ; შეიხ-აჰმედი; შირინ; ხეირულა; ჰაჯი-ალი; ჰაჯი-მეჰმედი.*

სახელთა ერთიან ჩამონათვალში, თუმცა არა რეიტინგულში, ვხვდებით ორმაგ სახელებსაც: *აღჯა-ალი, გენჯ-ოსმანი, გულ-აჰმედი, მეჰმედ-ალი, მოლა-ალი, ყედიმ-ალი, შეიხ-ახმედი, ჰაჯი-ალი, ჰაჯი-მეჰმედი.*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1835 წლის სოფელ ვაიოს ანთროპონიმული სურათი 1574 წლის ანთროპონიმულ სურათთან შედარებით დანდალოს და ბზუბზუს მსგავსად მკვეთრად არის შეცვლილი მუსლიმანური პიროვნული სახელების და თურქული გვარების დამკვიდრების მიმართულებით. სახელების და მითუმეტეს, მამის სახელების აბსოლუტური უმრავლესობა (შეიძლება ითქვას, - 100%) არაქართული ან არაკალენდარულია. ანთროპონიმული მოდელი სამწევრიანია: პიროვნული სახელი+გვარი+ მამის სახელი.

2.5.4. სოფელ მარადიდის ანთროპონიმული პორტრეტი 1835 წლის ოსმალური აღწერის მონაცემების მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომზე ჩვენი მუშაობის დასკვნითი პერიოდისთვის 1835 წლის აღწერის მასალებიდან გამოქვეყნებული იყო მხოლოდ სოფელი მარადიდის აღწერის მასალები (შაშიკაძე, 2018), პარალელის გასავლებად მივმართავთ ამ მონაცემებსაც, მითუმეტეს, რომ როგორც ბატონმა ზაზამ პირად საუბარში აგვიხსნა, იმდროინდელი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათიც აბსოლუტურად იდენტურია.

ა) გვარსახელები

როგორც აღნიშნული მასალებიდან ჩანს, 1835 წლისთვის სოფელ მარადიდში ცხოვრობს დაახლოებით 226 მამაკაცი. შესაბამისად, სოფლის ანთროპონიმული სურათს ქმნის მათი პიროვნული სახელები, გვარები და მამის სახელები, მამასადამე, ბზუბზუს და ვაიოს მსგავსად, მარადიდელთა ანთროპონიმული სურათიც სამწევრიანია: სახელი + გვარი + მამის სახელი. **სულ დაფიქსირებულია 43 გვარსახელი**, რომელთა შორისაც ქართულია. მხოლოდ 3 (6,9%). ესენია:

1. *დელიკიძე* - იბრაჰიმ მეჰმედის ძე (საეჭვოა, შეცდომა არ იყოს დაშვებული, გადაამოწმე);
2. *მახარელი* - ოსმან აჰმედის ძე, აჰმედ ოსმანის ძე, მეჰმედ-ემინ ოსმანისძე
3. *მუთეველი* - აჰმედ სულეიმანის ძე.

დანარჩენი 40 გვარსახელი ნაწარმოებია „-ოლი“ ფორმანტის დამატებით: *აბდიოლი, ალთიფარმალოლი, ალიოლი, ბაქანოლი, გენჯალოლი, გულოლი, დაუთოლი, დელიოსმანოლი, დელიაჰმედოლი, დემირჩიოლი* და სხვა.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ ანთროპონიმთაგან ქართული ძირიდან ნაწარმოებია ერთი გვარსახელი - *ერისთავოლი*, ანალოგიურად შეიძლება ჩაითვალოს გვარსახელი *ჩანგუროლიც*, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვა ჩონგური თვითონ არ არის ქართული წარმოშობის.

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით სოფელ მარადიდში მათი საერთო რაოდენობა შეადგენს **226 მამაკაცის 60 პიროვნულ სახელს**, რომლებიც აქაც მთლიანად არაქართული, არაკალენდარულია და ცხადია, თურქული, არაბული ან სპარსული წარმოშობისაა.

ყველაზე რეიტინგული სახელების პირველი ათეული ასეთია:

1	ოსმან	28	6	სულეიმან	9
---	-------	----	---	----------	---

2	აჰმედ	27	7	ჰუსეინ	8
3	ჰასან	22	8	ალი	8
4	მეჰმედ	11	9	ომერ	8
5	დურსუნ	9	10	მურად	7

წინა სოფლებისგან განსხვავებით აქ რეიტინგულ სახელთა ათეულში ლიდერობს ოსმანი და აჰმედი, ხოლო მეჰმედი, მეოთხე ადგილზეა გადანაცვლებული. ახალგაზრდულ სახელებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს: ომერი, სულეიმანი და მურადი.

მომდევნო რეიტინგული ჯგუფები ასე განლაგდება: *მუსტაფა - 5; რეჯებ, შირინალი; შაბან-4; დილბერ-აჰმედი, ისმაილი; იუსუფ; მემი; სალიჰ; შირინ - 3; შაჰინი; ჰალილ; მუთი რეშიდ; ლომჯი; შერიფ; ლომჯი; ემინ; ბაირამალი - 2.*

და ბოლოს ცალკე ვაჯგუფებთ 29 სახელს, რომლებიც ჰქვია თითო მცხოვრებს: *ბილალი, გენჯოსმანი, თაჰირი, იეთიმი, იბრაიმი, იშილი; კასიმი მაჰირი, მელიქ-ოსმანი, მემიში, მეჰმედ-ემინი; ფუთი ოსმანი; უსტა სულეიმანი, ქემალი, უსტა ჰასანი, შირინი; ყავაჰასანი, ქუჩუქ აჰმედი, ტანტუ, ჰალილი, ხალიდი, ჰალიმი, იბრაჰიმი, იეთიმ-მეჰმედი, იეთიმ-ოსმანი, იეთიმ-შირინალი, სეფერი, მოლა მეჰმედი, მელიქ-ოსმანი.*

ამრიგად 1835 წლის სოფელ მარადიდის ანთროპონიმული სურათიც 1574 წლის ანთროპონიმულ სურათთან შედარებით მკვეთრად არის შეცვლილი მუსლიმანური პიროვნული სახელების და თურქული გვარების დამკვიდრების მიმართულებით. პიროვნულ სახელთა ბსოლუტური უმრავლესობა არაქართული ან არაკალენდარულია. აღნიშნულის მიზეზებს ნათლად ხსნის ზ. ჭიჭინაძე: „ქართული ენისა და მწიგნობრობის წინააღმდეგ მოლებმა და ხოჯებმა დაიწყეს ბრძოლა. ტრაპზონსა და სტამბოლში ნასწავლი მოლა-ხოჯები ხაფიზნიც და ყურანის ზეპირად მცოდნენი სასტიკად სდევნიდნენ ენასა და წიგნებსაც. ჩვენ თათრები ვართ და არა ქართველებიო, სჯულიც თათრული გვაქვს და ენა და წიგნიც თათრული უნდა გვქონდესო, ამბობდნენ ისინი. ეცადეთ, რომ ქართული დაივიწყოთ და ის ენა ისწავლოთ, რომელიც ღვთის ენაა და

რომლითაც ლაპარაკობდა ჩვენი მუჰამედიო. ქართული წიგნებიც (ან დასწვით, ან წყალში გადაყარეთ, რადგანაც უწმინდურიაო. ნელ-ნელა ამ საშინელმა ქადაგებამ თავისი მწარე ნაყოფი მოიტანა: ბევრმა ქართული დაივიწყა, თავისი დედა ენა უგულვებელ-ჰყო და წიგნებიც დასწვა. ეს არის მიზეზი, რომ ქართულის წიგნის და ხელთ-ნაწერის ხსენება თითქმის აღარ არის აჭარაში. მოხუცებულნი აჭარელნი ამბობენ, რომ ბევრი ძველებური წიგნი დასწვა ხალხმა, ძველებური ნივთი გააქრო და გადააშენაო. ძველი ნივთებს, დამპალ წიგნების ფერფლს და სხვა ამისთანებსაც ჰპოულობენ ნაეკლესიარებს ახლო. (ჭიჭინაძე, გვ. 75) ცხადია, ანალოგიური იყო მიდგომა ანთროპონიმის, ისევე როგორც ზოგადად ონომასტიკის მიმართ.

თავი III

ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი 1878 - 1921 წლებში

(ტრანსფორმაციის მეორე ეტაპი)

აღნიშნული ეტაპი იწყება 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომისა და აჭარის განთავისუფლების შემდეგ, რასაც ლოგიკურად უნდა მიეცა ბიძგი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ახალი ეტაპისთვის. ეს მართლაც ასე მოხდა, იკვლევს რა მაჰმადიანი მესხების გვარების ტრანსფორმაციის სოციოლინგვისტურ ფაქტორებს, კ. ბარათაშვილი სავსებით მართებულად წერს: „1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, მესხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი - აჭარა, რომელიც ოსმალთა უღელქვეშ იმყოფებოდა, დაუბრუნდა მშობლიური ქართული კულტურის წიაღს. მიუხედავად დიდი წნეხისა თურქული ადმინისტრაციის მხრიდან, აჭარლებმა მაინც შეინარჩუნეს ქართული თვითშეგნება და მასთან ქართული გვარებიც. მართალია გამაჰმადიანდნენ, მაგრამ თავს მაინც ქართველებად თვლიდნენ. **„აჭარის დაბრუნებით საქართველოში წარმოიშვა „ქართველი მაჰმადიანის“ ფენომენი და აღდგა ქართული პატრონიმები მაჰმადიანებში“** (ბარათაშვილი, 1997).

ადარებს რა დღევანდელ ანთროპონიმულ სურათს 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებთან, ავტორი წერს, რომ იმ ცხრილებზე უბრალო თვალის გადავლევაც კი, რომლებშიც ჩამოთვლილია სხვადასხვა წლებში რეგისტრირებული გვარები, ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რა მკვეთრად განსხვავდება ადრინდელი აღწერები 1886 წ. აღწერისაგან. **ამ უკანასკნელში ქართული გვარები გაცილებით მეტი რაოდენობითაა მოცემული.** აღნიშნულის დასტურად მკვლევარი იშველიებს შემდეგ მაგალითებს: 1873 წ. სოფ. პატარა სმადაში მცხოვრები ერთი კაცი თავს უწოდებს „დურსუნ ყოჩალი-ოღლი“-ს, ხოლო 1886 წ. იგი უკვე „დურსუნ ყოჩალი ოღლი-ბარამიძეა“ და თავს „ქართველ მაჰმადიანად“ თვლის. 1850 წ. სოფ. ჩორჩანში ცხოვრობდა კაცი, სახელად „მავლუდ აბდურაჰმან-ოღლი“, 36 წლის, „ეროვნებით თათარი“ მას ვხვდებით 1886 წ. აღწერაშიც, როგორც „მავლუდ აბდურაჰმან ოღლი

გოგიბერიძეს“, „ეროვნებით ქართველს“, ან კიდევ, სოფ. აწყვიტაში 1873 წ. რეგისტრირებული „რეზიდ მამედ-ოღლი, ეროვნებით თათარი“, 1886 წ. ხდება „რეზიდ მამედ ოღლი ვეფხვაძე ეროვნებით ქართველი“ და ა.შ. (ბარათაშვილი, 1997).

ცხადია, ანალოგიური ვითარება უნდა შექმნილიყო ზემო აჭარაშიც, რისი ნათელი დასტურიც არის პირველ რიგში, ქართველ საზოგადო მოღვაწეების: თედო სახოკიას, დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა მიერ ოსმალოსაგან განთავისუფლებულ ე.წ. „თურქეთის საქართველოში“, მათ შორის აჭარაში მოგზაურობისას შეკრებილი ცნობები, აგრეთვე საგვარეულოთა ისტორიებში მოცემული მასალები. უადრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის 1922 წელს, ე.წ. გასაბჭოებისთანავე, ბოლშევიკების მიერ ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და სხვა მონაცემები.

3.1. თედო სახოკიას მიერ 1897 წელს აჭარაში აღნუსხული გვარსახელები

1897 წელს, ანუ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებიდან სულ რაღაც ოცი წლის შემდეგ, თედო სახოკიამ ქვემო აჭარაში აღნუსხა გვარსახელები. წიგნში „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, რომელშიც ის წერს, რომ აჭარა ზეგნამდის უფრო იმერეთს ჰგავს ყველაფრით. ზეგნის მკვიდრნი — კი ჯავახელებს. აჭარის მცხოვრებთა გვარები უფრო „ძეებით“ თავდება და ზეგნის კი — „შვილებით“. საინტერესო ცნობებს იძლევა ავტორი იმჟამინდელ წარჩინებულთა გვარების შესახებ. ესენი არიან: პირფარეშის – ძენი ანუ დღეს *ბეჟანიძეები, შარუაშიძეები, დიასამიძეები, თურმანიძეები, ბერიძეები, მიქელაძეები, თავდგირიძეები, ნაკაშიძეები, ნიჟარაძეები და სხვები. ზეგანში: ხიმშიაშვილი, შალიკაშვილი, ავალიშვილი, ავალიანი, ბარათაშვილი, ბაგრატოვანი, ჯაყელი, ორბელიანი, ერისთავი და სხვა.*

თ. სახოკიას ზემო აჭარის მცხოვრებთა სია ცალკე არ აქვს წარმოდგენილი, თუმცა დასძენს: „არა გვგონია, აქ ჩამოთვლილი გვარების გარდა ოცზე მეტი იყოს განსხვავებული. (სახოკია, 1985: 209-212). აქვე ჩამოთვლის ის მთლიანობაში 146

გვარსახელს, რომელთაგანაც 141 (96,5%) ქართულია⁶: *აბაშიძე, აბუეთელი, აბულაძე, ავალიანი, აზნაურაშვილი, ალექსიძე, ანანიძე, ასამბაძე, ახველი, მანველიძე, ბაიძე, ბაზანდრიძე, ბალაძე, ბარამიძე, ბასილაძე, ბედინაძე, ბეჟანიძე, ბერიძე, ბოლოძე, ბოლქვაძე, ბროლაძე, გაბლაძე, გათენაძე, გელაძე, გვიანიძე, გზავრიძე, გოგიტიძე, გოგლაძე, გოგრაშვილი, გორგილაძე, გორაძე, გორდელაძე, დავითაძე, დევაძე, დვალიძე, დიასამიძე, დუმბაძე, ვაშაკიძე, ვაშაყმაძე, ვენაძე, ზანაქიძე, ზაქარაშვილი, ზაქარიძე, ზოიძე, თავდგირიძე, თებიძე, თეღიაშვილი, ტეტემაძე, თელიაშვილი, თოდრაძე, თურმანიძე, იაშვილი, ირემაძე, კანტაჭრელი, კარიჭაშვილი, კახაბერიძე, კახიძე, კვირიტაძე, ქიძინიძე, კობლაძე, კონცელიძე, კილაძე, კვირიკაშვილი, კიბორიძე, კოჭობაშვილი, კუზიაშვილი, კურცხალია, ლაზიშვილი, მაკარაშვილი, მამინაიშვილი, მარშანია, მატარაძე, მაჭახელიძე, მასაჩქაძე, მახაჭაძე, მეგრელიძე, მიქელაძე, მორთულაძე, ნათაძე, ნაკაშიძე, ოროშვილი, ოქრიაძე, პაპუნძე, ფარტენაძე, პარხალიშვილი, პეტრიძე, ჟღენტი, საბძელიშვილი, საითაძე, სალიძე, სანიკიძე, სარაჯიშვილი, სახაშვილი, სერობიძე, სოლოლაშვილი, სურმანიძე, ტაკიძე, ტურიაშვილი, ტრიკაძე, უსტიაშვილი, უჩხაშვილი, ფარსენიძე, ფოცხოველი, ქავთარაძე, ქათამაძე, ქაჯაია, ქინძაძე, ქუჩუკაშვილი, ღორჯომელიძე, ყარაშვილი, ყარაჩიშვილი, შავიშვილი, შავლიშვილი, შავლიძე, შარაბიძე, შარვაშიძე, შაქარიძე, შოთაძე, ჩაქველიშვილი, ჩერქეზიშვილი, ჩიკვაძე, ჩიკოლაძე, ჩიკუტაძე, ჩხაიძე, ჩხეიძე, ცარიელაშვილი, ცინცაძე, ძველიშვილი, ძიძიშვილი, ძნელაძე, წავიშვილი, წანწალიკიშვილი, წვიტიშვილი, წითელაძე, წითლაძე, წულუკიძე, ჭიანიშვილი, ჭინკაძე, ჭინჭარაძე, ჯაბნიძე, ჯაყელი, ხოხნელი (სულ-141). „-ოლლი“ ფორმატიანი თურქული გვარსახელია ხუთი, რომელთაგანაც სამი ქართულ გვართან ერთად ქმნის ორმაგ გვარს: ირემაძე-ხათიბოლლი, ყადიოლლი-ბოლქვაძე, ბეჟანიძე-ბეჟანოლლი; ბაიდაროლლი; ლომანოლლი.*

გვარსახელთა ტრანსფორმაციის ტენდენციების შესახებ თ. სახოკია არ საუბრობს. ის მხოლოდ აფიქსირებს ზემოთ ჩამოთვლილ გვარებს. შესაბამისად ჩნდება კითხვა: რამ შეცვალა ასე რადიკალურად აჭარის ანთროპონიმული (კერძოდ, გვარსახელთა) სურათი

⁶ აღნიშნული ჩამონათვალი შედარებულია დღევანდელ მონაცემებთან, რომლის საფუძველზეც იმდროინდელი უშუალოდ ზემო აჭარული გვარები გამოყოფილია გამუქებით და ხაზგასმით.

სულ რაღაც 30 წლის შემდეგ? ცხადია, ამ მიმართულებით რუსეთის იმპერიის რაიმე სახის სახელმწიფო პოლიტიკაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. პირიქით, რუსული იმპერიული პოლიტიკა მაქსიმალურად იყო მიმართული დაპყრობილი ხალხების ეროვნული თვითშეგნების კვალის წაშლით. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში მშობლიური გვარსახელებისკენ მიბრუნება იწყება სპონტანურად. თავი იჩინა ქართულმა ტრადიციულმა დამოკიდებულებამ გვარის ერთიანობის განცდის, გვარიშვილობის ინსტიტუტის, გვარის შიგნით სისხლით ნათესაობის მიმართ, რასაც საქართველოში ყოველთვის სცემდნენ პატივს. აშკარაა, რომ აჭარის მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში მყარად იყო შემონახული საუკუნეების მანძილზე ფაქტობრივად აკრძალული მშობლიური გვარსახელები. ამ პროცესში რელიგიურმა ფაქტორმა აშკარად ვერ მოახდინა იმ დონის ზეგავლენა, რასაც ადგილი ჰქონდა პიროვნულ სახელთა სფეროში. რაც შეეხება 1835 წლის აღწერის მასალებს, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გასაკვირი ის, რომ მათში ქართული გვარსახელები იმ დოზით ვერ აისახა, როგორც თ. სახოკიასა და სხვა ქართველ მამულიშვილებთან. თურქი დევთერდერები, ცხადია, გაცილებით ნაკლებად იქნებოდნენ (უფრო სწორად, საერთოდ არ იქნებოდნენ), დაინტერესებული გამოერკვიათ და დაეფიქსირებინათ ქართული გვარსახელები, ვიდრე ამას ქართველი მამულიშვილები აკეთებდნენ. ცხადია, ეს არც არის გასაკვირი, რადგან დაპყრობილი ხალხებისადმი მსგავსი მიდგომა ზოგადად დაპყრობითი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. ამის დასტურად შეიძლება პარალელი გავავლოთ, მაგალითად, გამუსლიმანებული მესხების (ე.წ. თურქი მესხების) ანთროპონიმის მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან: „ისინი ხშირად ქართული ანთროპონიმებისათვის თურქული ჟღერადობის მიცემით ცდილობდნენ ცალკეული ისტორიული პირების თურქული წარმომავლობის მტკიცებას. ასე იქცა მზეჭაბუკი - მირზა ჩაბუკად, ყვარყვარე - კორკორედ, ბექა - ბეკად (ბეგად - ლ.ჯ.) და ა.შ.“ (ჯანიაშვილი, 2007). ქართველი მამულიშვილები კი დიდი რუდუნებით ცდილობდნენ წარმოეჩინათ და გაეღვივებინათ დედა სამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის მოსახლეობის მშობლიურ გარემოსთან დამაკავშირებელი მცირეოდენი ძაფიც კი.

3.2. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი ზ. ჭიჭინაძის მონაცემების მიხედვით

ამავე პერიოდის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის მაგალითებს უხვად იძლევა ზ. ჭიჭინაძეც. როგორც ე. ბერიძე წერს, ეს არის უმნიშვნელოვანესი და უიშვიათესი მასალები, რადგან ისინი ემყარება ხალხში დაცულ ინფორმაციებს, რომელთა მოპოვებაც უკვე შეუძლებელია (ბერიძე, 2006, 56). ეს მასალები თავის დროზე ქვეყნდებოდა XIX საუკუნის პერიოდულ პრესაში („დროება“ და ივერია“). შემდეგ კი წიგნებად გამოიცა. ის წერს: „აჭარის მცხოვრებთა გვარები უფრო ძეებით თავდება და ზეგნისა კი - შვილებით. თვით ძველთ აზნაურთა და თავადთა გვარებიც - კი ასე განირჩევა აჭარაში (ჭიჭინაძე, 1913: 66).

ქვემო და ზემო აჭარის მასშტაბით (რომელსაც ის ზეგანს უწოდებს) ზ. ჭიჭინაძე ჩამოთვლის 75 გვარსახელებს: *აბაშიძე, აბულაძე, ავალიშვილი, ავალიანი, ალიქოღლი, ანდლულაძე, ბარათაშვილი, ბაგრატოვანი, ბაირახტარ-შავიშვილი, ბერიძე, გელიოღლი, გელიაშვილი („დღეს გელიოღლად იწოდებიან“), გოგიაშვილი, გორისშვილი, დადიანიძე, დიასამიძე, ერისთავი, თავდგირიძე, თევდოროღლი (ავალიანი) თოფალაშვილი, თულუმბა-ზადე (ბეჟანიძე), ზაქარაძე, თურმანიძე, კაკაცოღლი, კობალაძე, კომახიძე, მამულაიშვილი, მუჟანაძე, მიქელაძე, ნაკაშიძე, ნიჟარაძე, ორბელიანი, პირფარეშის - ძე (ბეჟანიძე), საფარიშვილი, საფარიძე, ტაბიძე, ქარცივაძე, ციცქიშვილი, წითელაძე, წინწკარაშვილი, შავიძე, შალიკაშვილი, შარაბიძე, შარუაშიძე, შოთიძე, ჩახლოღლი, ჩიბურდანიძე, ჩიჯავაძე, ჩიკოიძე, ჩხეიძე, ლოლაძე, ჭინკაძე, ხაბაზ-ქამჯარაძე, ხალიფაშვილი, ხახუტოღლი, ხიმშიაშვილი, ჯალაბაშვილი, ჯაყელი, ჯიფორაშვილი, და სხვანი“ (ჭიჭინაძე, 1913: 67).*

როგორც ვხედავთ, ზ. ჭიჭინაძის მიერ დაფიქსირებული 75 გვარიდან 54 ანუ 72% ქართულია. საინტერესოა აგრეთვე ორი ორმაგი გვარსახელი, როელთა ორივე კომპონენტი ქართულია (*ხაბაზ-ქამჯარაძე, ბაირახტარ-შავიშვილი*) მაშასადამე, თურქულენოვანი ანთროპონიმული სურათის ქართულენოვანით შეცვლისკენ ტენდენცია აშკარაა. ავტორი ცდილობს კიდევ ამ ტენდენციის ახსნას, როცა წერს, რომ „ამ დრომდის

ჩვენ მათი სულ არაფერი ამბები ვიცოდით; სამი საუკუნის განმავლობაში ისე დავშორდით ერთმანეთს, ისე მიგვავიწყდა ერთმანეთი, რომ ერთმანეთის არსებობაც - კი აღარ ვიცოდით! ამ ოცი წლის წინეთ ქართველი კაცისთვის, რომ გეთქო: ქართველი მაჰმადიანი ვარო, ისე გაოცებით შემოგხედავდა. დღეს - კი ეს ცოტათი ყველასათვის ცხადი შეიქნა. ცოტათი ჩვენც გავიცანით იგინი და იმათაც გაგვიცნეს ჩვენ (ჭიჭინაძე, 1913: 6).

საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის მოსაზრება ხულოს ანთროპონიმული სურათის შესახებ: „აქაურ ხალხის გვარებში კაცი ნამდვილ ჯავახურ გვარებსაც შეხვდება, ქართლურსაც და იმერულსაც. ამბობენ, 1829 წ. რუსმა რომ ახალციხე აიღო, მაშინ იქ ბევრნი არ დარჩნენ და აქ გადმოსახლდნენო. ზოგი იმ დროის გადმოსული კაცი მე ვნახე. მათთან ლაპარაკი მქონდა და მათ აღიარეს რომ ჩვენ მაში ძრეელ შევცდით, რომ ჩვენი ადგილები დავკარგეთ და აქეთ წამოვედითო. თუმცა ეს უფრო მშვენიერი ადგილებია, მარამ მაინც უბრალოდ, ბედი-ავად ჩვენი სახლები და ადგილები არ უნდა დაგვეკარგაო (ჭიჭინაძე, 1913: 137).

3.3. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდი (1918-1921)

რაც შეეხება დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის ენობრივ-კულტურულ პოლიტიკას, კონკრეტულად კი ქართული ანთროპონიმული სურათის მიმართ დამოკიდებულებას, ვფიქრობთ, ზოგადად ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია. როგორც ს. ჭაავა წერს, საქართველოს შემადგენლობაში აჭარა-ტაო-კლარჯეთის დარჩენის საკითხი იმ დროს დავის საგანს წარმოადგენდა. მასზე პრეტენზიას აცხადებდნენ, ერთი მხრივ, თურქეთი და მეორე მხრივ, გენერალ დენიკინის “მოხალისეთა არმია”. პრეტენზია ჰქონდა აგრეთვე რუსეთის საბჭოთა რეჟიმსაც. ყველა პრეტენდენტი ცდილობდა აფხაზეთში, აჭარასა და შიდა ქართლში ვითარების თავის სასარგებლოდ არევას (ჭაავა, 2019: 19.) როგორც მკვლევარი აღნიშნავს, როგორც ენობრივი პოლიტიკის, ისე ზოგადად სწავლა-განათლების მიმართულებით ქვეყანაში უმძიმესი ვითარება იყო

შექმნილი. ასე მაგალითად, „ბათუმის ოლქში არსებულ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას აღწერდა ბათუმის ქართული გიმნაზიის წარმომადგენელი ჩიქოვანი. იგი წუხდა, რომ ოლქის სკოლებს შესაფერისი შენობები არ ჰქონდათ. სკოლების დიდი ნაწილი თურქების შემოსევის დროს დახურულა, ხოლო ბათუმის ქართული გიმნაზიის შენობა რუსებს მიუთვისებიათ“ (ჭაავა, 2019: 19-20). ცხადია, ასეთ ვითარებაში რაიმე სახის ოფიციალური სახელმწიფო ენობრივ-კულტურული პოლიტიკის გატარებას ვერც აჭარაში და მითუმეტეს, ვერც მთლიანად ტაო-კლარჯეთში, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებდა. ამავე დროს, არის მოსაზრებებიც, რომ ამ მიმართულებით ის მაინც ცდილობდა გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. ეს კარგად ჩანს, მაგალითად, ლ. ჯანიაშვილის მოსაზრებებში გამუსლიმანებული მესხების (ე. წ. „თურქი მესხების“) ანთროპონიმის შესახებ: „რაც შეეხება ქართულ გვარსახელებს, რომლებიც დღემდე ფიქსირდება დეპორტირებულთა შორის (როგორც წესი პოლიტიკური ლიდერების უმეტესობას ქართული გვარსახელები აქვთ - ლ.ჯ.), პანთურქისტ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ფენომენი 1918-21 წლებში მენშევიკური საქართველოს ხელისუფალთა იძულების შედეგად არის გაჩენილი (ჯანიაშვილი, 2007).

აღნიშნულ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ ვითარებას მიმოიხილავს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრი ხატია დავითაძე, ის იკვლევს ქართული სასკოლო განათლების ფორმირების საკითხებს აჭარაში 1918-1921 წლებში, თუმცა სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათის პრობლემატიკას არ ეხება (დავითაძე, 2021: 29-48),

ერთი სიტყვით, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ნათლად იაზრებდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ყურადღება მიექცია აღნიშნულ რეგიონებში ქართული ანთროპონიმული სურათის დაბრუნების პრობლემატიკას, რაც მკაფიოდ გამოჩნდა ოდნავ მოგვიანებით, 1922 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში. რამდენად არის ამ დინამიკაში მათი დამსახურება, ამ ეტაპზე ეს ჩვენთვის რთული

სამტკიცებელია და ცალკე კვლევის საგანია. ერთი რამ ნათელია: მოგზაურთა და საზოგადო მოღვაწეთა ჩანაწერების მსგავსად მითითებული აღწერის მასალებში ნათლად ჩანს, რომ ზემო აჭარის მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში არსად გამქრალა ქართული ანთროპონიმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი - ქართული გვარსახელები და როგორც კი ამის საშუალება მიეცა, მაშინვე ამოტივტივდა ზედაპირზე.

თავი IV

ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მასალების მიხედვით (კონკრეტული სოფლების მონაცემები)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დიაქრონულ ასპექტში ანალიზის თვალსაზრისით საბჭოთა პერიოდის წყაროებიდან ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია 1922 წელს, აჭარის ე.წ. გასაბჭოებისთანავე ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის აღწერის საარქივო მასალები. მათში მოცემული ანთროპონიმული სურათი შემდეგი თავისებურებით გამოირჩევა:

- ამ მასალებში ასახულია ზემო აჭარის ანთროპონიმის ტრანსფორმაციის მეორე ეტაპის ბოლოს ანუ ოსმალეთისგან განთავისუფლებულ აჭარაში 1878 – 1921 წლებში მიმდინარე პროცესების შედეგი, რის გამოც ჩვენი ნაშრომის წინასწარ დაცვაზე მიღებული შენიშვნა, რომ ეს მასალები უნდა მიგვეკუთვნებინა 1921-1991 წლების პერიოდს, ჩვენ არ გავიზიარეთ;
- მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის „დავთრების“ მსგავსად, აქაც უმთავრესად მამაკაცებია აღრიცხული (თანაც მხოლოდ კომლის უფროსები), თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ქალის პიროვნულ სახელებსაც;
- ანთროპონიმული მოდელი ორწევრიანია, ოღონდ განსხვავებულია მათი ტიპები: თუ მე-16 საუკუნის „დავთარში“ ეს არის მოდელი - „სახელი + დიდი ალბათობით მამის სახელი“, 1922 წლის აღწერის მასალებში არის მოდელი „სახელი + გვარი“. მამასადამე, 1922 წლის აღწერის მასალებში მამის სახელები არ არის აღრიცხული. 1835 წლის აღწერის მასალებშიც მხოლოდ მამაკაცებია აღრიცხული, ოღონდ კომლის უფროსების გარდა აქ ოჯახის წევრი მამაკაცების სახელებიცაა დაფიქსირებული, მათ შორის ახალშობილების.
- აღწერის მასალებში მოცემული ანთროპონიმული სურათი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ „ქართველი მაჰმადიანის“ ფენომენი ქართული

კულტურის წიაღში აჭარის დაბრუნების შემდეგ წარმოიშვა. მიუხედავად დიდ წნეხისა ოსმალური ადმინისტრაციის მხრიდან აჭარლებმა მაინც შეინარჩუნეს ქართული ტრადიციები და გვარები. მართალია გამაჰმადიანდნენ, მაგრამ თავს მაინც ქართველებად თვლიან“ (ჭოჭუა, 2009).

4.1. ქედა. დღევანდელ დანდალოს თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; №14. გვ.187-188).

ა. გვარსახელები

დანდალოს თემის სოფლებიდან 1922 წლის აღწერის ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალებში აღრიცხულია სოფლების (დანდალოს (დონდალო), ხარაულის და ჯალაბაშვილების მცხოვრები 160 მამაკაცის (კომლის უფროსის) 74 გვარსახელი და 80 პიროვნული სახელი. (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; გვ. 187-189. გვარსახელების ჩამონათვალი ასეთია:

მხოლოდ დანდალოს სოფლებში ლოკალიზებული გვარები: *ავალიანი, ალიშანოღლი, არანოღლი, არძენოღლი, ბაიაზოღლი, გულახმედოღლი, გულოფანოღლი, გუმბაშოღლი, დევირმანჩოღლი, დევრიშოღლი, დურაყოღლი, ემინოღლი, თეიაროღლი, თემელოღლი, კალაიჯოღლი, მანველიძე, მაჰიროღლი, ნენველოღლი, რეჯებოღლი, რიზმანოღლი, საყიფოღლი, სეიფოღლი, სულოღლი, უსტალოღლი, უსტახასანოღლი, ყავთალოღლი, ყარამედოღლი. ყემბეროღლი, ჩოქთიოღლი, ჩხუბოღლი, ცინცაძე, ჭიყალიძე (თუ ჭალალიძე?), ხაჯიეფენდოღლი, ჯემშუნოღლი, ჯიღურიოღლი. (სულ-35).*

გვარები, რომლებიც დაფიქსირებულია არა მარტო დანდალოში, არამედ აჭარის სხვა სოფლებშიც: *ადემოღლი, ალიოღლი, არიფოღლი, ახმედოღლი; ბერიძე, ბეჟიროღლი, გულოღლი, დურსუნოღლი, ველიოღლი, თოფალოღლი, ისმაილოღლი, იუნუსოღლი, იუსუფოღლი, მამუდოღლი, მევლოდოღლი, მელეეოღლი, მემედოღლი, მგელაძე,*

მოლოდელი, მუსტაფოღლი, მუხამედოღლი, ოსმანოღლი, სეფეროღლი, სულეიმანოღლი, ტათლიოღლი, ტარიელაძე, ქემალოღლი, ქოსოღლი, ყარაბდოღლი, ყასუმოღლი, ყულფანოღლი, შაქიროღლი, შირინოღლი, ხასანოღლი, ხაჯიოღლი, ხუსეინოღლი, ჰელიმოღლი (სულ - 37).

როგორც ვხედავთ, მოცემული საარქივო მასალების მიხედვით, დანდალოში დაფიქსირებული **74 გვარსახელიდან ქართულია მხოლოდ 7 ანუ (9,5%),** რომლებიც ნაწარმოებია:

1. „-იან“ ფორმანტით - ავალიანი,
2. „-ძე“ ფორმანტით - ბერიძე, მანველიძე, მგელაძე, ცინცაძე, ტარიელაძე, ჭიყალიძე.
3. „-შვილი“ ფორმანტით ნაწარმოები ქართული გვარსახელები აღნიშნულ მასალებში არ გვხვდება.

დანარჩენი 67 გვარსახელი ანუ 90,5% არის ისევ და ისევ თურქული და ნაწარმოებია ძირებზე, „ოღლი“ ფორმანტის დამატებით. ამ გვარსახელთაგან 35 (მათ შორის 3 ქართული) მხოლოდ დანდალოშია (დანდალო, ჯალაბაშვილები, ხარაულა) ლოკალიზებული.

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით დანდალოს თემის ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მათი საერთო რაოდენობა შეადგენს **160 მამაკაცის 80 პიროვნულ სახელს**, რომელთა 100% ისევ და ისევ მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია.

ე.წ. რეიტინგული სახელების ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მევლუდ	12	6	ახმედ, ზექერია,	6
2	დურსუნ,	11	7	მერჯან, ხუსეინ	5
3	სულეიმან	10	8	ეუბ, მემედ, მუხამედ, ხასან	4

4	ოსმან	9	9	აბდულ, ალი, ისკენდერ, იუნუს	3
5	ისმაილ	7	10	ასლან, დემურალი, ზაბით, თევფიყ. ლომან, მუსა, რიზალ, სელიმ, ფერათ, ზულუს	2

და ბოლოს, 47 პიროვნული სახელი (63%) მხოლოდ თითო მცხოვრებს ერქვა: აბას, ალისულთან, ალიჯან, ალაჯან, ბაშალა, გულა, დაუთ, დილბაზ, ემინ, ეშრეფ, ზეირალ, თალიბ, თევრათ, იბრაიმ, ისლამ, იუსუფ, მახმუდ, მემედალი, მიჰრალ, მოლა-შაქირ, მუსტაფა, ომერ, რამიზ, რასიყ, რიზა, საიდ, სოლალა, უსუფ, უსეინ, ფერათ, ქამილ, ქერემ, ყედირ, შამილ, ყემბერ, შაქირ, შახველედ, შაჰია, შაჰინ, შეიდალ, შირინ, შუქრი, ხასანი, ხასანალი, ხაჯი, ჯივან, ჰავა.

ამრიგად, 1922 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით დანდალოს თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმულ სურათზე 1878 – 1921 წლების პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარადიგმის ცვლის რადიკალური გავლენა არ ჩანს. 74 გვარსახელიდან მხოლოდ 7 ანუ 9,5%-ია ქართული, დანარჩენი 66 ანუ 90,5 % კი თურქულია. რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, 100% კვლავინდებურად არაქართული და არაქრისტიანულია.

4.2. ქედა. დღევანდელ ცხმორისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29. გვ.189-190, აღმწერი ვლ. ნიკოლაიშვილი).

ა. გვარსახელები

დღევანდელი ცხმორისის თემის სოფლებიდან 1922 წლის აღწერის ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალებში აღრიცხული სოფლების (ახოს, გეგელიძეების (აღწერის მასალებში - გეგელიძე), ცხმორისის და კოკოტაურის) მცხოვრები **240 მამაკაცის 85 გვარსახელი**

(აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; №14, გვ. 189, 190, 192,193, 197). გვარსახელების ჩამონათვალი, ორ ჯგუფად შეიძლება გავყოთ: ეხენია:

1. **ქართული გვარსახელები (26 ანუ 30,5%):** აბაშიძე, ალიაღაშვილი, ანანიძე, ბალაძე, ბასელიძე (?), ბდღვანელი (შესაძლებელია დღვანელი), ბერიძე, ბოლუქვაძე, გეგელიძე, გეგიძე, გოლომანიძე, დიასამიძე, ვასაძე, ზოიძე, თავდგირიძე, ირემაძე, კონცელიძე, მამუჭაძე, მახარაძე, ნაკაშიძე, სამნიძე, ქათამაძე, ძნელაძე, წულუკიძე, ხულელი. როგორც ვხედავთ:

- ქართული გვარების აბსოლუტური უმრავლესობა (26-დან 23) ნაწარმოებია ფორმანტით „-ძე“;
- არის აგრეთვე „-შვილი“ ფორმანტით ნაწარმოები ერთადერთი გვარსახელი ალიაღაშვილი“, რომელიც ნაწარმოებია მუსლიმანური პიროვნული სახელისგან.
- არის წარმომავლობაზე მითითების შემცველი „-ელ“ სუფიქსიანი ორი გვარიც: ბდღვანელი და ხულელი.

2. „-ოლი“ ფორმანტიანი თურქული გვარები (59 ანუ 69,5%): აბუქეთელოღლი, ბოლოკოღლი, ბურანოღლი, დელიმემედოღლი, ზურნაჯოღლი, თითოღლი, მასაკოღლი, მუთიოღლი, ომეროღლი, სულიოღლი, ტუარჯოღლი, ქაზიმოღლი, ქოთხოროღლი, ქურთოღლი, ყარიმოღლი, ჩალოღლი, ჩელიბოღლი, ძველოღლი, ხეჯიმოღლი და სხვა. თურქულ გვარების აბსოლუტური უმრავლესობა ფორმანტით „-ოლი“ ნაწარმოებია მუსლიმანური პიროვნული სახელებისგან, არის ერთი ქართული ძირიც - ძველოღლი.

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით ცხმორისის თემის ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 240 მამაკაცის 78 პიროვნულ სახელს, რომელთა 100% ისევ და ისევ მთლიანად

არაქართული და არაკალენდარულია. ერთადერთი გამონაკლისია კუკულა, რომელსაც გვარიც არათურქული აქვს (ხულელი კუკულა).

ე.წ. რეიტინგული სახელების ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მევლუდ, ოსმან	18	6	ომერ, ყედირ	7
2	ხუსეინ	16	7	ხასან,	6
3	დურსუნ, მერჯან, აბდულ	10	8	შაქირ	5
4	ახმედ	9	9	შაყბან, სულა	4
5	ისმა(ლ)ილ	8	10	შერიფ, ხულუს	3

როგორც ცხრილიდან ჩანს, დანდალოს თემის მსგავსად პირვეული ათეულის ჩამონათვალში აქაც ლიდერობს პიროვნული სახელები მევლუდი და ოსმანი.

მომდევნო ჯგუფს შეადგენს 21 პიროვნული სახელი (9,5%), რომლებიც ერქვა სოფლის 5, 4, 3 ან 2 მცხოვრებს: *შაქირ, ალი, ეუბ, სულა, შაღბან, ისკენდერ, მემედ, მურთაზ, შერიფ, ხულუს, ახმეჯან, ბილალ, დაუთ, ზაბით, თალიბ, თევფიყ, თურან, იუნუს, მურად, ხასანალი, ხელილ.*

დაბოლოს, 44 სახელი (63%) ერქვა თითო მცხოვრებს: *აბას, აბიდ, აზაფ, ალიოსმან, არიფ, ბექირ, გუმიშ, დურაყ დემურალი, დურსუნალი, ესრეთალი, ვეზირ, ზექერია, იშიყ, კუკულა, მერჯან, მახმუდ, მახირ, მემედალი, მეჯიდ, რეშიტ, რეჯებ, რიზა, რიზმან, სალიხ, სევჯან, სეფერალი, სულეიმან, უზეირეფენდი, ფეიზულ, ფეხლულ, ქაზიმ, ქამილ, ქიბარ, ყიზეთ, შაალ, შახი, შევყი, შუქრი, ხასან, ხუმუთ, ჯემალ, ჯივან.*

ცხმორისის სოფლებში არქმევდნენ ორმაგი სახელებსაც, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა (7-დან 6) ერთეულ სახელთა ჯგუფში შედის.

ამრიგად, საკვლევი პერიოდის ცხმორისის თემის ანთროპონიმული სურათის დინამიკა გაცილებით მეტადაა თვალსაჩინო, ვიდრე ეს დანდალოს მაგალითზე ჩანდა.

„-ოლი“ ფორმატიანი თურქული გვარების ხვედრითი წილი აქ 69%-მდეა შემცირებული. რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, აქაც ანალოგიური ვითარებაა: პიროვნული სახელების 100% კვლავინდებურად არაქართული და არაქრისტიანულია.

4.3. ქედა. დღევანდელ წონიარისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

სოფელ წონიარისის და მასში შემავალი სოფლების (წონიარისი, ვარჯანისი, აბუქეთა, კანტაური) 1922 წლის აღწერის მასალებში აღრიცხულია 153 მამაკაცის 72 გვარსახელი და 71 პიროვნული სახელი. (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; გვ. 194-193). გვარსახელთა შორის ქართულია მხოლოდ 5 (7%): *ბარამიძე, ბერიძე, გეგიძე, წულუკიძე და კაპუნძიძე*, როგორც ვხედავთ, ყველა მათგანი ნაწარმოებია „-ძე“ ფორმანტით, „-შვილი“ ფორმანტით ნაწარმოები გვარსახელი წონიარისში არ გხვდება.

დანარჩენი 50 გვარსახელი (94,4%) არის თურქული და ნაწარმოებია ძირეზზე, „-ოლი“ ფორმანტის დამატებით. ესენია: *ალიბაირახტაროღლი, ალიჯანოღლი, აფხაზოღლი, არჩიოღლი, ახისხოღლი, ბარდანოღლი, ბახტიაროღლი; ბეგირმანჯოღლი, დელიმიმიშოღლი, დემუროღლი; დემურჩოღლი, დიშლიოღლი, თოფჩიოღლი, იუზბაშოღლი, კვირხილოღლი, მახმუდოღლი, მათიროღლი, მეზერჯოღლი, მისინოღლი; მუროღლი, მუშალოღლი, რესულოღლი, ფელეგანოღლი, ქიბაროღლი, ქუფუროღლი* და სხვა.

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით დანდალოს თემის ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 153 მამაკაცის 71 პიროვნულ სახელს, რომელთა 100% ისევ და ისევ მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია.

ე.წ. რეიტინგული სახელების ათეული ასეთია:

	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	ხუსეინ	10	6	ბაშალა, დაუთ, თალიბ, ისმაილ, მემედალი,	6
2	სულიმან	9	7	დემურალი, ეუბ, ზეკერია, თურან,	5
3	დურსუნ, ხასან	9	8	მერჯან, ყადირ, შაქირ	4
4	ოსმან	8	9	ისკენდერ, ისლამ, ისმაილ,	3
5	აბდულ, ახმედ, მევლუდ, მემედ	7	10	მურად, მუხამედ, რეჯებ, ყედირ, ყიზეთ, შერიფ	2

დანარჩენი პიროვნული სახელები ერთეულია: ალი, ახმედეფენდი, ახმეჯან, ბაირამალი, გუმბალი, ეიუბ, ემინ, თევრათ, თულფან, მამუდ, მახმუდ, მეიდან, მეჯიდ, მიხტათ, მოლასულიმან, მუჰერემ, ნურია, ომერ, რეზიყ, რემიზ, რესულ, რეშიტ, რეჯებ, რიზა, რიზმან, სულია, ფაშალი, ფერჰათ, ქაზიმ, ქელეშ, ყამიდ, ყარალა, ყასუმ, შამილ, შაყბან, შახველედ, შაჰნალი, შერინ, შირინალი, ხუსია, ჯივან, ჰაფიზ - სულ 42.

4.4. ქედა. დღევანდელ მერისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; გვ.195-199).

ა. გვარსახელები

ქედის მუნიციპალიტეტის მერისის თემში დღეს შედის სოფლები: მერისი, გარეტყე, გუნდაური, ინაშარიძეები, ნამონასტრევი, სილიბაური, სიხალიძეები. 1922 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია: ორთამელა, ბარამოლლი, ქემიშოლლი, სიხალიძე, სილიბაური, ინაშარიძე. საინტერესოა, რომ სოფლებს ორთამელას, ბარამოლლის და

ქეშიშოლის 1948 წელს გადაერქვა სახელები: „გაერთიანდეს სოფლები ორთამელა და ქეშიშოლი და ეწოდოს მერისი ... სოფელ ბარამოლლებს ეწოდოს გუნდაური“ (ბარამოლლები/გუნდაური)“(უწყებები, 1948: 35)

აღწერის მასალებში დაფიქსირებულია ზემოთაღნიშნული სოფლების **281 მკვიდრის 85 გვარსახელი**, ესენია: *აიოლი, ალესოლი, ახმედოლი, აჯიოლი, ბაირახტაროლი, ბეიროლი, ბორჯომოლი* და სხვა.

ბ) 22 ქართული, ესენია: *ბერიძე, ბროლაძე გოგოლიშვილი, დევაძე, დიასამიძე, დოლიძე, დუმბაძე, ზოიძე, თურმანიძე, კაკაბაძე, კონცელიძე, ლამპარაძე, ლორთქიფანიძე, პეტრიძე, საკანდელიძე, სურმანიძე, შანიძე, შარაძე, ჩიჯავაძე, ცეცხლაძე, ხალვაში, ჯიჯავაძე.*

გ) 6 - ე. წ. ქართულ-თურქული შედგენილი - *დიასამიძე-ყედიროლი, დევაძე - მერჯანოლი, ჯაბნიძე, ცარიელოლი (?), ფოთელოლი, ჩაქველოლი,*

ბ) პიროვნული სახელები

1922 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია მერისის თემის დღეს არსებულ საზღვრებში შემავალ სოფლებში დაფიქსირებულია **98 პროვნული სახელი**. რეიტინგული პიროვნული სახელების პირველი ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	ხასან	19	6	ახმედ	14
2	სულეიმან	18	7	ალიჯან	11
3	აბდულ	17	8	იუსუფ	10
4	ოსმან	16	9	ხუსეინ	8
5	დურსუნ	15	10	შაქირ	7

ამ ათეულის გარდა დანარჩენი სახელების რეიტინგული ჩამონათვალი ასეთია:

- *მემედ, მემედალი, ომერ - 6-6;*
- *დაუთ, მევლუდ, რეჯებ, ყადირ - 4-4;*
- *ისმა(ლ)ილ, მურად, მუსტაფა, ყემბერ, ხუსია - 3-3;*
- *ასლან, ბილალ, ემრულ, ესრეთალ, ზეჟერია, თევფიყ, იაყუფ, მამუდ, მედიალი, მოლახასან, მუსა, მუხამედ, ომერეფენდი, შირინ, ხასანჯან, ხაჯიოსმან, ხულუს, ჯივან - 2-2; სულ 18;*
- *ადემ, ალი, ალია, ალიადა, ალიოსმან, ბეჟირ, დაუთრეჯეხალი, დედეჯან, ებრემ, ეზეყ, ეიუბ და ა.შ. ანუ ერთეული სახელები. - სულ 57*

4.5. ქედა. დღევანდელ მახუნცეთის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29;).

ა. გვარსახელები

1922 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია მახუნცეთის თემის დღეს არსებულ საზღვრებში შემავალი რვა სოფლის (ზემო ბზუბზო, ზუნდაგა, მილისი, ნამლისევი, უჩხითი, ქვედა ბზუბზო, ქვედა მახუნცეთი, ქოსოფელი) **298 პიროვნების 52 გვარსახელი** - *აბაზოდლი, აზაქოდლი, აზნაუროდლი, გვარელოდლი, გოგიტიძე, გოგოძე, გორაძე, გოჩაძე, დეზგიოდლი, დელი იბრაიმოდლი, იაზიჯოდლი, საღალოდლი, ლეზგიოდლი, მათარაჯოდლი, მალაყმაძე, მორთულაძე, მეგრელიძე, მოლა-მამედოდლი, ხაჯიოდლი, ჯაზისმნოდლი აბესლამიძე, აზნაურიძე, არჯევანიძე, ბასილაძე, ბაღასკურიძე, ბედინაძე, ბეჟანიძე, ბოლქვაძე, დორჩოძე, დოხოძე, დუმბაძე, ვარდმანიძე, ვარშანიძე, ვერძაძე, თავდგირიძე, ირემაძე, კახიძე, კოპლაძე, კურცხალიძე, ნაკაშიძე, ნიგალიძე, ნუნიძე, ჟოჟაძე, ჟღენტოდლი, ქობულაძე, ლოღაბერიძე, ლოღაძე, ლოღობერიძე, შარაბიძე, შოთიძე, შოთაძე, ცინცაძე.*

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, მახუნცეთში დაფიქსირებულია **88 პიროვნული სახელი**, რომლებიც მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია.

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მემედ	27	6	სულეიმან	12
2	იუსუფ	20	7	ხუსეინ	11
3	ხასან	19	8	ალი	9
4	ახმედ	17	9	ისმაილ	7
5	ოსმან	16	10	მევლუდ	5

ამ 10 სახელის გარდა მახუნცეთში დაფიქსირებულია:

- *აბდულ, მუხამედ, ომერ, ჯემალ* - 4;
- *მეხმედ, შეინალ* - 3;
- *ემინ, ზეერა, იბრაგიმ, მამუდ, მახმუდ, მერიემ, მოლა ახმედ, მურად, მუსა, მუსტაფა, რამიზ, სალიზ, უსუფ, ქამილ, ყარაღა, შაქირ, ჰარუნ* - 2;
- *ალი ეფენდი, აჯიბეგ, ბეგო, ბექირ, ბურა, ესეთი, ზაბით, ზეზურ, ზექერია, ზია, თემელ, თეოფილ, იდრის, ისლამ, მეიდან, მემედალი, მეხსუდ, მეჯიდ, მოლა რეჯები, რასიმ, რაფიზ, რემიზ, როზა, სეიდა, ფადიმე, ფეზლი, ქაზიმ. ქემალ, ყაბაზ, შევქეთ, შუქრი, ხალით, ხაჯი, ხაჯი ხასან, ხემიდ, ხენიფე, ხურშიდ, ხუსნი, ხუსრეთ, ჯივან, ჯუმლიბეკ* - 1 (სულ 41).

4.6. ქედა, დღევანდელ დოლოგნის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; №14).

1922 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია დოლოგნის თემის დღეს არსებულ საზღვრებში შემავალი ოთხი სოფლის (დოლოგანი, ჭალახმელა, ჭინკაძეები, საფარიძეები) **126 პიროვნების 35 გვარსახელი** - აბაშიძე, აბდულოღლი, აიჩოღლი, ალიოღლი, ბედინაძე, ბეჟიროღლი, დავითაძე, დერმნოღლი, ველიოღლი, თებიძე, თორმანოღლი, იმადოღლი; იოსებიძე, ლაზოღლი, მიქელაძე, მოლალოღლი, მურადოღლი, მუსტაფოღლი, ნაკაშიძე, ოსანაძე, ოსმანოღლი, საფარიძე, სულიბეგოღლი, უზუნბრაგიმოღლი, უსტაბეჟიროღლი, ყარახმედოღლი, შობაშიძე, ჩათილოღლი, ჩალიფაროღლი, ჩაუშოღლი, ჩიტაძე⁷, ხალილოღლი, ხუსეინოღლი, ჯაფარიძე, ჯინჭარაძე.

ჩამოთვლილი 35 გვარსახელიდან:

- ქართულია 10 გვარსახელი, ყველა მათგანი -მე სუფიქსით არის ნაწარმოები;
- მხოლოდ დოლოგნის სოფლებში გვხვდება - 15 გვარსახელი, მათ შორის 4 ქართულია (იოსებიძე, ოსანაძე, შობაშიძე, ჩიტაძე), დანარჩენი 11 - თურქული - „ოღლი“ ფორმატიანი გვარები

ბ. პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, დოლოგანში დაფიქსირებულია **31 პიროვნული სახელი**, რომლებიც მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია.

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	ოსმან	12	6	დურსუნ	5
2	ხუსეინ	11	7	მუსტაფა	4
3	მემედ	10	8	სალიხ	4
4	ახმედ	8	9	ალი, ასლან, მევლუდ, ომერ,	3

⁷ საინტერესოა, რომ აღწერის მასალების მიხედვით დოლოგანში არ ფიქსირდება გვარი, ჩიტოღლი, რომელიც ფიქსირდება უჩამბაში, სამაგიეროდ, იქ არ არის ჩიტაძე

				ყადირ	
5	სულეიმან	7	10	აბდულ, იბრაგიმ, ისმაილ, შერიფ, ჯემალ,	2

- გარდა ათეულში მოხვედრილი 18 პიროვნული სახელისა, არის ერთეული სახელებიც: *ალი ალა, ალიბეგ, ალიჯან, არიფ, ასან, ბილალ, დაუთ, ედემ, ესედ, თეოფილე, თორმან, იდრის, იზეთ, ისლამ, მახმუდ, მემედალი, მეხსუდ, მეჯიდ, მოლა მახმუდ, ნაირა, რამიზ, რიზა, სალიალა, სეფერ, ფეიზ, ქაზიმ, ქემალ, ხაჯი (სულ 29)*, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმანური სახელებია
- გამონაკლისია: თეოფილე (ბედინაძე) და ნაირა (ჩიტაძე).

4.7. ქედა, სოფელ აქუცის ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; გვ. 183).

სოფელ აქუცაში 1922 წლისთვის მცხოვრები 123 პიროვნება ატარებს 23 გვარსახელს,

რომელთაგან:

- ქართულია 21 გვარსახელი: *აბულაძე, ანანიძე, ახმედიძე, ბერიძე, გორაძე, გორგილაძე, დავითაძე, დიასამიძე, ზანაქიძე, კონცელიძე, ლომინაძე, მახაჭაძე, ნაკაშიძე, საკანდელიძე, სურმანიძე, ტეტემაძე, ფოცხველიძე, შარვაშიძე, ჩიბურიძე, ჩიკვაიძე, ჩხეიძე.* ყველა მათგანი -ძე ფორმატიანია.
- თურქულია 2 გვარსახელი: *ნექსოღლი, ქოჩოროღლი.*

ბ. პიროვნული სახელები

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, აქუცაში დაფიქსირებულია 40 პიროვნული სახელი, რომლებიც მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია.

№	სახელი	რაოდ
1	ხუსეინ	12
2	ოსმან	11
3	ალიჯან	10
4	მემედ	7
5	მამუდ/მახმუდ, ხასან	6
6	თალიბ, მემედალი	5
7	იუსუფ, სულეიმან, შაქირ, ისმაილ/ისმალილ	4
8	აბდულ, ალი, ალიჯან, დურსუნალი და სხვა, სულ 24	2
10	ესრეთალი, მევლუდ, ხუმუტ	1

4.8. ქედა, სოფელ ზენდიდის ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; №14, გვ. 171).

აღწერის მასალებში დაფიქსირებულია ამ სოფელში მცხოვრები - 54 მამაკაცის (კომლის უფროსის) 10 გვარსახელი, რომლებიც შემდეგ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. რვა გვარსახელი (ანუ 80%) ქართულია, ეს გვარებია: *ბარამიძე, ბეჟანიძე, ბერიძე, დავითაძე, დიასამიძე, ნიჟარაძე, პაპუნძე, შერვაშიძე*. როგორც ვხედავთ, ყველა მათგანი „-ძე“ ფორმატიანია, „-შილი“ ფორმანტიანი გვარები აქ არ ფიქსირდება.
2. ორი გვარსახელი (ანუ 20%) თურქულია და ნაწარმოებია „-ოლი“ ფორმანტის დამატებით *ალიოლი, ომეროლი*

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით, სოფელ ზენდიდში, 54 მამაკაცის 34 პიროვნული სახელია დაფიქსირებული, რომელთა თითქმის 100% არაქართული და არაკალენდარულია. ესენია: *აბდულ, ალი, ასლან, ახმედ, ბეჩირ, დურაყ, დურსუნ, ეზიზ, ეიუბ, ემინ, ზეჟერია, თოფან, იბრაიმ, ისმაილ, იუსუფ, მახმუდ, მემედალი, მოლაახმედ, მურთაზ, ნური, ოსმან, რემიზ, სერთამუდ, სულეიმან, ქემალ, ყაია, ყედირ, შერიფ, ხასან, ხაჯი, ხაჯიმემედ, ხემიდ, ხულუს დ*

ხუსეინ. ყველაზე რეიტინგული სახელები აქ, სულეიმანი და ხუსეინია, სულეიმანი ხუთჯერ, ხუსეინი კი ოთხჯერ გვხვდება.

4.9. ხულო (დღევანდელი შუახევიც). დიდაჭარის თემში 1922 წელს შემავალი სოფლების ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

1922 წლის აღწერის მასალების მიხედვით ზემო აჭარაში ქედის გარდა შედიოდა მხოლოდ ხულოს მაზრა (რომელშიც შედიოდა დღევანდელი შუახევის მუნიციპალიტეტიც) და მთლიანობაში მოიცავდა 4 თემს (სხალთა, დიდაჭარა, უჩამფა, ჭვანა).

დიდაჭარის თემში აღრიცხულია 28 სოფელი. ესენია: ადაძე, ბელღეთი, ბოძაური, გელაძე, გერგაძე, გოდგაძე, გუდასახო, დანისპარაული, დეკანაშვილები, დიაკონიძე, დიოკნისი, დუაძე, ვანაძე, ვაშაყმაძე, იაკობაძე, ირემაძე, ლაბაიძე, მახლაშვილები, ნანუზოვლი, ოქრუაშვილები, პაკსაძე, რიყეთი, სტეფანაშვილები, ტაბახმელა, ტუნაძე, ყადიოღლები, შანთაძე და წინწკალაშვილები - აღწერის მასალებში დაფიქსირებულია ამ სოფლების მცხოვრები - **949 მამაკაცის (კომლის უფროსის) 96 გვარსახელი** (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; გვ. 251-271). რომლებიც შემდეგ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

3. **80 გვარსახელი (ანუ 83,3%) ქართულია.** ესენია *აბულაძე, ართმელაძე, აბაშიძე, ადაძე, ანანიძე, ათაბეგიძე, ამფაძე, ანთაძე, ბათაძე, ბაკსაძე, ბერიძე, ბეჭირაშვილი, ბოლქვაძე, გელაძე, გერგაძე, გობაძე, გორგაძე, გოშაძე, დეკანაძე, დიაკონიძე, ვაშაყმაძე, დიმიტრაძე, ვასაძე, ვანაძე, ზოიძე, და სხვა.*
4. 11 გვარსახელი (ანუ 11%) თურქულია და ნაწარმოებია „-ოღლი“ ფორმანტის დამატებით - *ბაიდაროღლი, ბეგოღლი, დელფიოღლი, კარაკუმოღლი, ლომანოღლი, მარიოღლი, მურადოღლი, საიდოღლი, ფლატელოღლი, ქადიოღლი, ჩემოღლი.*
5. არის ერთი ორმაგი გვარიც - **მურადოღლი-გელაძე.**
6. გვხვდება 2 ბერძნული და 3 რუსული ფორმანტებით ნაწარმოები გვარებიც: *პაპამდოპულო (ილია), ფოკაიდი (ილია),* ასევე რუსული ფორმანტით ევ/ოვ

ნაწარმოები: *მუსიევი (დავით), ეფრიკოვი (დანელი), ხუმასოვი (ტერპოვისი)*. ამ გვარების მატარებელი მხოლოდ თითო ადამიანია დაფიქსირებული აღნიშნულის თაობაზე ყურადღებას ამახვილებს გიორგი ყაზბეგიც, რომელიც ხულოს აღწერისას წერს: „აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები ყოფილან, მცირედი ნაწილი იყო სომხები და ბერძნები... „აქ გურული ტანსაცმელი აცვიათ“ (ყაზბეგი, 1995:60).

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით დიდაჭარის თემის ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მათი საერთო რაოდენობა შეადგენს **949 მამაკაცის დაახლოებით 250 პიროვნულ სახელს**, რომელთა თითქმის 100% არაქართული და არაკალენდარულია. ესენია:

ა) ყველაზე რეიტინგულ სახელთა პირველი ათეული:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	ხასან	42	6	მუხამედ	26
2	ისმაილ	39	7	ეუბ	25
3	ეზიზ	37	8	ახმედ	24
4	სულეიმან	30	9	ოსმან	18
5	მევლუდ	28	10	ხუსეინ	17

პიროვნულ სახელთა შემდეგი რეიტინგული ჯგუფები ასეთია: *რეჯებ (16)⁸; ილიას (15); ქელეშ, შაბან, შაქირ (14); ეზიზ (13); შერიფ (12); აბას, ვეზირ, მემედ, ყადირ (11); დაუდ, იზეთ (10); ზაბით, იუსუფ, მურთაზ, სულია (9); კუკული, მედიალი, ფაიცი (8); ზეჟერია (7); ალი, მეხდიალი, ნური, ნური-ალი, ომერ, საიდ, ფერათ, ქემალ (6); ალალი,*

⁸ რიცხვი სახელის გვერდით არის ამ სახელის მატარებელთა რაოდენობის აღმნიშვნელი

ალიშან, დემურ-ალი, მახმუდ, მეჯიდ, ნიაზ, რეშიდ (5); გულა, მემედ-ალი, მუსა, მურად, რიზალ, ქამილ, შახ-ისმაილ, შახ-მურად, შულეიბ, ხუსია, ჯელალ (4); ალიშან, აჯიალი, დევრიშ, თანთია, თერჯან, ივნუს, რასიყ, რიზმან, საქირ, ყემბერ, შაინ, შუქრი (3); ალი-სულთან, არიფ, ბაირამ-ალი, ემინ-ახმედ, ეუბ, ეშრეფ, ზეიდალი, თალიბ, თეარ, თევრათ, თერჯან-ალი, იაკობი, ილია, ისა, ნევრიზ, სელიმ, ფეიზულ, ქერუმ, ხაშიმი, ხულუს, ჯეფერ, ჯივან (2).

დაბოლოს, ერთეული პიროვნული სახელების, ანუ იმ სახელების ჯგუფი, რომლებიც თითო პიროვნებას ჰქვია: ალია, ალიშა, ახმედ, აქიფ, ბერი, ბექირ, ბილალ, დედულა, დავით, დაუდ, დანიელი (ეფრიკოვი), დურსუნ იუნუს, ეიუბ, ეზრეთა, ისაკ, ეუბ-ქელემ, ესმა, ზარიფ, ზეირ, ზიაზი, თევფიყ, თერჯან, თეიფურ, თერჯანალი, თუფან, თურან, ისლამ, ილიას, იზეთ-ახმედ, იზეთ-მემედ, და სხვა.

ამრიგად, 1922 წლისთვის ხულოს მაზრის დიდაჭარის თემის ანთროპონიმულ სურათშიც ტრანფორმაციას ავლენს მხოლოდ გვარსახელების კორპუსი, რომლის 83% ქართულია, ხოლო პიროვნული სახელების კორპუსს ეს ცვლილებები სხვა თემების მსგავსად, არ შეხება. პიროვნულ სახელთა თითქმის 100% კვლავინდებურად მუსლიმანურია. ამ შემთხვევაში ამინდს ვერ ქმნის ათიოდე არამუსლიმანური სახელი, ვინაიდან, ჯერ-ერთი, ისინი ერთეული სახელებია, და მეორეც მათ გვარსახელები ნათლად მეტყველებენ, რომ ისინი არ არიან ადგილობრივები.

4.10. ხულო. სხალთის თემში შემავალი სოფლებში ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

სხალთის თემს 1922 წლის აღწერის მასალების მიხედვით მიკუთვნებულია და აღრიცხულია სოფლები: ალმე (ზედა, ქვედა), ბაკო, გოგნიაური, გუნდაური, გურძაული, დარჩიძე, ვერნები, თაგო, კარაპეტი, კალოთა, კვატია, კვიახიძე, მაწყვალთა, მახალაკიძეები, ნიგოზეული, პაპოშვილები, რაქვთა, სარიჩაი(იალალი), სკვანა,

⁹ გახაზული გვაქვს ორმაგი სახელები

ტომაშეთი, ფეთელაური, ფაჩხა, ფურთიო, ფუმრუკაული, ქედლები, ქუთაური ძმაგულა, წაბლანა, ჩაო, შუბანი, ჭერი, ყინჩაური, ხიხაძირი. სულ აღრიცხულია 1243 მამაკაცის (ძირითადად კომლის უფროსის) **104 გვარსახელი და 264 პიროვნული სახელი**. (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; გვ. 227-247). გვარსახელების ჩამონათვალი ასეთია: ქართული: *აბაშიძე, აბულაძე, ასლანიძე, ბათნიძე, ბაკურიძე, ბარამიძე, ბაუჩაძე, ბახტარაშვილი, ბერიძე, ბიბინიძე, ბილვანიძე, ბოლქვაძე, გაბაიძე, გეგელიძე, გელაძე, გოგიძე, გოგოლაძე და სხვა და დევრიშოღლი, იუსუფოღლი, ლომანოღლი, ფეზიმოღლი, ქემლოღლი, ყადიოღლი, ყარიბოღლი* და თურქული. მთლიანობაში სხალთის თემში 1922 წელს დაფიქსირებული **104 გვარსახელიდან მხოლოდ 9 (8,7%) არის თურქული**, რომელიც ნაწარმოებია „-ოღლი“ ფორმანტის დამატებით სახელის ძირზე. საინტერესოა, რომ დანარჩენი 96 (92,3%) კი ქართულია. მაშასადამე, ზემოთ ჩამოთვლილ 32 სოფელში, რომლებიც დღეს ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებშია მოქცეული და მაშინ სხალთის თემში შედიოდა, **1922 წლისთვის მშობლიური გვარსახელების ოფიციალურად დაბრუნება უკვე ფაქტობრივად დასრულებულია**.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 96 ქართული გვარსახელიდან, „-ძე“ ფორმანტიანია 88 გვარი, ხოლო „-შვილი“ ფორმანტიანია მხოლოდ 7. აგრეთვე საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ამ პერიოდისთვის დაფიქსირებულია გვარსახელები *გეგელიძე და კვიახიძე*, რომლებიც დღეს აჭარაში აღარ გვხვდება მიუხედავად იმისა, რომ არის სოფლები *გეგელიძეები და კვიახიძეები*. დაფიქსირებულია ისეთი გვარებიც, რომლებიც დღეს საერთოდ აღარც კი იგუგლება - *კოკლაშვილი, ჩატიკაძე* (რომელსაც სახელიც უცნაური ჰქვია - ეინ).

ბ) პიროვნული სახელები

პიროვნულ სახელების კორპუსში კი სიტუაცია კვლავინდებურად არ იცვლება, კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მათი საერთო რაოდენობა შეადგენს **1243 მამაკაცის 264 პიროვნულ სახელს**, რომელთაგან არამუსლიმანურია მხოლოდ *გულა/გულო; სულა/სულო; კუკულა/კუკულო, როსტომ, ბიძო. იაკოფა, ისაკ*. დანარჩენი ნაწილი (ე.ი 96%) მუსლიმანურია.

ე.წ. რეიტინგული სახელების ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	დურსუნ	44	6	ხასან	24
2	შაქირ, მევლუდ	30	7	ხუსეინ	23
3	ახმედ, სულიმან.	28	8	იუსუფ	21
4	მუხამედ, ასლან, იუნუს	27	9	ოსმან	20
5	ნური	25	10	ისკენდერ	19

პიროვნულ სახელთა შემდეგი რეიტინგული ჯგუფები ასეთია:

- ზაბით (17)¹⁰, ხასან (16), ზეჟერია (15), ალი (14), ყადირ (11); დემურალი, იბრაიმ (10);
- მუსტაფა, მურთაზ, ილიას, ფაიყ, შერიფ, გულა/გულო (9);
- ემინ, ეუბ, იაკუბ, მემედ, რეჯებ, ხუსეინ, შუქრი (8);
- დაუდ, მურად, რეჯებალი, ქამილ, ყაია, შაბან, შაია (7);
- ეშრეფ, თევფიყ, თემურ, მუსტო, ომარ, შაისმაილ, ჯემალ, ხალილ (6);
- მუსა, რასიყ, სულია, ქელემ, შახმურად, ჯივან არუნ, აჯიალი, ბაირამალი, ესედ, ვეზირ, თერჯან, თუფან, იაკობ, იბო, იდრის, კუკული/კუკულა, მერჯან, მეხმედ, მიქერალი, რამიზ, რეშიდ, რიზა, სერდალ, უსეინ, ფელულ, ქემალ, ყავთან, შამილ, ხაშიმ (5);
- აბას, აბდულ, თალიბ, თურან, ისრაფილ, ლომან, მეჯიდ, ნურიალი, რიზალ, საიდ, ფერად, შეიდალი, ჯელალ, ხულუს (4);
- არუნ, აჯიალი, ბაირამალი, ესედ, ვეზირ, თერჯანი, თუფან, იაკობ, იბო, იდრის, მერჯან, მეხმედ, მიქერალი, რამიზ, რეშიდ, რიზა, სერდალ, უსეინ, ფელულ, ქემალ, ყავთან, შამილ, ხაშიმ (3); ალალი, ბექირ, დევრიშ, ეზიზ, ეიუბ, ზეირალი, თეხსიმ, იზეთ, ისაყ, მამო, მუხერუმ, რამისი, რიზმან, და სხვა (2);

¹⁰ სახელ(ებ)ის წინ რიცხვი ამ სახელის მატარებელთა რაოდენობის მაჩვენებელია

დაბოლოს, ერთეული სახელებია: ალისულთან, ასლანშაქირ, აფიზ, ბიძო, გულახმედ, გულფან, დევრიშ, დურსუნშაქირ; დურსუნახმედ, ემინახმედი, ესედალი, ვეზირა, ვლადიმერ (სუროშვილი), ზექირალი, თალიფ, თევრათ, თემელ, თევფიყ, თოფუს, იაკოფა, ისაკ, სულო, და სხვა (სულ - 131).

როგორც ვხედავთ, ქართული გვარების ოფიციალურად აღდგენის თვალსაზრისით, სხალთის თემის სოფლებში სხვა თემებთან შედარებით უკეთესი ვითარებაა - აღდგენილ ქართულ გვარსახელთა ხვედრითი წილი 90%-მდეა გაზრდილი, პიროვნულ სახელთა კორპუსში კი ვითარება უცვლელია.

4.11. შუახევი (იმდროინდელი ხულო). ჭვანის თემში 1922 წელს შემავალი სოფლების ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

1922 წლის აღწერის მასალების მიხედვით ჭვანის თემს მიკუთვნებულია და აღრიცხულია 18 სოფელი: ახალდაბა, ბარათაული, ბრილი, გომარდული, ვანი, ზემო-ხევი, ინწვირვეთი, ნაგომარი, ნაღვარევი, ოქროპელაური, სხაპელა, ფოთარო, ჩანჩხალო, ძაღლიანი, ცენტერაძეები, წყაროთა, წყლის საყარი, ჭალა. სულ აღრიცხულია 400 მცხოვრების (ძირითადად კომლის უფროსის) **81 გვარსახელი და 125 პიროვნული სახელი.** (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; გვ. 216-224). გვარსახელების ჩამონათვალი ასეთია: აბდიოღლი, ათაბაგი, არიელაძე (სვარაუდოდ - ტარიელაძე. ე.ბ.), არჯენაძე (???), ბაიკოზოღლი, ბერიძე, ბერიძე-ახმედოღლი, ბერიძე-დაუთოღლი, ბერიძე-ხასანოღლი, ბერსელოღლი, ბესიოღლი, ბოლქვაძე, ბურხანოღლი, გოკრაჭაძე, გულოღლი, დავითაძე, დარჩიძე, დიასამიძე, დიმიტრაძე, დუმბაძე, დურსუნოღლი, ებრალიძე, ეთიმოღლი (სვარაუდოდ-ეთომოღლი. ე.ბ.), ელიმოღლი, ესეზიძე, ზოიძე, თავდგირიძე, თალიმოღლი, თოთომოღლი, თორანოღლი, იდრისოღლი, ირემაძე, კილაძე, კონწელიძე, კორნელიძე, ლომანოღლი, მათარაჯოღლი, მამლაძე, მახარაძე, მემედოღლი, მეხშედოღლი, მეჭედიძე, მიქელაძე, მყავანაძე, მურვანიძე, ნაკაშიძე, ოდაბაშოღლი, პაპიოღლი, რიჭვაძე, სადიყოღლი, სახურაძე, ბაირახტაროღლი, ტაკიძე, ტარიელაძე, ტახოღლი, უსტაჰელიმოღლი, ქათამიძე, ქარცივაძე, ყარაბადიოღლი,

ყიფიანი, შარაშიძე, შაქარიძე, ცენტერაძე - მამედოღლი, წილოსანი, ჭალაიძე, ჭილაძე, ხათიბოღლი, ხასანოღლი, ხაჯიოღლი, ხილაძე, ხირალოღლი, ხოჯიოღლი, ჯაყელი, ჯინჭარაძე, ჯოიძე, ჰელიმოღლი.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი 81 გვარსახელიდან 46-ია (ანუ 56.7%) - ქართული, ხოლო 35 (ანუ 43,7%) „-ოღლი“ ფორმანტიანი თურქული გვარსახელი. ამასთან, განსაკუთრებით ხაზგასამელია ჰიბრიდული (ქართულ-თურქული ორმაგი) გვარები: ბერიძე-ახმედოღლი, ბერიძე-დაუთოღლი, ბერიძე-ხასანოღლი, ცენტერაძე - მემედოღლი, რაც მშობლიური გვარსახელების დაბრუნების გარდამავალი ეტაპის მაჩვენებელია. ამგვარი მოდელების გაჩენა საფუძველს უყრის თურქული გვარსახელებისთვის ახალი - შტოგვარის ფუნქციის დაკისრებას (რაზედაც უფრო დაწვრილებით მოგვიანებით ვისაუბრებთ): მაშასადამე, ბერიძეები ხაზს უსვამენ, რომ მათი გვარი სამ განშტოებად იყოფა: დაუთოღლები, ხასანოღლები და ახმედოღლები.

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით ჭვანის თემის სოფლებში მათი საერთო რაოდენობა არის 125, რომელთაგან 17 (13,6%) არ არის დოგმატური მუსლიმანური სახელი: არალი, ასლანი, ბიძო, ბუხუტი, გულა, გულო, ვლადიმერ, თემურ, იაკობ, ისაკ, კუკულა, კუკული, ნანო, როსტომ, სულა, სულია, სულო. დანარჩენი 86,4%, ანუ აბსოლუტური უმრავლესობა მკვეთრად გამოხატული მუსლიმანური სახელებია.

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მუხამედ	27	6	ახმედ	15
2	ისმაილ	22	7	ემინ, მევლუდ, ხასან	10
3	ოსმან	21	8	ალი, იუნუს	9
4	დურსუნ	18	9	დაუთ	8
5	სულიემან	16	10	ზაბით, მემედ, რეჯებ,	7

დანარჩენი სახელებია: *ასლან; ზეჯერია, მურად, ნური, რიზმან, უსუფ, შაქირ, სულეიმან; თოფან, იბრაიმ, ისმაილ, მურთაზ, შაბან, შაჰინ; აბდულ, გულა, დემურალი, ეიუბ, ვეზირ, ისკენდერ, ლომან, მეჰდიალი, რიზალ, სელიმ, სერდალი, ქამილ, ყადირ, ყულფან, შერიფ, ხაჯიალი;*

ერთეული სახელებია: *ადემ, ალისულთან, აქიფ, ალალი, ალალი, ბაირამალი, ბაშაყა, ბილალ, გულახმედ, დედაჯან, ეშრეფ, ზაქარია, იაყუფ, ილიას, ინჯია, ისრაფილ, იუსუფ, მაჰმუდ, მერჯან, მეჯიდ, მოლა-მახმუდ, მოლა-ახმედ, მოლა ეუბ და სხვ. (სულ 88).*

4.12. ხულო (აგრეთვე დღევანდელი შუახევი). უჩამფის თემის ანთროპონიმული

პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

1922 წლის აღწერის მიხედვით უჩამფის თემი მოიცავს 19 სოფელს: ბესელაშვილები, გოგამე, დაბადველა, დუზჰჯანა, ვარჯანაული, ლაკლაკიძე, მოფრინაძე, ჟანივრი, სამოლიძე, ტბეთი, ქიძინიძე, ყაიბაში, ცეკვა, ცივაძეები, ცინარიძე, ცხემლისი, წაბლანიძე, ხაბელაშვილები და ჯაბნიძეები. აღწერილია მათში მცხოვრები - დაახლოებით 500 პიროვნების (უმრავლეს შემთხვევაში კომლის უფროსების) **154 გვარსახელი და 139 პიროვნული სახელი.** (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.29; გვ. 208-216, 225). გვარსახელების ჩამონათვალი ასეთია: *აბაშიძე, აბდიოღლი, აბდულოღლი, აიოლოღლი, ალიეფენდოღლი, ალიმანოღლი, ამალლობელი, ართმელაძე, ახასადოღლი, ახმედოღლი, ახსანოღლი, ბაირახტაროღლი, ბეჟანიძე, ბერიძე, ბოლქვაძე, გამყრელიძე, გოგრაჭაძე, გულოღლი, დავითაძე, დაიროღლი, დედიოღლი, დელიოღლი და სხვა.*

მთლიანობაში უჩამფის თემის სოფლებში მცხოვრებთა **154 გვარსახელიდან თითქმის ნახევარი - 67 (ანუ 43,5%)** თურქულია, დანარჩენი ქართული. გავრცელების სიხშირის მიხედვით, რამდენიმე ქართული გვარი რეიტინგული სიის ათეულშიც კი მოხვდა:

	გვარსახ.	რაოდ	№	გვარსახ.	რაოდ.
1	ქიბინიძე	29	6	სულეიმანოღლი	13
2	ზოიძე	18	7	ალიოღლი	12
3	ქათამიძე	17	8	ხასანოღლი, ოსმანოღლი	10
4	ბერიძე, ახმეღოღლი	15	9	დიასამიძე, ქარცივაძე, შაქიროღლი, დავითაძე	9
5	ტაკიძე	14	10	ხუსეინოღლი, ქათამაძე	8

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით უჩამვის თემის სოფლებში მათი საერთო რაოდენობა 500 მამაკაცის 139 სახელს შეადგენს, საიდანაც მხოლოდ 5 (3,5%) შეიძლება არ ჩაითვალოს დოგმატურ მუსლიმან სახელთა ჯგუფს: *ასლან, გულა, თეოფილე, რომან, ფიქრო*, - დანარჩენი 96,5% კი სწორედ ასეთია.

1. ე.წ. რეიტინგული სახელების ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	სულეიმან	32	6	ხასან	19
2	ახმედ	25	7	ოსმან	19
3	მუხამედ	24	8	მემედ	18
4	დურსუნ	22	9	ხუსეინ, მევლუდ	15
5	ალი	20	10	შაქირ	12

პიროვნულ სახელთა შემდეგი რეიტინგული ჯგუფები ასეთია: *იუსუფ - (11); ომერ - (10); დემურალი - (9); ისმაილ, იუნუს, რეჯებ, ჯივან - (8); გულა, მურად, რიზალ - (6), ზაბით, ისმაილ - (5); დაუთ, ემინ, ზეჟერია, მემედალი, მუსა, შეირიფ - (4); დურსუნალი, ემინახმედ, იბრაიმ, ლომან, მურთაზ, მურთაზ, მუსა, მუსტაფა, რამიზ, რიზმან, სელიმ, ყადირ - (3); არიფ, ეზიზ, იბრაჰიმ, რიზა, ყავთან, ყემბერ, ყულფან - (2)*

დაბოლოს: თითო მცხოვრებს ჰქვია: ადემ, ალიეფენდი, აქიფ, ახმედმოლა, ბარათ, თალიფ, თეოფილ, იბრაგიმ, იდრის, ილიას, ისკენდერ, ისრაფილ, მამუდ, მემედეფენდი, მერჯან, მეჯით, მერჯივან, მიხეილ, მოლაიდრის, მოლაისმაილ, მოლამეველუდ, მოლახასან, მოლასულიმან, მოლაშაქირ, ნუსხრედინ, რეჯეხალი, რომან, სერდალ, ქიბარ, ყასუმ, ყურშუმ, შაბან, შაია, შაჰირ, შახია, შაჰმურად, შაქირმემედ, შაქირ ეფენდი, წუწუნ, ხაჯი, ხასია, ხაშიმ, ხუშუთ და სხვა - (86).

4.13. ქედა. დღევანდელი პირველი მაისის თემის ანთროპონიმული სურათი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

პირველი მაისის თემის დღეს არსებულ საზღვრებში შემავალი სოფლებიდან 1922 წლის აღწერის მასალებში შესულია სულ ექვსი სოფლის (დერეხონა, ზედა აგარა, კორომხეთი, ორთახონა, საღორეთი და ქვედა აგარა) მონაცემი, კერძოდ, **259 პიროვნების, 46 გვარსახელი და 86 პიროვნული სახელი.**

ა. გვარსახელები

46 გვარსახელიდან 10 „ოღლი“ ფორმატითაა ნაწარმოები: ალიოღლი, არზანოღლი, ბარამოღლი, ვეზიროღლი, თანთოღლი, ყადიოღლი, ყულეჯოღლი, ჭანიოღლი.

16 გვარსახელი კი ქართულია: თეზიძე, ლორთქიფანიძე, მახარაძე, პეტრიძე, სალაძე, სამნიძე, სურმანიძე, ფარტენაძე, ქაღიძე, შავლიძე, შარვაშიძე, შაქარაძე, შერვაშიძე, ძნელაძე, წითლაძე. ყველა მათგანი -ძე ფორმანტითაა ნაწარმოები.

გავრცელებულია ორმაგი გვარსახელებიც, რომელთა შემადგენლობაშიც ერთი ქართულია, მეორე თურქული. ასეთი ფორმით გვხვდება შემდეგი **20 გვარსახელი:** დევაძე-ახისხოღლი, დევაძე-კვერნიოღლი, დევაძე-მემიოღლი, დევაძე-მერჯანოღლი, დევაძე-ყარაუჩოღლი, დევაძე-შირინოღლი, დევაძე-ჰელიმოღლი, მახარაძე-მუსოღლი, მახარაძე-ფორთოღლი, ფარტენაძე მოლაძეოღლი, ფარტენაძე-ბაირახტაროღლი, ფარტენაძე-ბეჩიროღლი, ფარტენაძე-ბეჩიროღლი, ფარტენაძე-ქამილოღლი, ფარტენაძე-ხაჯიოღლი, სამნიძე-მემედოღლი, სამნიძე-სულიმანოღლი, ბერიძე-ესედოღლი, გოგლაძე-იაცუფოღლი, გოგლაძე-ხუშუთოღლი.

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა არაქართული და არაკალენდარულია. ესენია: აბდულ, ადემ, ალი, არიფ, ალაჯან, ახმეჯან, ბაირამ, ბარათალი, ბეჟირ, ბილალი, ბურჰან, გულალი, გულამედ, გულახმედ, დარეჯან, დურაყ, ეზმან, ემინ, ესედ, ესრეთალი, ზეჟერია, ზია, თევფიყ, თეიარ, თეოფიყ, ისკენდერ, ისლამ, იუნუს, ლომან, მამუდეფენდი და სხვა. ყველაზე რეიტინგულ სახელთა ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	ოსმან	20	6	დურსუნ	11
2	ხუსეინ	16	7	მემედ, სულეიმან,	10
3	იუსუფ	14	8	მევლუდ, ყედირ,	8
4	მახმუდ	20	9	ისმაილ, ჯემალ, აბდულ	6
5	ახმედ, ხასან,	12	10	მუსტაფ	5

4.14. თურქულ და ქართულ გვარსახელთა კორპუსი ერთიანობაში და მათი გეოგრაფია ზემო აჭარაში 1922 წლის აღწერის მასალების მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1922 წლის აღწერის მასალები ერთგვარად აჯამებს ტრანსფორმაციის ოსმალურ და 1878-1922 წლების ეტაპებს, თუმცა, ცალკეული სოფლები ავლენენ ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ სურათს. ასე მაგალითად, თუ დანდალოს მცხოვრებთა 90,5% თურქული გვარსახელის მატარებელია და ცხმორისის მოსახლეობისა - 69%, სხალთაში, პირიქით, მოსახლეობის 91% ქართულ გვარსახელს ატარებს, დიდაჭარაში - 88%. ქართული და თურქული გვარსახელების მატარებელთა რაოდენობა დაახლოებით თანაბარია ჭვანასა და უჩამბაში და ა.შ. ამიტომაც გადავწყვიტეთ ზოგიერთი საერთო ტენდენციის გამოვლენა მთლიანად ზემო აჭარის მასშტაბით.

მთლიანობაში აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით დღევანდელი ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში აღწერილია ერთიანობაში დაახლოებით 600-ზე მეტი გვარსახელის მატარებელი **4868 პიროვნება, რომელთაგან 1110 „-ოლი“ ფორმატიანი 347 თურქული გვარის მატარებელია, დანარჩენი 3758 - 262 ქართული გვარსახელისა.** მაშასადამე, 1922 წლისთვის გვარსახელთა კორპუსის უდიდესი ნაწილი სპონტანურად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერებისა და ეთნომენტალობის საფუძველზე აღდგენილია.

თურქული გვარსახელების პირველი რეიტინგული ათეულის ჩამონათვალი, რომელშიც მოცემულია მათი გეოგრაფიაც (რაზეც ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი დავითაძეების და რამდენიმე სხვა ქართული გვარსახელის შესაბამისი „-ოლი“-ფორმატიანი გვარების გეოგრაფიის მაგალითზე). ასეთია:

ალიოღლები (35)¹¹ - ცხოვრობენ 15 სოფელში. კერძოდ, ესენია დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტში: ხარაულა¹², ჯალაბაშვილები, დანდალო, ცხმორისი, გეგელიძეები, კანტაური, ზენდიდი, სალორეთი, დოლოგანი; დღევანდელი შუახევის მუნიციპალიტეტში - უჩამფა, მოფრინეთი, სამოლეთი, ლაკლაკეთი, ტბეთი, ჯაბნიძეები, ცინარეთი, ხაბელაშვილები.

ხასანოღლები (32) - 17 სოფელში. კერძოდ, ესენია, დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტში: ხარაულა, ჯალაბაშვილები, დანდალო, ცხმორისი, გეგელიძეები, აბუქეთა, ვარჯანისი, წონიარისი, მერისი, სიხალიძეები; დღევანდელი შუახევის მუნიციპალიტეტში უჩამბა, სამოლეთი, ლაკლაკეთი, ტბეთი, ჯაბნიძეები, წაბლანა.

ახმედოღლები (28) - 12 სოფელში, კერძოდ, ესენია დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტში: ხარაულა, დანდალო, გეგელიძეები, ცხმორისი, აბუქეთა, სიხალიძეები; დღევანდელი შუახევის მუნიციპალიტეტში: სამოლეთი, ლაკლაკეთი, ტბეთი, ჯაბნიძეები, ცინარეთი, წაბლანა.

¹¹ ეს რიცხვი აღნიშნავს მოცემული გვარსახელის მატარებელთა რაოდენობას

¹² სოფლები ჩამოთვლილია დღევანდელი სახელებით

ოსმანოღლები (28) - 13 სოფელში, კერძოდ, ესენია ქედაში: დანდალო, ხარაულა, ჯალაბაშვილები, გეგელიძეები, აბუქეთა, ახო, ცხმორისი, გუნდაური, სიხალიძეები, შუახევში ლაკლაკეთი, ტბეთი, ჯაბნიძეები.

სულეიმანოღლები (24) - 11 სოფელში, კერძოდ, ესენია, ქედაში: დანდალო, ხარაულა, ჯალაბაშვილები, გეგელიძეები, ცხმორისი, აბუქეთა, სიხალიძეები, შუახევში: ლაკლაკეთი, ჯაბნიძეები, ცინარეთი, გოგაძეები.

მემედოღლები (24) - 10 სოფელში, კერძოდ, ესენია ქედაში: დანდალო, ჯალაბაშვილები, ცხმორისი, აბუქეთა, წონიარისი, სიხალიძეები; შუახევში: წაბლანა, ჯაბნიძეები, ცინარეთი, ხაბელაშვილები.

აბდულოღლები - 7 სოფელში, კერძოდ, ესენია ქედაში: კოკოტაური, აბუქეთა, დოხოძეები, დოლოგანი; შუახევში: ტბეთი, წაბლანა; ხულოში დიდაჭარა.

ხუსეინოღლები (23) - 9 სოფელში, კერძოდ, ესენია ქედაში: ხარაულა, გეგელიძეები, ცხმორისი, ვარჯანისი, ჭალახმელა; შუახევში: ლაკლაკეთი, წაბლანა, ჯაბნიძეები.

ისმაილოღლები (15)- 8 სოფელში, კერძოდ, ესენია ქედაში: ხარაულა, დანდალო, კოკოტაური, გეგელიძეები, ნამლისევი. შუახევში: ლაკლაკეთი, ჯაბნიძეები, ცინარეთი.

შაქიროღლები (15) - 8 სოფელში, კერძოდ, ესენია ქედაში: დანდალო, ხარაულა, ცხმორისი, შუახევში: მოფრინეთი, ტბეთი, ჯაბნიძეები, ცინარეთი. ცხემლისი და ა.შ.

დანარჩენი თურქული გვარსახელებია: *დურსუნოღლი (14); ბაირახტაროღლი (13) კოჭობოღლი (12); ლომანოღლი (12); მურადოღლი (12); ხალილოღლი (12)* და სხვები.

მოცემულ ჩამონათვალში განასაკუთრებით საინტერესოა **ის 139 გვარსახელი**, რომელთა მატერებელიც თითო ადამიანია. მთელი ზემო აჭარის მასშტაბით. ვფიქრობთ, აქ მხედველობაში მისაღებია ორი გარემოება: ის, რომ თურქეთში ჯერ კიდევ არ იყო მყარად დამკვიდრებული სრულფასოვანი გვარსახელები, რომლებიც მემკვიდრეობით გადავიდოდა არა მხოლოდ შვილზე, არამედ შვილიდან შვილიშვილზე და ასე გაგრძელდებოდა წლების განმავლობაში. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ამ გვარსახელების უმრავლესობა იმდროინდელი აღმოსავლური ტრადიციის შესაბამისად

გადადიოდა მამიდან შვილზე და მერე იცვლებოდა მამის სახელის შესაბამისად. და მეორეც, მოცემული აღწერის მასალებში დაფიქსირებულია არა ყველა მცხოვრების, არამედ ძირითადად კომლის უფროსების სახელები და გვარსახელები, რაც არ გამორიცხავს ასეთი შემთხვევების არსებობას. (მთლიანი ჩამონათვალი იხ. დანართი 3-ში).

რაც შეეხება **262 ქართულ გვარსახელს (იხ. დანართი - 2)**, ლინგვისტური გეოგრაფიის თვალსაზრისით მათ ვაერთიანებთ ორ ჯგუფად: 1. მთლიანი ზემო აჭარის მასშტაბით გავრცელებული და 2 - მხოლოდ თითო მუნიციპალიტეტში ლოკალიზებული გვარსახელები.

პირველ ჯგუფში გაერთიანებული გვარსახელების რეიტინგული ჩამონათვალის პირველი ოცეული ასეთია (ვურთავთ გავრცელების არეალსაც):

ბერიძე (67¹³) - გვხვდება **ქედაში** (სილიბაური, აქუცა, ზენდიდი, საღორეთი, კოკოტაური, ზენდიდი, საღორეთი, დანდალო, ახო, აბუქეთა, ცხმორისი, კანტაურა, ვარჯანისი); **შუახევში** (ლაკლაკეთი, ცინარეთი, ცხემლისი, ცეკვა, ხაბელაშვილები, ნაღვარევი, ბრილი. ჭალა, ფურტიო, ნიგოზეული, მაწყვალთა, გოგნიაური); **ხულოში** (წინწკალაშვილები; სტეფანაშვილები, კვატია, რაქეთა, ხიხაძირი, სკვანა, ბაკო, დარჩიძეები, საციხური, ვანაძეები, ლაბაიძეები), მაშასადამე, **სამივე რაიონის 36 სოფელში**;

სურმანიძე (125): **ქედაში** (აქუცა, სილიბაური, ძენწმანი, ზედა აგარა, საღორეთი); **შუახევში** (შუბანი, დარჩიძეები, ფურტიო); **ხულოში** (ჭერი, გურძაული, ყინჩაური, ფაჩხა, კვატია, ვერნები, ფუმრუკაული, რაქეთა, ხიხაძირი, სკვანა), მაშასადამე, **სამივე რაიონის ონის 19 სოფელში**.

ცეცხლაძე (85) - **ხულოში** (ყინჩაური, ფაჩხა, ოქრუაშვილები, წინწკალაშვილები, ნანუზოვლი, ხიხაძირი, თაგო, გუნდაური, საციხური, ვანაძე, ჩაო, სკვანა, ბაკო); **შუახევში** (მაწყვალთა, შუბანი, დარჩიძეები, ნიგოზეული, მაშასადამე, **ორი რაიონის 18 სოფელში**.

¹³ მოცემული გვარსახელის მატარებელთა რაოდენობა

მახარაძე (121) - *ქედაში* (კოკოტაური, კოლოტაური, სალაძეები); *შუახევში* (ჩანჩხალო, ნიგოზეული, მახალაკიძეები, ბუთურაული); *ხულოში* (ფეთელაური, ძმაგული, ყინჩაური, ფაჩხა, წაბლანა, ჩაო, ფურტიო, ალმე), მამასადაძე, *სამივე რაიონის 15 სოფელში*.

დიასამიძეები (84) - *ქედაში* (სალორეთი, ზენდიდი, ცხემნა, აქუცა, სიხალიძეები, ორთამელა, ახო); *შუახევში* (კარაპეტი, პაპოშვილები, ფურტიო, ბუთურაული, ფეთელაური, ბესელაშვილები, ჭალა, ჩანჩხალო, მამასადაძე, *ორი რაიონის 15 სოფელში*.

მიქელაძე (83) - *ქედაში* (მენწმანი, ჭინკაძე), *შუახევში* (მახალაკიძეები, გოგნიაური, ჩანჩხალო, გურძაული), *ხულოში* (დანისპარაული, რაქვთა, ხიხაძირი, ლაბაიძე, ქედლები, ვანაძე, ბაკო, მეკვიძე,) მამასადაძე, *სამივე რაიონის 15 სოფელში*.

შანიძე (75) - *ქედაში* (ბარამოლლი/გუნდაური), *შუახევში* (შუბანი, ქუთაური), *ხულოში* (თაგო, სკვანა, ტუნაძე, პაკსაძე, ვერნები, რაქვთა, ყინჩაური, ჭერი, ფაჩხა, წაბლანა, მამასადაძე, *სამივე რაიონის 15 სოფელში*;

დუმბაძეები (51) - *ქედაში* (ქოსოფელი, გუნდაური), *შუახევში* (ცინარეთი, დუზჭვანა, ბარათაული, ჩანჩხალო, ფურთიო), *ხულოში* (კვატია, ბაკო), სულ *სამივე რაიონის 9 სოფელში*.

თუ დავინტერესდებით მხოლოდ ერთ რაიონში (მათ შორის ერთ სოფელში) ლოკალიზებული გვარსახელებით, ასეთ სურათს მივიღებთ:

1.	<p>მხოლოდ ქედაში გავრცელებული გვასახელები</p>	<p><i>ავალიანი, ბარამიძე, ბასილაძე, ბედინაძე, გოგოლიშვილი, დევაძე, დოლიძე, ვარშანიძე, ზანაქიძე, თეზიძე, ვერძაძე, კურცხალიძე, ლამპარაძე, ლორთქიფანიძე, მორთულაძე, პაპუნძე, ჟოჯაძე, საფარიძე, საკანდელიძე, სამნიძე, ფარტენაძე, ქადიძე, ქობულაძე, ლოლობერიძე, ჩიბურიძე, ცინცაძე, ჩხეიძე, ჩიკვაიძე, შარაბიძე, შავლიძე, შაქარაძე, შოთაძე და სხვა.</i></p>
----	--	--

2.	მხოლოდ შუახევში გავრცელებული გვასახელები	<i>ათაბაგი, ამდლობელი, გოკრაჭაძე, დარჩიძე, ებრალიძე, მაკარაძე, ტაკიძე, ფუტკარაძე, ქათამაძე, შარაშიძე, ჭალაღიძე, ჯუმუშაძე და სხვა.</i>
3.	მხოლოდ ხულოში გავრცელებული გვასახელები	<i>ართმელაძე, აბულაძე, გელაძე, გორგაძე, გობაძე, ვანაძე, ვაშაყმაძე, იაკობაძე, კახაძე, კოჩალიძე, მარკოიძე, მეკვიძე, მელაძე, ნაკაიძე, პაქსაძე, რიჟვაძე, სოლომონიძე, ტუნაძე, ქონიაძე, ჩოგაძე, შანთაძე, ხოზრევანიძე, ჯაიანი და სხვა.</i>

თავი V

ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკა საბჭოთა პერიოდში (1922-1991 წლები, მესამე ეტაპი)

ზოგადად საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის და კონკრეტულად ანთროპონიმის მიმართულებით დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მკვლევართა ნაწილი მას უკიდურესად უარყოფითად აფასებს. ასე მაგალითად, ლ. ჯანიაშვილი იშველიებს მკვლევართა ამ ჯგუფის შემდეგ მოსაზრებას: „გვარსახელების საკითხი ამ შემთხვევაში სრულიად გაუკუღმართებულადაა წარმოდგენილი. რეალურად კი სრულიად საპირისპირო ვითარებასთან გვექონდა საქმე. კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით 1923 წლიდან მესხეთის მუსლიმანური მოსახლეობა თურქულენოვან უმცირესობად გამოაცხადეს და ოფიციალურ ენად აზერბაიჯანული (თურქული) და რუსული შემოიღეს. ამ პერიოდიდან ახალციხის რაიონში გაიხსნა თურქული სკოლები, აზერბაიჯანიდან მოიწვიეს პარტიული და სამეურნეო მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და ა.შ. 1926 წელს, ახალციხის რაიადმასკომის თავმჯდომარემ შამანოვმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც მუსულმანი მესხები, როგორც აზერბაიჯანელები (ამ ხანებში აზერბაიჯანელებს გვარსახელები ჯერ არ ჰქონდათ) ვალდებული იყვნენ გვარის გარეშე ჩაწერილიყვნენ“ (უმაროვ-გოზალიშვილი, 2005, 69).“ (ჯანიაშვილი, 2007).

5.1. მასწავლებელთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი 1920-იან წლებში

ამავე დროს, ობიექტურობა მოითხოვს იმის მკაფიოდ ხაზგასმასაც, რომ ჩვენი კვლევის მიხედვით აღნიშნული პერიოდის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის პროცესი მთლიანობაში დადებითი ტენდენციების შემცველია, რაშიც მნიშვნელოვანია სწორედ ხელისუფლების უშუალო ჩარევა. ავიღოთ, მაგალითად, 1922

– 1960 წლებში პედაგოგთა კორპუსის ანთროპონიმული სურათის ცვლა. ეს თემატური ჯგუფი შევარჩიეთ იმ მოტივით, რომ თუ საზოგადოების რომელიმე ფენას უნდა აება მხარი ეროვნული ანთროპონიმული სიტემის აღორძინების პროცესისთვის, ეს უნდა ყოფილიყო, პირველ რიგში, საზოგადოების სწორეთ ეს ნაწილი. მივეყვით ფაქტებს.

ა.1922 წლის საარქივო მასალების მიხედვით

1922 წლის საარქივო მასალების მიხედვით (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ.8. გვ. 83-144) იმდროინდელ სასწავლებლებში (მათ შორის მედრესეებში)¹⁴, რომელთა უმრავლესობაც აჭარის აღმართის, დოლოგნის, მარადიდის, სხალთის, ქედის, ცხმორისის, ჭვანის და ხულოს მეჩეთებთან ფუნქციონირებდა, **ასწავლიდა შემდეგი გვარ-სახელების მატარებელი 35 მასწავლებელი:** *ახმედოღლი სულეიმან (ფაჩხა); ბერიძე ახმედ-ეფენდი - (დანდალო, ქართველი მუსლიმანი), დემირჩიოღლი ოსმან-ეფენდი - (კაპნისთავი, ოსმალო); დიასამიძე ალი-ეფენდი - (გულეზი, ქართველი მუსლიმანი); დიასამიძე მუსტაფა-ეფენდი (მარადიდი, ქართველი მუსლიმანი); ემინოღლი ბილაღ - (ორცვა, ოსმალო); ზოიძე იაყუფ ეფენდი (ჭვანა, ქართველი მუსლიმანი); იაუზ იაკობ ეფენდი - (ვაიო, ქართველი მუსლიმანი); კაკაბაძე იზეთ (ბათუმი, თურქი, თურქული ენის მასწავლებელი); კაკაბაძე მიჰრიმა (ბათუმი, ქართველი მუსლიმანი, რუსული ენის მასწავლებელი); კაკაბაძე იუსუფ (ბათუმი, ქართველი მუსლიმანი); კახიძე აბდულ-ეფენდი - (დოლოგანი, ქართველი მუსლიმანი); კურგა ზადე შადია (ქართველი მუსლიმანი, ხულოს ქალთა სასწ.); ნაგერვაძე ხასან ეფენდი - (აჭარის აღმართი); ნადიროღლი დუდი ეფენდი (ლორჯომი); ნედიმი ახმედ-შაქირ ჯემალის ძე (სხალთა, თურქი); ოსმანოღლი მუსტაფა (პაქსაძე(ები), ოსმალო); პრაკრიოღლი იაუზ-ეფენდი - (ვაიო, ლაზი); ფასანიძე ხასან-თახსიმ (დიდაჭარის თები, აგარა, ქართველი მუსლიმანი); ფოცხიშვილი გრიშა (ხულო, ქართველი); ქათამაძე ფერათ - (ჭვანა, ქართველი მუსლიმანი); შარაშიძე ოსმანეფენდი - (ქართველი მუსლიმანი); ლოლაძე ახმედეფენდი - (დერეხობხნა, ქართველი მუსლიმანი); ყარამანოღლი ჰუსეინ - (ქედა, ქვ. აგარა, აზერი); შარაშიძე ოსმანეფენდი (მახუნცეთი, ქართველი მუსლიმანი); ხიმშიაშვილი მაკო (???)*

¹⁴ მედრესეები 1929 წელს ლ. ბერიას ბრძანებით აიკრძალა

ჯაიანი ვასიფ (დიდაჭარა, ქართველი მუსლიმანი); ჯაიანი ვასიფ (ხულო, ქართველი მუსლიმანი); ჯევდეთ-ზადე ჰიქმეთ (ბათუმი, ქართველი მუსლიმანი); ჯევდეთ-ზადე ნაიმე, (ბათუმი. ქართველი მუსლიმანი); ჯორბენაძე თამარ (დიდაჭარა, ქართველი); ჰაქოლლი ქაზიმ (სხალთა, თურქი); ჰაჯიოლლი ქაზიმ - (ბელლეთი, თურქი); ხაჯიაბდულოლი მამუდ-ეფენდი (კინტრიში, ქართველი მუსლიმანი); ????? ახმედეფენდი - (კიბე).

როგორც ვხედავთ, 35 მასწავლებლიდან მხოლოდ ათს ანუ 28,5 %-ს აქვს „-ოლი“ ფორმანტიანი თურქული გვარსახელი, რომელთაგან სამს გრაფაში „ეროვნება“ მითითებული აქვს: „ოსმალო“; ორს - „თურქი“, ერთს - „აზერი“, ერთს - „ლაზი“ და ერთსაც ქართველი. აშკარაა, რომ რელიგიური ფაქტორი მკაფიოდ იჩენს თავს ეთნომენტალობის განსაზღვრაში, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს მათ მიერ სახელის და გვარსახელის შერჩევას. როცა დანარჩენი საქართველოდან მოწვეული მასწავლებლები (თამარ ჯორბენაძე, გრიშა ფოცხიშვილი), ეროვნების გრაფაში უთითებენ „ქართველი“, ქართული გვარსახელის მქონე ადგილობრივების გრაფებში მითითებულია „მაჰმადიანი ქართველი“. და მეორეც, როგორც ჩამონათვალში ჩანს, აბსოლუტურად ყველას მუსლიმანური პიროვნული სახელი ჰქვია, რომელთაგანაც 12 „-ეფენდი“ კომპონენტის შემცველი ორმაგი სახელია.

ბ. 1927 წლის საარქივო მასალების მიხედვით.

1927 წლის საარქივო მონაცემების მიხედვით (ფ.P-178;ა №1; ს. № 84; გვ. 5-17; 41-50 და ა.შ.) ხულოსა და შუახევის რაიონების სკოლების 58 პერსონალიდან (მასწავლებლებთან ერთად აღრიცხულია ტექნიკური პერსონალიც) „-ოლი“ ფორმანტით ნაწარმოები თურქული გვარსახელის მატარებელია ორი (3.4%) - დემუროლი და ქიბაროლი, ორივე მათგანს ეროვნების გრაფაში მითითებული აქვს „ქართველი მაჰმადიანი“ და ორივე მათგანს სახელიც და მამის სახელიც მუსლიმანური აქვს: ახმედ ალის ძე და მამუდ-ეფენდი ალისძე.

დანაჩენი 56 პერსონალი (96,5%) შემდეგი 43 ქართული გვარსახელის მატარებელია: აბაშიძე, აბულაძე, აბუსელიძე, ანთაძე, ართმელაძე, ბერიძე, ბოლქვაძე, გამრეკელიძე, გიორგაძე, გოგაძე, დავითაძე, დიასამიძე, დუმბაძე, ზანდარიძე, ზოიძე, თავართქილაძე, ირემაძე, მგელაძე, მამულაძე, თავდგირიძე, მიქელაძე, ნაკაიძე, პაიჭაძე, პაქსაძე, ტაკიძე, ტარიელაძე, ფასანიძე, ფუტყარაძე, ქათამაძე, ქარცივაძე, შავაძე, შაინიძე, შამანაძე, ცეცხლაძე, წულუკიძე, ჭალაიძე, ხიმშიაშვილი, ხოზრევანიძე, ჯაიანი, ჯუმუშაძე. ქართული გვარების აბსოლუტური უმრავლესობა, 43-დან 42 (ანუ გარდა ხიმშიაშვილისა) „-ძე“ ფორმანტით არის ნაწარმოები.

როგორც ვხედავთ, სახეზეა მშობლიურ გვარსახელებზე ოფიციალურად დაბრუნების დაჩქარებული პროცესი, თუმცა პიროვნული სახელების და მამის სახელების კორპუსში სულ სხვა ვითარებაა.

სამ-სამი პიროვნების სახელები: ახმედ¹⁵ (ასლანის ძე, ისმაილის ძე, ალის ძე) იუნუს (დურსუნის ძე, მევლუდის ძე, ხუსნის ძე); მემედ (ემინის ძე, ესადის ძე, შამილის ძე); მუხამედ (უსუფის ძე, ხასანის ძე, ზაბითის ძე); ხასან (ზაირამალის ძე, ოსმანის ძე, სულეიმანის ძე).

ორ-ორი პიროვნების სახელები: დემურალი (ზაბითის ძე; მამუდის ძე) ზექერია (მემედის ძე, ხუსეინის ძე); ისმაილ ასანის ძე; ისმაილ (?); ოსმან (ეუბის ძე, სულეიმანის ძე).

თითო პიროვნების სახელები: აბას ნიაზის ძე, ალი იშილის ძე, ალისულთან შაბანის ძე, არიფ მუხამედის ძე, ასლან მელექის ძე, ალალი სულეიმანის ძე, ბარათალ ხუსეინის ძე, ეუბ მემედის ძე; ილიას, ილია ნურის ძე, (ქართველი მაჰმადიანი¹⁶); ირაკლი (ბოლქვაძე, ივანეს ძე, ქართველი); ისაყ არიფის ძე; იუსუფ იაყუფის ძე; მამუდ ეფენდი მემედის ძე; მოჰერემ ალის ძე; მიქაილ გულოს ძე; მერჯან მუხამედის ძე; მურთაზ ისმაილის ძე; ნური ხუსეინის ძე; რეშიტ ასლანის ძე; რიზა მუხამედის ძე; სულეიმან მუხამედის ძე; ფაიყ რეჯების ძე; ფერათ ემინის ძე; ფოლად ყარამანის ძე; ქელეშ უსეინის

¹⁵ სახელებს გვარებს და მამის სახელებს ერთად არ ვაფიქსირებთ, რადგან ჩვენ გვანტერესებს არა პიროვნებების იდენტიფიკაცია, არამედ მონაცემები.

¹⁶ ეროვნებას ვუთითებთ საჭიროების შემთხვევაში.

ძე; ლისა ხუსეინის ძე; ყაია ნეზოს ძე; შაი (?); შევქეთ იუსუფის ძე; ხაიდარ ოსმანის ძე; ხუსეინ იუსუფის ძე; ხემზე (?).

როგორც მონაცემებიდან ჩანს, დღევანდელი ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში სკოლების მასწავლებელთა ა) გვარსახელების კორპუსის 96,5% ოფიციალურად არის დაბრუნებული მშობლიურ ნიადაგზე, ბ) სახელების და მითუმეტეს, მამის სახელების თითქმის 100% კი კვლავინდებურად მუსლიმანური რელიგიური ფაქტორით არის შერჩეული, კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში მამის სახელების ჩათვლით დაფიქსირებული 66 სახელიდან 64 მუსლიმანურია, მამასადამე, სახელების გადარქმევის პროცესი ამ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ არის დაწყებული.

გ. მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი 1925 წლის საარქივო მასალების მიხედვით.

რაც შეეხება ახალგაზრდული ასაკობრივი ჯგუფის ანთროპონიმულ სურათს, აქაც იგივე ვითარებაა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პარალელის გავლება, მაგალითად, თხილნარის სკოლის 8-12 წლის ასაკის მოსწავლეთა სია (აცსა. ფ.178; აღწ.1; ს.45. გვ.91).

. 1925), რომელშიც 18 მოსწავლის 14 გვარსახელიდან 9 (64, 2%) ქართულია, ესენია: *ბეჟანიძე, ბერიძე, დევაძე, დუმბაძე, კოტლაძე, მიქელაძე, შერვაშიძე, ზაქარაძე, მიქელაძე.*

თურქული გვარებია: *ბეჟიროღლი, გულაბეროღლი, შიმშანოღლი, ჰაქიმოღლი, შაინოღლი.*

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, ყველა მუსლიმანურია: *აბდულ, ახმედ, ალი, გულფიდან, ისლამ, მურთეს, მექსუდ, ნაზიმ, ომერ, საიდ, შებან, შუქრი, შაქირ, ჯემალ, ხუსეინ.*

5.2. მასწავლებელთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი 1940-1950-იან და შემდგომ წლებში (აცსა. ფ.5; აღწ.2; ს.272. გვ.1-27).

რაც შეეხება შემდგომ პერიოდებს, 1930-იანი წლებში, ქემალ ათათურქის გარდაცვალებამდე, სსრკ და თურქეთი არ იყვნენ ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილნი, მაგრამ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, 1940-1950-იან წლებში, ანუ მსოფლიო ომის მიმდინარეობისა და შემდგომ ეტაპზე, როცა თურქეთი და სსრკ ერთმანეთის მიმართ უკიდურესად მტრულ ბანაკებში აღმოჩნდნენ. ეს მნიშვნელოვნად განაპირობებდა სსრკ-ს სახელმწიფო პოლიტიკას სსრკ-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონში. რამაც გავლენა იქონია ზემო აჭარის ანთროპონიული სურათის ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარებაზე, კერძოდ, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი მკვეთრად გამოხატული მუსლიმანური არა მარტო პიროვნული სახელების, არამედ მამის სახელების გამოცვლა. ყოველივე ეს კეთდებოდა ცხადია, არა ქართული ეროვნული პოლიტიკის გატარების, არამედ სულ სხვა მიზნებით და მიზეზებით. საუბარია იმ ფაქტორებზე, რომელთა გამოც ზემო აჭარის და მესხეთის საზღვრისპირა რაიონებიდან ომის დამთავრების შემდეგ მოსახლეობა მასობრივად გაასახლეს კიდეც. მიზეზებში გასარკვევად უცვლელად გადმოგვაქვს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიას 1944 წლის 24 ივლისის №789/6 წერილი იოსებ სტალინისადმი: „საქართველოს სსრ-ის თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებში ცხოვრობს თურქული მოსახლეობა. წლების განმავლობაში, ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ნათესაურ კავშირშია თურქეთის მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებლებთან, ამჟღავნებს ემიგრაციულ განწყობას, ეწევა კონტრაბანდას და თანამშრომლობს თურქეთის დაზვერვასთან აგენტების გადმობირებისა და ბანდიტური ჯგუფების შექმნისათვის.

საქართველოს სსრ მონაკვეთზე სსრკ-ის საზღვრის დაცვის გაძლიერების მიზნით, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მიზანშეწონილად მიიჩნევს გადაასახლოს ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოდან

თურქების, ქურთების და ხემშილების 16700 ოჯახი, სულ 86 000 სული ყაზახეთის, უზბეკეთისადა ყირგიზეთის სსრ-ში“ (მუდმივად... 1999) .

ა. **„ქედის და ხულოს სახელმწიფო პედსასწავლებლების IV კურსზე ჩასატარებელი სახელმწიფო გამოცდების ოქმი“, 1951 წელი.**

აღნიშნულ დოკუმენტში (ასს ცსა. ფ.№5, ა. №2, ს. №. 267) დაფიქსირებულია ქედის პედსასწავლებლის 21 და ხულოს პედსასწავლებლის 50 კურსდამამთავრებლის სახელები, გვარები და მამის სახელები. სურათი თითოეულ ამ სასწავლებელში ერთმანეთისგან განსხვავებულია.

ქედის პედსასწავლებელი (სახელები): ავთანდილ, აკაკი, გიორგი, გურამ, დავით, დურმიშხან, ვალერიან, ვახტანგ, ვლადიმერ, ზურაბ, იაშა, ილია, მიხეილ, ნოდარ, ნუგზარ, ოთარ, საშა, შალვა, შოთა;

ქედის პედსასწავლებელი (მამის სახელები): აბდულ; ახმედ; გიორგი; დავით; დემურალი; მემედალი; მემედ; მერჯან; მეჯიდ; მირალი; მურად; რამიზ; რეჯებ; სადიყ; შეიდალი; შირინ; ხასან; ხუსეინ.

ქედის პედსასწავლებელი (გვარსახელები): აბაშიძე; აბულაძე; არძენაძე; ბერიძე; გოგიტიძე; გორგილაძე; დუმბაძე; ვასაძე; ირემაძე; კეჟერაძე, მგელაძე; მახაჭაძე; მიქელაძე; სურმანიძე; შავიშვილი; ძნელაძე.

როგორც ვხედავთ, ქედის პედსასწავლებელი 1951 წლის კურსდამამთავრებელთა არა მხოლოდ გვარსახელების, არამედ პიროვნული სახელების კორპუსი მთლიანად არის ტრანსფორმირებული ეროვნული ანთროპონიმის მიმართულებით. ეს პროცესი არ შეხება მამის სახელებს, რომელთა ტრანსფორმაციაშიც იგულისხმება ის, რომ 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან სახელების და მამის სახელების გამოცვლა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი.

ხულოს პედსასწავლებელი (გვარსახელები): აბულაძე, ბახტაძე, ბერიძე, ბოლუქვაძე, გელაძე, დავითაძე, დეკანაძე, დუმბაძე, იაკობაძე, კახაძე, კეშელავა, მახარაძე, მიქელაძე,

პაქსაძე, რიჟვაძე, საგინაძე, ტაკიძე, ქათამაძე, ქარცივაძე, შამანაძე, ჩოგაძე, ძირკვაძე, წულუკიძე, ხიმშიაშვილი, ხოზრევანიძე, ჯაყელი, ჯიბლაძე (გვარსახელების კორპუსი მთლიანად ქართულია).

ხულოს პედსასწავლებელი (სახელები): ამირან, ასლან, ალალი, ახმედ, ბინალ, გიორგი, გურამ, ვახტანგ, ვლადიმერ, ლალი, მამია, მევლოდ, მუხამედ, ნიაზ, ნოდარ, ოთარ, სოფიო, შალვა (18 პიროვნული სახელიდან 6 ანუ 33,3% კვლავინდებურად მუსლიმანური ფაქტორის შედეგია).

ხულოს პედსასწავლებელი (მამის სახელები): ასლან, ალალი, ახმედ, გედევან (თამარ კეშელავა), დურსუნ, ემინ, ეუბ, ზაბით, ზაქარი, ზეჟერია, ინუს, ისკენდერ, ისმაილ, მევლოდ, მემედალი, მემედ, მურთაზ, მუხამედ, ნური, ოსმან, რალიბ, რეჯებ, რიზა, სევფითინ, სულეიმან, ქამილ, ყადირ, შახველედის, შეიდალის, ხასანის, ხუსეინის, ჯივანის, ჰაიდარის (მამის სახელების კორპუსში კვლავინდებურად არაფერი შეცვლილა).

ბ. ზემო აჭარის მასწავლებელთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი 1951 წლისთვის¹⁷.

საარქივო დოკუმენტის - „ქედის რაიონის სკოლების მასწავლებელთა შტატი 1951 წელს“ (ასს ცსა. ფ.№5, ა. №2, ს. №. 271. გვ. 1-27) - მიხედვით ქედის რაიონის **51 სკოლაში მუშაობდა 119 მასწავლებელი**, რომელთა 51 გვარსახელიდან ყველა ქართულია: აბაშიძე, აბულაძე, ავალიანი, ანანიძე, არძენაძე, ბასილაძე, ბაჯელიძე; ბედინაძე, ბეჟანიძე, ბერიძე, ბოლქვაძე; გვარიშვილი, გოგიაშვილი, გორგილაძე, გურგენიძე, დევაძე, დიასამიძე, დოლიძე, დუმბაძე, ვარშანიძე, ვასაძე, ვაშაყმაძე, ზაქარაძე, თავდგირიძე, თურმანიძე, კაკაბაძე, კონცელიძე, კოჩაძე, მალაყმაძე, მამუჭაძე, მანველიძე, მახარაძე, მგელაძე, მესხიძე, მიქელაძე, მჟავანაძე, ნაკაშიძე, საკანდელიძე, სირაბიძე, სურმანიძე,

¹⁷ აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოდვანე მასწავლებელთა ნაწილი გამოთხოვილი ან გადმოსული იყო სამუშაოდ საქართველოს სხვა კუთხეებიდან. მათ სახელებსა და გვარსახელებს ჩვენ ცალკე აღარ გამოვყოფთ.

ტაბიძე, ფარსენაძე, ქაჯაია, ლონიაძე, შარაძე, შერვაშიძე, ჩიკვაძე, ჩოხარაძე, ცეცხლაძე, ცინცაძე, ძნელაძე, წითელაძე, ხაბაძე, ხალვაში, ჯინჭარაძე. მათ შორის: 2 არის „-შილ“ ფორმატიანი, 1 – „-ია“ ფორმატიანი, 1-„ში“ ფორმატიანი, ხოლო დანარჩენი 48 – „-ძე“ ფორმატიანი.

რაც შეეხება პიროვნულ სახელთა კორპუსს, აქ ასეთი სურათია: 119 მასწავლებელს ჰქვია 77 სახელი, რომელთაგან 45 (57%) მუსლიმანურია: აბდულ, აიშე, ალი, ალიოსმან, ასიე, აქიფ, ახმედ, დურსუნ, ელმას, ენვერ, თუნთულ, ისკენდერ, ისმეთ, იუსუფ, მევლუდ, მელექ, მემედ, მეხფულე, მინერ, მიქაილ, მოედინ, ნიაზ, ომერ, ოსმან, რამიზ, რასიმ, რეჯებ, რიზალ, სალიხ, სელვა, სულეიმან, უზეირ, უსუფ, ფადიმე, ფერიდე, ფოათ, ქაზიმ, ქემალ, შერიე, შუქრი, ხასან, ხემიდ, ხუსეინ, ხუსნი, ჯელილ. ეს 45 მუსლიმანური სახელი ჰქვია 78 მასწავლებელს, ანუ მასწავლებელთა საერთო კორპუსის 66,6%-ს.

ხულოს რაიონის ანალოგიური მონაცემები მოცემულია საარქივო დოკუმენტში - „ხულოს რაიონის სკოლების მასწავლებელთა შტატი 1951 წელს“ (ასს ცსა. ფ.№5, ა. №2, ს. №. 272), რომლის მიხედვითაც 64 გვარის 171 მასწავლებლიდან ერთადერთს აქვს თურქული- ბაირახტაროღლი. დანარჩენი 63 გვარსახელი ქართულია: აბაშიძე, აბულაძე, ბახტაძე, ბერიძე, ბოლქვაძე, გაბაიძე, გათენაძე, გელაძე, გოგიტიძე, გორგაძე, გუგუნავა, დავითაძე, დეკანაძე, დუმბაძე, ემირიძე, ვარშანიძე, ზოიძე, თავართქილაძე, თავლაძე, იაკობაძე, ინაიშვილი, კარალიძე, კახიძე, კომახიძე, ლორთქიფანიძე, მამულაძე, მესხი, მიქელაძე, მჟავანაძე, ნაკაიძე, ნიჭარაძე, პაპუნაიშვილი, პაქსაძე, რომანაძე, სანიკიძე, სირაძე, სურმანიძე, ფალავა, ქათამაძე, ქამადაძე, ქართველიშვილი, ქარცივაძე, ქედელიძე, ქონიაძე, ყიფიანი, შავაძე, შამანაძე, შანიძე, შარვაშიძე, ჩოგაძე, ცეცხლაძე, ძირკვაძე, წულუკიძე, ჭყონია, ხალვაში, ხარაზი, ხმალაძე, ხოზრევანიძე, ჯაიანი, ჯაყელი, ჯინჭარაძე, ჯორბენაძე

რაც შეეხება პიროვნულ სახელთა კორპუსს, აქ ასეთი სურათია: ხულოს რაიონის 171 მასწავლებელს ჰქვია 75 პიროვნული სახელი, რომელთაგანაც მუსლიმანურია 44 – აბდულ, აიშე, ალი, ალიოსმან, ასიე, აქიფ, ახმედ, დურსუნ, ელმას, ენვერ, ისკენდერ,

ისმეთ, იუსუფ, მავილე, მევლუდ, მელექ, მემედ, მეხფულე, მინერ, მიქაილ, მოედინ, ნიაზ, ომერ, ოსმან, რამიზ, რასიმ, რეჯებ, რიზალ, სალიხ, სელვა, სულეიმან, უზეირ, ვადიმე, ვერიდე, ფოათ, ქაზიმ, ქემალ, შერიე, შუქრი, ხასან, ხემიდ, ხუსეინ, ხუსნი, ჯელილ.

5.3. ორსახელიანობა და ორგვარსახელიანობა ზემო აჭარაში (მოსახლეობის კოლექტიური მახასიათებლის მონაცემების ანალიზი)

როგორც საარქივო, ისე ჩვენ მიერ ჩატარებული საველე გამოკითხვების მასალების ანალიზიდან ჩანს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კვალი, რაც დატოვა ზემო აჭარაში გვარსახელების და პიროვნული სახელების ტრანსფორმაციის პროცესმა, ასეთია:

1. არამუსლიმანურ-მუსლიმანური (უფრო სწორად, საერო-მუსლიმანური) ორსახელიანობა, სადაც მუსლიმანურ სახელებს არაოფიციალური სტატუსი აქვთ.
2. ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობა, სადაც „ოლი“- ფორმანტიან თურქულ გვარებს არაოფიციალური სტატუსი აქვთ და ახალი - შტოგვარების ფუნქცია ეკისრებათ.

5.3.1 პიროვნულ სახელთა კორპუსის ტრანსფორმაცია და ორსახელიანობა

როგორც აღვნიშნეთ, 1922 წლიდან ზემო აჭარაში გვარსახელების და პიროვნული სახელების ტრანსფორმაციის პროცესი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულად წარიმართა: ქართული გვარსახელების დაბრუნება (მიღება) გაცილებით სწრაფად და იოლად მოხდა, ვიდრე პიროვნული სახელებისა, რომლის დაჩქარებისთვის 1940-იან წლებში სპეციალური ოფიციალური დოკუმენტებიც კი იქნა მიღებული. ჩვენ მოვიძიეთ საარქივო დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ნათლად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა ოფიციალურ დონეზე სახელის გამოცვლის პროცესი. ავიღოთ, მაგალითად, „საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის აჭარის განყოფილებასთან

არსებული პარტიული ორგანიზაციის 1953 წლის 2 თებერვლის სხდომის ოქმი №1, რომელზეც განიხილეს საკითხი: „პოეტ ხემიდ იშილის ძე ხალვაშის განცხადება სახელის შეცვლის შესახებ“. მოისმინეს: „ამხ. ხალვაშმა სახელი „ხემიდი“ შეიცვალა სახელით „ფრიდონი“. განცხადებას თან ერთვის მმაჩის ბიუროს სათანადო ცნობა“. დაადგინეს: „ეთხოვოს სკკპ ბათუმის საქალაქო კომიტეტს, რომ ამხანაგ ხალვაშის სახელის შეცვლასთან დაკავშირებული სათანადო ცვლილებები შეიტანოს მის პარტიულ დოკუმენტებში“ (ასს, ცსა. ფ-P-330, ა-1, ს-1, გვ.4). შედეგად ბატონ ფრიდონს შერჩა ორი სახელი - ხემიდი და ფრიდონი. ოფიციალური პარტიული და სახელმწიფო თანამდებობის პირებისგან ითხოვდნენ არა მხოლოდ სახელის, არამედ მამის (ცხადია, ცოცხალის) სახელების გამოცვლასაც. ასე გახდა, მაგალითად, ვახტანგ რეფიყის ძე პაპუნძიძე - ვახტანგ რაფაელის ძე პაპუნძიძე; ბიჭიკო რეფიყის ძე დიასამიძე - ბიჭიკო რაფაელის ძე დიასამიძე და ა.შ.

აშკარაა, რომ მაჰმადიანი ქართველის მენტალობა იოლად ვერ შეეგუა მუსლიმანური სახელების უცებ დაკარგვას. ამის გამო ეს სახელები არაოფიციალურ, ოჯახურ და საახლობლო წრეებში კომუნიკაციის სფეროში გადავიდა, რამაც შექმნა ორსახელიანობის ფენომენი. გამოკითხვის ანკეტაში ჩვენ ამ პრობლემას ცალკე პუნქტი მივუძღვენით, რაზედაც მივიღეთ შემდეგი სახის პასუხები (რესპოდენტთა სტილი დაცულია:

- **რომან ბეჟანიძე, 34 წლის, შუახევი, ჭვანა:** „ორსახელიანობა ოჯახში იყო, დედასაც აქვს და მამასაც მეორე სახელი, მაგალითად დედას **ნაზიბროლა და აიგული** ჰქვია. აიგულს ოჯახში ვეძახით, ოფიციალურ დოკუმენტებით კი ნაზიბროლა წერია. ახლა, ძირითადად ქართულ სახელებს ვარქმევთ“.

- **ვარდო შანთაძე, 56 წლის, ხულო, ოქრუაშვილები:** ოჯახში თითქმის ყველას აქვს მეორე სახელი, დედას ერქვა **გუგული და გუნეში**, გუგული იყო ოფიციალურად, ოჯახში და ნათესავები გუნეშს ვეძახით, მამას არ აქვს მეორე სახელი, ნევეთი ჰქვია და ასეა ოფიციალურ დოკუმენტებშიც. უფროს ძმას **ბიჭიკოს** ვეძახით, ოფიციალურად კი **არჩილია**, უმცროსს **ზურაბს** ვეძახით, გატარებულია - **ვაჟა**. ჩემს ქმარს **რევაზი** ჰქვია

ოფიციალურად, თუმცა ყველა ხასანს ეძახის“. (საინტერესო მაგალითია, რადგან „ბიჭიკო-არჩილი“ და „ზურაბი-ვაჟა“ მოდელის ორსახელიანობაში რელიგიური ფაქტორი უდაოდ უნდა გამოირიცხოს. ე.ბ.)

- **თენგიზ თავართქილაძე, 57 წლის, ხულო, ოქრუაშვილები:** „სოფელში ახალდაბადებულს თითქმის ყველა ქართულ სახელს არქმევს, მუსლიმური სახელები ოფიციალურად იშვიათად შეგხვდება, თუმცა ოჯახში ეძახიან. ალბათ ტრადიციაა და მაგიტომ. მე ორი სახელი მაქვს, **თენგიზი და ჯემალი**. მამას ჯემალის დარქმევა უნდოდა და რადგანაც ოფიციალურად ვერ დამარქვა ასე შემრჩა მეორე სახელად. ოფიციალურად თენგიზი ვარ“.

- **ჯემალ ქობულაძე, 72 წლის, ქედა, ზვარე:** „ოჯახში ორსახელიანობა არასდროს ყოფილა, ერთადერთი რაც შეიცვალა სახელის წარმომავლობაა, თუ ადრე მუსლიმანურ სახელებს ვარქმევდით, ახლა ქართული სახელების დარქმევა ხდება“.

- **ნუგზარ ქედელიძე, 32 წლის, ხულო, ქედლები:** „ჩემი მეორე სახელი მუხამედია, ზოგი **ნუგზარს** მეძახის, ზოგიც კი **მუხოს**. მუხოს უფრო ოჯახში მეძახიან, ოფიციალურად ნუგზარი ვარ, ახლა აღარაა სოფელში მეორე სახელის დარქმევა წესად, ჩემს ბავშვობაში გამიგია, რომ **მუსლიმური სახელის დარქმევა მადლი იყო** და ამიტომ გვეძახდნენ ოჯახში მუსლიმურ სახელებს“.

- **თამაზ ჯორბენაძე, 48 წლის, ხულო, ქედლები:** „ოჯახში მუსლიმანური სახელი აუცილებლად უნდა ყოფილიყო, დედას **ემინეს** ვეძახით, ოფიციალურად **თამარაა**, მამას არაოფიციალური სახელი **ჯემალია**, გატარებულია **ოთარი**. მე **უსუფი** მქვია ოფიციალურად და **თამაზის** მეძახის ყველა“.

- **რეჯებ ჯოყილაძე, 84 წლის, ხულო, გოდგაძეები:** „მეორე სახელი არ მაქვს, რეჯები ვარ ოფიციალურადაც. ადრე მუსლიმანურ სახელებს ვარქმევდით, ახლა ვისაც რა უნდა იმას არქმევს, მაგრამ მუსლიმანურს არა“.

- **მამია კახაძე, 48 წლის, ხულო ბედლეთი:** „ჩემი მეორე, არაოფიციალური სახელი **მევლუდია**, დედაჩემს **გულიკო** და **ფატყუმე** ჰქვია. ფატყუმეს სახლში ვეძახით, ოფიციალურად გულიკოა. ახალ თაობაში აღარაა ორსახელიანობა“.

- **ჯამბულ კახაძე, 46 წლის, ხულო ბელეთი:** „თუ მუსლიმანურ დღესასწაულზე დაიბადება ბავშვი, მას აუცილებლად უნდა დაერქვას რელიგიური სახელი, იტყოდნენ მაღლიან დღეს არის დაბადებულიო“.

- **ნუგზარ სოლომონიძე, 57 წლის, ხულო, ღურტა:** „ჩემი მეორე, არაოფიციალური სახელი სელიმია, მეორე სახელი, რომელიც რელიგიურია, უფრო კაცებს აქვთ, ვიდრე ქალებს, მიზეზი არ ვიცი“.

- **ამირან თავართქილაძე, 78 წლის, ხულო, ოქრუაშვილები:** „ქაზიმი მერქვა, მანამდე ვიდრე სკოლაში შევიდოდი, სკოლაში, რომ შევედი ამირანი დამარქვეს, ასე შემრჩა ორი სახელი“.

- **მედიკო დეკანაძე, 48 წლის, ხულო, დეკანაშვილები:** „ოჯახში დედ-მამას ჰქონდა მეორე, არაოფიციალური სახელები და ყველა ამ სახელს ეძახდა. დედას ოფიციალურად **შუშანა**, არაოფიციალურად **შადიე**, მამას ოფიციალურად **ომარი**, არაოფიციალურად **აბდული** ქვია. ახლა თანამედროვე სახელებს ვარქმევთ, ჩემს შვილებს მარიკა და მამუკა დავარქვი“.

- **თემურ ავალიანი, 59 წლის, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი** - „მამაჩემს ხუსნი რქმევია, როგორც თვითონ იხსენებდა, 1948 წლის ერთ მშვენიერ დღეს დაუბარებიათ თემის საბჭოში და უთქვამთ, სახელი უნდა გამოიცვალო. დაირქვა ნოდარი. სიცოცხლის ბოლომდე და-ძმები და მისი თაობის ახლობლები ხუსნის ეძახდნენ. ასეთი შემთხვევა ჩემს სანათესაოში უამრავია: შოთა მგელაძეს ხემიდი ერქვა, შალვა ავალიანს - შევქეთი, გივი ავალიანს - ფოათი, ოთარ ავალიანს - ხემიდი და ა.შ.“

„მუსლიმანური სახელი - არამუსლიმანური სახელი“ მოდელის ორსახელიანობის საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება **მართლმადიდებელ ქრისტიანთა „კალენდარული (ნათლობის) სახელი-საერო სახელი“** მოდელის ორსახელიანობასთან. მსგავსება ისაა, რომ რელიგიური დატვირთვის პიროვნული სახელი საერო ცხოვრებაში არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში არ გამოიყენება. ამავე დროს კალენდარული სახელი ოფიციალურადაა რეგისტრირებული ეკლესიის მიერ, **მუსლიმანური ე.წ. პიროვნული სახელი კი მთლიანად არაოფიციალურია.** აღნიშნულის შესახებ

რ.თოფჩიშვილი წერს: „ქართულ-ქართველური სახელები ქრისტიანობის მიღების შემდეგ თანდათან ნაკლებად გამოიყენებოდა. ისინი ძირითადად მეორე ანუ მეტსახელის ფუნქციას ასრულებდნენ საქართველოს ყველა პროვინციაში. ისიც ხდებოდა, რომ ძალიან ხშირად კანონიზებული ქრისტიანული სახელი აღარავის ახსოვდა“ (თოფჩიშვილი, 2000: 174)

5.3.2. ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობა

ჩვენი საველე გამოკითხვის მასალების ანალიზი გვიჩვენებს აგრეთვე იმასაც, რომ ანთროპონიმის დინამიკის პროცესმა ზემო აჭარაში ორსახელიანობის მსგავსად დაამკვიდრა ე.წ. ორგვარსახელიანობაც, რომლის ერთ-ერთი მოდელიც ასეთია: „ოფიციალური ქართული გვარსახელი + არაოფიციალური თურქული გვარსახელი“. ამ მოდელის სხვა ორგვარსახელიანი მოდელებისგან განმასხვავებელი ნიშანი დღეს არის ის, რომ თურქული გვარსახელი მხოლოდ ადამიანთა მეხსიერებაშია შემორჩენილი და წერილობით არსად, არცერთი სახის დოკუმენტში არ ფიქსირდება. იმის დასტურად, რომ ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის არაოფიციალურ, თუმცა მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად დღემდე რჩება „-ოღლი“ ფორმატიანი თურქული გვარსახელები, ჩვენ სამომავლოდ ვგეგმავთ მათი, როგორც ზემო აჭარის დიალექტური კორპუსის მნიშვნელოვანი ნაწილის ერთიანი რეესტრის შექმნას, აქ კი უცვლელად გადმოგვაქვს ქედის, შუახევის და ხულოს რაიონების 75 ქართული გვარსახელის მატარებელი 250-ზე მეტი რესპოდენტის გამოკითხვის მასალები მათივე კომენტარებიანად:

1. აბაშიძე

- *აბაშიძე შოთა. ხულო, ოქრუაშვილები* - ძველი გვარია **ქრელოღლი** - „წინაპარი იმერეთიდანაა ჩამოსახლებული“.
- *აბაშიძე ნოდარ (45 წლის.). ხულო, ოქრუაშვილები* - „ძველი გვარი **ესედოღლია**. არ ვიცი საიდან მოვიდა წინაპარი, თურქობამდე აბაშიძეები ვიყავით, შემდეგ კი გვარი დავიბრუნეთ. დღეს, სოფელში მცხოვრები ყოფილი - **არიფოღლი და ნიკოლოღლი**

აბაშიძედ იწერებიან, ესენი ჩვენი შტოა. სამი ძმა ყოფილა, ესედი, ალიფი და ნიკოლოზი, ოღლებიც სახელებით მიუნიჭებიათ“.

- *აბაშიძე თემურ, (63 წ.). ხულო, ოქრუაშვილები* - „თავდაპირველი გვარი არ ვიცი, არც ის ვიცი **ჭრელოღლები** რატომ დაგვარქვეს, წინაპარი სოფელ ძირკვაძეებიდან გადმოსულა საცხოვრებლად“.
- *აბაშიძე გივი (53 წ.). ხულო, ოქრუაშვილები* - „ადგილობრივები ვარ, თურქობის დროს **ალიბაბაოღლები** ვიყავით, მანამდე რა იყო ჩვენი გვარი არ ვიცი. წინაპართა ერთი შტო ალიბაბაორლად დაწერილა, სხვები კი სხვა ოღლად. გვარის დაბრუნების შემდეგ შტოს სხვადასხვა ოღლი [**ჭრელოღლი, ნიკოლოღლი**] აბაშიძედ იწერება. ოჯახში ორსახელიანობაც იყო, დღეს მუსლიმურ სახელებს ვარქმევთ. ჩვენს ოჯახს ხოჯიებს გვეძახიან, მორწუნეები ვართ და მეტსახელიც ასე შეგვერქვა“.
- *აბაშიძე ჯემალ (71 წ.). ხულო, ოქრუაშვილები* - ძველი გვარი **ჭრელოღლი** - „წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა, გვარზე სხვა არაფერი მსმენია“.
- *აბაშიძე რეზო, შუახევი, ქიძინიძეები* - ძველი გვარი **ყურამედოღლი** - „წინაპარი ქედიდან, მერისიდან ამოსულა. დღევანდელი აბაშიძეები ყოფილი **დურსუნოღლები, იდრისოღლები, ბაირახტაროღლები** არიან, ყველამ გვარი დაიბრუნა, თუმცა სხვადასხვა შტო ვართ, მხოლოდ ერთი გვარი გვაერთიანებს“.
- *აბაშიძე შოთა (61 წ.) შუახევი, ქიძინიძეები* - ძველი გვარი **ხეძემოღლი** - „წინაპარი ქედიდან, მერისიდან ამოსულა, დღევანდელი აბაშიძეები ყოფილი **დურსუნოღლები, იდრისოღლები, ბაირახტაროღლები** არიან, ყველამ გვარი დაიბრუნა, თუმცა სხვადასხვა შტო ვართ“.
- *აბაშიძე ასლან (61 წ.). შუახევი, ქიძინიძეები* - ძველი გვარი ხეძემოღლი - „წინაპარი გორიდან ჩამოსულა, თავდაპირველი გვარი აბაშიძეა. ბაბუას ოთხი ძმა ჰყოლია და ყველას თავისი გვარი ჰქონია - ყურამედოღლი, იდრისოღლი და ხაფანთოღლი, მაგრამ რა პრინციპით დაარქვეს ერთი გვარის წარმომადგენლებს სხვადასხვა გვარები ეს არ ვიცი.

- *აბაშიძე მირიან, შუახვევი, ნიგაზეული* - ძველი გვარი **ფეიზოლი** - „არვიცი რატომ დაგვარქვეს ფეიზოლები, არც ის თუ წარმოშობით საიდანაა წინაპარი“.
- *აბაშიძე ჯიმშერ, შუახვევი ქიძინიძეები* - ძველი გვარი **ყურიამედოლი** - „წინაპარი ქედიდან, მერისიდან ამოსულა. ჩვენი გვარი დურსუნოლლად, იდრისოლლად და ბაირახტაროლლად დაყოფილა“.
- *აბაშიძე ეშვარ (43წ.). შუახვევი, ქიძინიძეები* - ძველი გვარი **ყურიამედოლი** - „არ ვიცი გვარის ისტორია, მხოლოდ ის ვიცი, რომ **ყურიამედოლებად** მოვიხსენიებით“.

2. აბულაძე

- *აბულაძე რევაზ (68 წ.). ხულო, დაბა ხულო* - „წინაპარი მახვილაურიდან ამოსულა, თავდაპირველი გვარი **შარიმოლიშვილია**, ოღლები არ ვყოფილვართ“.
- *აბულაძე რუსლან (25 წ.). ხულო, ოქრუაშვილები* - ძველი გვარი **ოსმანოლი**, გვარის დანარჩენი ისტორია არ ვიცი“.
- *აბულაძე ჯუმბერ (27 წ.) ხულო, ოქრუაშვილები* - „წინაპარს ოსმანი რქმევია, რის მიზეზითაც **ოსმანოლები** დაგვარქვეს“.

3. ბასილაძე

- *ბასილაძე ლუიზა (36 წ.) ქედა. მახუნცეთი (ქოსოფელი)* - ძველი გვარია სელიმლაშვილი, წინაპარი იმერეთიდანაა ჩამოსახლებული“.
- *ბასილაძე მერაბ (38 წ.), ხულო, სხალთა* - „ბასილაძეები სხალთის ხეობაში მხოლოდ სოფელ ჭერშია, საიდან მოვიდა წინაპარი და დასახლდა აქ არ ვიცი, არც ის ვიცი ჩვენი თავდაპირველი გვარი რა იყო, **ბექიროლებად** მოვიხსენიებით.“

4. ბეჟანიძე

- *ბეჟანიძე რომან (43 წ.). შუახვევი, ჭვანა* - ძველი გვარი **უსტასელიმოლი** - „წინაპარი ქედიდან, სოფელ ზენდიდიდან ამოსულა, მჭედელი ყოფილა, უსტას ეძახდნენ და ამიტომ შურქმევიათ უსტასელიმოლები, შტო ამ ოღლად მოვიხსენიებით“.

5. ბედინაძე

- *ბედინაძე ინდირა (26 წლის, ქედა, მახუნცეთი (ჭალახმელა) - „ოღლები ვიყავით თუ არა, არ ვიცი, კუბულაშვილები ვიყავით თურქობამდე პერიოდში, უჩხითიდან ჩამოსულან წინაპრები, მაგრამ უჩხითში საიდან მოვიდნენ არვიცი. სოფელში დღეს მცხოვრები ბედინაძეები ყოფილი ყირათოღლები, კუბულაშვილები და თამთოღლები ვართ.*

6. ბერიძე

- № *ბერიძე რომან ქედა. მახუნცეთი (მახუნცეთი) – „ძველი გვარი ხაზაძოღლი“.*
- № *ბერიძე. ელიკო (58 წ.) ფარსენაძე როლანდ (54 წ.) ქედა მახუნცეთი - ძველი გვარი ქოროღლი - „წინაპარი ზენდიდიდან ჩამოსახლებულა. სამ შტოდ დაიყო - ჰაიდაროღლი, ქოროღლი და ოგოროღლი“.*
- *ბერიძე გურამ (54წ.) ხულო, ტაბახმელა - „ჰაჯიოღლებს მექაში ნამყოფ ადამიანს ეძახდნენ, წინაპარს ნახული ჰქონია მუსლიმთა წმინდა ადგილი მექა და ამბობენ ამიტომ დაგვარქვეს ჰაჯიოღლი. თავდაპირველი გვარი ბერიძეა, წინაპარი ღორჯომიდან ამოსულა, ღორჯომში კი ადიგენიდან გადმოსულა საცხოვრებლად, შტო ყველა ჰაჯიოღლად დაიწერა, შემდეგ ყველა თავდაპირველ გვარს დაუბრუნდა“.*
- *ბერიძე ზაზა (35წ.). ხულო, მერჩხეთი - „ძველი გვარი ნიგაზევლინოღლია, ნიგაზეულიდან ვართ წარმოშობით, ოღლიც აქედან შეურქმევიათ“.*

7. ბოლქვაძე

- *ბოლქვაძე ციალა (62 წლის, ქედა, მახუნცეთი (ქვედა ბზუბზუ) – „გადმოცემით ვიცი, რომ ჩემი წინაპრები სვანეთიდან, სოფელ ბოლქვიდან ჩამოსახლებულა. ძველი გვარი იყო ბოლქვაძე, გვარი დანაწევრდა ოჯახის უფროსის სახელების მიხედვით: შირინოღლი, ფიფინოღლი, ყადიოღლი და ჩილალოღლი, დავუბრუნდით ძველ გვარს, მაგრამ სხვა შტოებმაც დაიწერა ბოლქვაძე“.*
- *ბოლქვაძე ვალიკო (48წ.) ხულო, დეკანაშვილები - „არ ვიცი რატომ დაგვარქვეს ომაროღლი. ადგილობრივები ვართ, ჩვენი შტო ომაროღლად იწერებოდა. შტოს ერთი ნაწილი ქედლებსა და დეკანაშვილებში დასახლდა, მეორე ნაწილი კი თურქეთში*

გადასახლებულა. გვარის დაბრუნების შემდეგ ქედლებსა და დეკანაშვილებში მცხოვრებმა ომაროღლებმა ძველი ქართული გვარი დავიბრუნეთ“.

- *ბოლქვაძე ვალერიან (42 წ.), ხულო, დეკანაშვილები* - „ადგილობრივები ვართ, წინაპარი ომაროღლად დაიწერა, სხვა არაფერი არ ვიცი“.
- *ბოლქვაძე ვალიკო (49 წ.) ხულო, დეკანაშვილები* - „**ომაროღლები** ვიყავით. წინაპარი ქედლებიდან გადმოსულა. დღეს ქედლებში მცხოვრები ჩვენი შტო ბოლქვაძეებად იწერებიან. თურქობის დროს გვარი სხვადასხვა ოღლებად არ დაყოფილა“.

8. გვარიშვილი

- *გვარიშვილი ფრიდონ (71 წ), გვარიშვილი ჯემალ (41 წ), გვარიშვილი ზურაბ (51წ.) ქედა. მახუნცეთი. მილისი)* - ძველი გვარია **გვარელოღლი**. „ოღლობამდე დადიშქელიანები ვიყავით, როცა ჩვენი წინაპარი სვანეთიდან ჩამოსახლდა, ჰკითხეს, ვინ ხართო, კითხვაზე უპასუხიათ, კაი შვილები ვართო და გვარიშვილებიც აქედან მომდინარეობს“.

9. გოგიტიძეები

- გოგიტიძე ახმედ, შუახევი, ქიძინიძეები - ძველი გვარი **ბოდოღოღლი** - „არვიცი რატომ დაგვარქვეს ჯვარელოღლები“.

10. გოჩაძე

- *ზვიად გოჩაძე (38 წლის, ქედა, მახუნცეთი (უჩხითი)* - „ჩემი წინაპრები სამეგრელოდან ჩამოსახლებულან, ძველი გვარი ყოფილა **ჟორდანია**, ყველა **მოლაისმაილოღლად** დაიწერა, რაც შეეხება დღევანდელ გვარს, სოფელში სამი ქედია, ერთს გოჩას ქედი ჰქვია, გვარი - გოჩაძეებიც აქედან დავიწერეთ“

11. დავითაძე

- № *დავითაძე გოჩა (37 წ.) ქედა. მახუნცეთი. (დოლოგანი)* - „ძველი გვარი **მელექოღლი**. წინაპარი წონიარისიდან ჩამოსახლებულა, ჩვენი გვარი სხვა ოღლებად არ დანაწევრებულა, თუმცა სხვა ოღლებმაც [ხაჯიოღლი, დაუთოღლი] დავითაძე დაიწერენ“.

12. ვართმანიძე და ვარდმანიძე

- *ვართმანიძე ნიაზ ქედა. მახუნცეთი. ნამლისევი*) – „ძველი გვარი ჩიჩიოლი“.
- *ვართმანიძე რევაზ ქედა. მახუნცეთი (ნამლისევი)* – „ძველი გვარი ყილიჩოლი.“
„ჩვენი შტო ყველა ჩიჩიოლად დაიწერა, შემდეგ კი ყველა ჩიჩიოლი ვართმანიძედ“.
- *ვარდმანიძე ნონა (37 წ.) ქედა. მახუნცეთი, უჩხითი* – „ძველი გვარია ჰებიზოლი წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა“.

13. ვარშანიძე

- *ვარშანიძე ნათელა. ქედა. მახუნცეთი. ზუნდაგა*) - ძველი გვარი ხუსეინალიშვილი.
„ჩვენი თავდაპირველი გვარი ვარშანიძეებია, ოღლობის შემდეგ გვარი დავიბრუნეთ“
- *ვარშანიძე რუსუდან - ქედა. მახუნცეთი. ზუნდაგა.* ძველი გვარი ხუსეინოლია.
წინაპარი მაჭახელას ხეობიდან მოსულა“.
- *ვარშანიძე თამაზ (27 წ.). ქედა. მახუნცეთი. ზუნდაგა*) – „ძველი გვარი მურადალიშვილი. ოღლობის შემდეგ პერიოდში სოფელში მცხოვრებმა ბექროლლებიც ვარშანიძედ დაიწერა“
- *ვარშანიძე გული. ქედა მახუნცეთი. ზუნდაგა* - „ძველი გვარია დელიმემედოლი თურქობამდე პერიოდში ვარშანიძეები ვიყავით“.
- *ვარშანიძე ეთერ - ქედა. მახუნცეთი. დოლოგანი*) - ძველი გვარია აბდულოლი.
ხალილოლლებიც ვარშანიძეებად იწერებიან“.

14. ვერძაძე

- *ვერძაძე ბადრი (37 წ.) ქედა. მახუნცეთი. ზუნდაგა*) - „ოღლობამდე სავარაუდოდ ბათალაშვილები ვიყავით, ბაბუას მამას ბათალა ერქვა, წინაპრებიდან დღეს ბათალაშვილებად არავინ იწერება, დღეს ყველა ვერძაძედ იწერება“.
- *ვერძაძე მალხაზ (48 წ.). ქედა. მახუნცეთი. ნამლისევი*) – „ძველი გვარი ბაბუჩოლია“.
- *ვერძაძე თემურ (59 წ.). ქედა. მახუნცეთი. ზუნდაგა.* „ადგილობრივები ვართ, ოღლები არ ვყოფილვართ, ბაბუჩაიშვილები ვიყავით, რადგანაც სოფელში ვერძაძეები იყვნენ სავარაუდოდ ამიტომ დავიწერეთ ვერძაძეებად, ვარშანიძეები

სოფელში გვიან დასახლდნენ, ჩვენი წინაპრების გარდა ჩაფურაშვილებმა და ყილიჩოღლებმაც დაიწერეს ვერძაძეებად“.

- *ვერძაძე ლევან (45 წ., ქედა მახუნცეთი ზუნდაგა)* – „ძველი გვარია ყილიჩოღლი. გადმოცემით როდესაც ქართულ გვარებს ოღლებად ცვლიდნენ, იქ ჩვენი უბნიდან არავინ მისულა, იკითხეს რატომ არავინ მოდისო, რა დროსაც გამოჩენილა ჩემი წინაპარი, თურქს რომ შეუხედავს უთქვამს ნამდვილი „ყილიჩიანიაო“, ოღლობამდე ვერძიშვილები ვყოფილვართ, ჩვენი შტო დაიყო - **ვერძიოღლი, ბექიროღლი, ბაბუჩოღლი**, ყველა ეს ოღლი ახლა ვერძაძედ იწერება“.
- *ვერძაძე გული. ქედა. მახუნცეთი (ზუნდაგა)* – „ძველი გვარი ბექიროღლი. წინაპარი - ბექირის სახელიდან გამომდინარე დაურქმევიათ“
- *ვერძაძე რუსუდან - ქედა. მახუნცეთი (ზუნდაგა)* - „ძველი გვარი **ყარამქედოღლი**. „დიდ ბაბუას ყარაღა ერქვა“.
- *ქიზარ ვერძაძე, ქედა მახუნცეთი (ზუნდაგა)* - ძველიგვარი **ბაბუჩოღლი**. „წინაპარი ორი ძმიდან ერთი ბაბუჩაიშვილად დაიწერა, მეორე ვერძაძედ, ხოლო ოღლობის შემდეგ შტოს ყველა წარმომადგენელი ვერძაძედ იწერება“.

15. გობაძე

- *გობაძე მაცვალა, ხულო, ტაბახმელა* - „ძველი გვარი **ჯვარელოღლია**, ოღლობამდე დადიშქელიანები ვყოფილვართ. წინაპარი სვანეთიდან ჩამოსახლებულა“.
 - *გობაძე ომარ (27 წ.) ხულო, ტაბახმელა* - „ძველი გვარია **გობაძოღლი** - „წინაპარი დიდაჭარიდან ჯვარიქეთში დასახლებულა, საიდანაც შემდეგ ტაბახმელაში გადმოსულა საცხოვრებლად, დიდაჭარაში მცხოვრები ჩვენი წინაპრები დღემდე გობაძეებად იწერებიან“.

16. გოგიტიძე

- *გოგიტიძე ეშზარ. ქედა. მახუნცეთი (ქვედა ბზუბზუ)*- ძველი გვარი **ფხიკიოღლი**. „წინაპარი შავშეთიდან მოსულა, ჩვენი პირველი გვარი გოგიტიძეა“
- *გოგიტიძე. ავთო ქედა. მახუნცეთი (ქვედა ბზუბზუ)*-„შავშეთიდან, სოფელ ფხიკივრეთიდან ჩამოსახლებულა წინაპარი, **ფხიკიოღლიც** ამიტომ შეგვარქვეს“

- *გოგიტიძე შოთა. ქედა. მახუნცეთი (მახუნცეთი)* - ძველი გვარი ჩავუშოვლი მამაჩემის დიდ ბაბუას ჩავუშვი უბრძოლია, ას მეთაური ყოფილა, რაც ოღლის შერქმევის მიზეზი გამხდარა. ქობულეთიდან ვართ მოსულები“

17. გუნდაძე

- *გუნდაძე როინ (26 წ.). ხულო, თხილვანა* - „ძველი გვარი მემიშოვლია. თავდაპირველი გვარიც გუნდაძეა, წინაპრები აქ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი გუნდაურიდან ამოსულან“.

18. დევაძე

- № *დევაძე გივი (80 წ.). ქედა. მახუნცეთი (მახუნცეთი)* – „ძველი გვარი კვერნიოვლი. წინაპრები მონადირეები ყოფილან, კვერნებს კლავდნენ თურმე. შტოს ნაწილი დევრიშოვლად, ნაწილი კვერნიოვლად დაწერილა“

19. დეკანაძე

- *დეკანაძე ნუგზარ (53 წ.). ხულო, დეკანაშვილები* - „ძველი გვარი დევრიშოვლი, „თავდაპირველი გვარი აფხაზავაა, წინაპარი აფხაზეთიდან ჩამოსახლებულა, არ ვიცი დევრიშოვლი რატომ შეგვარქვეს ან შემდეგ დეკანაძედ რატომ დავიწერეთ“.
- *დეკანაძე ნადიმ (51 წ.). ხულო, დეკანაშვილები* - „ძველი გვარია ყაზანჯოვლი წინაპარი, ჩოხატაურიდან, სოფელ ხიდისთავიდან ჩამოსახლებულა, ჩვენი თავდაპირველი გვარი მექვაბიშვილია, შემდეგ ყაზანჯოვლი. წინაპარი დეკანოზი ყოფილა, იმ დეკანოზის შთამომავლები ვართ, სოფელსაც დეკანაძეები დაერქვა და გვარადაც დეკანაძედ დავიწერეთ. დემურჩოვლები და ბათაძეებიც დეკანაძედ იწერებიან, მაგრამ ის სხვა შტოა“.
- *დეკანაძე გოჩა (29 წ.). ხულო, დეკანაძეები* - „ძველი გვარი სელიმოვლი - იმერეთიდან ჩამოსახლებულა წინაპარი, პირველი გვარი მექვაბიძეა, მაგრამ რატომ მოვიხსენიებით სელიმოვლებად, ან რატომ შეიცვალა წინაპარმა გვარი და დეკანაძედ რატომ დაიწერა, არ ვიცი“.

- *დეკანაძე გელა, ხულო, დეკანაძეები* - „ჩვენი შტო რამდენიმე ოლლად დაყოფილა - სელიმოლლებად, ბიშიოლლებად, ბულუთოლლებად, მაგრამ გვარის დაბრუნების შემდეგ ყველა თავდაპირველ გვარს დაუბრუნდა“.
- *დეკანაძე გოჩა (35 წ.) ხულო, დეკანაძეები* - „ჩვენი შტო **ყაზანჯოლლად** მოიხსენიება, თუმცა სოფელში მცხოვრები დეკანაძეებს სხვა გვარები ჰქონია, სელიმოლლებად, ბულუთოლლებად მოიხსენიებიან“.

20. დიასამიძე

- *დიასამიძე დარეჯან შუახევი, ნიგაზეული* - ძველი გვარი **ქობულოლი** - „არვიცი რატომ შეგვარქვეს ეს ოლი, ამის შესახებ არაფერი მსმენია, სავარაუდოდ ქობულეთიდან ამოსულა წინაპარი და ალბათ ამიტომ“.
- *დიასამიძე თეონა, შუახევი, ბესელაშვილები* - ძველი გვარი **ლაზოლი** - „წინაპარი მშენებლები ყოფილან, მშენებლობით კი, ლაზები გამოირჩეოდნენ, ალბათ ამიტომაც დაგვარქვეს **ლაზოლები**. ყოფილი დემურჩოლები დიასამიძეები არიან, მაგრამ ის სხვა შტოა“

21. თავართქილაძე

- *თავართქილაძე ხათუნა, ხულო, ძირკვაძეები* - „ძველი გვარი **აბდულოლია**, ორი საუკუნის წინ გურიიდან გადმოსახლებულა წინაპარი, სამი ძმა ყოფილა, მკვლელობა მოსვლიათ, ერთი გურიაში დარჩენილა, ერთი ძირკვაძეებში დასახლდა და მესამე ხელვაჩაურში“.
- *თავართქილაძე თენგიზ (57 წ.) ხულო, ოქრუაშვილები* - „ძველი გვარი **მეხლუყათოლი**. გოდგაძეებიდან ვართ გადმოსულები, თუმცა იქ ჩოხატაურის სოფელ ხიდისთავიდან ამოსულან ჩვენი ძველები საცხოვრებლად. თავდაპირველი გვარი თავართქილაძეა, სოფელში მცხოვრები ოთხი ოჯახი მეხლუყათოლი ვართ, დანარჩენი სხვა ოლი ყოფილა. როცა გვარის დაბრუნება მოხდა ყველა თავართქილაძე დაიწერა“.

- *თავართქილაძე ბექა (29 წ.) ხულო, ოქრუაშვილები* - „იმერეთიდან გადმოსულა წინაპარი და თავდაპირველად ძირკვაძეებში დასახლებულა, წინაპარი მექაში წასულა მოსალოცად, ალბათ ამიტომ დაგვარქვეს **მექათოლლები**“.

22. თავდგირიძე

- *ომარ თავდგირიძე. ქედა. მახუნცეთი (მილისი)* - „ოღობამდეც თავდგირიძეები ვიყავით, წინაპარი მოლა იყო, ამიტომ თურქებმა **მოლამამედოღლი** შეგვარქვეს“;
- *თავდგირიძე ოთარ ქედა მახუნცეთი (მახუნცეთი)* – „ძველი გვარი **უმუზოღლი**. ერთ-ერთ ოჯახის დიასახლისს ჰურმუზი ერქვა და ალბათ იმიტომ. წინაპარი იმერეთიდან დასახლებულა აქ“.

23. თაფლაძე

- *თაფლაძე მურმან (43წ.) ხულო, ქედლები* - „სამეგრელოდან მოსულა ჩვენი დიდი ბაბუა, თავდაპირველად ადიგენში სოფელ არალში დასახლებულა, საიდანაც შემდეგ ქედლებში ჩამოსულა, წინაპარი არალიდან რომ ჩამოსულა ეს **არალოღლი** იქედან ჩამოჰყოლია, თურქობის შემდეგ თაფლაძედ დავიწერეთ, მაგრამ რატომ, ეს არ ვიცი“.
- *თაფლაძე ლამზირა (39წ.) ხულო, ქედლები* - „წინაპარი სამეგრელოდან ჩამოსახლებულა, თავდაპირველი გვარი არ ვიცი, თურქობის დროს **ალიალოღლები** ვყოფლვართ, ჩვენი წინაპარი თურქობის შემდეგ თაფლაძედ დავიწერეთ“.

24. იაკობაძე

- *იაკობაძე ამირან (36 წ.). ხულო, იაკობაძეები* - „წარმოშობით ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მაღლაკონიდან ვართ. თავდაპირველი გვარი არ ვიცი რა იყო, თურქობის დროს **ყადაროღლებათ** მოვიხსენიებოდით. ჩვევი გვარი რამდენიმე შტოგვარად დაყოფილა: **თეთმაჯოღლებად, ცეცხლიენტებად, ბექიროღლებად, ჰაჯიმემედოღლებად და უსტალოღლებად**“.

25. ირემაძე

№ *ირემაძე ჯამბულ (32 წ.). ქედა. მახუნცეთი. მახუნცეთი* – „ძველი გვარი იდრისოლი. წინაპარი ხულოდან, სოფელ ღორჯომიდან ჩამოსახლებულა“.

№ *ირემაძე ნოდარ (51 წ.) ქედა მახუნცეთი (მახუნცეთი)* - „ძველი გვარი არ ვიცი. წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა“.

№ *რევაზ ირემაძე (50 წ.) ქედა მახუნცეთი* - „რომელიღაც წინაპარს იდრისი რქმევია, რის მიზეზითაც იდრისოლებად მოვიხსენიებთ. იმერეთიდან, სოფელ გეგუთიდან ჩამოსახლებულა წინაპარი“.

26. კაკალაძე

- *კაკალაძე სოფო (26წ.). შუახევი, ნიგაზეული* - ძველი გვარი **ხინველოლი** - „წინაპარი ხინოდან ჩამოსულა“.
- *კაკალაძე მურად, შუახევი, ნიგაზეული* - ძველი გვარი ხინველოლი - „წინაპარი ხინოდან ჩამოსახლებულა, ამიტომ შეურქმევიათ ხინველოლები ჩვენთვის“.

27. კახიძე და კახაძე

№ *კახიძე გივი (77 წ.) ქედა მახუნცეთი (მახუნცეთი)* - ძველი გვარი **მარაგოლი** - „წინაპარი სამტრედიიდან ხელვაჩაურში, სოფელ კაპნისთავში დასახლებულა, იქედან კი მახუნცეთში. თავდაპირველი გვარი კახიძეა“.

№ *არჩილ კახაძე (47 წ.) ქედა მახუნცეთი მახუნცეთი* - „მარაგიანი ხალხი ვართ, მაგიტომაც შეურქმევიათ მარაგოლები. სოფელში მცხოვრები **უსტიოლებიც** კახიძეებად იწერებიან“.

№ *ნიკოლოზ კახაძე (80 წ.). ხულო, ტაბახმელა* - „ოლები არ ვყოფილვართ, **მემიშაშვილებს** გვეძახდნენ, დიდ ბეზიას მემიში რქმევია და მემიშაშვილებად მოვიხსენიებთ“.

№ *ხვიჩა კახაძე (28 წ.). ხულო, ბელეთი* - „ქუთაისიდან ჩამოსულა ჩვენი წინაპარი. ბაბუა მარტო ცხოვრობდა სოფელში და **იალაოზოლი** დაურქმევიათ, შტოს ნაწილი **კახაძეოლები** არიან, შემდეგ ყველა კახაძედ დაიწერა. თავდაპირველი გვარი კი, კახაძეა.

- № *კახაძე მამია (48 წ.). ხულო, ბელლეთი* - „ჩემი წინაპრები ქუთაისიდან ჩამოსახლებულა, ძველი გვარი კახაძოღლია, ჩვენი შტო კახაძოღლად დაიწერა. ორსახელიანობა დღეს აღარაა, თუმცა ჩვენს ოჯახში ასაკოვან ხალხს ყველას ორი სახელი აქვს, ჩემი მეორე სახელი მევლუდია, ხოლო ცოლს ფატყუმე ჰქია, ოფიციალურად კი გულიკოა გატარებული. ახლა თანამედროვე სახელებს ვარქმევთ“.
- № *კახაძე არჩილ (47 წ.). ხულო, ბელლეთი* - ძველი გვარი მარაგოღლი - „უსტიოღლებიც კახიძეებად იწერებიან“.
- № *კახაძე ჯამბულ (45 წ.). ხულო, ბელლეთი* - ძველი გვარი კახაძოღლი - „ჩვენი შტო თურქობის დროს **კახაძოღლად** დაიწერა, სხვა ოღლი არ ვყოფილვართ, თავდაპირველი გვარი არვიცი, არც ის ვიცი საიდან მოვიდნენ წინაპრები. ორსახელიანობა დღემდეა შემორჩენილი. მეორე სახელი მუსლიმანურია და მას ოჯახში ვეძახით“.

28. კველიძე

- *კველიძე რევაზ (55 წ.). შუახევი, ნიგაზეული* - ძველი გვარი **ხაზინდაროღლი** - „წინაპარი ხიმშიაშვილების ხაზინას განაგებდა, სავარაუდოდ ეს უნდა გამხდარიყო გვარის შერქმევის მოტივი, ქართულ გვარზე დაბრუნების დროს კი, თავდაპირველი გვარი დავიბრუნეთ“.
- *კველიძე ამირან, შუახევი, ნიგაზეული* - ძველი გვარი **ხაზინდაროღლი** - „როგორც გადმოცემით მსმენია ბაბუა სელიმ ბეგის ხაზინას განაგებდა და ამიტომ დაურქმევიათ ხაზინდაროღლები“.

29. კილაძე

- *კილაძე თემურ (25წ.). შუახევი, ნიგაზეული* - ძველი გვარი **თორნიოღლი** - „გურიიდან ჩამოსულა წნაპარი, არ ვიცი რატომ დაგვარქვს თორნიოღლი“.

30. კოჩაძე

- *კოჩაძე შალვა - (74 წ.) ქედა. მახუნცეთი. დოლოგანი* - „ძველი გვარი **მოლალოღლი**. თურქობამდე კოჩაძეები ვიყავით, ოღლობის შემდეგ შტოს ნაწილი კოჩაძედ, ნაწილი ლორთქიფანიძედ დაიწერა“.

31. კობალაძე

- *კობალაძე კობა (31 წლის, ქედა, მახუნცეთი (უჩხითი) - „თურქობის დროს ყადიოლლები ვიყავით, მანამდე ჩვენი გვარი არ ვიცი, წინაპრების ერთი შტო ყადიოლლად, სხვები კი სხვა ოლლად დაიწერა, შემდეგ კი შტოს სხვადასხვა ოლლი კობალაძედ იწერება“.*
- *კობალაძე რაული. ქედა. მახუნცეთი (უჩხითი) - „ძველი გვარი ყადიოლია „თავდაპირველი გვარი კობალაძეა“.*
- *კობალაძე როლანდ. ქედა. მახუნცეთი (უჩხითი) - ყოფილი ყადიოლლები, რომლებიც ახლა ბოლქვაძეებად იწერებიან სხვა შტოს წარმომადგენლები არიან.*

32. კოჩალიძე

- *კოჩალიძე რევაზ (45წ.). ხულო, რიყეთი - „წინაპარი ქუთაისიდან ამოსულა საცხოვრებლად, ოლლები არ ვყოფილვართ. ოჯახში, დღესაც მუსლიმურ სახელებს ვარქმევთ. რევაზი ჩემი ოფიციალური სახელია, ოსმანის მეძახის ყველა“.*

33. კურცხალიძე

- *კურცხალიძე ნელი (32 წლის, ქედა, (მახუნცეთი) - „ძველი გვარი გურჯიოლია. გურჯიოლლებამდე ქართველიშვილები ვიყავით, გურჯიოლლების ნაწილი კურცხალიძედ, ნაწილი კი ქართველიშვილებად დაიწერა“.*
- *კურცხალიძე გოჩა (45 წ.). ქედა, (მახუნცეთი) - „წინაპარი მედროშე ყოფილა, ჩვენი შტო ორ ოლლად დაიყო - გურჯიოლი და ბაირახტაროლი“.*

34. ლემსაძე

- *ლემსაძე შოთა, შუახევი, ტბეთი - ძველი გვარი სელიმოლი - „წინაპარი, რომელიც მაჭახელას ხეობიდან ამოსულა კახაძე ყოფილა, თუმცა აქ დასახლების შემდეგ რატომ გადაირქვა გვარი არ ვიცი“.*

35. მადაძე

- *№ მადაძე ანზორ (44 წ.) ქედა მახუნცეთი დოლოგანი) -ძველი გვარი ყურიაშვილი „თავდაპირველი გვარი ლოლაძეა, მკვლევლობის გამო წინაპარს საცხოვრებელი ადგილისა და გვარის გამოცვლა მოუხდა“.*

36. მაღაყმაძე

- *მაღაყმაძე რუსუდან (23 წლის, ქედა, მახუნცეთი (ნამლისევი) - „ძველი გვარი ყასუმოღლი იყო“.*

37. მახარაძე

- *№ მახარაძე თენგიზ (55 წ.). ქედა. მახუნცეთი (მახუნცეთი) – „ძველი გვარი მუსოღლი. „სოფელ პირველი მაისიდან ჩამოსულა წინაპარი“.*

38. მეხეშიძე

- *მეხეშიძე თამაზ (65წ.). ხულო, ქედლები - ძველი გვარი ქესუმოღლი - „თავდაპირველი გვარი არ ვიცი რა იყო. ჩვენი გვარი **მეშტიოღლად და ყარაუჩოღლად** დაიწერა, ქართული გვარის დაბრუნების შემდეგ შტოს ის ნაწილი, რომელიც საცხოვრებლად დაგვაში გადავიდა დუმბაძედ დაიწერა, აქ ვინც დარჩა მეხეშიძედ იწერება“.*

39. მიქელაძე

- *მიქელაძე ალიოსმან, შუახვევი, ნიგაზეული - ძველი გვარია **იშიოღლი** - „გვარის ისტორია არ ვიცი“.*
- *მიქელაძე თამარ, შუახვევი, მახალაკიძეები - ძველი გვარი **მოლაღ(ნ)ოღლი** - „ჩვენს წინაპარში ბევრი მოლა ყოფილა, სავარაუდოდ ამიტომ დაგვარქვეს ეს გვარი“.*

40. მორთულაძე

- *მორთულაძე ყარაღ (55 წლის, ქედა, მახუნცეთი (ნამლისევი) – „ძველი გვარია **ალიოღლი**. თურქობამდე არ ვიცი, რა გვარის იყვნენ წინაპრები, გვარის შერჩევა მექანიკურად მოხდა“.*
- *მორთულაძე რამაზ, ქედა მახუნცეთი (ნამლისევი) - (ძველ გვარს არ წერს) „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აღმართიდან მოსულა ჩემი წინაპარი“.*
- *მორთულაძე რევაზ (50 წ.) ქედა, მახუნცეთი (ჭინკაძეები) – „ძველი გვარია **ყარაბეჯიროღლი** - „ბაბუა შავგრემანი იყო და ამიტომ დაარქვეს, ჩვენი წინაპარი სამეგრელოდან ჩამოსულა“*

41. მსახურაძე

- მსახურაძე ხათუნა (35წ.). ხულო, ქედლები - ძველი გვარი ოდაბაშოლი - „მესხეთიდან მოსულა წინაპარი და თავდაპირველად ქედაში, გობრონეთში დასახლებულა, საიდანაც ხულოში ამოსულა, ისინი ძველად „ოდებს“ აკეთებდნენ და ამიტომ დაგვარქვეს **ოდაბაშოლები**“.

42. ნაკაშიძე

- *თამაზ ნაკაშიძე (42 წ.). ქედა. მახუნცეთი. (ჭინკაძეები)* – „ძველი გვარი **მიმინოლი**. ოღლობის შემდეგ პერიოდში შტოს ნაწილი ნაკაშიძედ, ნაწილი ნაკაიძედ დაიწერა“.

43. ნინიძე

- *ნინიძე გულნაზ (55 წლის, ქედა, მახუნცეთი (უჩხითი)* - „თურქობის დროს **ყადიოლები** ვიყავით, მანამდე ჩვენი გვარი არვიცი, წინაპრების ერთი შტო **ყადიოლად**, სხვები კი **ალიბაირახტაროლად** დაიწერა, შემდეგ კი შტოს სხვადასხვა ოლი კობალაძედ იწერება“.
- *ნინიძე რეზო (51 წლის, ქედა, მახუნცეთი (ნამლისევი)* - „ძველი გვარი **აბდიალიშვილი** - „გურიიდან ჩამოსულან წინაპრები, თურქობამდე რა გვარისა ვიყავით და თურქობის შემდეგ რატომ დავიწერეთ ნინიძეებად არ ვიცი“.
- *ნინიძე მერი (25 წლის, ქედა, მახუნცეთი (ნამლისევი)* - „იმერეთიდან ვართ ჩამოსულები, წინაპარს აბდიალა ერქვა და ამიტომ დაგვარქვეს **აბდიალიშვილები**“.
- *ნინიძე მამუკა - ქედა. მახუნცეთი (მილისი)*- „ძველი გვარია **იაყუფაშვილი**. წინაპარი გურიიდან ჩამოსახლებულა ადლიაში, იქედან კი მილისში დასახლებულა“
- *ნინიძე გივი (53 წ.). ხულო, დიაკონიძეები* - ძველი გვარი **ბეგოშვილი** - „ჩვენი წინაპარი ქედიდან ამოსულა, თავდაპირველი გვარი კი **ანანიძეა**. თურქობის დროს ბეგოშვილებს გვეძახდნენ, ჩვენი წინაპარი „ბეგს“ უშვილებია და ბეგოშვილებად ამიტომ მოვიხსენიებით. ორსახელიანობა დღემდე შემორჩენილია ოჯახში. ჩემი მეორე სახელი ოსმანია, ბაბუას საპატივცემულოდ მის სახელს მეძახიან. ახლა თანამედროვე სახელს ვარქმევთ ოჯახში, რის პარალელურადაც ყველას რელიგიური სახელიც აქვს. მეტსახელი ოჯახში მხოლოდ დედას ჰქონდა, შადიე ერქვა, მაგრამ შეფს ეძახდნენ, რადგანაც ძლიერი ქალი იყო და ყველაფერი გამოსდიოდა“.

44. ჟოჟაძე

- *ნოდარ ჟოჟაძე (62 წლის, ქედა, მახუნცეთი (უჩხითი) - „არ ვიცი საიდან ვართ წამოსულები, არც ჩვენი ძველი გვარი, თურქობის პერიოდში ყარაუჩოღლებად ვიწოდებოდით, სოფელში მცხოვრები ჟოჟაძეების ნაწილი სულეიმანოღლი, ასანოღლი და შიშმანოღლები იყვნენ“.*

45. საფარიძე

- *№ საფარიძე ვლადიმერ - (61 წ.). ქედა. მახუნცეთი. დოლოგანი) - „ძველი გვარი ბაირახტაროღლი. თავდაპირველი გვარი - კვიტაშვილია. შტოს ერთი ნაწილი მოლა ხალილოღლად, ყურიამედოღლად და ბაირახტაროღლად დაიწერა“.*

46. სოლომონიძე

- სოლომონიძე ნუგზარ (57წ.) ხულო, ღურტა - ძველი გვარი **თოფალოღლი** - „თავდაპირველი გვარი სოლომონიძეა, თურქობის დროს წინაპარს ფეხის პრობლემა ჰქონია და თოფალოღლებიც ამიტომ დაურქმევიათ“.
- სოლომონიძე თემურ (64წ.). ხულო, ღურტა - ძველი გვარი **ხოჯიოღლი** - „წინაპარი ხოჯა ყოფილა და ხოჯიოღლებიც ამიტომ დაგვარქვეს. თავდაპირველი გვარი ხოჯიშვილია, წინაპარი კი, გურიიდან ჩამოსახლებულა“.

47. სურმანიძე

- *სურმანიძე გენადი. ქედა. მახუნცეთი (ჭალახმელა) -ძველი გვარი მუსტაფოღლი - „მუჰაჯირობის დროს ჩემი წინაპარი სოფელ ორცვიდან თურქეთში გადასულა საცხოვრებლად, სადაც მუსტაფოღლის იწერებოდნენ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქართულ გვარს დაუბრუნდნენ“.*

48. ტაკიძე

- *ტაკიძე თამაზ (64 წ.) შუახევი, ტაკიძეები - ჩვენი ძველი გვარია ტათლიოღლი.*

49. ფარტენაძე

- *№ ფარტენაძე ლუიზა (37 წ.). ქედა. მახუნცეთი. - „ძველი გვარი ბუქალოღლი“.*

50. ფევაძე

- *ფევაძე ეთერ (73 წლის), ქედა, ჭალახმელა* – „ძველი გვარი ფელევანოლი. თურქობის დროს ჩვენი ძველი ქართული გვარი იყო ქადიძე“.

51. ფუტკარაძე

- *ფუტკარაძე იამზე (35წ.) შუახევი, ტომაშეთი* - ძველი გვარი **იაოლი** - „წინაპარი იმერეთიდან ჩამოსულა, თავდაპირველი გვარი ფუტკარაძეა, რატომ დაგვარქვეს იაოლი არ ვიცი“.
- *ფუტკარაძე თამაზ (60 წ., ბსუ-ს ასოც. პროფ)* – „გვეძახდნენ „ჰაჯოსნებს“, რადგან დიდი ბაბუა იყო მექაში, სამლოცველო მოგზაურობაში“.
- *ფუტკარაძე ტარიელ, პროფესორი ()* - სოფელ ტომაშეთში დღვანიდან მოსულა სამი ძმა; *სეიდია, ქომო და შანკო*; სეიდია ყოფილა ბაბუაჩემის ბაბუის მამა; შესაბამისად, ოსმალობის დროინდელი ტრადიციის მიხედვით, სეიდიას მოდგმას უწოდებდნენ სეიდიაშვილებს, თურქულად - **სეიდიოღლებს**, ქომოს მემკვიდრეებს - **ქომოსნებს** (აქ -სან- ქართული სუფიქსია გამოყენებული, რომელიც იგივეს აღნიშნავს); შანკოს მოდგმას - **შანკოღლებს**. დღეს ყველა ეს ჯგუფი ფუტკარაძეა.

52. ქამადაძე

- *ქამადაძე ავთანდილ (60 წ.). ხულო, დეკანაშვილები* _ ძველი გვარი **ალიიდაროლი** - „წინაპარი ახალციხიდან გადმოსულა, ალიიდაროლები ახალციხიდან მოჰყვა, მერე რატომ დაიწერა წინაპარმა ქონიაძედ არვიცი“.

53. ქობულაძეები

- *ქობულაძე ჯემალ (72წ.). ხულო, დეკანაშვილები* - ძველი გვარი **ყავაზოლი** - „წინაპარი სამცხე-ჯავახეთიდან გადმოსულა, თავდაპირველი გვარი **ყავაზია**, შემდეგ ყავაზოლები დაგვარქვეს, ახლა ყველა ქობულაძედ იწერება. ჩვენი შტო არ გაყოფილა სხვა ოლლებად. ქართულ გვარზე დაბრუნების შემდეგ შტომ რატომ დაიწერა ქობულაძეებად ეს არ ვიცი. ორსახელიანობა არ ყოფილა ოჯახში, ახლა თანამედროვე სახელებს ვარქმევთ“.

54. ქონიაძე

- *ქონიადე ჯაბა (37წ.) ხულო, თხილვანა* - ძველი გვარი **ორიკაცოლი** - „ქუთაისიდან ჩამოსულა ორი ძმა, მათგან ერთი თხილვანაში, მეორე კი ნენიაში დასახლებულა, ორივე მათგანი **ორიკაცოლად** მოიხსენიება. მეტსახელი ოჯახში მხოლოდ ბაბუას ერქვა, მაგარი კაცი იყო და ყილიჯს ეძახდნენ. ყილილიანი კაციაო.

55. ღოღობერიძე

- *ღოღობერიძე თემურ (ქედა, მახუნცეთი (ქვედა ბზუბზუ))* - „იმერეთიდან არის წინაპრები ჩამოსული, ბაბუას მდინარე აჭარისწყალზე ბორანით მგზავრები გადაჰყავდა, ამიტომაც დაგვარქვეს **ბორანოღლები**, რა გვარები ვიყავით მანამდე, არ ვიცი“.
- *ღოღობერიძე ასლან (40 წლის, ქედა, მახუნცეთი (ქვედა ბზუბზუ))* - „ძველი გვარი აღიშვილი, გურიიდან ჩამოსულა ჩვენი წინაპარი“.
- *ღოღობერიძე ედნარ (40 წლის, ქედა, მახუნცეთი (ქვედა ბზუბზუ))* - ძველი გვარი **ევლიაშვილი** - „ოღლები არ ვყოფილვართ. გვარში ერთ კაცი ძალიან ჰუმანური და კეთილი ადამიანი იყო, ევლიას ეძახდნენ. ჩვენი წინაპრები იმერეთიდან ჩამოსახლებულა“.
- *ღოღობერიძე ელგუჯა (44 წ.) ქედა, მახუნცეთი (ზედა ბზუბზუ))* - „თურქების მოსვლის დროს ოჯახის უხუცეს წევრს მემედი ერქვა, ამიტომაც **მემიაღიშვილები** გვიწოდეს, ჩვენი შტოს მეორე ნაწილს ჰყავდა ხოჯა, ისინი **ხოჯისანებად** მოიხსენებიან, მესამე შტოს გვარი ოჯახის წევრის აბდულიდან გამომდინარე **აბდულოღლები**“ არიან.
- *ღოღობერიძე მერიკო. ქედა. მახუნცეთი (ქვედა ბზუბზუ))* - „იმერეთიდან არის ჩემი წინაპარი ჩამოსახლებული, ჩვენი თავდაპირველი გვარი ღოღაძეა, ოღლები არ ვყოფილვართ, **ევლიაშვილებს** გვეძახდნენ, დღევანდელი ზოგიერთი ღოღობერიძეები **კარისოღლებიც** არიან“.

56. შავაძე

- *შავაძე რუსუდან, შუახევი, დაბა შუახევი* - ძველი გვარი **ივითოლი** - „გვარის ისტორია არ ვიცი“.

- *შავაძე ვარდო, ხულო, განახლება* - ძველი გვარი **შირინოლლი** - „გვარის შესახებ არაფერი ვიცი, იმის გარდა რომ, შირინოლლები ვართ“.
- *შავაძე ხასან (77 წ.). ხულო, განახლება* - ძველი გვარი **შირინოლლი** - „ადგილობრივები ვართ. თავდაპირველი გვარი შანთაძე, გვარში სახელად შირინა ყოფილა და შტოც შირინოლლად დაიწერა, შემდეგ შავაძეებად დავიწერეთ. მეტსახელი ოჯახში მე მაქვს, იაპონიას მიძახიან, ბავშვობაში ცელქი ვყოფილვარ, ჭიდაობაც მიყვარდა, შეუშინარიც ვყოფილვარ მეზობლებმა იაპონია ამიტომ დამარქვეს. რაც შეეხება სახელების დარქმევას, ვისაც რა მოსწონს იმ სახელს არქმევს“.
- *შავაძე მალხაზ (34წ.). ხულო, ოქრუაშვილები* - ძველი გვარი **ქურთოლლი** - „თავდაპირველი გვარი სოლომონიძეა, წინაპარი დიაკონიძეებიდან გადმოსულა. დიდ ბაბუას შვილი არ ჰყავდა, უშვილებია და შავაძეებად დაწერილან, არვიცი რატომ დაგვარქვეს ქურთოლლი. ორი სახელი მამას აქვს მხოლოდ, ოფიციალურად გოგია და ასლანის ეძახიან“.
- *შავაძე ნოდარ (54 წ.). ხულო, ოქრუაშვილები* - ძველი გვარი **ალიოლლი** - „წინაპრები სოფელ დიდაჭარიდან დიოკნისში დასახლებულა, საიდანაც შემდეგ ოქრუაშვილებში გადმოსულა. ძველი გვარი ალოშვილებია, თურქობის დროს ალიოლლებად მოვიხსენიებოდით, უბანს სადაც შავაძეები ვცხოვრობდით ყველას **ალიოლლები** დაგვარქვეს, მაგრამ არვიცით რატომ. სოფელ ოქრუაშვილებში ყოფილი მანგალოლლები დღეს შავაძეებად იწერებიან, ასევე ყოფილი სოლომონიძეები და **ქურთოლლებიც** შავაძეები არიან დღეს“.
- *შავაძე ოთარ (57წ.). ხულო, შუასოფელი* - ძველი გვარი **ბექიროლლი** - „დიდი ბაბუა დიდაჭარიდან ამოსულა, ოღლობამდე შავაძეები ვიყავით, მერე გვარი დავიბრუნეთ. სკოლაში დამარქვეს ოთარი, ისე ხუსეინი მერქვა, სკოლაში რომ მივედი მასწავლებლებმა მითხრა ოთარი გქვიაო“.
- *შავაძე რევაზ (82 წ.) ხულო, ქედლები* - ძველი გვარი **დავშიოლლი** - „ჩვენი თავდაპირველი გვარი შავაძეა, თურქობის დროს **დავშიოლლები** დაგვარქვეს, მაგრამ

ამის მიზეზი რა იყო არ ვიცი. წინაპარ საქართველოს აღმოსავლეთ მხარიდან ჩამოსახლებულა“.

- შავაძე ალექო (69 წ.). ხულო, ოქრუაშვილები - ძველი გვარი **ნამგალოღლი** - „დიდაჭარიდან გადმოსულა წინაპარი, ერთ-ერთი მათგანი მჭედელი ყოფილა, ნამგალს აკეთებდა თურმე და ამის გამო ნამგაოღლები შეგვარქვეს. შტოს ის ნაწილი, რომელიც დიდაჭარაში დარჩა ქიტიოღლებად დიწერილა“.
- შავაძე სეიდ (55წ.). ხულო, ოქრუაშვილები - „წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა, ძველი გვარი არ ვიცი“.

57. შანთაძე

- შანთაძე ვარდო (56წ.). ხულო რიყეთი - ძველი გვარი **გენჯალოღლი** - „თურქობამდე შანთაძეები ვიყავით, მერე რატომ დაგვარქვეს გენჯალოღლები არვიცი, არც ის ვიცი საიდან მოვიდა წინაპარი“.

58. შოთაძე

- შოთაძე ლუარა (31 წ.), ქედა მახუნცეთი (ზედა ბზუბზუ) - „სოფელში მცხოვრები შოთაძეებიდან სამი ოჯახი ვართ **ხუსეინოღლები**, შოთაძეები სხვადასხვა ოღლები არიან. ქართულ გვარზე დაბრუნება მექანიკურად მოხდა“.
- შოთაძე ისმაილ (56 წ.). ქედა მახუნცეთი (მახუნცეთი) - „გვარში გამოჩენილ ადამიანს ოსმანი რქმევია ამიტომაც შეურქმევიათ **ოსმანოღლი**“
- შოთაძე რეზო (53 წ.). ქედა. მახუნცეთი (მახუნცეთი) - „წინაპარს ოსმანი ერქვა და **ოსმანოღლი** დაგვარქვეს. თავდაპირველი გვარი ღოღობერიძეა, წინაპარი იმერეთიდან, სოფელ ბაღდადიდან ჩამოსახლებულა“.
- შოთაძე რესულ (43 წ.) ქედა მახუნცეთი (ზედა ბზუბზუ) - „გვარში უხუცეს კაცს ხუსეინი ერქვა, რის გამოც **ხუსეინოღლები** დაგვარქვეს“.

59. ჩოგაძე

- ჩოგაძე თემურ (57 წ.). ხულო, გოდგაძეები - ძველი გვარი **ტოღანოღლი** - „თურქობამდე რა გვარი ვიყავით არ ვიცი. ოღღობის შემდეგ ჩოგაძედ დავიწერეთ,

სხვა ოღს ჩოგადეები არ დაუწერია. ოჯახში მეტსახელი მხოლოდ მე მაქვს, პელეს მეძახიან, ბავშვობაში ფეხბურთის თამაში ძალიან მიყვარდა და ამის გამო“.

- *ჩოგადე მიხეილ (81 წ.) ხულო, ელეოიდეები* - ძველი გვარი **დურსუნოლი** - „არ ვიცი რატომ დაგვარქვეს დურსუნოლები, მხოლოდ ის ვიცი, რომ დიდი ბაბუა ლაზი ყოფილა“.

60. ცეცხლაძე

- *ცეცხლაძე ავთანდილ (78 წ.) ხულო, ოქრუაშვილები* - ძველი გვარი **რეჯებოლი** - „წინაპარს რეჯები რქმევია და რეჯებოლებად მოვიხსენიებით, მანამდე რა გვარი ვიყავით არ ვიცი, არც ის ვიცი სხვა ოღლები დღეს ცეცხლაძეებად თუ იწერებიან“.
- *ცეცხლაძე გივი (34 წ.) ხულო, ოქრუაშვილები* - ძველი გვარი **კოლოფოლი** - „არ ვიცი საიდან მოვიდნენ წინაპარი, არც ის მსმენია რატომ დაგვარქვეს კოლოფოლი. ჩემი მეორე სახელი ნურია, ნურის მხოლოდ სახლში მეძახიან“.
- *ცეცხლაძე ანზორ (47 წ.) ხულო, ოქრუაშვილები* - ძველი გვარი **რეჯებოლი** - „ადგილობრივები ვართ, თავდაპირველი გვარი ცეცხლაძეა, წინაპარი რეჯები ყოფილა და ალბათ ამიტომ შეგვარქვეს რეჯებოლი. ყოფილი რეჯებოლები ახლა კოჩალიძე, ჩოგადე და თავართქილაძეები არიან“.

61. ჭელიძე

- *ჭელიძე მათა (43წ.) ხულო, დაბა ხულო* - ძველი გვარი **დემურჩოლი** - „სვანეთიდან ჩამოსახლებულა წინაპარი, თავდაპირველი გვარი ჭელიძეა, შტოს მთლიანად დევრიშოლი დაუწერია და შემდეგ ყველამ საკუთარი გვარი დაიბრუნა“.

62. ჯაფარიძე

- № *ჯაფარიძე ივანე, ქედა, მახუნცეთი, დოლოგანი* – „ძველი გვარი **მოლახალილოლია**. შტო სხვა ოღლებად არ დანაწილებულა“.
- № *ჯაფარიძე ჯამბულ (41 წ.) ხულო, ბელეთი* - ძველი გვარი **კახაძოლი** - „გვარის ისტორია არ ვიცი, ჩვენი შტო თურქობის დროს კახაძოლად დაიწერილა“.

63. ჯიმშერაძე

- *ჯიმშერაძე ჯემალ (58წ.). ხულო, ქედლები* - ძველი გვარი **მემედოღლი** - „ადგილობრივები ვართ, ყოფილი მემედოღლები, წინაპარს მემედი რქმევია და ალბათ ამიტომაც დაგვერქვა მემედოღლი. რატომ დავიწერეთ ჯიმშერაძედ არ ვიცი, თუმცა გადმოცემით მსმენია, რომ წინაპარს ჯიმშერი რქმევია, სოფელში მხოლოდ 10 ოაჯხი ვართ ჯიმშერაძეები“.

64. ჯინჭარაძე

№ *ჯინჭარაძე ნანული (55 წ.). ქედა. დოლოგანი* - ძველი გვარია **ალიბაირახტაროღლი**. გვარის ყველა წარმომადგენელი ალიბაირახტაროღლი იყო, შემდეგ ყველა ჯინჭარაძედ დაიწერა“.

№ *ჯინჭარაძე შორენა (39 წ.). ქედა. მახუნცეთი (დოლოგანი)* – „ძველი გვარია **მუსოღლი**“.

65. ჯორბენაძე

- *ჯორბენაძე თამაზ (68წ.). ხულო, ბელეთი* - ძველი გვარი **ჯობინოღლი** - „ადგილობრივები ვართ, ჩვენი შტოს ერთი ნაწილი - სოფელ კურცხალში, ერთიც თურქეთში და ერთიც აქ დაბინავებულა. შტოს ნაწილი ჯობინოღლად, ნაწილი კი ჰაჯიენტებად დაწერილა, გვარის დაბრუნების შემდეგ კი ყველა ჯობინოღლმა და ჰაჯიენტებმა ჯორბენაძედ დავიწერეთ“.

- *ჯორბენაძე თამაზ (48 წ.). ხულო, ქედლები* - ძველი გვარი **ჯობინოღლი** - „ჩვენი შტოს ნაწილი ქედლებში ცხოვრობს, ნაწილი სოფელ კურცხალში და ნაწილი კი თურქეთში გადავიდა საცხოვრებლად, ჩვენი შტო ყველა ჯობინოღლად დაიწერა, ხოლო თურქობის შემდეგ ქედლებსა და კურცხალში მცხოვრები შთამომავლები ჯორბენაძეებად ვიწერებით, მაგრამ თურქეთში გადასული ჩვენი ნათესავები რა გვარები არიან არ ვიცი“.

66. ჯოყილაძე

- *ჯოყილაძე ბეჟან (73 წ.). ხულო* - ძველი გვარი **ყარალოღლი** - „თავდაპირველი გვარი არვიცი, ადგილობრივები ვართ, შტო ყარალოღლად დაიწერა. სოფელ გოდგაძეებში ყოფილი მაზმანოღლებიც დღეს ჯოყილაძედ იწერება, ჩვენი

წინაპარი, რომელიც ხოჯა იყო შავგრემანი ყოფილა და ალბათ ამიტომ დაგვარქვეს. ხლა ოჯახში ძირითადად მუსლიმანურ სახელებს ვარქმევთ“.

- *გოყილაძე რეჯებ (84 წ.). ხულო, დიაკონიძეები* - „წინაპარი გოდგაძეებიდან გადმოსახლებულა, ოღლები არ ვყოფილვართ, თავდაპირველად სოფელში ბავშვებს მუსლიმურ სახელებს არქმევდნენ, ახლა ვისაც რა სურსს, უფრო ქართულ სახელებს“.
- *გოყილაძე ჟუჟუნა (62 წ.). ხულო, ქედლები* - ძველი გვარი **ყარალოღლი** - „ადგილობრივები ვართ, შტოს ნაწილი მაზმანოღლებად დაიწერა, ზოგი სხვა ოღლად, თურქობის შემდეგ გვარი დავიბრუნეთ“.

67. ხიმშიაშვილი

- ხიმშიაშვილი ამირან, შუახევი, ნიგაზეული - „ოღლები არ ვყოფილვართ, ჩვენი შტოს ნაწილი ყართნალსანებად მოვიხსენიებით, ნაწილი **ქომოვრებად** და **ახმედალასანებად**“.
- ხიმშიაშვილი ვახტანგ (54 წ.). შუახევი, ნიგაზეული - „წინაპარი იმერეთიდან ჩანმოსახლებულა, ოღლები ოფიციალურად არ ვყოფილვართ, თუმცა ხიმშიოღლებად მოგვიხსენიებენ“.

გამოკითხულთა მიერ დასახელებული თავიანთი არაოფიციალური თურქული გვარების ერთიან ჩამონათვალს **გთავაზობთ დანართ 3-ში**.

ანალოგიური საველე სამუშაო აქვს ჩატარებული შუშანა ფუტკარაძეს საქართველოს საზღვრისგაღმელ ჩვენებურებში. პარალელის გავლების მიზნით მოვიშველიებთ აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრებთა კოლექტიური მეხსიერების მონაცემებსაც:

- **ავჯი მუჰამედ** - „ეფრატიდამ ვარ, მუჰამედ კოტალიძე. „ავჯი“ ახალი გვარია;
- **აიდოღანი რაფეთ** - "რაფეთ ბასილაძე ვარ, აქაური გვარია **აიდოღანი** ... სამი ძმა ყოფილან. ერთი ორდუმში მოსულა, ერთი ბურსას დამქდარა, ერთი მაჭახელში დარჩენილა. ჩუენ ბურსელი ძმის თორუნი ვართ" (ფუტკარაძე, 1993: 360);

- **გობელოლი ისმაილ** - „მე ისმაილ თურქი ვარ, სოფელ ბაგინიდან, ჩემი ძუელი სოიადია **გობელოლი**, ძუელათ **ფუტკაროლებ** გვიძახიდენ, მემრე **ბალჯიოღლები** გავხდით, ახლა **ბალჯია** ჩვენი სოიადი. (ფუტკარაძე, 1993: 319);
- **ოზთურქი შერიფ** - ექვსი-შვიდი წლისა ვიქნებოდი, ბათუმში რომ ვიყავ. მე **კახიძეებ** მეტყვიან, იქ არიან ჩუენებური ბიძაები. ერთი ძმა მასულა ვალაშენ იქიდან და დასახლებულა (ფუტკარაძე 1993: 331) და ა.შ.

5.3.3. ოსმალური პერიოდის „-ოლი“-ფორმანტიანი გვარსახელების შტოგვარის ფუნქცია

მეორე (ძველი, არაოფიციალური) გვარსახელის ფუნქციის გარდა „-ოლი“ ფორმანტიანი თურქული გვარსახელები ზემო აჭარაში ერთი ქართული გვარის განშტოებების სახელების ფუნქციასაც ასრულებენ. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ესა თუ დღევანდელი ქართული გვარი რამდენიმე ძველი ანუ თურქული გვარსახელითაა წარმოდგენილი, მაშასადამე, ყოველგვარი ლოგიკით ასეთ შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონდეს ერთი გვარისგან რამდენიმე გვარის გამოყოფას. არის კი ეს ასე?

ზოგადად გვარსახელების განშტოებათა სახელებს თანამედროვე ონომასტიკის საკვლევ პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან ისინი ქმნიან სოციუმის (ერის, ეთნოსის, სუბეთნოსის, ეთნოგრაფიული ჯგუფის) ყოფისა და ისტორიის ამსახველ ფასდაუდებელ ლექსიკურ პლასტს. მათ უამრავი ტერმინით მოიხსენიებენ. ასე მაგალითად, ქართულში მათ ეწოდება „შტოგვარი“, „გვარის დანაყოფის არაოფიციალური სახელი“, „ქვეგვარი“, „მეტგვარი“, „მამიშვილობა“ (თოფჩიშვილი, 2010: 260), მეგრულში - „თური“ (მოგვარე; ტომის, მოდგმის წარმომადგენელი), „გიმნარყი“ (განაყოფი), „გიმნაჭყანი“ (შთამომავალი, შთამომავლობა), „ნარყი“ (გამონაყარი, შთამომავალი), „ნოცო“ (ნაყარი; განშტოება), „დინო“ (დიდი პაპის შთამომავლობა ერთ გვარში) და სხვა; (კეკელია და სხვ., 2013), ინგლისურში - Branch-surname, Family Trees; რუსულში - „ „

“ (., .) და ა. შ. მათში მოიაზრება საერთო გვარის მეტსახელური განტოტება, განაყოფი: „გვარი ერთია, განაყოფი - რამდენიმე. განტოტებები, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვან გვარებს შემორჩათ“ (ღლონტი, 1988: 199).

ამავე დროს, ლინგვისტთა ნაწილის აზრით, „რა იგულისხმება ტერმინებში შტოგვარი, მეტგვარი - დღემდე გაურკვეველია“ (მგელაძე, 2001: 25). ასე, რომ საკითხი პრობლემურია, თუმცა უდავოა, რომ ის არა მხოლოდ საერთო ქართველური (ღლონტი, 1988: 200), არამედ სხვადასხვა ენაში ფართოდ გავრცელებული, შეიძლება ითქვას, უნივერსალური მოვლენაა. საქართველოში ის დაფიქსირებულია თითქმის ყველა კუთხეში, რის კვლევასაც უამრავი ნაშრომი მიემდვნა (კობიაშვილი, 1995; მჭედლიშვილი, 1998: 254; ნატროშვილი, 2004: 307-308; თოფჩიშვილი, 2005, კეკელია და სხვ., 2013 და სხვა).

აჭარაში შტოგვარს ნოგროს, ნეგროს, ნაგრამს, თახუმს, ყებილეს, ოჯახის სახელს უწოდებენ (ჯორბენაძე, 1993: 40; მგელაძე, 2004). ამავე დროს, მისი არსი, წარმოშობის საფუძვლები და ფუნქციური დატვირთვა აქ ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გააზრებული. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში ეს საკითხი მთლიანად იგნორირებული იყო. ასე მაგალითად, შ. ნიჟარაძე აჭარული დიალექტის თემატური ჯგუფების ანალიზისას სახელებს, გვარებს და შტოგვარებს საერთოდ არ ეხება, აფიქსირებს მხოლოდ მეტსახელების ჯგუფს: *დარღალაი, დარბაზანაი, კელემენჯუხაი, კენკრეშაი, ჩარხიტარიაი, დოლენაი, დღლაფაზანაი, ჭარჭყალაი, ჟვავირეკიაი* (ნიჟარაძე, 1971: 31-72). პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, რაც ანთროპოცენტრული მიმართულების ლინგვისტური კვლევების გააქტიურების შედეგია. ამ პერიოდში აღნიშნულ საკითხს ეხება ბ. ჯორბენაძე, რომელიც გელაძის გვარის განშტოებების ანალიზისას ციტირებს ვ. მგელაძის და ნ. მგელაძის მოსაზრებებს: „ვინმე გელაძეს ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი: ყასუმი, ყურბანა, ჭყარტი (მეტსახელია) და მამუჭა || მუჭა (მეტსახელია). გელაძის ამ ოთხმა ვაჟმა საწყისი მისცა საგვარეულოში ოთხ მამობას; ესენია: *ყასმაღიენთი, ყურბანიენთი, ჭყარტიენთი,*

მუჭიენთი, შემდგომ ყველა მათგანი ბუდობად ყალიბდება, რაც საფუძველი ხდება ნათესაობის (მამობის) ახალი საფეხურების წარმოქმნისა; მაგალითად, მუჭიენთი თავად ქმნის ახალ შტო-გვარებს (**პანკიენთი, ისკანდერდედიენთი და სხვ.**)“ (ჯორბენაძე, 1993: 53). ავტორები აკეთებენ დასკვნას: „აჭარული გვარი ერთ ან სხვადასხვა **ნეგროს** მოითვლის, ხოლო თვით ნეგრო კი **სამშობად, ძველ და ახალ მამობად** იყოფა, მამობაში, თავის მხრივ, ერთი ან რამდენიმე ხანე ან **კვამლი** შედის. ზოგი მათგანი ადრე დიდი ოჯახი ანუ ერთიანობის სახელი ყოფილა ... ნეგრო გამრავლების გზით **შტოებად** იყოფა... ძველი ნეგროს ადგილს ახალი ნათესაური ერთეული იჭერს, რომელიც დროთა განმავლობაში თვითონ გახდება ნეგრო... სისხლით მონათესავე ერთეულში პირველი საფეხურია მამაშვილობა, მეორე — ძმობა, მესამე — ღვიძლი ბიძაშვილობა“ (ჯორბენაძე, 1993: 41). როგორც ვხედავთ, აქ გვარის განშტოების სახელთა მაწარმოებელ ფორმანტად, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აქაც დაფიქსირებულია -ენტ(ი), -ანთ(ი).

ვხვდებით აგრეთვე ფორმანტებს: **-ნ-ებ (ი)** – (ხალვაშნები, ნაკაშიძნები); **-სან(ი); -სანებ(ი)**, (დურსუნასანი, უზეირასანები), თუმცა ვერ ვხვდებით ფორმანტს **ოლლი**, რომელსაც ყველაზე მეტი დატვირთვა ჰქონდა ოსმალობის დროინდელი აჭარული გვარსახელების წარმოებაში. როგორც ჩვენი კვლევა ადასტურებს, მისი ფუნქცია დღემდე არ ამოწურულა.

აჭარული შტოგვარი ყურადღების ცენტრში მეტნაკლებად მოექცა მას შემდეგ, რაც ფართოდ გაიშალა საზღვრისგალმელი ჩვენებურების ენის, ყოფისა და კულტურის კვლევითი საქმიანობა. ერთ-ერთმა პირველმა მას ყურადღება მიაქცია კვლევითმა ექსპედიციამ მ. ფაღავას ხელმძღვანელობით, რომელიც კლარჯეთში გავრცელებული გვარ-სახელების ანალიზისას წერს: შტოგვარის ფუნქცია თავს იჩენს მაშინ, როცა აუცილებელი ხდება გვარის ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა განშტოების ერთმანეთისგან გარჩევა: „**მოლოლლი, ჩილოლლი (შლაპოლლებ ეტყვიან) ყარაბდოლლი, ჭუხა (ქვაბითაველებს ეძახიან)**“ (ფაღავა, 2017: 205). ეს ფუნქცია კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მკვლევრის მიერ ქვემო აჭარაში დაფიქსირებულ შტოგვარებში: **ჯასიმბეგაშვილები, ომერალიშვილები, ხუსეინბეგიშვილები,**

შეექთბეგიშვილები, მიქთათბეგიშვილები და სხვა (ფაღავა, 2017(ბ): 17). ავტორი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ სოფელში გვართა განსახლების თვალსაზრისით ტაო განცალკევებით არ დგას. ანალოგიური ვითარება გარკვეული სხვაობით დასტურდება შავშეთში, კლარჯეთში, მაჭახელში, აჭარაში (ფაღავა, 2017(გ)). აღნიშნული მოსაზრების მართებულობას ადასტურებს შუშანა ფუტკარაძის ჩვენებურების ქართულიც“ (ფუტკარაძე, 1993), რომლის მასალებს პარალელების გავლების მიზნით ჩვენც ვიშველიებთ. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა ნათლად ადასტურებს, რომ ამგვარი შტოგვარები დღესაც მრავლად არის შემორჩენილი ზემო აჭარის მცხოვრებთა მეხსიერებაში, რასაც მყარი ეთნო- და სოციოკულტურული საფუძვლები აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქართული გვარსახელების დაბრუნების პროცესი, რომელიც ძირითადად მისი კოლექტიური მეხსიერების მონაცემების საფუძველზე მიმდინარეობდა. ვისაც ახსოვდა, დაიბრუნა თავისი ადრინდელი ქართული გვარსახელი. თუმცა ბევრმა აბსოლუტურად მექანიკურად შეარჩია ისინი, რის გამოც ამა თუ იმ კონკრეტული ქართული გვარსახელის ქვეშ რამდენიმე თურქული -ოლი აღმოჩნდა გაერთიანებული. ამკარაა, რომ დროთა განმავლობაში მათ იკისრეს სწორედ შტოგვარების ფუნქცია, ვინაიდან დღემდე მათი დანიშნულება არის ერთი ქართული გვარსახელის ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა შტოს ერთმანეთისგან გარჩევა.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის შემორჩენილი ზემო აჭარის მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში ინფორმაცია თურქული გვარსახელებისა და მათი რაიმე სახის ფუნქციის შესახებ, ზემოთ მოშველიებულ მასალასთან ცალკე მოვიყვანთ ფრაგმენტს ჩვენ მიერ ერთი კონკრეტული გვარის - დავითაძეების (1282)¹⁸ წარმომადგენელთა გამოკითხვიდან:

1. დავითაძე გიორგი, დაბა შუახევი - „ჩვენი შტოს დავითაძეები სამ შტოდ დაყოფილა: ბუბგიოღლებად, ველიოღლებად და მათარაჯოღლებად, ჩემი ბაბუა

¹⁸ რაოდენობა 2014 წლის აღწერის მასალების მიხედვით მთლიანად ზემო აჭარაში

მათარაჯოდლად მოიხსენიება, მისი ძმის შთამომავლები კი ბუბგიოდლებად და ველიოდლებად“.

2. **დავითაძე ლევან. შუახევი. სოფ. სხეფელა** - „წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა, თავდაპირველი გვარი დავითაძეა, სოფელში მცხოვრები დავითაძეები სხვა შტოა და მათ სხვა ოფლი ჰქონდათ - ისინი მათარაჯოდლები, ხილადოდლები, ბუბგიოდლები იყვნენ, ჩვენ ჰაჯიოდლებად ვიწოდებით“.

3. **დავითაძე გივი. შუახევი, სოფ. თერნალი** - „წინაპარი სვანეთიდან ჩამოსულა, დიდი წვერით დადიოდა თურმე და ამიტომ შეურქმევიათ ბუბგიოდლი“.

4. **დავითაძე ნოდარ. ქედა. სოფ. აქუცა** - „წარმოშობით შუახევიდან ვართ, სოფელ სხეფიდან. ძველი ველიოდლები ყველანი ერთნი ვართ, ახლო ნათესავები“.

5. **დავითაძე რევაზ. ქედა, გობრონეთი** - „ჩვენი თავდაპირველი წარმომავლობა ოქროპილაურია, შტოს ნაწილი დელიმემიშოდლად, ნაწილი უზეიროდლად დაწერილა“.

6. **დავითაძე გოჩა. ქედა, დოლოგანი** - „წინაპარი წონიარისიდან ჩამოსახლებულა, ჩვენი გვარი სხვა ოფლებად არ დანაწევრებულა, თუმცა სხვა ოფლები (ხაჯიოდლი, დაუთოდლი) დავითაძედ დაიწერნენ, ოფონდ მათი თავდაპირველი გვარი დავითაძე არაა“

7. **დავითაძე ზურაბ. დაბა შუახევი** - ძველი გვარი დავითურიანი/ბუბგიოდლი - „წინაპარი სვანეთიდან ჩამოსულა, თავდაპირველი გვარი დავითურიანი უნდა იყოს, მერე რატომ დაიწერა წინაპარმა დავითაძედ არვიცი“.

8. **დავითაძე ბადრი. შუახევი, ოქროპილაური** - ძველი გვარი უზეიროდლია“

9. **დავითაძე თემურ. შუახევი, ოქროპილაური** - ძველი გვარი დელიმემიშოდლი - „თავდაპირველი გვარი დავითაძეა, თურქობის დროს შტოს ნაწილს დელიმემიშოდლი, ნაწილს კი უზეიროდლები დაარქვეს. მემიში დიდი ბაბუას სახელია, მის ძმას კი უზეირა ჰქმევია და ამიტომ დაურქმევიათ ეს გვარები, დავითაძეები, რომლებიც ჩვენი შტო არ არის ისინი ველიოდლებად, ბუბგიოდლებად და უჩიოდლებად მოიხსენიება, გვარის დაბრუნების შემდეგ ყველა ამ ოფლმა გვარი დაიბრუნა და დღეს დავითაძეებად ვიწერებით, თუმცა ერთიანი წარმომავლობა არ გვაქვს, სხვადასხვა შტო ვართ“.

10. **დავითაძე ნარგიზ.** შუახევი, ძველი გვარი **უჩიოლლი** - „სოფელი ოქროპილაურში არის პატარა უბანი, რონესაც დროს ეძახიან, აქ მცხოვრები ყველა ოჯახი დავითაძეა, ჩვენი ადრინდელი გვარი კი **უჩიოლლია**, როგორც ახლა ყველა დავითაძედ იწერება, თურქობის დროს ყველა ოჯახი უჩიოლლად დაწერილა, რატომ ეს არ ვიცი“.

11. **დავითაძე ვახტანგ.** შუახევი, **ოქროპილაური** - ძველი გვარი **უზეიროლლი** - „წინაპარს უზეირი ქმევია და ეს გვარიც ამიტომ დაურქმევიათ, სხვა არაფერი არ ვიცი“.

12. **დავითაძე ამირან.** შუახევი, **გორხანაული** - ძველი გვარი **გულამედოლლი** - თავდაპირველი გვარი დავითაძეა, ჩვენი შტო მთლიანად გულამედოლლად მოიხსენიება, გვარის დავრუნების შემდეგ ყველა საკუთარ ძველ ქართულ გვარს დაუბრუნდა“.

13. **დავითაძე დავით, დაბა შუახევი** - ძველი გვარი **აბდიოლლი** - წინაპარი ღორჯომიდან ჩამოსახლებულა, თავდაპირველი გვარი ხოზრევანიძეა, თურქობის დროს აბდიოლლები შეურქმევიათ, შემდეგ დავითაძეებად ვიწერებით“.

14. **დავითაძე როზა. დაბა შუახევი** - ძველი გვარი **მათარაჯოლლი** - „შტოს ნაწილი მათარაჯოლლად და ველიოლლად დაწერილა, გვარის დაბრუნების შემდეგ გვარი დავიბრუნეთ, სხვა არაფერი ვიცი“.

15. **დავითაძე დავით. დაბა შუახევი** - ძველი გვარი **ველიოლლი** - „აქ მცხოვრები დავითაძეები, ყოფილი **ბიბინოლლები** არიან, მაგრამ არ ვიცი ჩვენი შტოა თუ სხვა“.

16. **დავითაძე ოთარ. შუახევი, სხეფი** - ძველი გვარი **ბაირახტაროლლი** - „დიდი ბაბუა მედროშე ყოფილა, ალბათ ამიტომ დაგვარქვეს ბაირახტაროლლები. ყოფილი ბუძგიოლლები, ხირალოლლები, ველიოლლები, ყარაბდოლლები, მათარაჯოლლები დღეს ყველა დავითაძედ იწერება“.

17. **დავითაძე ლევან, შუახევი, სხეფელა** - ძველი გვარი **ველიოლლი** - „წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა, თავდაპირველი გვარი დავითაძეა, სოფელში მცხოვრები დავითაძეები სხვა შტოა და მათ სხვა ოლლი ჰქონდათ - ისინი ყოფილი მათარაჯოლლები, ხილალოლლები, ბუძგიოლლები არიან“.

18. დავითაძე რევაზ. შუახევი, სხევი - ძველი გვარი მათარაჯოლი - „მხოლოდ ის ვიცი რომ მათარაჯოლები ვყოფილვართ, რატომ შეგვარქვეს, რა მიზნით არ ვიცი“.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ გვარსახელი დავითაძე მთელ აჭარაში გავრცელებული, თუმცა თითქმის ყველა დავითაძე თავისი გვარის წარმოშობას შუახევს უკავშირებს. აქ ის აერთიანებს განშტოებებს: აბდიოლები, ბაირახტაროლები, ბოლოხოლები, ბუძგიოლები, ბულუთოლები, გულამედოლები, დელიმემიშოლები, დურსუნოლები, ველიოლები, იაოლები, ლაზოლები, მათარაჯოლები, მელექოლები, სელიმოლები, ტათლიოლები, უზეიროლები, უჩიოლები, ყაზანჯოლები, ხაზინადაროლები, ხინველოლები, იშიოლები, ხემემოლები და სხვები. სოფელ თერნალში წარმოდგენილი არიან აბდიოლების შტოგვარის წარმომადგენლები, რომლებიც სახლობენ აგრეთვე სოფელ ჩანჩხალოში. დაბა შუახევში მცხოვრები დავითაძეები სამ შტოგვარად არიან დაყოფილი: ბუძგიოლებად, ველიოლებად და მათარაჯოლებად. სოფელ სხეფელაში დავითაძეების სამი შტოა: ყარაბდოლები, ბაირახტაროლები და მათარაჯოლები. როგორც ისინი ამბობენ, მათი წარმომავლობა იმერეთიდანაა და თავდაპირველი გვარიც დავითაძე იყო. სოფელ თერნალში მცხოვრები დავითაძეები კი სვანეთს თვლიან წარმოშობის ადგილად. ისინი ბუძგიოლები იყვნენ, ვინაიდან მათი ერთ-ერთი წინაპარი დიდი წვერით დადიოდა თურმე. სოფელ ოქროპილაურში ორი შტო ცხოვრობს: უზეიროლები და დელიმემიშოლები, ისინი განსახლებულან ქედაში, კერძოდ, სოფლებში: გობრონეთს, წონიარისს, აქუცასა და დოლოგანში. სოფელ დოლოგანში მცხოვრები დავითაძეები, მათი აზრით, მელექოლების, ხაჯიოლებისა და დაუთოლების შტოგვარებს მიეკუთვნებიან. სოფელ დანდალოში მცხოვრები დავითაძეები - ყარაბდოლების განშტოებას, სოფელ აქუცაში მცხოვრები დავითაძეები კი ველიოლები არიან და ყველანი ახლო ბიძაშვილებად თვლიან თავს. ბუძგიოლი დავითაძეები სახლობენ ასევე ქობულეთში სოფელ ციხისძირში, მახოსა და ჩაისუბანში, რომლებიც სოფელ სხეფში მცხოვრები ბუძგიოლების შტოს მიაკუთვნებენ თავს.

არის თუ არა ჩამოთვლილი განშტოებები დავითაძეების გვარის დანაყოფების სახელები? ამას გამოკითხულები ცალკეულ შემთხვევაში ადასტურებენ, როცა წერენ, რომ ორი თუ სამი ძმა ერთმანეთს გამოეყო და მათ სხვადასხვა თურქული გვარსახელები აირჩიეს, თუმცა **ქართულ გვარზე დაბუნება როგორ მოხდა, ამ ინფორმაციას ისინი არ ფლობენ**. უმრავლეს შემთხვევაში კი რესპოდენტები ხაზს უსვამენ, რომ მათი გვარის სხვადასხვა თურქული გვარსახელის ქვეშ გაერთიანებული ადამიანები ერთმანეთის ნათესავები არ არიან. სამაგიეროდ ისინი მყარად თვლიან, რომ ნათესავები არიან საერთო თურქული გვარსახელით გაერთიანებული დავითაძეები.

ანალოგიურად, **ფუტკარაძეებს** დღემდე კარგად ახსოვთ, რომ შუახველ ფუტკარაძეთა გვარი აერთიანებს *მუსტაფოღლებს, გოჩიოღლებს, მაზანოღლებს, ბობოლოღლებს, შირინოღლებს, ონბაშოღლებს, ქუჩქალოღლებს, ქურთასანოღლებს, მემედაღიშვილებს* და სხვებს. გადმოცემის თანახმად, პირველი სამი გვარსახელი ძმების სახელებისგანაა წარმოქმნილი და შესაბამისად, ისინი ერთი სისხლ-ხორცისანი არიან. ბობოლოღლები კი ადრე ზოიძეები ყოფილან და შემდგომში მათთვის ფუტკარაძე მექანიკურად შეურქმევიათ.

აჭარელ **ბოლქვაძეებში** - ერთმანეთისგან განასხვავებენ *ყადიოღლების, ომაროღლების, ჯალაბოღლების, ხათიბოღლების, მოლაქესუმოღლების, ჩახალოღლების, სალოღლების, საბძელოღლების, ფარფაროღლების* და სხვა განშტოებებს.

ხულოში მცხოვრები **აბაშიძეების** გვარი აერთიანებს *ჭრელოღლებს, ესედოღლებს, ისმეილოღლებს, ალიბაბაოღლებს* და სხვებს;

აბულაძეების გვარი - *ოსმანოღლებს, ჯინოღლებს* და სხვებს;

ბერიძეების გვარი *ქოროღლებს, ბეჟიროღლებს, სილორიოღლებს, ყაზანჯოღლებს, ყარამემედოღლებს, ფეიზოღლებს, ყურწოღლებს, ჰაჯიოღლებს, სელიმოღლებს, შირინოღლებს, დემირჩოღლებს, ხაბაზოღლებს, აბუქეთელოღლებს, ჩახალოღლებს, თელიქოღლებს* და სხვებს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე 1922 წლის აღწერის მასალებში ოფიციალურად დაფიქსირებული ორმაგი გვარსახელები, რომელთაგანაც ერთი ქართულია, მეორე კი თურქული. ესენია:

- *ბერიძე-ხასანოღლი, ბერიძე-ესედოღლი, ბერიძე-დაუთოღლი;*
- *გელაძე-მურადოღლი;*
- *გოგლაძე-იყუფოღლი, გოგლაძე-ხუშუთოღლი;*
- *დევაძე-ახისხოღლი, დევაძე-კვერნიოღლი, დევაძე-მემიოღლი, დევაძე მერჯანოღლი, დევაძე-შირინოღლი;*
- *დიასამიძე-ყედიროღლი;*
- *მახარაძე-მუსოღლი, მახარაძე-ფორთოღლი;*
- *სამნიძე-მემედოღლი, სამნიძე-სულეიმანოღლი;*
- *ფარტენაძე-ბაიარახტაროღლი, ფარტენაძე-ბექიროღლი, ფარტენაძე-ხაჯიოღლი, ფარტენაძე-ქამილოღლი.*

აღნიშნული მოდელი უტყუარი და ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ გამოიყენებოდა და დღესაც კი გამოიყენება ძველი თურქული გვარსახელები ქართული გვარსახელების განშტოებათა ერთმანეთისგან გარჩევის მიზნით.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აჭარაშიც გვარის განშტოებათა სახელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სისხლით ნათესაობის გარკვევა უნდა იყოს. ეს საჭირო ხდება, პირველ რიგში იმისთვის, რომ საერთო ქართული გვარსახელის წარმომადგენელი ქალ-ვაჟები ოჯახების შექმნის შემთხვევაში მყარად იყვნენ დარწმუნებულნი მათ შორის სისხლით ახლო ნათესაობის არარსებობაში. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული შტოგვარების მკვლევრებიც: „კახეთში შტოგვარებს ხშირ შემთხვევაში თავ-თავისი ზედაშეები აქვთ, თავისივე გვარის სხვა შტოგვარებთან ნათესაობა უკვე გამქრალია და მათ შორის ქორწინებაც დასაშვებია“ (მჭედლიშვილი, 1998: 255). წარსულში აჭარაში, ისევე როგორც დღევანდელ მუსლიმურ სამყაროში, ამ საკითხს დიდი ყურადღება არ ექცეოდა, დროთა

განმავლობაში კი სისხლით ახლო ნათესავებს შორის ქორწინებას ტაბუ დაედო, ამიტომ საერთო გვარსახელის მატარებელი საქმრო-საცოლეები (განსაკუთრებით მათი მშობლები და ბებია-ბაბუები) წინასწარ გულდასმით არკვევენ, იყვენენ (არიან) თუ არა ისინი გვარის სხვადასხვა განშტოების წარმომადგენელი. უფროს თაობაში მსგავს შემთხვევებს ვხვდებით ისეთ მრავალრიცხოვან გვარში, როგორც ზემოთ განხილული ბოლქვაძეების და ფუტკარაძეების გარდა არიან, მაგალითად, **ბერიძეები**. ზოგიერთ ოჯახში ცოლიც ბერიძეა და ქმარიც. როგორც ჩვენი გამოკითხვებიდან ჩანს, იგივე შეიძლება ითქვას ზოიძეებზე და სხვებზე. ოღონდ ისინი **სხვადასხვა განშტოების (ოღლის)**, არიან.

მეორე მხრივ, მაგალითად, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არის სოფელი ბალაძეები, სადაც მხოლოდ **ბალაძეები** ცხოვრობენ, რომელთაც ასევე სხვადასხვა „ძველი გვარსახელები“ აქვთ: *კატაროღლები, კუდოღლები, საცეროღლები, ჩხაკოღლები, ლედვოღლები, კირკიტოღლები (თუ კერკეტოღლები და სხვ.)*. ამავე დროს, აქ ერთ ოჯახსაც კი ვერ ნახავთ, სადაც ორივე მეუღლე ბალაძე იქნება, ეს არის მცირერიცხოვანი, კომპაქტურად ერთ სოფელში მცხოვრები გვარი, რომლის წარმომადგენელთა კოლექტიურ მეხსიერებაში მყარად არის შემორჩენილი მათი სისხლით ახლო ნათესაობის აღქმა.

საინტერესოა საპირისპირო შემთხვევებიც: მაგალითად, სოფელ დანდალოშივე მცხოვრებ ჯორთმენაძეებს, ბოლქვაძეებს და მახუნცეთში მცხოვრებ კურცხალიძეებს საერთო თურქული გვარსახელი ჰქონდათ - *გურჯიოღლი*, არის თუ არა ეს სამი ქართული გვარი გურჯიოღლების დანაყოფები? შესაძლებელია ეს ასეც იყოს, თუმცა ამის დაზუსტებით მტკიცებას გამოკითხულები ვერ ახერხებენ, რადგან რა გვარსახელს ატარებდნენ გურჯიოღლის დარქმევამდე, დღესდღეობით მათ ძალიან უჭირთ.

განსხვავებული ვითარებაა, მაგალითად, აქაურ *ალიშანიძეებს, მგელაძეებსა და განდელიძეებთან* მიმართებაში, რომლებიც დღეს სხვადასხვა ქართული გვარისანი კი არიან, მაგრამ მათივე მტკიცებით, მათ ჰყავდათ საერთო წინაპარი *ყასუმი*. ამიტომაც

მისი შვილები *ყასუმოდლები* იყვნენ. შემდეგ სამი ძმა გაიყო და თითოეულმა მათგანმა სხვადასხვა ქართული გვარსახელი დაირქვეს.

გთავაზობთ ანალოგიური შემთხვევების უფრო ფართო ჩამონათვალს, შედგენილს ჩვენი გამოკითხვის მასალების მიხედვით¹⁹:

1. *ბაირახტაროდლები* - დავითაძეები (შუახვევი, სხეფი); თებიძეები (ქედა, პირველი მაისი); კურცხალიძეები (ქედა, მახუნცეთი); საფარიძეები (ქედა, დოლოგანი); შანიძეები (ქედა, კოკოტაური);
2. *სელიმოდლები* - არძენაძეები/სელიმადიშვილები (ქედა, დანდალო); ბერიძეები (ქედა, წონიარისი); დეკანაძეები (ხულო, დეკანაძეები); ლემსაძეები (შუახვევი, ტბეთი);
3. *ქოროდლები* - ბერიძეები (ქედა, მახუნცეთი, ზენდიდი); გოჩაძეები (ქედა, უჩხითი); კოკობინაძეები (ქედა, მახუნცეთი); ფარსენაძეები (ქედა, მახუნცეთი);
4. *დურსუნოდლები* - საფარიძეები (ქედა, დოლოგანი); გოგიტიძეები (შუახვევი, ქიძინიძეები); ჩოგაძეები (ხულო, ელელიძეები); აბაშიძეები (შუახვევი, ქიძინიძეები);
5. *ბეჩიროდლები* - ბასილაძეები (ხულო, ჭერი), შავაძეები (ხულო, შუასოფელი); წითელაძეები (ქედა, დაბა ქედა);
6. *დევრიშოდლები* - დუმბაძეები (ქედა, მეძიბნა); დეკანაძეები (ხულო, დეკანაშვილები); ჭელიძეები (ხულო, დაბა ხულო);
7. *თორნიოდლები* - ცინცაძეები (ქედა, აქუცა); კილაძეები (შუახვევი, ნიგაზეული); ჯიჯავაძეები (ქედა, დაბა ქედა);
8. *ალიბაირახტაროდლები* - ჯინჭარაძეები (ქედა, დოლოგანი); ნინიძეები (ქედა, უჩხითი)
9. *ალიოდლები* - მორთულაძეები (ქედა, ნამლისევი); შავაძეები (ხულო, ოქრუაშვილები);

¹⁹ ანალოგიური ჩამონათვალი მოცემულია დანართ 1-შიც, ოღონდ ის 1922 წლის მასალების მიხედვითაა შედგენილი.

10. *გურჯიოღლები* - კურცხალიძეები (ქედა, მახუნცეთი); ჯორთმენაძეები და ჯორთმანიძეები (ქედა, დანდალო);
11. *კახაძოღლები* - კახაძეები (ხულო, ბელლეთი); ჯაფარიძეები (ხულო, ბელლეთი);
12. *მუსტაფოღლები* - სამნიძეები, სურმანიძეები (ქედა, ჭალახმელა);
13. *მუსოღლები* - მახარაძეები (ქედა, მახუნცეთი); ჯინჭარაძეები (ქედა, დოლოგანი);
14. *ოსმანოღლები* - აბულაძეები (ხულო, ოქრუაშვილები); შოთაძეები (ქედა, მახუნცეთი);
15. *ფეიზოღლები* - ბერიძეები (ქედა, გოგიაშვილები); აბაშიძეები (შუახევი, ნიგაზეული);
16. *ქუთოღლები* - თურმანიძეები (ქედა, მერისი); შავაძეები (ხულო, ოქრუაშვილები);
17. *ყადიოღლები* - კობალაძეები (ქედა, უჩხითი); ბოლქვაძეები (ხულო);
18. *ყასუმოღლები* - მგელაძეები (ქედა, დანდალო); მალაყმაძეები (ქედა, ნამლისევი);
19. *ყურამედოღლები* - აბაშიძეები (შუახევი, ქიძინიძეები); მადაძეები (ქედა, დოლოგანი);
20. *შირინოღლები* - შავაძეები (ხულო, განახლება); ბოლქვაძეები (ქედა, ქვედა ბზუბზუ);
21. *ხიმშიოღლები* - ხიმშიაშვილები (ხულო); გობაძეები (ხულო);
22. *ხუსეინოღლები* - ვარშანიძეები (ქედა, ზუნდაგა); შოთაძეები (ქედა, ქვედა ზუნდაგა);

საინტერესოა პარალელების გავლება შუმანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულის“ მონაცემებთან, რომლებიც მკვლევარს მოძიებული აქვს საზღვრისგაღმელ ჩვენებურებს შორის ჩატარებული გამოკითხვების შედეგად:

1. *აიღინები* - თავდგირიძეები, დოლაბერიძეები, გივიენტები, ღაღანიძეები;
2. *აკდემირები* - კოსოლიძეები, დარბაზიძეები;
3. *ახისხასოღლები* - გოჩიტაძეები;
4. *გულბაირახტაროღლები* - გოგიტიძეები;

5. *ეროლები* - ლომინაძეები, მესხაძეები, ხევრაძეები;
6. *იენილმაზები* - ლომიენტები, ლომინაძეები, ხევრაძეები;
7. *იავუზები* - არძენაძეები, ფუტკარაძეები, მაკარაძეები;
8. *ილდიმირები* - მიქელაძეები, ყურძენაძეები;
9. *ოზთურქები* - გორგაძეები, კახიძეები;
10. *ოზქანები* - მელაშვილები, გორგოშაძეები;
11. *ქაია* - ფუტკარაძეები, მაკარაძეები, ვასაძეები;
12. და სხვა.

ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებშიც, რის შესახებაც რ. თოფჩიშვილი წერს: „ზოგჯერ გრიგორიანული სარწმუნოებისა და სომხური გვარსახელის მატარებელი მეორე (ქართული) გვარსახელითაც არის მოხსენიებული. მეორე ანუ ძველი გვარსახელით პიროვნებათა მოხსენიება საოჯახო სიების დიდ პლუსად მიგვაჩნია. ამით შესაძლებლობა გვეძლევა ვიკვლიოთ როგორც ეთნიკური პროცესები, ისე კონკრეტული გვარსახელების ისტორია. ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს, რომ საოჯახო სიებში მოხსენიებული მეორე გვარსახელი ძველი გვარსახელია, რომლის შეცვლაც ფეოდალური და კაპიტალისტური პერიოდის საქართველოში, გარკვეული მიზეზების გამო, იშვიათად არ ხდებოდა“ (თოფჩიშვილი, 2005).

ერთი სიტყვით, მე-16 საუკუნიდან ქართული ანთროპონიმის მთლიანად თურქულით ჩანაცვლებამ, ხოლო მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ისევ ქართულზე დაბრუნებამ განაპირობა ის, რომ ზემო აჭარის მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში თურქული გვარსახელები (ოღლები) და მუსლიმანური სახელები დღემდე არაა მივიწყებული. მათ დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრებათ.

თავი VI.

ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი დღეს (მეოთხე ეტაპი)

6.1. გვარსახელების კორპუსი ზემო აჭარაში მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მასალების მიხედვით

ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის თითქმის ოთხსაუკუნენახევრიანი მრავალწახნაგოვანი პროცესის საბოლოო შედეგი ნათლად არის ასახული დღევანდელ ვითარებაზე. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მასალების და საარჩევნო სიების მიხედვით ზემო აჭარაში (ქედის, შუახევის და ხულოს ადმინისტრაციული ერთეულები) ფიქსირებული გვარსახელთა რეიტინგულ ჩამონათვალის პირველი ოცეული ასეთია:

	გვარსახ.	რაოდ	№	გვარსახ.	რაოდ.
1	ბერიძე	3969	11	სურმანიძე	1062
2	ბოლქვაძე	2465	12	შაინიძე	1014
3	აბულაძე	1841	13	ცეცხლაძე	995
4	დიასამიძე	1460	14	დუმბაძე	880
5	შავაძე	1441	15	გორგაძე	847
6	ფუტყარაძე	1344	16	ზოიძე	846
7	დავითაძე	1281	17	ირემაძე	793
8	აბაშიძე	1274	18	მელაძე	699
9	მიქელაძე	1263	19	ხოზრევანიძე	672
10	მახარაძე	1215	20	თურმანიძე	612

როგორც ვხედავთ, პირველი ოცეულში მოხვედრილი ყველა გვარსახელი ქართულია ასე გრძელდება ბოლომდე: ზემო აჭარაში მცხოვრები ორივე სქესის 55349 მცხოვრების 697 გვარსახელიდან აბსოლუტურად ყველა ქართულია. მამასადამე, დღეს

ზემო აჭარაში „ოლი“ ფორმატიანი თურქული გვარსახელი ოფიციალურად პრაქტიკულად აღარ აღირიცხება. რაც შეეხება, დანარჩენ რეიტინგულ ჯგუფებს, მათ განხილვას დაწვრილებით, ცხადია, აღარ შევუდგებით, ამასთანავე, აღვნიშნავთ შემდეგს

- მითითებული 697 გვარსახელიდან თითქმის ნახევარი (327) არის ერთეული გვარებსახელები, ანუ მათ მხოლოდ თითო ადამიანი ატარებს. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება უცნაურ და აუხსნელ ფაქტადაც კი მოგვეჩვენოს, თუმცა როცა ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ მათი უმრავლესობა ე.წ. „არააჭარული“ გვარსახელებია და თანაც თითქმის ყველა მათგანის მატარებელი ქალბატონები არიან. მაშასადამე, ეს ერთეული გვარსახელები ეკუთვნის ზემო აჭარაში გამოთხოვილ ქალბატონებს. ასეთი გვარსახელებია: *ავგოპულო, ავილოვა, ანდრეიკუსი, ანდრიაძე, არევაძე, არზიანი, აშიხმინა, ბაბილოძე, ბაბუნაშვილი, ბედოშვილი, ბევზი, ბელოუსოვა, ბერიკაშვილი, ბიაძე, ბუკია, გაგნიძე, გაგუა* და სხვ. არიან აგრეთვე მამაკაცებიც, თუმცა არც ისინი არიან ე.წ. აჭარული გვარსახელების მატარებელი. მაშასადამე, ისინი საქართველოს სხვა კუთხეებიდან არიან სამუშაოდ ან სხვა მიზნებით გადმოსულები. ესენი არიან *არაბული (გიორგი); ამირიანი (სარქის)* და სხვა.²⁰
- 315 გვარსახელიდან მხოლოდ 14-ია „-შვილი“ ფორმატიანი, 288 კი „-ძე“ ფორმატიანი.

6.2. პიროვნულ სახელთა კორპუსი ზემო აჭარაში მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მასალების მიხედვით

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით, 55349 მცხოვრებს ჰქვია მთლიანობაში **1125 სახელი, რომელთაგან 650 მამაკაცის სახელია და 475 - ქალის.** მათი რეიტინგული ჩამონათვალის პირველი ოცეული ასეთია:

ა) ქალის სახელები

²⁰ შესაბამისად ზემო აჭარის მკვიდრთა გვარსახელების რაოდენობად შეიძლება ჩაითვლოს არა 697-ს, არამედ გაცილებით ნაკლებს.

	გვარსახ.	რაოდ	№	გვარსახ.	რაოდ.
1	ნათელა	1070	11	მზია	422
2	ეთერი	900	12	მანანა	405
3	ჟუჟუნა	753	13	გუგული	369
4	ნანული	662	14	თეონა	365
5	მაყვალა	621	15	თინა	364
6	მერი	584	16	ხათუნა	346
7	თამარ	554	17	ნარგიზ	335
8	ნინო	442	18	ნათია	302
9	შუმანა	433	19	დარიკო	294
10	მაია	430	20	მზევინარ	293

მცირე რაოდენობით (40) მაგრამ მაინც არის ძველი, მკვეთრი მუსლიმანური შეფერილობის სახელებიც: აიშა-1²¹, აიშე-170, აინურ-19, ასიე-154, ასინეთ-10; გუზელ-2; გულაიშა-1, გულაიშე-1, გულისტან-3; გულსუნ-1, გულფამ-1, გულფერ-8, გულფინაზ-1, გულჩიჩეგ-1, გულხანუმ-4, ესმერ-7, ზერიფე-8; ზეკიე-37, ზულბიე-6, ზულეიხ -2, ზულფი-2, ზულფია-1, ზულფიე-3, მელექ-27, მელიქი-3, მელიქიე-7, მეხბულე-7, მეხფულე-16,, ნაქიე-1, ნაჯიე-4, ნებიე-18, ნურიფე-13, საადეთ-8, სურიე-70, ფატყუმე-182, ფერიდე-41, ხატიჯე-52, ხაჯერ-16, ხენიფე-23, ხეჯერ-4, ხურიეთ-3, ჰამიდა-1, ჰუმაიშე-1, ჰურიე-1;

ბ) მამაკაცის სახელები

	გვარსახ.	რაოდ	№	გვარსახ.	რაოდ.
--	----------	------	---	----------	-------

²¹ სახელის შემდეგ რიცხვი ამ სახელის მატარებელ პიროვნებათა რაოდენობის მაჩვენებელია

1	ნოდარ	737	11	ნუგზარ	469
2	ზურაბ	730	12	ავთანდილ	465
3	თამაზ	690	13	ოთარ	464
4	დავით	617	14	მალხაზ	461
5	რამაზ	561	15	ლევან	448
6	გურამ	560	16	რევაზ	445
7	თემურ	541	17	ბადრი	419
8	ამირან	502	18	ჯემალ	418
9	გიორგი	495	19	გოჩა	418
10	მერაბ	475	20	ზვიად	351

აბდულ-23; ალი-38, ალიოსმან-16, ახმედ-78, ბინალ-23, დურსუნ-46, ენვერ-43, ისმაილ-45, მამუდ-16. მევლუდ-62, მემედ-80, მუხამედ-84, ნიაზ-44, რემზი-18, რიზალ-16, ოსმან-37, რამიზ-23, სელმან-17, ქაზიმ-35. ქემალ-25, სულეიმან-38, ხასან-81, ხემიდ-21, ხუსეინ-60 და სხვა.

- აღნიშნული მასალების მიხედვით 90-იან წლებში და შემდგომ პერიოდში დაბადებულთა სახელებს შორის უკვე აღარ ფიგურირებს ანუ ხმარებიდან გამოსულია წინა ათწლეულებში არსებული შემდეგი სახელები: აბდულ, ადემ, აინურ, ალისულთან, ალიოსმან, ალალი, ახმედ, ბაირამ(ალ), ბეჟირ, ბინალ, გულფაშ, გულფერ, გულფინაზ, გულხანუმ, გუნემ, დემურალი, დურსუნ, ეზიზ, ელმას, ეუბ, ვეზირ, ზაბით, ზეირალ, ზელყინაზ, ზემზემ, ზეჟერია, ზეჟიე, ზულფიე, ზურ(რ)ლქიფლ, თენზილე, თეხსიმ, თუნთულ, თუფან, იდრის, ინუს, ისკენდერ, ისმა(ლ)ილ, ლუთბი(ე), მაიშეჟერ, მამუდ, მახმუდ, მერიემ, მერჯან, მეხმ(ფ)ულე, მეხსუდ(ალი), მი(ხ)რიბან, მურთაზ, მუსემზე, მუსტაფა, ნუსრედინი, ოსმან, რეჯებალი, რიზა, რიზალ, სებილე, სედიე, სელიმ, სეფერ, სუნდუს, ფადიმე, ყუდუს, ქერემ, ყედირ, ფერიდე, ყურშუმ, ქევსერ, ყუდრეთ, ღისა. სამაგიეროდ, 90-იან წლებში უკან მობრუნებულია არაერთი სახელი, რომლებიც 60 - იანი

წლების შემდეგ აღარ ფიგურირებდა: მუხამედ -15²² (1990-1996); მევლუდ -12 (1997); სურიე - 6 (1995); ახმედ-5 (1996). ადემ, აიშე - 4 (1998); ხუსეინ - 4 (1994); მურთაზ - 3 (1997); ენვერ -3 (1994); ხემიდ - 3 (1996); ფატყუმე - 2 (1997), ოსმან - 2 (1996), მემედ -2 (1995); აბას (1998), საადეთი (1997); მახმუდ (1997), რამიზ (1997); სულეიმან (1996); სალიხ (1995); ხუსეინალა (1994); ხელილ (1994), თევრათ (1993); რეჯებ (1993), ბაირამ (1992), ქაზიმ (1992), ჰურიე (1992); რასიმ (1991); ისკენდერ (1990), შადიე (1990) (ავალიანი, ბარამიძე, 2018: 34-35).

6.3. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პიროვნული სახელების კორპუსი (2016-2017 წ.წ.)

პიროვნულ სახელთა მრავალსაუკუნოვანი დინამიკის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო დასკვნების გაკეთების საფუძველს ქმნის დღევანდელი სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პიროვნულ სახელთა კორპუსის ანალიზი. ასე მაგალითად, ხულოს მუნიციპალიტეტის ღორჯომის ხეობაშიც კი, სადაც პრაქტიკულად არცერთი ქრისტიანული ოჯახი არ სახლობს, მშობლები ბავშვებს აღარ არქმევენ ძველ, დოგმატურ მუსლიმანურ პიროვნულ სახელებს, თუმცა ამას უკვე მათ არავინ აღარ აიძულებს. ასეთი სურათია, მაგალითად, ღორჯომის ბაგა-ბაღში, რომლის 2016 წლის 70 აღსაზრდელიდან არცერთს არ ჰქვია ასეთი სახელები. მთლიანობაში 2016-2017 წლების მონაცემების მიხედვით ჩვენ გავანალიზეთ ხულოსა და ქედის მუნიციპალიტეტების საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა პიროვნული სახელების კორპუსი და მივიღეთ შემდეგი სურათი:

ხულოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში 2016-2017 წლებში მოქმედ 16 ბაგა-ბაღის 657 აღსაზრდელს ერქვა შემდეგი **159 პიროვნული სახელი**: ამალია, ალეკო, ალექსანდრე, ალექსი, ალინა, ალუდა, ანა, ანუკი, ანამარია, ანასტასია, ანანო, ანდრია, ანდრო, ანრი, ანრიკე, ანიტა, აჩიკო, ბადრი, ბარბარე, ბაქარ, ბაჩი, ბაჩუკი, ბერნა, ბექა, გაბრიელ, გაბრიელა, გაგა, გეგა, გვანცა, გიგა, გიგი, გიგლა, გიორგი, გოჩა, გურამ, გუგა, დარინა, დავით, დათა, დათო, დაჩი, დიანა, დიმა, დიმიტრი, დიტო, ეკა, ელდარ, ეთერ,

²² პირველი რიცხვი სახელთა რაოდენობის მაჩვენებელია, მეორე - დაბადების წლების

ელენე, ელისაბედ, ელისო, ელზა, ესმა, ვახტანგ, ვერა, ვიკა, ზაალ, ზურა, ზურიკო, თათია, თაკო, თამაზ, თეა, თეო, თემურ, თემო, თამარ, თამთა, თიკა, თინიკო, თორნიკე, იაგო, იზა, ილონა, ირაკლი, იმედა, კახა, კობა, ლადო, ლანა, ლაშა, ლევან, ლერი, ლექსო, ლიზი, ლინდა, ლია, ლიკა, ლონდა, ლუკა, ლუნა, მაკა, მამული, მამუკა, მანუჩარ, მამუკა, მარი, მარიზა, მარიტა, მარიამ, მათე, მაქსიმი, მარიანა, მარადი, მეგი, მედეა, მელანო, მერაბ, მერი, მზია, მია, მირიან, მირანდა, მინური, მურად, მუხრან, ნადიმ, ნათია, ნანა, ნაზი, ნატალი, ნიკა, ნილა, ნიკოლოზ, ნინი, ნინიკო, ნინო, ნია, ნოდარ, ნოდიკო, ნონა, ნუკრი, ნუცა, რატი, რეზი, რომა, ომერ (იორამის), ომარიკო, რუსლან, საბა, სარა, სალომე, სანდრო, სანდრო, სესილი, სპარტაკ, სოსო, სოფო, სოფია, ფატმა, ქრისტინა, შაკო, შოთიკო, ხალიმე, ხატია, ხვიჩა, ცოტნე, ჯემალ, ჯილდა.

ანალოგიურად, ქედის ბავშვთა ბაგა-ბაღების 2016-2017 სასწავლო წლის 306 აღსაზრდელიდან პრაქტიკულად 100% ე.წ. თანამედროვე სახელების მატარებელია, როგორცაა: ალისა, ალინა, ანანო, ანა, ანჟელა, ანრი, ანა, აჩი, ბაჩი, ბაჩუკი, ბექა, გვანცა, გეგა, გიგა, გიორგი, გოგა, გოგიტა, გურამი, გურამიკო, გივი, დათა, დათო, დაჩი, დეა, დიეგო, დიტო, ელენიკო, ელისა, ელისო, ედო, ვანო, ვიკა, ზაზა, ზურა, ზურიკო, თათია, თაკო, თამარი, თამუნა, თემო, თომა, იაგო, კახი, ლადო, ლანა, ლაშა, ლევან, ლიზი, ლიზიკო, ლინდა, ლალე, ლილე, ლიკა, ლუკა, მაგდა, მარი, მარიკა, მარიტა, ნატა, ნია, ნიკა, ნინი, ნინია, ნინო, ნიკო, ნოდიკო, ნუცა, ოთიკო, რატი, რეზიკო, საბა, ქეთი, ქრისტინა, შოთა, შოთიკო, ხატია და სხვა.

ამრიგად, ზემოთ მოცემული ანთროპონიმული სურათი უტყუარი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში დღეს რელიგიური ფაქტორი აღარ თამაშობს ქართველთა ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ გადაწყვეტ როლს, შესაბამისად დაუშვებელია დღევანდელი რეალობის ახსნა მხოლოდ წარსულის საფუძველზე და იმის მტკიცება, რომ ქართველობა აუცილებლად მართლმადიდებლობასაც ჰგულისხმობს. რწმენის არჩევანისა და სახელის შერჩევის თავისუფლების პირობებში დღეს ახალგაზრდა მუსლიმი ქართველებიც კი აღარ ატარებენ ძველ დოგმატურ მუსლიმურ სახელებს. ასე მაგალითად, როგორც სოციალური ქსელებიდან ჩანს, ახალგაზრდა ქართველი

მუსლიმები არიან *მერი, დალი, ინგა, სოფო, ტარიელი, რატი, ბაგრატი, მინდია, თეონა, დათო* და სხვები. აშკარაა, რომ ევროინტეგრაციისა და სამოქალაქო საზოგადოების გზაზე მყარად შემდგარი საქართველოს მოსახლეობა სავსებით ლოგიკურად ეუბნება უარს ისეთ მოძველებულ დოგმატურ მოთხოვნებს, როგორცაა მშობლის მიერ შვილისათვის სახელის შერჩევაში მაინცა და მაინც რელიგიური ფაქტორის გათვალისწინება. **პიროვნული სახელი თანდათანობით თმობს პიროვნების რელიგიური მარკერის ფუნქციას.** რწმენის თავისუფლებასთან ერთად წინა პლანზე გამოდის პიროვნული სახელის შერჩევის თავისუფლებაც, და ეს ეხება არა მხოლოდ ძველ მულიმანურ სახელებს. კალენდარულ სახელთა ფუნქციონირებაც სრულიად ლოგიკურად შემოიფარგლა საეკლესიო საკომუნიკაციო სივრცით, საერო სივრცეში კი პიროვნული სახელის შერჩევა მთლიანად თავისუფალ არჩევანს დაექვემდებარა. ამის დასტურად შეიძლება მოვიშველიოთ, მაგალითად, ის რომ ბოლო დროს გაჩნდა სრულიად ახალი, ყოველგვარი შეზღუდვისგან თავისუფალი (უცნაურიც კი) სახელები. 2016 წლის საარჩევნო სიაში ასეთი სახელებსაც შეხვდებით: *აიეტი, აიგულ, ბროლი, განგა, გონერი, გულივერ, დიეგო, დონე, ელდა, ენძელა, ვანდა, ვარდიკო, ვილდანი, ზიტა, თაიგული, თემინდარი, იანეგი, ინდიანა, ისმინაზი, კლარატი, ლაიმა, ლაჟვარდი, ლაურიტა, მზეჭაბუკი, მილედი, ნიოლანდი, ლედი, მარისაბელ, მზიგული, მირანდუხტი, მიშელი, მოგელი, ჟელმირა, რათა, რამზესი, რიბანა, რიჩარდი, სირმა, სურაჯი, ქალთამზე, სურამი, ჯული* და სხვა. ცხადია, რომელიმე მათგანის რელიგიური ფაქტორით ახსნა შეუძლებელია. დღეს სახელის შერჩევისა და დამკვიდრება/უარყოფის ერთ-ერთ უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორად იქცა თანატოლების სოციუმში (ბაგა-ბაღებში, სკოლებში და ა.შ.) ბავშვის ადაპტაცია-სოციალიზაციის პრობლემატიკა, ვინაიდან „ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვს უცნაური სახელის გამო თანატოლები დასცინიან, ან სახელის დამახინჯებით შექმნილ დამამცირებელ ზედმეტ სახელს არქმევენ, რის შედეგადაც ბავშვს კომპლექსები გამოუმუშავდებათ“ (მენაბდიშვილი, 2017). მშობლები სულ უფრო მეტად ხდებიან იძულებულნი ანგარიში გაუწიონ ამ ფაქტორს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვები

მოზრდილ ასაკში იწყებენ სახელთა გამოცვლას. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, „საქართველოში მარტო 2017 წელს სახელის შეცვლის სულ 2 676 შემთხვევა დაფიქსირდა“. ეს პროცესი შეეხო აჭარასაც, სადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში შეიცვალეს ისეთი სახელები, როგორცაა: *ალი, ანგელინა, არდევანი, ბოჩია, გალობენი, ბიჭიკო, გეროი, დიდო, ვერჩეს, ზემინარი, იურიკი, ლიუტერი, რაიბული, ჯულვარსი, არველოდი, ბუხუტი, აკალი, ბედნი, ბესირე, გუგული, გული, გულფაშა, დურსუნი, ზულფიგარი, თევრათი, მეხფულე, როზმარინი, სელვერი, სერპუი, ფატყუმე, ასიე, ბენიტო, ზაქია, იაგორი, ცირუ, ჰემიდე, ბორენა, ემინე, ზემლარი, ონერი, შუქრი* (მენაბდიშვილი, 2017).

ასეთია ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის თითქმის ხუთსაუკუნოვანი პროცესის ძირითადი ტენდენციები სოციოლინგვისტური თვალსაზრისით. ჩვენ არ გვქონია მათი სიღრმისეული და კომპლესური კვლევის პრეტენზია, რადგან ეს ერთი, თუნდაც სადოქტორო ნაშრომის ფარგლებს მნიშვნელოვნად სცდება. ამავე დროს ჩვენ არ ვწყვეტთ ამ პრობლემის კვლევას, რის შედეგებსაც ავსახავთ სამეცნიერო პუბლიკაციებში.

დასკვნები

1. ზემო აჭარის ენობრივ სურათში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანთროპონიმებს - გვარსახელებს, პიროვნულ სახელებს, მამის სახელებს, მეტსახელებს, შტოგვარებს, მეტგვარებს. ნაშრომში გაანალიზებულია მათი ტრანსფორმაციის მრავალსაუკუნოვანი პროცესი, რომელიც სოციოლინგვისტური ფაქტორების (ენობრივ-კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და რელიგიური პარადიგმის) ცვლის შესაბამისად მე-16 საუკუნის მიწურულიდან დაიწყო და ეტაპობრივად წარიმართა.

2. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის საწყისი ეტაპის ვითარება (XVI საუკუნის მიწურული), ნათლად და მკაფიოდ არის ასახული „აჭარის ვრცელი და მოკლე დავთრების“ მასალებში. მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოსმალმდელი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი, კერძოდ, პიროვნულ სახელთა კორპუსი, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის მთლიანად ქართული ან ქრისტიანულია.

3. რაც შეეხება გვარსახელებს და საერთოდ ანთროპონიმულ მოდელებს, ყველა დანარჩენი იმდროინდელი ოსმალური „დავთრების“ ქართული თარგმანების მსგავსად, არც აღნიშნულ დოკუმენტში ფიქსირდება „სახელი + ქართული გვარსახელი + მამის სახელი“, ან „ქართული გვარსახელი + სახელი“ ან „სახელი + ქართული გვარსახელი“ ნიმუშის ორ- თუ სამწევრიანი მოდელები. მათ ნაცვლად გვხვდება ორწევრიანი მოდელი: **ბასილი, ძე მახარებლისა; იოანე, ძე გიორგისა და ა.შ.** გვხვდება აგრეთვე:

- „სახელი + კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული მამის სახელი - („**ბაბუნა, ძე მისი**)“).
- „სახელი + ძმის სახელი - („**იოსებ, ძმა მისი**)“).
- სახელი + პროფესიის, საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა („**იოანე მღვდელი**)“ და სხვა.

რატომ გვხვდება ეს მოდელები და არა: **ბასილი მახარებლისძე, იოანე გიორგისძე, ან - მახარებლისძე ბასილი, გიორგისძე იოანე და ა.შ.** როგორც ეს „ტბეთის სულთა

მატიანესა“ და სხვა ქართულ წყაროებშია მოცემული? ვფიქრობთ იმიტომ, რომ რაც „დავთრების“ დედანში ანუ ოსმალურ დოკუმენტებშია დაფიქსირებული, არის ოსმალ მოხელეების მიერ მათი შეხედულების მიხედვით ქართულიდან ოსმალურად თარგმნილი/გადატანილი ანთროპონიმული მოდელები. „დავთრების“ ქართულ თარგმანში კი ეს ოსმალურად დაფიქსირებული მოდელები ისევ ქართულად არის კალკირებული/გადმოტანილი.

4. სხვა ვითარებაა ტრანსფორმაციის პირველ (ოსმალურ) ეტაპზე, რომელიც მოიცავს აღნიშნული დავთრების შედგენიდან 1878 წლამდე სამასწლოვან პერიოდს. ამ განსხვავების ნათელი დასტურია 1835 წლის ოსმალური აღწერის მასალები, კერძოდ:

- მკვეთრად არის შეცვლილი სურათი მუსლიმანური პიროვნული სახელების და „ოღლი“ ფორმატიანი თურქული გვარების დამკვიდრების მიმართულებით. რომელთა მიხედვითაც ჩვენ მიერ გაანალიზებული ოთხი სოფლის ანთროპონიმიაში (მთლიანობაში 1063 მამაკაცის 232 პიროვნული სახელი და 96 გვარსახელი) ქართული და თურქული ელემენტების თანაფარდობა ასეთია:

	<i>აღწერილ მცხოვრებთა რაოდენობა</i>	<i>რამდენს ჰქვია მუსლიმანური სახელი</i>	<i>დაფიქსირებული გვარსახელებიდან რამდენია „-ოღლი“</i>	<i>ყველაზე რეიტინგული სახელი</i>	
დანდალო	504	100%	გვარსახელები საერთოდ არ არის დაფიქსირებული	მეჰმედი	15,8%
ვაიო	163	100%	84%	მეჰმედი	12,8%
ბზუბზუ	170	100%	86,2%	მეჰმედი	21,7%
მარადიდი	226	100%	93%	ოსმანი	12,3%

- აღნიშნული აღწერის მასალებში ჩნდება „გვარსახელი + სახელი + მამის სახელი“ ტიპის ანთროპონიმული მოდელები, რომლებიც შეიცავენ როგორც თურქულ, ისე ქართულ გვარსახელებს, როგორცაა: *ტეტემაძე ჰასან ოსმანისძე* (ვაიო); *მახაჩქაძე აჰმედ ალის ძე* (ვაიო); *ქოროღლი ქამილ აჰმედის ძე* (ვაიო); *ჩახალოღლი სულეიმან მეჰმედის ძე* (ბზუბზუ), *ისლამოღლი მეჰმედ სელიმის ძე* (ბზუბზუ) დასხვა

5. **ტრანსფორმაციის მეორე ეტაპი** მოიცავს 44-წლიან პერიოდს 1878 წლიდან 1922 წლამდე, როცა აჭარა ისევ საქართველოს შემადგენლობაშია. ამ ეტაპის ვითარების ამსახველ უამრავ წყაროთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია 1922 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის აღწერა, რომლის მასალებშიც ნათლად ჩანს ფაქტობრივად მთლიანად 1574 – 1922 წლების პერიოდის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის შედეგები. ანთროპონიმული მოდელი მე-16 საუკუნის დავთრების მსგავსად აქაც ორწევრიანია, ოღონდ განსხვავებულია ამ მოდელის ტიპები: თუ პირველ შემთხვევაში ეს იყო „სახელი + სავარაუდოდ მამის სახელი“, 1922 წლის აღწერის მასალებში კი გვაქვს *სახელი + გვარი* (მაშასადამე, არ არის აღრიცხული მამის სახელები), თუმცა პიროვნების იდენტობის დაზუსტების მიზნით ზოგჯერ დაფიქსირებულია მამის სახელიც (*ტუნაძე მევლუდ ისმაილის ძე*). ჩვენ გავანალიზეთ მთლიანობაში 4865 მამაკაცის 929 პიროვნული სახელი და 654 გვარსახელი), რამაც ცალკეული სოფლების მიხედვით გამოავლინა მასში ქართული და თურქული ელემენტების შემდეგი სახის თანაფარდობა.

თემი	აღწერილ მცხოვრებთა რაოდენობა	გვარსახელები და რამდენია „-ოღლი“ ²³	რამდენს ჰქვია მუსლიმანურ	ყველაზე რეიტინგული სახელი
წონიარისი (წონიარისი, ვარჯანისი, აბუქეთა, კანტაური)	153	93%	100%	ხუსეინ
დანდალო (დანდალო,	160	90,5%	100%	მევლუდ

²³ დალაგებულია თურქული გვარსახელების რაოდენობის კლების ტენდენციის მიხედვით.

ჯალაბაშვილები, ხარაულა)					
ცხმორისი (ცხმორისი, ახო, გეგილიძე, კოკოტაური)	240	69%	100%	მევლუდ	
მერისი (მერისი, ორთამელა, ბარამოლლი, ქეშიშოლლი, სიხალიძე, სილიბაური, ინაშარიძე.	281	68%	100%	ხასან	
მახუნცეთი (ზემო ბზუბზო, ზუნდაგა, მილისი, ნამლისევი, უჩხითი, ქვედა ბზუბზო, ქვედა მახუნცეთი, ქოსოფელი)	298	65%	100%	მემედ	
ჭვანა (ახალდაბა, ბარათაული, ბრილი, გომარდული, ვანი, ზემო-ხევი, ინწკირვეთი, ნაგომარი, ნაღვარევი, ოქროპელაური, სხაპელა, ფოთარო, ჩანჩხალო, ძაღლიანი, ცენტერაძეები, წყაროთა, წყლის საყარი, ჭალა.	400	43,7%	86,4%	მუხამედ	
უჩამბა (ბესელაშვილები, გოგაძე, დაბაძველა, დუზჭვანა, ვარჯანაული, ლაკლაკიძე, მოფრინაძე, ჟანივრი, სამოლიძე, ტბეთი, ქიძინიძე, ყაიბაში, ცეკვა, ცივაძე, ცინარიძე, ცხემლისი, წაბლანიძე, ხაბელაშვილები და ჯაბნიძეები)	500	43,5%	96,5%	სულეიმან	
დოლოგანი (დოლოგანი, ჭალახმელა, ჭინკაძეები, საფარიძეები)	126	29%	100%	ოსმან	
დიდაჭარა (ადაძე, ბელღეთი,	949	11,5%	100%	ხასან	

ბოძაური, გელაძე, გერგაძე, გოდგაძე, გუდასახო, დანისპარაული, დეკანაშვილები, დიაკონიძე, დიოკნისი, დუაძე, ვანაძე, ვაშაყმაძე, იაკობაძე, ირემაძე, ლაბაიძე, მახლაშვილები, ნანუზოვლი, ოქრუაშვილები, პაკსაძე, რიყეთი, სტეფანაშვილები, ტაბახმელა, ტუნაძე, ყადიოღლები, შანთაძე და წინწკალაშვილები)					
აქუცა	123	9%	100%	ხუსეინ	
სხალთა (ალმე (ზედა, ქვედა), ბაკო, გოგნიაური, გუნდაური, გურძაული, დარჩიძე, ვერნები, თაგო, კარაპეტი, კალოთა, კვატია, კვიახიძე, მაწყვალთა, მახალაკიძეები, ნიგოზეული, პაპოშვილები, რაქვთა, სარიჩაი(იალაღი), სკვანა, ტომაშეთი, ფეთელაური, ფაჩხა, ფურთიო, ფუშრუკაული, ქედლები, ქუთაური ძმაგულა, წაბლანა, ჩაო, შუბანი, ჭერი, ყინჩაური, ხიხამირი).	1243	8,7%	97%	დურსუნ	
ზენდიდი	54	2%	100%	სულეიმან	

6. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომსა და ამ ომის შედეგად აჭარის განთავისუფლებას ლოგიკურად უნდა მიეცა ბიძგი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ეროვნულ ნიადაგზე დაბრუნების ტენდენციებისთვის. მოცემული სქემიდან

ნათლად ჩანს, რომ ერთიანობაში გვარსახელების კორპუსი ამ ტენდენციას ავლენს: 1922 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებული 4865 პიროვნებიდან 1110 პიროვნება (23 %) „-ოლი“ ფორმანტიანი 347 თურქული გვარის მატარებელია, დანარჩენი 3745 (77%) - ქართულ გვარსახელს ატარებს. არის აგრეთვე 22 - ორმაგი ქართულ-თურქული გვარსახელის (დევაძე-შირინოლი).

7. პიროვნულ სახელებზე ეს ტენდენცია საერთოდ არ არის ასახული. 1922 წლის აღწერის მასალების გარდა ამის შესახებ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ იძლევა ქართველ მეცნიერთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ე.წ. ოსმალეთის საქართველოში, მათ შორის აჭარაში მოგზაურობის ამსახველი პუბლიკაციები, რომლებშიც შემდეგი მონაცემებია დაფიქსირებული:

	<i>დაფიქსირებულ გვარსახელთა რაოდენობა</i>	<i>„-ოლი“ ფორმანტიანი გვარსახელთა ხვედრითი წილი</i>	<i>დაფიქსირებულ პიროვნულ სახელთა რაოდენობა</i>	<i>მათ შორის მუსლიმანურ სახელთა ხვედრითი წილი</i>
თედო სახოკია	145	3,5 %	22	99%
ზაქარია ჭიჭინაძე	61	11,5%	21	100%

8. 1922 წლიდან (ანუ აჭარის ე.წ. გასაბჭოებიდან), მაქსიმალურად დაჩქარდა ზემო აჭარის ანთროპონიმიში თურქული ელემენტის ქართულით მთლიანად ჩანაცვლების პროცესი. გვარსახელების სფეროში ის წარმართა უმთავრესად სპონტანურად, მოსახლეობის მხრიდან საკუთარ ფესვებზე დაბრუნების სურვილით და მიზნით, ამიტომაც ძალიან სწრაფად დასრულდა. ამავე დროს, როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული სავლე გამოკითხვების ანალიზი გვიჩვენებს, „-ოლი“ ფორმანტიანი ოსმალური გვარები დღემდე არ წაშლილა მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერებიდან,

სადაც მათ ახალი ფუნქციები შეიძინეს: 1. მეორე, **არაოფიციალური გვარსახელის და 2. შტოგვარის (გვარის განშტოების)** აღნიშვნის ფუნქცია. ჩვენი კვლევის მასალები ნათლად ადასტურებს, რომ მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში დღემდე მყარად არის აღბეჭდილი ორივე ფუნქცია.

9. ამავე დროს, ნათლად იკვეთება ასეთი ტენდენციაც: ერთი და იგივე ადრინდელი თურქული გვარსახელის მატარებელთა რამდენიმე ქართული გვარსახელის ქვეშ აღმოჩენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი რომელიმე ერთი თურქული გვარის განშტოებებია, მაგალითად, *ბაირახტაროღლები არიან - დავითაძეები* (შუახევი, სხეფი); *თებიძეები* (ქედა, პირველი მაისი); *კურცხალიძეები* (ქედა, მახუნცეთი). აშკარაა, რომ ოსმალების მიერ ე.წ. თურქული გვარების შერქმევა ხდებოდა სპონტანურად, ყოველგვარი სისტემურობის გარეშე და სულაც არ ისახავდა მიზნად ადამიანთა კოლექტიურ მეხსიერებაში რომელიმე ქართული გვაროვნული ერთობისადმი მათი კუთვნილების და ამ გზით მათი ქართული იდენტობის შენარჩუნებას.

10. განშტოებები აქვს ქართულ გვარსახელებს. ეს არის „ოღლი“ ფორმანტიანი თურქული გვარსახელები (*დევაძე-ახისხოღლი, დევაძე-კვერნიოღლი, დევაძე-მემიოღლი, დევაძე მერჯანოღლი, დევაძე-შირინოღლი*), თუმცა ისინი ყველა შემთხვევაში არიან თუ არა მოცემული ქართული გვარის დანაყოფების სახელები, ამის დაბეჯითებით მტკიცება რთულია. მაგალითად, გამოკითხულები წერენ იმასაც, რომ ორი თუ სამი ძმა ერთმანეთს გამოეყო და მათ სხვადასხვა თურქული გვარსახელი აირჩიეს. მაგრამ ქართულ გვარზე დაბრუნება როგორ მოხდა, ამ ინფორმაციას ისინი უმეტესწილად არ ფლობენ. მიუხედავად ამისა, ისინი ხაზს უსვამენ, რომ მათი გვარი მოიცავს სხვადასხვა ყოფილი თურქული გვარსახელის მატარებელ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთის ნათესავები არ არიან. სამაგიეროდ თვლიან, რომ ნათესავები არიან საერთო თურქული გვარსახელით გაერთიანებული პიროვნებები.

11. პიროვნული სახელების ტრანსფორმაციის პროცესი მუსლიმანური აღმსარებლობის ზეგავლენით რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გაიწელა და საბჭოთა

კავშირის დაშლამდეც კი გაგრძელდა. ამ პროცესებში გადამწყვეტი როლი ითამაშა არა ვინმეს სურვილმა სახელმწიფო დონეზე გაეტარებინა ქართული ეროვნული პოლიტიკა, არამედ თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ერთმანეთის მიმართ მტრულ ბანაკებში აღმოჩენამ. ამ გარემოების გამო გარე სამყაროსგან მთლიანად ჩაიკეტა სსრკ-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონი, სადაც დაისადგურა უმკაცრესმა რეჟიმმა, რომლის პირობებშიც არა მხოლოდ თურქულ ანთროპონიმიის, არამედ მუსლიმანური აღმსარებლობისადმი ოდნავ ლოიალობასაც კი არასანდო ელემენტების და სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობის კვალიფიკაცია ეძლეოდა.

12. პიროვნულ სახელთა ტრანსფორმაციის ერთ-ერთი თვალში საცემი შედეგია **ოფიციალურ-არამუსლიმანური და არაოფიციალურ-მუსლიმანური** ორსახელიანობის დამკვიდრება, ეს ტენდენცია საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, თუმცა დღეს მას რელიგიური საფუძველი გამოეცალა, რადგან მუსლიმანურ ოჯახებში მაინცადამაინც მუსლიმანური სახელების დარქმევა აღარაა აქტუალური.

13. როგორც ჩვენი ანალიზი გვიჩვენებს, აღნიშნულ პერიოდში ანთროპონიმული სურათის, კერძოდ, გვარსახელების და პიროვნული სახელების ტრანსფორმაციის ტენდენციები მკაფიოდ ვლინდება, მაგალითად, მასწავლებელთა კორპუსის ანთროპონიმიაში:

	<i>პიროვნებათა რაოდენობა</i>	<i>რამდენს ჰქვია მუსლიმანური სახელი</i>	<i>დაფიქსირებული გვარსახელებიდან რამდენია „-ოღლი“</i>
მასწავლებელთა კორპუსი(1922 წ.)	35	100%	28,5%
მასწავლებელთა კორპუსი(1927 წ.)	58	100%	3,5%
თბილნარის სკოლის მოსწავლეთა კორპუსი (1925 წ.)	18	100%	35,5%
ქედის პედსასწავლების კურსდამამთავრებელთა კორპუსი	21	0	0

(1951 წ.)			
ხულოს პედსასწავლებლის კურსდამამთავრებელთა კორპუსი (1951 წ.)	50	33,3%	0
ქედის რაიონის მასწავლებელთა კორპუსი (1951 წ.)	119	66,6%	0
ხულოს რაიონის (შუახვეთან ერთად) მასწავლებელთა კორპუსი (1951 წ.)	171	69,5%	0,5% (1)

14. ჩვენი კვლევის მიხედვით ზემო აჭარის ანთროპონიმის ტრანსფორმაციის დასკვნითი ეტაპია 1991 წლის შემდგომი პერიოდი, რომელზეც საქართველოს მოსახლეობის ბოლო აღწერის მასალების მიხედვით, ზემო აჭარაში მცხოვრები *ორივე სქესის 55349 მცხოვრების* 697 გვარსახელიდან აბსოლუტურად ყველა ქართულია. მამასადამე, *დღეს ზემო აჭარაში „-ოლი“ ფორმატიანი თურქული გვარსახელი ოფიციალურად პრაქტიკულად აღარ აღირიცხება.* რაც შეეხება პიროვნულ სახელთა კორპუსს, ის მოიცავს როგორც მამაკაცის და ქალის პიროვნულ სახელებს. პირველ რეიტინგულ ოცეულში მოხვედრილ 20 210 პიროვნებიდან არცერთს არ ჰქვია მკვეთრად გამოხატული დოგმატური მუსლიმანური სახელი, თუმცა არის ასეთი სახელებიც. ამავე დროს, მკაფიოდ იკვეთება უმნიშვნელოვანესი ტენდენცია: დღეს, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლების პირობებში სახელის დარქმევა მთლიანად თავისუფლდება რელიგიური ფაქტორებისგან. ის უფრო პიროვნულ ფაქტორებს და არჩევანის სრულ თავისუფლებას დაექვემდებარა, ვიდრე რომელიმე რელიგიის დოგმატურ მოთხოვნებს. ყოველივე ამის დასტურია ზემო აჭარის ბავშვთა ბაღების 2010-იანი წლების აღსაზრდელთა პიროვნულ სახელების ანალიზი.

15. გვარსახელთა (როგორც თურქული, ისე ქართული) ლოკალიზაციის მიმართულებით კვლევა ეყრდნობა ადრინდელ, უმთავრესად, მოსახლეობის 1922 წლის

აღწერის მასალებს, როცა, როგორც ი. მაისურაძე აღნიშნავს, **საგვაროვნო კოლექტივები** მკვიდრად და კომპაქტურად ცხოვრობდნენ განსაზღვრულ ადგილებში. ამიტომ დღევანდელ ვითარებასთან შედარებით იმდროინდელი მონაცემების საფუძველზე გაცილებით იოლია გვართა ძირითადი ბუდე ადგილების მონახვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნიშანდობლივია **ქართული გვარსახელების ლოკალიზაცია**. არის სამივე მუნიციპალიტეტში²⁴ დაფიქსირებული და არის მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული გვარსახელები. ასე მაგალითად: ა) **მხოლოდ ქედაში გვხვდება:** ავალიანი, ბარამიძე, ბასილაძე, ბედინაძე, დევაძე, დოლიძე, ვარშანიძე, ვერძაძე, ზანაქიძე, თებიძე, კურცხალიძე, ლამპარაძე, ლორთქიფანიძე, მორთულაძე, პაპუნძე, ჟოჟაძე, საფარიძე, საკანდელიძე, სამნიძე, ფარტენაძე, ქაღიძე, ქობულაძე, ლოღობერიძე, ჩიბურიძე, ცინცაძე, ჩხეიძე, ჩიკვაიძე, შარაბიძე, შავლიძე, შაქარაძე, შოთაძე და სხვა. ბ) **მხოლოდ შუახევში** - ათაბაგი, ამაღლობელი, გოკრაჭაძე, დარჩიძე, ებრალიძე, მაკარაძე, საგინაძე, ტაკიძე, ფუტკარაძე, ქათამაძე, შარაშიძე, ჭალაღიძე, ჯუმუშაძე და სხვა. გ) **მხოლოდ ხულოში** - ართმელაძე, აბულაძე, გელაძე, გორგაძე, გობაძე, ვანაძე, ვაშაყმაძე, თავართქილაძე, იაკობაძე, კახაძე, კოჩალიძე, მარკოიძე, მეკვიძე, მელაძე, ნაკაიძე, პაქსაძე, რიჟვაძე, სოლომონიძე, ტუნაძე, ქონიაძე, ჩოგაძე, შანთაძე, ხოზრევანიძე, ჯაიანი და სხვა.

16. ზემო აჭარის თანამედროვე პერიოდის ანთროპონიმული სურათი უტყუარი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში დღეს რელიგიური ფაქტორი აღარ თამაშობს ქართველთა ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ გადამწყვეტ როლს. კალენდარული სახელები ფუნქციონირებს მხოლოდ სასულიერო სფეროში. რწმენის არჩევანისა და სახელის შერჩევის თავისუფლების პირობებში დღეს ახალგაზრდა მუსლიმი ქართველებიც კი აღარ ატარებენ ძველ დოგმატურ მუსლიმურ სახელებს. ისინი მხოლოდ საკუთარი სურვილის მიხედვით უწევენ ანგარიშს ან საერთოდ უკეთებენ იგნორირებას ბავშვის ან თავისი პიროვნული სახელის შერჩევის პროცესს, რამაც წინა წლებთან შედარებით რადიკალურად შეცვალა ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი.

²⁴ დღევანდელი დაყოფით.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

1. ავალიანი თემურ, ბარამიძე ეკატერინე, ზემო აჭარის ანთროპომინული სურათის ტრანსფორმაციის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ჩვენი სულიერების ბალავარი“. ბათუმი. 18-19 მაისი 2018 წელი. გვ. 29-39;
2. ავალიანი თემურ, ბარამიძე ეკატერინე, „გვარის განშტოებათა ზოგიერთი სახელწოდების შესახებ ზემო აჭარაში“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი ISSN 2449-2507. შრომები. V. 2019. გვ. 215-220;
3. ახუაშვილი იაკობ, „ქართული გვარსახელები (მასალები ქართული გვარების ისტორიიდან)“. I. თბილისი. „მესხეთი“. 2005;
4. ბარამიძე ეკატერინე, ავალიანი თემურ, „ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა (ერთი სასოფლო თემის მაგალითზე)“. აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია). VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. „უნივერსალი“. 2017. გვ. 385-399;
5. ბაქრაძე დიმიტრი, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1987;
6. ბარათაშვილი კლარა, „მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები“. თბილისი, 1997;
7. „ბერიეთობა“ - დღესასწაული, რომელსაც ბაღდათში, ნასოფლარზე აღნიშნავენ <http://topnews.com.ge/index.php?newsid=12036>. (12. 08. 2017, 20:16);
8. ბერიძე ეთერ, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში. ბათუმი. 2006;
9. ბერიძე ეთერ, ნიგალი. ისტორიულ-ეთნოლოგიური და ლინგვისტური (ტოპონიმიკური ასპექტები), ბათუმი 2009;
10. ბერძენიშვილი ნიკო, სის. წ. VIII, თბ. 1975;

11. ბექირიშვილი იოსებ, „აჭარის ისტორია გვარსახელებში“. ბათუმი. 1996;
12. ბოლქვაძე ხათუნა, „კულტურული მემკვიდრეობის სემიოტიკური მექანიზმი და კონცეპტის თარგმნის პრობლემა“. სადოქტორო დისერტაცია. ბათუმი. ბსუ. 2017;
13. გოგობია ბაკურ. „აღმოსავლეთ ლაზეთის ისტორია და გვარსახელები“. სადოქტორო დისერტაცია. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2019;
14. დავითაძე ხატია. ქართული სასკოლო განათლების ფორმირების აქტუალური საკითხები აჭარაში 1918-1921 წლებში. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი სამაგისტრო დისერტაცია. ხიჭაური 2021.
15. ენუქიძე რუსუდან 1977, „ტბეთის სულთა მატთანე“ რ. ენუქიძის გამოცემა. თბ. 1977.
16. ვაშაკიძე ვ. ინგლისური საკუთარი სახელები (ეტიმოლოგიური, ორთოგრაფიულ-ორთოეპიული ლექსიკონი). თბილისი. 2005;
17. თანდაშვილი მანანა, ფურცხვანიძე ზ., კორპუსლინგვისტური პარადიგმა ენათმეცნიერებაში. ფრანკფურტის ლინგვისტური წრე. 2014;
18. თანდაშვილი მანანა, „ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)“. ბათუმი. 2016;
19. თოფჩიშვილი როლანდ, „როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახ.ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.თბილისი. 1997;
20. თოფჩიშვილი როლანდ. „ქართული ანთროპონიმული მოდელი წარსულში აწმყოსა და მომავალში“//ქართველური მემკვიდრეობა. IV. 2000.
21. თოფჩიშვილი როლანდ. „სახელების ეთნოლოგია და ისტორია“. თბ. 2010;
22. კახიძე ნოდარ, მაჭახლის ხეობა. ბათუმი. 2011;

23. კახიძე ნოდარ, „ეტრატებზე ამეტყველებული ისტორია“. ტბეთის სულთა მატანე. XII-XVII საუკუნეები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის წყარო. ბათუმი. 2013;
24. კვაჭანტირაძე ევა, „ისტორიული მეხსიერება და მისი შესწავლის ძირითადი ტენდენციები“//ამირანი, XIX. 2008. გვ. 89-
25. კირთაძე დარეჯან, „საკუთარი სახელი ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და აგიოგრაფიულ წყაროებში (V-X საუკუნეები)“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009;
26. კობიაშვილი მ. „შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში“. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1995.
27. მარი ნიკო, „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი 2012.
28. მაისურაძე ილია, „ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები)“. თბილისი. „საქინფორმი“. 1990;
29. მამისთვალიშვილი ე. „1728 წლის თბილისის ვილაეთის დიდი დავთარი“ ზოგიერთი ებრაული დასახლების შესახებ“//ქართულ-თურქული მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კონფერენცია. გორი. 2013. გვ.32-36;
30. მალრაძე ვ. - „ქართველური ტოპონიმებისა და გვარების წარმოება და ურთიერთობა, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბ., 2006. გვ.ოდ 227
31. მგელაძე ნ. პატრონიმული ორგანიზაცია: გენეზისის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიის საკითხები//ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა. სამეცნიერო სესია, მიმდევნილი ისტორიის ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი (მოხსენებების მოკლე შინაარსი). 2001. გვ.23-36.
32. მგელაძე ნ. აჭარული ნოგრო და გვარი. ბათუმი. „აჭარა“.2004.
33. მგელაძე ნ., ტუნაძე თ. „აჭარის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“. ბათუმი. 2018.

34. მელიქიძე ს. მეტეგვარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის ქართლურში. კრებულში ონომასტიკა, I, 1987. გვ.291-299.
35. მჭედლიშვილი მ. შტოგვარები სოფელ ზემო მაღაროში. ქართველური ონომასტიკა. I. თბ. 1998. გვ. 253-257.
36. ნარაკიძე ციალა, „ზოგი კოლხური გვარის შესახებ“. XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები (ქ. თელავი, 24-25 ოქტომბერი, 1997 წ.), თბილისი, 1997;
37. ნარაკიძე ციალა, „ლაზური საგვარეულო სახელების გენეზისის პრობლემისათვის“, //ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000;
38. ნარაკიძე ციალა ზურაბ თანდილავა, „ზოგი ანთროპონიმი ლაზურში“, ლინგვოკულტუროლოგიური მიეზანი / პირველი საერთაშ. კონფერენ. ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2011
39. ნატროშვილი თ. გვარები და შტოგვარები სოფელ ქვემო მაღაროში. ქართველური ონომასტიკა. II. თბ. 1987;
40. ნიჟარაძე შ. ქართული ენის აჭარული დიალექტი. ბათუმი. 1971;
41. ნოღაიდელი ნ. ანთროპონიმთა საკითხისათვის აჭარულში (ანთროპონიმები და ტოპონიმია). ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები XII გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. 2016.
42. ჟორდანია გ. მეხურელნი. თბ. 1956. გვ. 125-174.
43. სახოკია თ. - „მოგზაურობანი გურია, აჭარა სამურზაყანო, აფხაზეთი“ - გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი. 1985, 405 გვ.
44. სოსიაშვილი გ. ახალგორი „1728 წლის თბილისის ვილაეთის დიდი დავთრის“ მიხედვით//ქართულ-თურქული მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კონფერენცია. გორი. 2013. გვ.47-54;

45. ურმანიძე რ. „თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წელს. მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა., თბ., 2016, საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს აჭარის ორგანიზაცია., 352 გვ.
46. სურმანიძე რ. ბეჟანიძეები (ისტორიულ-გენეალოგიური ნარკვევები). ბათუმი. 2012, 367 გვ.
47. ტბეთის სულთა მატიაწე. რ. ენუქიძის გამოცემა. თბ. 1977;
48. ტოხვაძე ნანა, „შემოქმედება ისტორიოგრაფიის სამსახურში ანუ „მეხსიერების პოეტური ხმა“ (კოსტას მონტისის შემოქმედების მიხედვით). სადოქტორო დისერტაცია. ბათუმი, ბსუ, 2018;
49. ფაღავა, მ. შავშური ჩანაწერები, თბ. 2011.
50. ფაღავა მ. მუჰაჯირთა შთამომავლებთან, თბ. 2016.
51. ფაღავა მ, კლარჯული ჩანაწერები, თბ. 2017
52. ფაღავა მ. მეტსახელი გვარები ჭოროხის ხეობიდან. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები, II, თბ. 2017.
53. ფუტყარაძე შუშანა. „ჩვენებურების ქართული“. ბათუმი, 1993.
54. ქამადაძე მ. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. თბ. 1992.
55. ქამადაძე მ. თურქული ელემენტი აჭარის ანთროპონიმიაში // XXVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია. 2007 წლის 9-10 ნოემბერი (თელავი). გვ. 78.
56. ლლონტი ალ. ქართველური საკუთარი სახელები. თბ. 1986.
57. ლლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბ.1988.
58. ცხადაია პაატა. ონომასტიკურ ტერმითა განმარტებული ლექსიკონი. თბ. 1988.
59. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი. „აჭარა“ 1995.
60. ჩელები ფეფზი. დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი. თბ. 2018 (სადოქტ. დის.).

61. შალიკაძე ინდირა, ადამიანის საკუთარი სახელები „ტბეთის სულთა მატიანის“ მიხედვით//ზათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ფილოლოგიური მაგნე. II. თბილისი. 2015. გვ. 55-66.
62. შანიძე მ. ზოგიერთი გვაროვნული სახელი ტბეთის მატიანეში. „მრავალთავი IX“. თბ. 1989.
63. შაშიკაძე ზ., მახარაძე მ. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები (ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევები და ფოტოასლები). თბ. 2011.
64. შაშიკაძე, 2018 – 1835 წლის მარადიდის აღწერა (ოსმალურიდან თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო ასოცირებულმა პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ)// კრებული, XII. ბსუ. ქართველოლოგიის ცენტრი. 2018. გვ. 76-89.
65. შაშიკაძე, 2020 – 1835 წლის დანდალოს, ვაიოს, ბზუბზუს და სხვა სოფელთა აღწერა (ოსმალურიდან თარგმნა, ასოცირებულმა პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ)// ხელნაწერი. ვსარგებლობთ ავტორის მოწოდებულს მისივე ნებართვით
66. ჭიჭინაძე ზ. თ. „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში გამოცემული იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილის საფასით. ტფილისი. 1913 (ინტერნეტში განთავსებულია PDF).
67. ჭუმბურიძე ზ. დედაენა ქართული. თბ. 1987
68. ხორნაული გ. ქართული გვარების საკითხი. ონომასტიკური კრებული (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია). თბ. 1979.
69. ჯანიაშვილი ლ. ქემალისტური ეთნოგენეტიკური კონცეფცია და საქართველო//კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. X. თბ. 2007.
70. ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი II თბ. 1941.
71. ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I თბ. 1947
72. ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი III. თბ. 1958
73. ჯიქია მ. თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში // აღმოსავლური ფილოლოგია, III., თბილისი, 1973, გვ. 211-218.

74. ჯიქია მ. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ ანთროპონიმია//ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. VII. თბ. „ილიაუნი“ 2013.
75. ჯორბენაძე ბ. ონომასტიკური გულანი. თბილისი. 1993.
76. ხორნაული გ. - „შვილთათვის დასარქმევი სახელები“ გამომცემლობა „ინტელექტი, თბ., 2005, 59 გვ.

ელექტრონული დოკუმენტები ინტერნეტიდან

77. ბარათაშვილი კ. მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები/ [რედ.: გურამ მამულია ; მთარგმნ.: ალექსანდრე თევზაძე] ; ფრიდრიხ ებერტის სახ. ფონდი - თბ., 1997 - 64გვ.
78. ბარამოლლები/გუნდაური (ქედის მუნიციპალიტეტი)
